


1983

ISSN 0182-599 X



# გნებობა



10

---

1983



# გეორგიული მწერთა კავშირი



საქართველოს მწერთა კავშირის მხატვრული  
და საზოგადოებრივი-კულტურული მუშაობის

წელიწადი 59-ე

№ 10

ოქტომბერი, 1983 წ.

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

1783 — გორგვიძის ტრატატი — 1983

ვლადიმერ მაიაკოვსკი — ვლადიკავკაზი — თბილისი, ლექსი	3
ხარბი ემინი — სპარტელოს პობედას, ლექსი	3
ოსიპ მაქოლუხაი — მახსოვს თბილისი, თბილისს ვახსოვარ, ლექსი	4
ზორის კასტარნაი — ტალღები, ლექსი, თარგმნა გია შარგველაშვილმა	5
ააიი ბელიაშვილი — სხვადასხვა დროის ჩანაწიბები, დასასრული	6

1783 — გორგვიძის ტრატატი — 1983

ნიალოზ ბიხონოვი — ლექსები	29
ნიალოზ ჭაბოლოვი — ღამე ფასანაურისა, ლექსი	29
კაკლე ანტოპოლსკი — თამარ პაპაიანი, ლექსი	30
მიხეილ ლუკინი — ძარტული მგონებას, ლექსი, თარგმნა გია შარგველაშვილმა	31
თინეიზ გოგოლაძე — მსწავლელბერი, დოკუმენტური მოთხრობა	32

1783 — გორგვიძის ტრატატი — 1983

მიხეილ ღუდინი — ქმადნაფიცობის ათინათები, ლექსი	68
ალექსანდრე მიძირკვი — ძარტული ცაპაბა ხელბიტი, ლექსი	68
ბელა ახმადულინა — სიმონ ჩიქოვანს, ლექსი, თარგმნა გია შარგველაშვილმა	69
ზურაბ კაკანაძე — ზრბალი სიღმეღლო ბარბთი, მოთხრობა	71
ნური კილასნიანი — ლექსები	84
მედიკ ნიბარაძე — ბაზაფუზლის მოახლოება, ლექსი	83

### ჩვენი მივლინებით

მირონ ხარბიანი — წარბების კოლიბონი, ნარკვევი, ვაგრძელბა	90
1783 — გორგვიძის ტრატატი — 1983	
ქლარა ტულუში — სპარტელო გინობდოვის შემოგმობდობა	111

მ. შიორე ვაგრძე.

შინაარსი (გაგრძელება)

რუსთველოლოგია

თამაზ შილაძე — ვარდის ფურცლოვან ნოხან



ეროვნული  
ენციკლოპედია

კრიტიკა, უზღვევისტიკა

ვახტანგ გაბაშვილი — მთარგმნელის ღვაწლი . . . . . 163  
ლალი ავალიანი — სანდრო ცირაქიძე — ცისფერკანაწილთა ბენიამინი 169

□

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა კ ტ ი მ კ ო ლ ე გ ი ა :

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),  
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ა. ტალაძე,  
მ. ლასურია, მ. ლეზანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრალაშვილი, გ. ნატრო-  
შვილი, რ. პატარიაძე, თ. პაპკორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წულიცისკირი,  
თ. შილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე, ჯ. ჩარკვიანი.

---



ვლადიმერ მაიაკოვსკი

ვლადიკავკაზი — თბილისი

ფრაგმენტი

როგორც კი ფეხი დავადგი კავკასს  
უმაღ ვიგრძენი. რომ ვარ ქართველი.  
იალბუზს. ყაზბეგს და მწვერვალს ათასს  
მინდა გავძახო ჩემი სათქმელი.

...ვიცი. სამოთხე — მონაგონია.  
და თუ უმღერდნენ მაინც დალოცვილს.  
რომ ეგულისხმათ, არა მცონია.  
სხვა კეთხე, გარდა საქართველოსი.

სურბი ასენინი

საქართველოს პოეტებს

ხმარობდნენ უწინ  
ლექსთწყობაში  
სონეტს, ოქტავას.  
კლასიკურ ფორმას  
დღეს მოუკვდა  
თითქოს პატრონი.  
მე კი მსურს კვლავაც  
ძველებურად წავიკობხტავო —  
ამოვდებ ლაგამს,  
რათა აღსდგნენ  
წარსულნი დრონი.


ქარვისფერ ღვინოს  
ჩამოგვისხამს მთვარე  
კურთხეულს,  
და ამოგვიესებს  
ცისფერ ყანწებს,  
ვით უძღვებ თვალებს!  
ქართველო ძმებო,  
თქვენი თავი დღეს გამახსენდა,  
მშვიდობა თქვენდა,  
მეგობრებო,  
სალამი თქვენდა!

სალამი წრფელო  
უცხო მხარეს,  
შორეულ კუთხეს!  
მწამს  
საქართველოს მიუფალ გზებს  
გავიკვლევ მაღე.

ძმებო — მგოსნებო!  
შეთანხმება ჩვენთა გრძნობათა,  
ჩვენთა კალამთა  
შარიშური და ამბობება  
მე მიყვარს, როგორც  
პანგი, მტყვარმა რომ გვინობათა

ქ. შარვაშიძის ს.ს. საქ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

17.430



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ან როგორც ჩვენთა სერობათა  
აბობოქრება.

ვახლავართ თქვენი  
ჩრდილოელი ძმა — მეგობარი,  
რადგან თვისტომნი უნდა ვიყოთ  
მუდამ მგოსნები!  
მეც ხომ აზიის ზიარი ვარ  
ფიქრით, ოცნებით  
და ვარ თქვენსავით  
სიტყვა-წრფელი და ფუძე-მყარი.

იქნებ ამიტომ გადაპრიეთ  
გადამთიელი,  
იქნებ ამიტომ მზიბლავს თქვენი  
ფხა და იერი!  
საუტუნენი გადაფქვავენ  
მონაკორს ზღაპრულს.  
ათასგვარ ჯებირს გადალევავს  
დროთა დინება,  
მეისტორიეს.  
ფოლიანტთა წიაღში ჩაფლულს.  
დღევანდელ შუღლის ხსენებაზე  
ჩაეცინება.

და იტყვის იგი: წიაღში დროთა  
ერთა და ტომთა ჭიშკობა მოჩანს.  
მაგრამ! პოეტი პოეტს არ მტრობდა  
და არ არბევდა მგოსანი მგოსანს.

ამას გრძნეული ნიშანიც მოწმობს:  
შმადნაფიცობით  
მგოსანი მგოსნობს!  
თვითმპყრობელობის

ბოროტი ძალა  
ფეხქვეშ თელავდა  
სიყეთის ნერგებს.  
და როს ლახვარი ჩავეციო რეგვენს —  
თავისუფლებამ  
ფრთები გაშალა  
ყველა თავთავის ოჯახში ვილხენო  
საკუთარ ჰანგზე.  
მშობლიურ ენით.  
ყველა თავთავის სიმღერას ვიმღერო,  
აღფრთოვანებით  
და აღმაფრენით.

აღსრულდა  
ბედის ნაკარნახევი:  
არ ვართ მონები  
და ღვთის გლახები!

ქართველო ძმებო.  
თქვენი თავი დღეს გამახსენდა.  
მშვიდობა თქვენდა.  
მეგობრებო.  
სალამი თქვენდა!

ძმებო-მგოსნებო!  
შეთანხმება ჩვენთა გრძნობათა.  
ჩვენთა ვალამთა  
შარიშური და ამბოხება  
მე მიყვარს, როგორც  
ჰანგი.  
მტკვარმა რომ გვინობათა,  
ან როგორც ჩვენთა სერობათა  
აბობოქრება.

ოსია მანდელშტამი

## მასსოვს თგილისი, თგილისს ვანსოვარ

მას ჯერაც მასსოვს ხამლთა გაცვეთა.  
ჩემთა ლანჩათა მჭრქალი დიდება  
და მე კი იგი — რარიგ აღზევდა.  
შაუქოჩრიანმა როგორ ინება  
ნაირზმიანად აღიღიქება.  
მამადავითთან გაბაასება.  
ცარცითაო თითქოს ნაქარგი



თბილისდურ ჩიხთა ხატოვანება,  
 თუნებს დაყვა ქვეყნის ავ-არაგ  
 ერთი ნამგალს ჰგავს, მეორე მარბილს.  
 მესამე გახლავთ ყეცი თაენება!  
 მუხას არა აქვს თავი აბარგვის,  
 ალვა კი სადღაც მიეჭანება...  
 ასობუტუტა აბრათა მწკრივი  
 თვალს ათრობს, როგორც გუნდი  
 ქალწულთა.

თბილისიკ -- მუდამ ბოგე და  
 ტანკოლოვი --

მიტბოება ამაყ მგზავოვივ  
 ქალარა, თუმცა კეკლუს ზაფხულთა.

გორის პასტარნაკი

### ტალღები

დავით აღმაშენებლის სახელობა

1

ყვამ 'საქართველო' შევადნოთ მტყევედ  
 ჩაფა სინაზეს, სამოთხე

ქვესქელს,  
 უნულს კვარტლებეკად სათბორო  
 მიყვით

და საქართველო დაიძვრის ჩვენსკენ,  
 მაშინ თუ ვეგრძნობთ, რაოც ნატოდად  
 შერწყმა მიწას და ზეცის მიწხას  
 შრომის და ნიჭის გამოჩანება.

ქვეყნად ქართველი კაცი რომ იშვას,  
 რამდენი კიარი უნდა ეთმინა,

გამქლავებოდა რა ძალას მტრისას,  
 რომ თვისი არსი გამოეკლინა,

როგორც აღმასის დროგამძლე  
 კრისტალს.

2

გამოაცოცხლვის ჩიბი საოქმელი  
 ძველო კიშობით, დაისს ღობოიოს  
 თუ ითი ამაყობს ცხელი სარტყელი  
 ახდა რომ მოაქვს თავი ზობიოს.

მე კი ყველაზე ძვიოფას საჩუქოთ  
 დავამშვენებდი თუ კი მელირსა  
 ზეითენბოვი ზილვით აღტურვილს  
 დიდებულს ნაპირს კობულეთისა.

რამეთუ მგოსხის შესადარისად,  
 გასწვდა ჯერ ამას არავინ ცდილა  
 მარცხენა თვლით ფოთის აისსა,  
 მარჯვენა თვლით ბათუმის დილას,  
 რამეთუ გობეულს და ჩაუელმზილველ  
 შესწევს უხარი დააცხოოს შენში  
 საფათურაკო ჩანვი და ძვისევე  
 აგათამაშოს, ვით ზღვაში კეჩვი.  
 ო, ამ ნაპიოს უნაპიოობად  
 დანაპირები გამოიასყეკა,  
 თითქოს აღმოთქვა ასი პიოობა  
 თვალის ბროლივით გამქოლმა ზეცამ.

3

უნოდე ამას რაც კი გენაბოს,  
 მაგრამ ცოცაბო მთებზე ფიქვენაო,  
 როგორც თქმულგბის გამოქენება,  
 იყო იღუმელ ზოახვის მჩინარო  
 იგი თვალს გვეჭოდა არა ზობობთა  
 და არა კლდეთა ზღაპრულ იერათ:  
 გვაწადობდა, როგორც ჭოხიობობა  
 ან აღსარება გულისმზიერო,  
 თვითვე გვანდობდა იღუმელ ოქმთა  
 ანუ საგანთა მუდმივ სატყეავოს,  
 ამბეჭველბდა შორეულ მოდგმას,  
 საუკუნეთა ზრწღში გაწყვიარს.

თარგმანი შინა მარკველაშვილი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

## სხვადასხვა დროის ჩანაწერები

1950 წელი

7 აპრილი, მოსკოვი.

ჩამოვედი თუ არა. მაშინვე საქმეებში ჩაივლი. გამომცემლობაში მოთხოვნა წიგნი თუ იქნება წარმოებას არ გადავცით. ამ წელიწადში ვეღარ გამოვათ. ვნახე ჩემი რედაქტორი. მოვილაპარაკეთ. მუშაობას შევუდექით. რედაქტორი მოთხოვნა არათუ შემოცლებას, არამედ ჩამდენიმე თვის დამატებას, ორი თვი უკვე დავწერე. ყველაზე სპონსორისმგებლო პეტერბურგის ამბები ვერ არ დამიწერია. ტახონოვიც შეუდგა უკვე მუშაობას და პირველი წიგნის ნახევარი წაიღო გასასწორებლად. ხვალ უნდა შევხვდე.

ქუჩაში შემხვდა ანა ანტონოვსკაია თავისი შვილითურთ. მიუხედავად იმისა და ქალიშვილის დაკარგვა. მთელი საათი ვმუსაუფობდით ქუჩაში. მერე მოხოვა აუცილებლად ვწვევდი. მაღლობა ვუთხარი. შევპირდი. გინახუ-

ლებო მეთქი. ოთხშაბათს იმის ვაქც ფატისთვის დაურეკია. დღეს საღამოს გელოდებით შენ და აკაკოს. ავტომობილი დაიძრა. სადილად მიმიწვია და საღამოს ერთად წავედიო ანტონოვსკაიასთან. შესანიშნავი ვახშაძი გაეწყო. საბრალო ქალი ამ დღი უბედურების შემდეგ კიდევ კარგად გამოიყურება. თუმცა ფსიქიატრები მთავრებით მკურნალობდნენ თურმე და თუ გადაიტახდა ამ ამბავს. არავის სჯეროდა. ლამის ორ საათამდე არ გამოგვიშვა. წაუკითხავს ჩემი „ბესიკის“ პირველი წიგნი. მოთხრა. მომეწონაო და მისაუყუდურა. უფრო ვრცლად რად არა გაქვს აღწერილი ქართული ულამაზესი ბუნებაო. მართებული საყვედურიც (თუმცა ვინეკლმანის მიხედვით. შემატიება. როგორც ქართველს. რომელთაც სილამაზე არ მიაჩნიათ რაიმე განსაკუთრებულ თვისებად). ე! რა იცის ამ ქალმა. რა პირობებში იწერებოდა ეს რომანი. თურმე საყვედური კი არა. იქნებ განცდილებულიყო კიდევაც. როგორ მოახერხებ მაგის დაწერაო.

მოსკოვი, 15 აპრილი.

აქ კვლავ ჩვეულებრივი ამბებია. ვმუშაობ, ვწერ, ვასწორებ, ისევ ვწერ. ტიხონოვმა მითხრა, შევეცდები დიდხანს აღარ ვაგაჩერო მოსკოვში.

წუხელ ვიყავი მაიაკოვსკის საღამოზე სვეტებიან დარბაზში. უამრავი ხალხი იყო, მე და სანდრო ჭალიაშვილი ვიყავით. ნ. ტიხონოვმა მოხსენება წაიკითხა, დიდი ვერაფერი შეიღო იყო, მერე სხდომის თავმჯდომარე სიმონოვმა გამოაცხადა, აქ გვესწრება მაიაკოვსკის დედაო. ლოცვაში იჯდა მოხუცებული ქალი. მეტად სიმბატიური. მთელი ხალხი ფეხზე წამოდგა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ტაშის ქუხილი არ შეწყვეტილა. საბრალო ქალი კი ცრემლებს იწმენდა, ხოლო კინოოპერატორები და ფოტორეპორტიორები მონადირეებივით უმიზნებდნენ თავიანთ აპარატებს და იყო ერთი წყაპაწყუბი (რასაკვირველია, წყაპაწყუბი მე არ მესმოდა, ტაშის ქუხილში რას გაიგონებდი. ერთ ოპერატორს კი ჰქონდა ხელ-

ში დასაპერი კინოაპარატი „აიმო“, რომ აამუშავებდა, გეგონებოდა, ქუხილი ტრამვაი მიდისო).

მწერალთა კავშირში ვიყავი და ორშაბათს შექნება ლაპარაკი ჩემს საშტატო ერთეულზე. იქვე შევიძინე „დრუჟბა ნაროდოვ“, სადაც დაბეჭდილია ვ. გოლცევის შეტისმეტად დილექტანტური სტატია გამსახურდიანზე, რაც მაგან ამ სტატიაზე იმუშავა, საერთოდ, ძალიან კი ცდილა, არ დაუტოვებია არაფერი განუქეპავ-გაურჩეველი. იწყებს ვრცელი შესავლით და სხვა, მაგრამ რომ წაიკითხავ, შეატყობ, რომ სულ ზედაპირზე ცურავს და ხშირად სრულიად არასწორი დასკვნები გამოაქვს ან ძალზე ბუნდოვანია. ნიუანსებში ყალბი ხმა აქვს.

აქ ჯერ კიდევ საკმაოდ ცივა, ხანდახან წვიმაში ფიქვებსაც გამოურევს. რიურიკა ყოველ დღით გაიღვიძებს თუ არა, იწყებს ხტომას, გიმნასტიკას აკეთებს, მერე დაიკარგება მთელი დღე და ღამის თორმეტ საათზე შემოდგრება ხოლმე სახლში.

18 აპრილი, მოსკოვი.

რაც დასაწერი მქონდა რედაქტორის მითითებით თითქმის დაეწერე, მაგრამ თვითონ რედაქტორი გამინაწყენეს. რედაქციას მისთვის ფორმაში ოთხასი მანეთი უნდა მიეცა, აძლევენ სამას მანეთს. მოხუცებული კაცე ძლივს მუშაობს, სისხლის დიდი წნევა აქვს (250). გუშინ სისხლი გამოუღვს და ეტიმებმა მუშაობა აუკრძალეს, მაგრამ ის მაინც არ იშლის, მუშაობს და ესენი კიდევ ას მანეთზე ევაკრებიან. მე ვიყავი გამომცემლობაში, ავტებე ერთი ალიაქოთი, ვუთხარი, არა გრცხვენიათ, ამ ხნის კაცს რომ აწვალვბთ მეთქი. შემპირდნენ, აუცილებლად ვეცდებით, გავაკეთებთ, ხელშეკრულებას გავუფორმებთ, თქვენ მუშაობა განაგრძეთ, ნუ გეშინიათო.

წამოვედი არხინად. დავურევე ტიხონოვს, ვუთხარი, თქვენი საქმე გავაკეთე და ნუ ღელავთ-მეთქი. აჰ, არა მჯერა, ეგენი ცრუები არიან და არაფერს არ გააკეთებენ, ჩაგინს (მთავარი რედაქტორია) ვიცნობ, მაგან ტყუილების მეტი არაფერი იცისო. შემოვირტყი შუბლში ხელი, ისევ თავიდან უნდა დავიწყო. დავურევე ჩაგინს, დამამშვიდა, ნუ ღელავთ, მე თვითონ დავურეკავო. ახლა ვუტდი ზვალინდელ დღეს, ვნახოთ, რა გამოირკვევა.

იარკევის ნაცვლად დირექტორად დაუსვიათ ვილაც ერთი უცხოებრირო, ბორის ეფიმოვის მიერ დაბატულ განგსტერს გავს და ისეთი მკავე გამომეტყველება აქვს, რომ შეხედავ, გულის წვა აგიტყდება.

აქ ჩამოვიდა სერგო ზაქარიადე, უნდა

ჩააბაროს თავისი სურათი (ოლიმპიადა), უმარავი სხვა ქართველობაა, ნაცნობი და უცნობი. ვიყავი ალიკა სამსო-

ნიასთან (ჩემს დაბლა ცხოვრობს ერთი სათუთლოთ). ალიკას მივსაძინებდი, წაიკითხეს და უკეს. კარგ გუხუნებაზე.

მოსკოვი, 20 აპრილი.

დღეს ძალზე ცხარე ბრძოლა მქონდა გამომცემლობაში, დირექცია დიდ უარზე იყო და არ თანხმდებოდა, რომ ტიხონოვისათვის ოთხასი მანეთი მიეცათ, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე და ამგვარად, ის ბერიკაცი დავამშვიდე. ხელშეკრულებასაც მოაწერეს ხელი. შაბათისათვის უკვე პირველ წიგნს დაამთავრებს. გამომცემლობაში მითხრეს, ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც იენისში უნდა გადავცეთ წარმოებასო და აქედან ფეხი არ მოიცივლო, სანამ ტექსტი საბოლოოდ მზად არ იქნებაო. მე მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ მაისს თბილისში გავატარებ. თუ

მოსკოვი, 24 აპრილი.

დღეს კვირაა, მთელი დღე შინა ვარ. მესტუმრნენ ალ. სამსონია მეუღლითურთ, ვიმუსაიფეთ აქეთური, იქეთური. ჩვენმა „სპარტაკმა“ რომ „ტორპედოს“ მოუგო, აჰ, ცხადია, მალე გავიგეთ და ერთი ალიაქოთი გვქონდა. წუხელ ჩამოვიდა კ. გამსახურდია. ქვემოთ ვესტიბიულში ვნახე ვკითხე. გოლცევის წერილი თუ წაიკითხე მეთქი. მე მაგ სულაც არ მაწუხებსო. გოლცევის ვუთხარი, აბა, მაგრად იყავი, გამსახურდია ჩამოვიდა და დაგაჭიკებებს მეთქი.

ვინ უშლის, გამცეს პასუხი, მე შკოლესკივით აბდა-უბდა კი არ დამიწერია, ყველაფერი დასაბუთებული მაქვსო. მე ვუთხარი, კოსმოპოლიტობას რომ სწამებ, ამას არ გააპატიებს მეთქი.

დღეს საოცრად თბილოდა. მთელი დღე ფანჯარა გაღებული მქონდა. ჩემს რედაქტორს დავურეკე. ხვალ უნდა მივიდე მასთან, რადგან ძალზე სუსტადაა და გარეთ ვერ გამოვდივარო. რალაც ვერ მუშაობს კარგად და თუ ასე გაგრძელდა, როდის მოათავებს, არ ვიცი. ვადა პირველი ივნისი აქვს.

1 მაისი, მოსკოვი.

ამ დღით აღრე გამეღვიძა. შესანიშნავი ამინდია. მოკასკასებულო ცა, მზე ბრწყინავს, მაგრამ თან ყინულოვით ცივი და სასიამოვნო ჰაერია. ჩვენს ქუჩაზე მიედინება დემონსტრანტების ორი მწკრივი. (წითელ მოედანზე ოცამდე

მწკრივი მიდის ერთად). ისეთი ტრიალულია, ცეკვა, სიმღერა, რომ ყურთასმენა აღარ არის. სანამ მწკრივი ღვას და დაძვრას ელოდება, უნდა გაყურებინა, რა ამბებია. ფიზკულტურელი ბიჭები შევარდებიან გოგოების მწკრივში, მოიტაცებენ რომელიმე გოგოს, გამოაჭიანებენ თავიანთ გუნდში და ჰაერში

აბურთავებენ. იქვე ვილაც სქელი მათუშა ცეკვავს ტრეპაკას, აქეთ გარმონი უკრავს და სასულე ორკესტრი. ერთ ბიჭს გიტარა წამოუღია, მაგრამ მარტო გრიფი შერჩენია ხელში, ამ ხორხოცში სულ მიუღენია და ახლა სიმებს ახვევს გრაფზე. იმ სულელს, რა ჟანდაბად უნდა. ნეტა დაგანახვია, ეს შლიაპიანი და კოსტიუმოანი ლიპოსნები რა ამბავში არიან, ხან ტრეპაკას ცეკვავენ და ხან ოთურმას თამაშობენ. აგერ კიდევ წრეში ვილაც სათვალეზიანი სქელი დედაკაცი ბუქნას უვლის. იქით კიდევ მამაკაცების ჯგუფს წრე შეუკრავს და ყელმოდარებულნი მღერაიან, მაგრამ იმათი სახეები უნდა დაგანახვია, სიმღერის ეშხში შესულნი თვალებს რომ ნაბავენ და ხმებს აჯანკალებენ. მოულოდნელად სასულე ორკესტრმა ვალსი დაუკრა და მთელი კოლონა აცეკვდა, ატრიალდა. ერთი ვილაც თეთრწვერა მოხუცებული თავზე კეპით და პირში პაპიროსის მუნდშტუტით ახალგაზრდა ჭალთან ცეკვავს და ისე მშვენივრად ტრიალებს (ცოტა შეხტება ხოლმე), რომ მის ცქერას არაფერი სჯობია. მაგრამ ყველაზე კარგი იყო, როდესაც ეს მოხუცი ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოვიდა საცეკვაოდ და კამბრინსკაია იცეკვა. რამდენიმე წრე ასკონკოლად ცალფეხზე ჩამოთარა, ცერებს სულ ცხვირთან უტრიალებდა თა-

ვის პარტნიორ ჭალს და ისე სასაცილოდ იმანჭებდა. რომ მისი შემხედვებულნი გულიანად ვხითხითებ. ახლამ უკრძარანსკა მწერივეებიდან მომესმა სიმღერა, მღერაიან „სულიკოს“ (რუსულად, ცხადია). სასტუმრო „ევროპაში“ რომ გადავდიო. პირველად ისეთი ცუდი ნომერი მომცეს. ჭურღმულში, ბნელი და ნესტიაინი, რომ იქ ღამეს ვერ გავათევდი. ბევრი დავიდარაბის შემდეგ მომცეს კარგი ნომერი მესამე სართულზე. ხვალველოდები პაპუნას,\* რომელსაც ჩემთან დავაყენებ (ნომერი ორადგილიაინია). ტიხონოვი უკვე მეორე წიგნზე მუშაობს. მპირდება, საქმეს მალე მოერჩებიო.

გუშინ დათიკო რონდელი, სანდრო ჭალიაშვილი და მე ვიყავით კულტურისა და დასვენების პარკში, რომელიც ჯერ არ გაუხსნიათ, მაგრამ შესასვლელ ფულს მაინც ახდევინებენ ხალხს. ბალი სულ ცარიელი იყო (დღის ორ საათზე ვიყავით), იქედან ჩავსხედით გეშში ანუ მდინარის ტრამვაიში და ცოტა გავისეირნეთ. უპალტოოდ ვიყავით და ძალზე შეგვცვივდა. საღამოს კ. გამსახურდას ვესტუმრე. ავადაა, თირკმელები სტკივა. ღამის პირველ საათამდე ვმუსიაფობდით. დავით კლდიაშვილზე შევეკამათეთ ერთმანეთს. ჩემთვის არ იყო ძნელი დამემტკიცებინა. თუ რადილი მწერალია დავითი.

### 3 მაისი, მოსკოვი.

იმ საღამოს მე და პაპუნა ვიყავით სამხატვრო თეატრში და ვნახეთ ჩეხოვის „სამი და“. კარგი სპექტაკლია, მსახიობები ბრწყინვალედ თამაშობენ. უნდა ითქვას, რომ ასეთი რეალისტური სახეების შექმნა და აბსოლუტურად რეალისტური დიალოგის გათამაშება ამეტყველება ძალზე ძნელია. ამას მსახიობები ასრულებენ ბრწყინვალედ და გარდა ერთი-ორი ეპიზოდისა, სრულიად უნაკლოდ თამაშობენ.

პაპუნა ხვალ ლენინგრადში მიდის. სანდრო ჭალიევი — თბილისში და ვრჩები მარტოკინა.

გუშინ ვნახე კინოს სახლში მიშკა კალატოზიშვილის მიერ დადგმული სურათი „განწირულთა შეთქმულება“. ძალიან კარგი სურათია. მაგრამ გადაჭარბებულად პუბლიცისტურია და ამიტომ ცოტათი მოსაწყენი.

ვნახე ირაკლი ანდრონიკაშვილი. მანანა ავად ყოლიათ. თვენახევარი საავადმყოფოში იწვაო. თვითონ ირაკლის ახალი პროგრამა მოუშადადებია და გვთხოვა მე და პაპუნას, დაგვეწარითო. ჩვენც შევპირდით.

პაპუნა წერბრელი — მწერალი-მოთარგმნელი.

## 9 მაისი, მოსკოვი.

მე კვლავ სასტუმრო „მოსკოვში“ გადავედი. პაპუნა გუშინ ლენინგრადს წავიდა. დავრჩი მარტო. ისე ვარ მოწყენილი, რომ აი, ახლა სამუშაო წინ მიდევს, მაგრამ წერა ვერ შევიძელ. ერთხანს ვერთობოდი არნოლდ ჩიქობავას სტატიის კითხვით, დღევანდელ „პრაგდაშია“ გამოკვეყნებულ. შეეხება ჩვენი ენათმეცნიერების საკითხებს და აკრიტიკებს ნიკო მარის მთელ რიგ შეხედულებებს. საინტერესო სტატიაა.

აქაური ამბები რა მოგწერო. გუშინ ვნახე გოლცევი, უკვე ჩამოფრინდა თბილისიდან. პლენუმს დასწრებია, ულაპარაკია, კაკო გაწერელის შეუტყვია მაგისტვის და სულ ენაზე ეკერა: „მმ... ეტოტ გაცერელია, ტი პანი-

## 10 მაისი, მოსკოვი.

დღეს მივიღე ანაბეკდები ორი კონვერტით, მეგონა შიგ წერილიც იქნებოდა და რომ ვერ აღმოვაჩინე, გული დამწყდა. გუშინ ვიყავი ჩემს რედაქტორთან. მეორე წიგნი დაუმთავრებია. მეორე წიგნში კიდევ გამაჟეთებია რაღაც პატარ-პატარა ნაწყვეტები. დღეს დავწერე და სამ საათზე უნდა მიმეტანა. ღამის ათ საათზე მოვახერხე, რომ დამეჭირა სახლში. ექიმებთან იყო და ხვალისათვის დამიბარა. ექიმები მუშაობას უკრძალავენ, მაგრამ არც თვითონ ეშვება მუშაობას და არც მე ვე-

## 12 მაისი, მოსკოვი.

ჩემი რედაქტორი კვლავ ავად გახდა და ორშაბათამდე ვერაფერს ვერ გადაკეთებო. შემომეყარა გულს, მაგრამ რას ვიზამდი. ორმოში ჩავარდნილივით უნდა ველოდო. თუ ამ ორ კვირაში მოათავა, აღარ დავიძებ. მერე ამ წიგნებს წაიკითხავს გამომცემლობის რედაქტო-

მაემ, სდელალ ვილბზეუ პროტრე მე-ნია, ნო ია ემუ...“ და რა...  
ის კი რიგიანად ვერს გამაგებოდა ესე კი ძალიან კმაყოფილია, ერთი სიტყვით, ყოველივე გაუგებრობა, რაც კი ჩემსა და ქართულ მწერლობას შორის წარმოიშვა, გაიფანტაო.

სტალიონზე მე და პაპუნა ერთად ვიყავით. პაპუნა ძალიან განიცდიდა ჩვენების წაგებას და თამაშის განმავლობაში სულ ვახლებდო, ეპე, ახლა კი გავარდა ბურთი ჩვენს კარში მეთქი, არაფერიცო, ამბობდა პაპუნა და მოუსვენრად ცმუკავდა. მე იგივეს ვუმეორებდი და იმ ზომამდე მივიყვანე, რომ აჯაჯლანდა, თუ არ გაჩუმდები, წავალ აქედანო. საღამოს სიცილით მეუბნებოდა, თურმე როგორ სულელურად შეიძლება გამოვიდეს კაცი მოთმინებიდანო.

შეები. ახლა ერთი კვირით ბოლშევის სანატორიუმში აპირებს წასვლას, მესამე წიგნი იქ მიაქვს სამუშაოდ.

აქ ჩამოსულა მარო შანშიაშვილი, ტიხონოვებთანაა ბინად, ჯერ არ მინახავს.

ჩიქობავას წერილი თუ წაიკითხეთ? საინტერესოა, ახლა ალბათ, მეშჩანოვი დასწერს პასუხს.

მწერალთა კავშირის წიგნის მალაზინაში ვიყავ ვიციღე გოეთეს ერთტომეული და ძალიან კმაყოფილი ვარ. იქ ბევრი საინტერესო წიგნია. მაგრამ ფული ვარუ-პატენი და კბილების კაწკაწის მეტი არა დამრჩენია რა.

რი და მხოლოდ ამის შემდეგ (არა, უკაცრავად, კიდევ ისტორიკოსმა უნდა წაიკითხოს და რეცენზია დაწეროს) და მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ წავა წარმოებაში.

ძალიან მომეწყინა და მომბეზრდა აქ ყოფნა. მომავალში ათი რომანი რომ დავწერო და ყველა რუსულად გამოიცეს, თუ თვითონ გააკეთებენ, ხომ კა-

რგი, თუ არა და მე ამის მდევარი აღარა ვარ. მართლა, „გოსლიტიზდატში“ ვიყავი და დამპირდნენ, გაისად 15 ფორმამდე მოთხოვნების კრებულს შევიტანთ გეგმაში, შენ მხოლოდ წიგნი წარმოადგინეო. მოთხრეს, მოთხოვნები, რაც არა გაქვს თარგმნილი, წარმოადგინე, ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან გეყავს ხალხი, რომელთაც სარეკენზიოდ გადაეცემთო.

აქ მოულოდნელად ისეთი სიცივეები

#### 14 მაისი, მოსკოვი.

დღეს პოეტ ნ. ზაბოლოცის დაერუკა და სადილად დაგვპატივა მარო შანშიაშვილი. ფატი და მე, წავედიო. ქალაქგარეთ ცხოვრობენ. აქ, თუმცა, ამას გარეუბანს არ უწოდებენ. საკმაოდ დიდ ფართობზე დგანან პატარა, ოთხბინიანი სახლები. შუაში ასფალტით დაფენილი გზებით. გადათელილი გაზონებით და საცოდავი ხეებით. აქვე ცხოვრობენ თურმე ანდრონიკაშვილები. ზაბოლო-

#### 16 მაისი, მოსკოვი.

გუშინ დავესწარი ჩვენი „დინამოსა“ და მოსკოვის „БНЦ“-ის თამაშს. ჩვენებმა ბრწყინვალედ მოიგეს. მშვენივრად თამაშობდა ბორის პაიჭაძე. საოცარია, მთელი ხალხის სიმპატიო ჩვენი მოთამაშეების მხარეზე იყო და როდესაც ბორია ბურთს წაიღებდა, აქეზებ-

#### 18 მაისი, მოსკოვი.

გუშინ ვიყავი ჩემს რედაქტორთან. წვეს. ძლივს კრინცხავს და ისე კითხულობს მესამე წიგნს. შეშპირდა. პირველ ივნისამდე აუცილებლად დავამთავრებო. მაგრამ თუ ასეთი ტემპით

დაიქირა, რომ უპალტოოდ ვეღარც კი გავდივარ. ღამლამობით კიდევ უნდა ვნავს.

აქ ერთ მალაზიაში ვნახე გაგარინის ორი ალბომი, ერთში კავკასიის ტიპებია და მეორეში ქართული და ბიზანტიური ორნამენტები და ძველი ქართული თეატრის (თამაშშვეის ქარვასლაში რომ იყო), ნახატები. გეგმები და სქემები. სული კინაღამ დავლიე. ისე შინდოდა მათი ყიდვა. მაგრამ ძალიან ძვირი ღირს. წამოვედი გულდაწყვეტილი.

კვის პირველ სართულზე აქვს ოროთახიანი ბინა. შედარებით კარგადაა მოწყობილი. ჰყავს მესკიასავით პატარა მუღლუე (საოკრად სიმპატიული ქალია). და ორი შვილი. ქალ-ვაფი. ვაფი წელს ამთავრებს საშუალო სასწავლებელს. გოგონა კი ცამეტი წლისაა. კარგა ხანს ვიყავით მასთან. კარგი პატივი გვცა. იქედან წამოვედიო და სამივემ ვინახულეთ კინოფილმი „დუნაის ბაღი“ მაჩიკა როკის მონაწილეობით. ფილმი კერაფერი შეილია.

დნენ „ლუპი. ბორია“.

ამ თამაშმა ოდნავ გამომიკეთა ხასიათი. თორემ ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ. ჩემი რედაქტორი ისევ ავად გახდა.

ნაცნობები თითქმის ყველანი წაყიდწამოვიდნენ. მარტო დათიკო როსდელი და ანდრო ბალანჩივაძეა. რომლებსაც ვხვდები ხოლმე და გულს ვაყოლებთ.

იმუშავა. მგონი, იმ თვის დამლევსაც ვერ მოათავოს. თავის ტკივილები ჰქონია.

მთელ სასტუმროში ერთი ჩემი ნაცნობიც აღარ დარჩა. როსდელი სადღაც კერძო ბინაში გადავიდა. ბალანჩივაძე თავის ბალეტსაა გადაყოლილი. დილი-

დან საღამომდე შინ არ არის. ვარ მართო ამ ჩემს ნომერში. ერთი თავი მჭონდა დასაწერი და ვერაფრით ვერ დავუღვევი გული.

ღღეს დავიარე ბუეინისტური მალაზიები. ერთ ადგილას წავაწყდი მიხეილ ბარათაშვილის წიგნს ქართული ნუმან-მატიკის შესახებ. რომელიც გამოცემულია პეტერბურგში 1844 წელს. მაშინვე დავაცხრი და ვიყიდე. ისე გამეხარდა ამ წიგნის შოვნა, რომ ბავშვივით გულში ვიხუტებ. გაგარინის აღბოშს კ ვერ ვეიდულობ. ძვირია.

ვესაუბრე მიხეილ ქიაურელს ტელეფონით. მგობი. ისევ სასცენარო განყოფილების უფროსი ვეგონე და ძიული საათი მიმტკიცებდა. „ვეფხისტყაოსნის“ სცენარზე ხაოჯთაღრიცხვა არ დაგვიმტკიცეს და მხოლოდ სცენარის ღირებულების 75 პროცენტი. რაც დამატებით გათვალისწინებულია დაწუნებული ვარიანტებისათვის. ის მოგვეცესო. მე შეცხებოდა. არაფერიც არ მოუციათ, ჩემო მიშა. ტყუილი იმედი ნუ გაქვს მეთქი, იმიტომ, რომ თბილი-

## 21 მაინი, მოსკოვი.

გუშინ საღამოს დავესწარი ჩვენი „სპარტაკის“ თამაშს „სტალინეის“ სტადიონზე. რომელიც სადღაც დასაკარგავში ყოფილა. უნდა წახვიდე მეტროთი ბოლო სადგურამდე სკოლნიკის მიმართულებით. მერე ტრამვაით რც წუთზე მეტი იმგზავრო ძველებურ მოსკოვში (აქ სულ ხის სახლებია, ერთსართულიანი, ზოგი ძალზე ლამაზი, მოხარატებული ფანჯრებით და ხის მამლებით. ზოგი გვერდზე მოღრეცილი, დაბერებული და დაბეჩავებული). შემდეგ კიდე ერთი თხუთმეტი წუთი უნდა იარო ფეხით და მიხვალ ამ ქვეუნის განაპირა სტადიონზე. იგი არცთუ პატარაა (მგონი, თხუთმეტი ათასი ეტევა). მაგრამ ხალხი ძალიან ცოტა იყო.

სის კობოსტუდიას ზოგლში ჩამოსაწერი. სულ უკანასკნელში შემსწავლასი მაინც ექნება და იმ შემთხვევაში მანუთზე მიტს. რაც გათვალისწინებულია სცენარისათვის. არაფერ მოგვეცეს მეთქი. მე ახლა გარეშე კაცი ვარ და ამას გეუბნები გულწრფელად მეთქი (ვაი, ამდენი მეთქი იქნება?). მიიხრა. ხვალ ან ზევ შენთან გამოვივლი. ვისაუბროთო. მობრძანდი მეთქი (კიდეც მეთქი?). ერთი სიტყვით. ამით მოვთავჯეთ საუბარი. მერე დამირეკა რომდელმა. გამარჯობა აკაე. ახალი ბინიდან გელაპა რაკები. დიდებულად მოვეწყვე. ძაგომ რა ვქნა. შემიკლა ხელში ამ ტიხონოვმა (იმას კოლია ტიხონოვი აწამბს). რას გადავეყარეთ მე და შენ ამ ტიხონოვებსო.

ხვალ ჩვენი „სპარტაკი“ ეთამაშება „BBC“-ს. უხდა წავიდე. ვნახე კიკა. ბიკო. რა მოგივიდათ. სულ რომ აკვით მეთქი. აბა. აბა. დარდით ალაპ ვარო და ანდრო ყორდანი პოდპირ თავს იკლავსო. ვნახოთ. ხვალ რას აზამებ. აღბათ. კიდეც წააგებენ.

უშეტესობა ქართველები იყვნენ. აქ ვნახე გურამ ასათიანი. კარგადია. მიიხრა. გამოცდები დამეწყო და ერთი საგანი უკვე ჩავაბარეო. შემპირდა. ვინახულებო. ორივე გუნდი ერთნაირად მოლასლასებულად თამაშობდა. იმათ შემთხვევით გაიტანეს ერთი ბურთი. ამის შემდეგ ჩვენი „სპარტაკი“ კიდეც უფრო წახდა. ეს იყო და ეს.

ხვალ ჩვენი „დინამო“ ეთამაშება მოსკოვის „სპარტაკს“. ისეთი ამბავია, ვერ წარმოიდგენ. ეს გუნდი მოსკოველებს გაგიყვით უყვართ. ამავე დროს იციან, რომ ჩვენს „დინამოსთან“ თამაში სახიფათოა. ასე რომ ეს ავიოტავი გასაგებია. ძლივს ვიშოვე აღმოსავლეთის ტრიბუნაზე ბილეთი. მაგრამ რას დავეძებ. მთავარია სტადიონზე მოვხვდები.

## 22 მაისი, მოსკოვი.

დღეს დილით პაპუნას დაეხედი სა-  
დგურზე. შესანიშნავი კაშკაშა მზიანი  
ამინდი იყო. ვისაუბრეთ და წავედით  
სესენცკაში. პაპუნა ველარ მოვაგლიჯე  
წარწერებს. ესენი ყველა უნდა გადა-  
ვიწერო და აღვუნახოო, როგორი კუ-  
დაჩქაა. ეზოში რომ ორი ძველი საფ-  
ლავის ქვაა. წინად ერთ მათგანზე ვე-  
რაფრით ვერ გავარჩიეთ წარწერა. ახ-  
ლა პაპუნამ კი უცბად ამოიკითხა, რომ  
იქ ვინმე იმერელი აგიაშვილი უნდა  
იყოს დასაფლავებული. ეკლესიის და-

## 23 მაისი, მოსკოვი.

გუშინ, ცხადია, ვიყავი „დნამოს“  
სტადიონზე და ვუცქირე ჩვენების თა-  
მაშს „სპარტაკთან“. სტადიონი გაქე-  
დილი იყო. პირველი ტაიმი უშედეგოდ  
დამთავრდა. უნდა გენახათ მაყურობე-  
ლთა განცდები. მსაჯმა ისე უგვახოდ  
დაიწყო ჩვენების ხან დაჯარიმება. ხან  
თამაშის შეჩერება. რომ მოსკოველებ-  
მაც შეამჩნიეს და სინდისის ქენჯნა

## 26 მაისი, მოსკოვი.

დასაწერი რაც მქონდა, მოვრჩი.  
ოღონდ დასაწყისში მცხეთობის დღე-  
სასწაული დავემატე და იმას დავემ-  
თავრებ ამალამ. ხვალ გადავაბეჭდვი-  
ნებ და ორშაბათს წაველღებ ბოლშევი-

## 28 მაისი, მოსკოვი.

გუშინწინ სალამოს ვასო პატარაიას-  
თან ვიყავი სტუმრად. სასტუმროში  
ცხოვრობს ჩემს სართულზე და იმ ოთა-  
ხში, სადაც ერთხელ მე და გოგლი  
ვცხოვრობდით. იქ იყვნენ ვასოს ნათე-  
სავები (ვასო კალიშვილითაა ჩამოსუ-

რაცს დაუძახა. დაავალა გააუფიქროს  
და გადაეწვიტეთ კიდევ მოქმედებს  
რე შინ წავედით. მე სამუშაოდ ჩვენი  
ქეტი. ხოლო პაპუნა წავიდა ვიზიტების  
გასაკეთებლად.

ამ ერთ კვირაში მოვრჩები რაც ჩასა-  
მატიბელ-ჩასასწორებელია. მერე და-  
მრჩება გასწორებული ტექსტის წაი-  
თხვა და იქნებ დამთავრდეს ეს საქმე.  
ჩემი რედაქტორიც გრძნობს, რომ ჩემ-  
თვის მოსკოვში ყოფნა არც ისე ადვი-  
ლი საქმეა, და თვითონ სულ ბოდი-  
შებს იბნის. მინდა არ დაგაყოვნო და  
საქმეს ადრე მოვრჩეო.

აწუხებდათ მე მოთმობებიდან გამოვე-  
დი. მაგრამ ჩვენი მოთამაშეების სასა-  
ხლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მოთ-  
მობებიდან არ გამოსულან ძალე ისე  
ააწყვეს თამაში, რომ არათუ მოთამა-  
შეებს, მაყურობლებსაც კი მუხლები  
აუკანკალეს. ძალე ჩვენებმა საბასუხო  
ბურთი გაიტანეს. მართალია, მეორე  
ბურთი ველარ გაიტანეს და მატჩი  
ფრედ დამთავრდა. ასე შეწყობილად და  
გულანად დალაგებული თამაში კარგა  
ხანია არ მინახავს.

ში ტიხონოვს. პირდაპირ გული გამო-  
წყალდა.

იქ მოულოდნელად გამოუშვეს ეკა  
რანებზე „ჯურღაის ფარი“. ექვსას ცალს  
ბეჭდავენ. მთელი პრესა ახმაურდა და  
არავინ იცის რაშია საქმე (რაშია საქმე,  
რა ქართულია?!). არავინ იცის, რა მო-  
ხდა.

ლი) და მომდერალი მერი შილდელი,  
რომელსაც მოსკოვში აქვს გასტროლე-  
ბი. ვამდერეთ. ნომერში რიოილი დგას  
და მერის კომპოზიტორი ცაბაძეც ხომ  
აქ იყო, ასე რომ მოვიღობინეთ საკონ-  
ცერტო ნომრების დაყოლებით. ღვინო  
მერის ჩამოეტანა, წარმოუდგენლად მა-  
გარი.

ამას წინათ დათიკო გამრეკელი მოვიდა ვასოსთან პრეფერანსის სათამაშოდ. ერთი წუთით შევედი მათთან. დათიკოს პიჯაკი გაეხადა და ისე შეეპყროდა ქალაქის თამაშს. ამა ლიპი მაგას ჰქონია. აი, ჩემი ლიპი (თქვენ რომ ლიპი გგონიათ). ეს ხომ ხსენებადაც არა ღირს.

დღეს მთელი დღე შინა ვარ. გარეთ ქარია. გლეჯს ყველაფერს. თუმცა არ ცივია...

მოუთმენლად მოველი სამშაბათს „პრავდის“ ნომერს. ლინგვისტთა შეხლა შემოხლას. დიდ ამბავში არიან ეს ჩვენი ენათმეცნიერნი. ვფიქრობ. მა-

#### 4 ივნისი, მოსკოვი.

პირველ რიცხვში იყო ესტონელების დეკადის დასკვნითი საღამო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. დავესწარი. ბილეთი პრეზიდენტში მქონდა და მეც სცენაზე ვიჯექი, მერე შედგა ბანკეტი. რომელიც გამართეს ესტონელებმა სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ დარბაზში. იქაც ვიყავი მიწვეული. ორასამდე კაცი იქნებოდა. ესტონელები და აქაური მწერლები. მე და შალვა დადიანი ვისხედით პირისპირ. ნადიმი დილის ექვს

#### 8 ივნისი, მოსკოვი.

სული კბილით მიჭირავს და მოსვენებას ვერა ვპოულობ. დღეს მთელი დღე მამშვიდებდნენ გამომცემლობაში. ცოტა კიდევ და ბარემ დააბოლოვე ეს საქმეო. ვესაუბრე საშტატო რედაქტორს (გვარადაა გოფენშეფერი), შემპირდა. რაც შეიძლება სწრაფად წავიკითხავო. ხვალ მინდა წავიდე ბოლშევიკში და ვნახო ტიხონოვი რას აკეთებს. თუ მზად ექნება. შაბათს ჩამოვიტანო. გადავცე მემანქანეებს. რომ სამშაბათს-ოთხშაბათს რედაქტორს ეღოს მაგიდაზე.

ასეთი გაწამებული არც წიგნის გა-

რისტების პოზიციები საქმოდ შეირყა. მეზაინოვის უფროსი სექტორის შემდეგ საინტერესო-არაფერი დაწერილა.

სამხატვრო თეატრის ფილოალში ენახე გორკის „მდაბიონი“ და ძლივს გავძელი დამთავრებამდე. ისეთი მოსაწყვენი სპექტაკლია. უნდა ითქვას. აგრეთვე. რომ აქ არ დამაკმაყოფილა ბევრი მსახიობის თამაშმა. სახეები არაა სწორად მოცემული (ჩვენი რეცენზენტების გამოთქმით რომ მოგახსენებო). ერთი სიტყვით. სინანულით გამახსენდა კოტე მარჯანიშვილის ბრწყინვალე სპექტაკლები.

საათამდე გაგრძელდა. ასე რომ. ყარგა გამობრუნებული მივბანცალდით სახლში მე და ეორა გულია.

სურათი „ჭურღლის ფარი“ სასწრაფოდ წაოადგინეს პრემიაზე. გუშინ გასინჯეს. ამ ორ დღეში სხდომა შედგება და რეგარეშე დაჯილდოებულნი იქნება ალბათ პირველი ხარისხის ჯილდოთი. გოგლას უხაროდეს. რაც მე მაგის სცენარის დამტკიცებაზე დავიდარაბა გადამხდა და რეჟისორებთან უსამოვნება. დამიხსოვბდეს მაინც.

მოცემა მინდა. არც წერა. ჯერ მარტო ამდენჯერ ჩემივე წიგნის წაყიბთვა გამაგიყვებს.

დღეს დაეტოვე ჩემი ნომერი და შევეკედლე გულიას მეთერთმეტე სართულზე. მეცხრე ოთახში. აქ ერთ ან ორ დამეს გავათევ და მერე. სიმონი რომ ჩამოვა. ან მასთან დავდგები. ან კიდევ ცალკე ვიშოვი ნომერს. შესასწორებელ-ჩასამატებელი რაც მქონდა. დავწერე და ახლა სადაც წავდებ თავს ვიძინებ. სულერთია. მაინც არა მძინავს და ნახევარ დამეს თეთრად ვათენებ.

გუშინ თეატრში ვიყავი და ვნახე ბალზაის პიესა „დღენიაცვალი“. ასეთი ბრწყინვალე მელოდრამა ჯერ არ მინა-

ხავს. საერთოდ, მელოდრამები ჰირი-  
ვით მეჯავრება, მაგრამ ამან პირდაპირ  
მომხიბლა. მართალია, სიუჟეტური  
სქემა ერთგვარად გვაგონებს შექსპი-  
რის „რომეო და ჯულიეტას“, მაგრამ  
აქ ისე კარგადაა მოცემული საფრან-  
გეთის იმდროინდელი ყოფაცხოვრება,  
ისეთი ცოცხალი, მეტყველი სახეებია,  
ისე მძაფრადაა განვითარებული ინტე-  
რესთა შეხლა-შემოხლა, რომ სპექტა-  
კლიდან პირდაპირ თავბრუსხვეული  
გამოვედი. აი, ვისგან უნდა ისწავლოს  
კაცმა. შესრულების მხრივ ვერ ვიტყ-  
ვი, რომ წარმოდგენა უნაკლო იყო (ეს  
მიდიოდა ერმოლოვას სახელობის თე-  
ატრში), მაგრამ ისეთი კარგი როლებია  
ლაქიადან დაწყებული მთავარ პერსო-

ნაემდე, რომ თვითონ ეს როლები და-  
ლაუნებურად ათამაშებენ მსახიობებს.  
ამ თვალთმაქცმა ჩიტაშვილმა მთელ  
ლი მოსკოვი ააღაპარა. ასეთი ილუ-  
ზიონისტი ქვეყნად არ არისო. მე არ  
მინახავს, თუ დაეძლიე ჩემი სიზანტე,  
იქნებ ვნახო.

ველარ ვისვენებ. საქმე მთავრდება  
და მოთმინება აღარ მყოფნის. ძალზე  
გაქინაურდა ყოველივე. ამ საღამოს  
მინც სულ მარტო ვარ. ვასო პატარაია  
საღდაც წავიდა, დათიკო რონდელს ვუ-  
რეკე, შინ არ არის, თვითონ გულია  
რედაქციაშია. მართლა, აქ ბესოს წე-  
რილი აქვთ და დაბეჭდვაზე რალაცას  
ჯანჯლობენ, აქ უნდა ჩამოვიდეს ბესა-  
რიონი და წერილი გადააეთოსო.

## 1962 წელი

### 26 ივნისი, მოსკოვი.

სადგურზე რომ გავედი, ვნახე საშა  
ქუთათელი. მეგონა, გოგლა ლეონიძის  
გასაცილებლად თუ მოვიდა მეთქი, თუ-  
რმე ისიც მოსკოვში მოდიოდა. ძალიან  
გამეხარდა. სხვა ვაგონში იყო, მაგრამ  
ვინაიდან ჩემს კუპეში ერთი ადგილი  
თავისუფალი იყო, მაშინვე გადმოვასა-  
ხლე ჩვენთან. სასწრაფოდ გადავწყვი-  
ტე მოსკოვს წასვლა. გზაში მომსკდა-  
რი ნიაღვარის გამო ზეავმა დაგვაგვიან-  
და და მოსკოვს საღამოს ექვსი საათის  
ნაცვლად დილის ოთხ საათზე მივედი.  
საშას, საერთოდ, ძალიან ყვარებია  
თევზი. გზაში წამოვლო რამდენიმე კი-  
ლო ზუთხი და როგორც გინახავს ტო-  
რტის ნაჭრები. იმოდენა ლუქმას მარწ-  
ყვივით ულაპავდა და თან ამბობდა,  
მოსდებ ახლა მთელ ქვეყანას ამ ამბავ-  
სო. ხანდახან გოგლა შემოდიოდა ჩვენ-  
თან, გვიკითხავდა „ქართლის ცხოვრე-  
ბას“ ან გურამიშვილის ლექსებს (თან  
მოაქვს ამ წიგნების საცოდავი ნაფლე-  
თები) და შემდეგ მიდიოდა თავის კუ-  
პეში გამოსაძინებლად.

მე და საშამ მოვატანიეთ მეორე  
დღეს ჰადრაკი და ამან, ცოტა არ იყოს,  
გაგვიქარვა მოწყენა, მაგრამ შევაკვ-  
დით ერთმანეთს. მგონი, ასი პარტია  
მინც ვითამაშეთ, თანაც სულ მე ვუ-  
გებდი და ხანდახან თავგაბებრებული  
წაფუგებდი ხოლმე, რომ გუნება მთლად  
არ გაფუჭებოდა. მოსკოვს დილით მი-  
ვედი, უკვე კარგა გათენებული იყო.  
სადგურზე დაგვიხვდნენ ფეფიკო, თი-  
ნა, გურამი და მგონი კიდევ ვიღაც. იმ-  
დენი ტაქსი იღვა სადგურზე, შოფრები  
ხელიდან გვეღვჯდნენ ჩემოდნებს. სას-  
ტუმროში ნომერი დაგვიხვდა. მართლა,  
გზაში მოდიოდა სერგო კობალაძე, გა-  
გვეცნო და მაშინვე მკითხა ფრაუ რო-  
გორ ბრძანდებაო. მოსკოვს მოდიოდა  
დისერტაციის მოსამზადებლად. ნომე-  
რი წინასწარ არ დაუკვეთია და ის  
„ლამე“ ჩვენთან გაათია. მერე, ცხადია,  
მოეწყო, ძალიან სიმპატიური კაცია.

გუშინ ვნახე ჩემი რედაქტორი, გა-  
მოვართვი მოთხრობები და ახლა ვკა-  
თხულობ. ვფიქრობ, რომ ხუთი ივლი-  
სისათვის ყველაფერს მოვათავებ. მით

უმეტეს, რომ ამ რიცხვში ჩემი რედაქტორიკი მიდის აგარაკზე.

მოვიდა ლელიკო.\* აქაა, სცენარზე

27 ივნისი, მოსკოვი.

ეს წუთია დაებრუნდი, ტიხონოვთან ვიყავი. ისე ვარ დაღლილი, სიამოვნებით დავიძინებდი. ნომერში საშა არ დამხვდა. ის და გოგლა მწერალთა კავშირში წასულან.

გუშინ მწერალთა კავშირში ვიყავით. ვისადილეთ იქვე კლუბში, დავპატივეთ გოლცევი. ჩვენთან იყო კიდევ რეზო მარგინი და კარგადაც დავლიეთ.

საშა წამოწოლილია მთელი ღღე და შურით მიცქერის, შენ ამდენს მუშაობ

5 ივლისი, მოსკოვი.

გუშინ ვიყავით სურკოვთან. ველაპარაკეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ დამოკიდებულებაზე ჩვენდამი. საშამ უზარმაზარი არზა გააკრელა და, საერთოდ, სამშაბათს სამდივნოს სხდომაზე იქნება ამის შესახებ ლაპარაკი. გარდა ამისა, 15 ივლისს საგანგებო გარჩევა იქნება „ლიტერატურნაია გაზეტას“ დამოკიდებულებისა ნაციონალურ მწერლობისადმი და ამის გულისათვის დაადგინეს, რომ დავრჩე და სიტყვით გამოვიდე. ვფიქრობ, რომ ამ განხილ-

10 ივლისი, მოსკოვი.

საშამ, როგორც იქნა, მიაღწია იმას, რომ მისი წიგნის ბედის განსახილველად კომისია გამოჰყვეს. მაგრამ როდის შეიკრიბებიან ისინი, ალაპა უწყის. ასე რომ, მათ ვერ დაუტდის და მოსკოვში მეორედ დაქირდება ჩამოსვლა.

\* ლევან ხოტივარი — კონსახიობი და რეჟისორი.

2. „მნათობი“, № 10.

მუშაობს. გვიყვებოდა ფეხბურთის ამბებს.

ნომერში მე და საშა მწერალთა კავშირში.

და მე რა ჩანდაბისთვის წამოველ აქაო. მას უნდოდა სურკოვი ენახა, მაგრამ გოგლამ ჭერ კიდევ ვერ მოუწყო ეს შეხვედრა და გულზეა გახეთქილი.

წუხელ ნასადილევს გოგლასთან მივედი. იქ იყვნენ, ცხადია, ფეფიკო თავისი ქალიშვილებით, თინა ასათიანი და ფატი. ვიმუსაფეთ აქეთური, იქეთური.

ღღეს ისეთი სიცხეა მოსკოვში, სულს ვერ ვითქვამ. თბილისში კი, ამბობენ, ნამდვილი წარღვნა მოსულა.

ბუკინისტების მალაზიები ჭერ ვერ ვინახულე.

ვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და ჩემი გამოსვლა აუცილებლად საჭიროა. თბილისში 16 ან 17-ში გადმოფერინდები.


„დეტგიზში“ გამაშანშალებინა კრავჩენკოს ქალმა განცხადება. მაგრამ რა იქნება, არ ვიცი. „სოვეტსკი პისატელს“ მოთხრობების კრებულს ჩავაბარებ.

წუხელ გვეწვია ეორკიკა მდივანი. ლამის ორ საათამდე ყვებოდა სასაცილო ამბებს. ჩვენი ნომერი გადაიქცა კლუბად. აქ იკრიბებიან მამაკაცი გოგლას მეთაურობით, ხოლო მის ბინაზე — ქალნი.

აქ არის აგრეთვე ილო მოსაშვილი ცოლშვილით, უკვე მესამე თვეა.

კვირა საღამოს გვეწვია თინა ასათიანი. ისე გამოკოპწიყვებულა. თექვსმეტი წლის ქალიშვილი გეგონება. ხვალ თუ ზგ მიდიან დედა-შვილი თბილისში. გურამი ვნახე, კარგადაა. დავაეყაცებულა.

ორშაბათს გოგლამ „არაგვი“ გამართა ოჯახური ქეფი და მოგვიწვია მე და საშა. კარგი მოსაწყენი დრო გავატარეთ. გუშინ კი მე და საშამ მივიწ-



ვით გოგლა იმავე „არაგვში“ და ასეთვე მოსაწყენი ქეიფი გვქონდა. ღვინო თითქმის არ დაგვიღვია, სამაგიეროდ ღორმეუღელობას არ დავერიდეთ.

ჩვენთან ხშირადღა ლელიკო ხოტივარი, ელოდება თავისი სცენარის დამტკიცებას.

ვნახე, აგრეთვე, კოლტუნოვი, მა-

საც სცენარი ჩამოუტანია. ჩამოვიდა ალექსი გომიაშვილი, ინჟინერი, თანხლებით და დაამტკიცებდა მშენებლის პროექტი. ამ წელიწადში ერთი მილიონი მიუტყაით ასათვისებლად, თუ თავი გამოაბეს ამ საქმეს, იქნებ მართლა დაიწყონ მშენებლობა, ნეტარ არიან მოარწმუნენი.

17.430

1955 წელი

15 იანვარი, მოსკოვი.

ჩამოველ, როგორც იქნა, სამი დღის ლაყლაყის შემდეგ, სადგურზე რომ გამოვედი და ტაქს ვეძებ, ვხედავ ოთარ ჩხეიძეს. ვეკითხები, საიდან, როგორ, თურმე ჩემთან ერთად უმგზავრია, რბილ ვაგონში ყოფილა. წავედით ერთად სასტუმროში. ქვემოდან დავეურეკე სიმონს. „აკაკი, ხარ, ოოჰ! როდის ჩამოდი?“ დავტოვე ბარგი მასთან, ვეცი ადმინისტრატორს, თქვენ ხვალისთვის ხართ ჩაწერილიო. მოვუსვით ისევე ლიხტენტულთან და მოვბრუნდით თუ არა, მაშინვე მივიღეთ ნომერი.

გამომცემლობაში ვიყავი, კირიანოვი ჭერ არ მინახავს, ორშაბათს იქნებაო. დავეურეკე ფატიის, მითხრა, ახლა ელისოსთან მივდივარ, შალიკო<sup>1</sup> საავადმყოფოდან სახლში გადმოყავთო, მინდა ვინახულო, მაგრამ სიმონი დამეკარგა სადაც, მასთან ერთად უნდა წავიდე, თორემ მისამართი არ ვიცი.

გუშინ დამირეკეს ანტონოვსკებმა, რომ არ მოხვიდე დღეს საღამოს, ძალიან გვეწყინებაო, ცამეტში ჰქონიათ დიდი წვეულება და თითხმეტში მარტო შინაურები ვიქნებითო. ვილაც ვილაც-

ები მაინც ჰყავდა სტუმრად, ობრაზცოვის თეატრის დირექტორი, ვილაც კინორეჟისორიც იყო და ცხადია, ფატიც, ბორისამ და ფატიმ იჭერეს გული ლაპარაკით, ღამის სამ საათამდე შევრჩით.

ვნახე გრიშა, აქ არის ლამარასთან ერთად და ხვალ მიფრინავენ თბილისში, სიმონი დღეს მოდის მატარებლით, ახალგაზრდებიც ბრუნდებიან, ასე რომ, მე და ოთარ ჩხეიძე ვრჩებით მარტო.

გუშინ ოთარი ყოფილა მხატვის სპექტაკლზე, უნახავს გორკის „ფსიკერზე“. შაბათ საღამოს ამ თეატრში სულ ასი კაციც არ ყოფილა, წარმოვიდგენიათ, თეატრებში, რომლებშიცა გინდა, როცა გინდა, რამდენიც გინდა, ბილეთს იშოვი, აქ არის საგასტროლოდ ჩამოსული ზანგური ოპერა! რომელიც სამშაბათს ამთავრებს გასტროლებს. აი, იქ მოხვედრა კი ძალიან ძნელია, მწერალთა კავშირში დავერეკე, მაგრამ ბილეთები უკვე აღარ ჰქონდათ.

ვნახე კოლია ტიხონოვი, გასუქებულა და ისევე ძველებურად ტახიტურობს, ასეთია მოკლედ მოსკოვეური ამბები, ხვალისდან ჩემს საქმეს შევეუდგები და ყველაფერს დაწვრილებით მოგწერო.

1 ელისო ელიავა — სიმონ ჩიჭოვანის ნათესავი.

2 შ. სირაძე.

3 „მნათობი“, № 10.

1 ნილ-იორკის დასი - ევრიმენ ოპერა, რუსკოეში საგასტროლოდ ჩამოიტანეს კერძოიანი „პორგი და ბესი“.

ქ. შარტაის სახ. საქ. მსო.

1956 წელი



## 17 თებერვალი, მოსკოვი.

წიგნის რედაქცია თითქმის დავამთავრეთ. ორშაბათს მექნება მთლიანად წასაკითხად. მერე, მე რომ გადავიკითხავ, უნდა წაიკითხოს მთავარმა რედაქციამ, საბოლოოდ დაამტკიცოს და გათავდება საქმე.

აქეთ ჩვეულებრივი მაგარი სიცივეებია. კიდეც კარგი, ჩემი სასტუმრო გამომცემლობის პირდაპირაა და დიდხანს არ მიხდება ამ ყინვაში სიარული.

## 23 თებერვალი, მოსკოვი.

გუშინ დღით დამირეკა ფატიმ, მიხრა, — ჩემთან არიან ფეფიკო და ნინო ტაბიძე, მალე მოვა სესილ ჩიმიშვიანი. მერე მივდივართ ვერეისკის გამოფენაზე, და თუ გინდა, წამოდიო. მე დღის ოთხ საათამდე თავისუფალი დრო მქონდა. ამიტომ წავედი. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა სამ ქალს შორის. ფეფიკო იმდენად არა, მაგრამ ფატი და ნინო გაუთავებლად ეკამათებიან ერთმანეთს. მგონი სიმღერაშიც არის ასეთი მომენტი. როდესაც ორი მომღერალი ერთსადამიამვე დროს დუეტს ასრულებს და სიტყვებს კი სხვადასხვას ამბობენ. ასეთ შემთხვევაში კარგია. თუ კაცს შეგიძლია ცალი ყურით ერთს უსმინო, და მეორეთი — შეორეს... შეიძლება კარგი ვარჯიშის შე-

## 26 თებერვალი, მოსკოვი.

დღეს მაქვს შეხვედრა ჩემს რედაქტორთან და კიდეც არ ვიცი, რამდენი დღე დამჭირდება დარჩენა. გუშინწინ კირიანოვმა, მართალია, ბოდიში იხადა, ამდენხანს გაგაჩერეო. მაგრამ მინც არა მაქვს იმედი, რომ დღეისათვის წაიკითხული ექნება წიგნი.

შალვასთან ვიყავი კვირას, თითქმის მთელი დღე დავრჩი. კარგად არის. უკვე ქუჩაშიც გამოდის სასეირნოდ ხანდახან.

ირაკლი დილიდან საღამომდე ყრილობაზეა და ამ ბოლო დროს იშვიათად ვნახულობ. ამას წინად ერთად წავედით ლიტფონდში და იქ დავსვით საკითხი მეორე სახლის მშენებლობაზე. გამოირეკა, რომ შესაძლებელია, თუ დროზე წარედგენთ დასახულებულ განცხადებას. ამას ყველაფერს გავაკეთებთ.

მდეგ აღამიანმა ამასაც მიაღწიო. ერთი სიტყვით, მთელი საათი ველოდით ჩიმიშვიანის ქალს. მოვიდა ისიც, და უნდა გითხრა, ლაპარაკი იმასაც ყვარებია. როგორც იყო, წავედით გამოფენაზე. იგი არქიტექტორის სახლშია. პატარა დაბაზში. იქ დაგვიხვდნენ ორესტ ვერეისკი თავისი ცოლით, ხოლო ჩვენ ვიყავით პირველი მნახველები. თვითონ ვერეისკი ძალიან ლამაზი რუსი მამაკაცია, არაჩვეულებრივად სიმპატიური, ცოლი — ზომიერად მეტიჩარა.

გამოუფენია ეგვიპტეში. ინდოეთში და სირია-ლიბანში მოგზაურობის დროს ნახატი გრაფიკული ნამუშევრები და აკვარელები. კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა არც ისეთი, როგორსაც მოველოდი. საერთოდ, კარგი ოსტატია ხატვისა. მაგრამ პოეტური აღმადგენა აკლია.

სასტუმრო „ცენტრალურში“ რომ ვიყავი, იქ ვნახე მოკიდავე ვახტანგ ბალავაძე. ჩამოსულა რამდენიმე ქართველ მოკიდავესთან ერთად ირანელებთან შესახვედრად. წუხელ იყო შეხვედრა ცირკში და, რასაკვირველია, მეც იქ ვიყავი. ძალზე საინტერესო საყურებელი იყო. ჩვენებმა ფრედ და-

ამთავრეს შეხვედრა 4:4-ზე, ისიც პირობითად, რადგან ერთი ჩვენი მოკიდავის წინააღმდეგ მათ ვერ გამოიყვანეს მოკიდავე და ერთი ქულა წაგებად ჩაეთვალათ. სამმა ჩვენმა მოკიდავემ გაიმარჯვა: ცალქალამანიძემ, ბალავაძემ და ვალდეკ ტრისბერგმა. ოთხი კი დაამარცხეს, მათ შორის მაისურაძე. მან პირველი ექვსი წუთის განმავლობაში ისე ათამაშა ხელში ირანელი, როგორც კატამ თავვი. მაგრამ ამას მთელი ღონე შეალოა და კიდაობის მეორე ნახევარში იძულებული იყო თავდაცვაზე გადასულიყო. მსახთა კოლეგიამ პირველად გამარჯვება მაისურაძეს მიანიჭა. მაგრამ აღდი-

### შპის წიგნაკიდან.

ერთხელ, მგონი 1948 წელი იყო, მოსკოვში ვესწრებოდი კინემატოგრაფისტთა საკავშირო თათბირს, შესვენების დროს, ხალხი რომ წამოიშალა. რამდენიმე კაცი მივუახლოვდით კინორეჟისორ დოვენკოს.

— თქვენ არ გამოხვალთ კამათში? — ჰკითხა ერთმა.

დოვენკოს საშინელი შეწუხებული სახე ჰქონდა. მან სივრცეში გაიხედა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არა მგონია... არ გამოვალ! ხელოვნება უნდა იქმნებოდეს დიდი სიყვარულის ნიადაგზე. აქ კი ყველაფერი გაყენებულია ერთმანეთისადმი უდიდესი მძულვარებით.

დილაქტიკური პროცესის დაჩქარება ეკონომიკაში არ ნიშნავს იმას, რომ ასევე დაჩქარდება ადამიანის თვისებათა გარდაქმნა.

ბავშვური გულბრყვილობაა ვიფიქროთ, თითქოს უარყოფითი მოვლენები მოისპობა იმით, რომ აღმოფხვრათ ხელოვნებიდან (ლიტერატურიდან, მხატვრობიდან, — სკენიდან) უარყოფითი მოვლენების ასახვა, ან მაქსიმალურად

ტორია ისე აღრიხლდა, რომ მსაჯებმა თავიანთი გადაწყვეტილებები ~~წინააღმდეგ~~ და გამარჯვება ირანელს ~~შეიძლება~~ შეეძლოს

ხვალ მეორე ნაკრები გამოდის ირანელების წინააღმდეგ. იმ გუნდში ერთი ქართველია — კანდელაკი. მინდა წავიდე და ვნახო.

ბაშუნა გუშინ საეკომისიოში უაფილო და იქ აღმოუჩენია რეპონის მიერ ფანქრით დახატული ლევ ტოლსტოის პორტრეტი. მეცა, არიქა, იყიდეთ. მე გული კინჯზე მაქვს, მაგრამ დღეს შინდა ვნახო, თუ მომეწონა. შეიძლება ვინა ხო ფული და ვიყიდო. საშხატვრო მაღაზიაში ვიყავი და ვერაფერი ვერ ვნახე ყურადღების ღირსი.

შევამცირათ იგი. ბოროტმოქმედმა ყოველთვის ბუღობდა ყოველ სოციალურ ფენაში.

ჩვენში დღეს, სამწუხაროდ, ასე ხდება: ჩვენი კრიტიკა ბრმად ებრძვის ყოველგვარი ბოროტების ასახვას ლიტერატურაში, სინამდვილეში კი ეს ბოროტება წარმოუდგენლად ყვავის.

ჩვენს სქოლასტიკოს თეორეტიკოსებს სურთ ათასნაირი თეორიული შელოცვებით ჩაუსახონ და დააბადებინონ მწერლობას უადებითი გმირი.

დნემროპეტროვსკის ტარას შევჩენკოს სახელობის თეატრს უნდა საგასტროლოდ ჩამოსვლა თბილისში. ჰქონიათ ქართული სპექტაკლი. მიუხართავთ სამინისტროსათვის. მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

ქართველი ფეხბურთელები მუდამ გამოირჩეოდნენ თავიანთი შეუდარებელი ლამაზი თამაშით. მაგრამ ფეხბურთის მოედანზე თამაში ლამაზი და მომხიბლავია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავაზიანი და კორექტულია. მახსოვს, როდესაც მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე წინა რიგებში ერთმა ხანში შესულმა მაყურებელმა წამოიძი-

ხა. „ო.ო. ეს შგონი, პაიჭაძე დააქარი-მესო“. ფეხზე წამოიჭრა ერთი ქერა-თმიანი ქოჩორა მოსკოველი ახალგაზ-რდა რუსი და ხანშიშესულ ძიას გულ-მოსულმა მიამბა: „ჯერ ისტორიას არ ახსოვს, რომ პაიჭაძე დაეჭარიმებიო-თო“.

რომ იცოდეთ, როგორი სიამაყის გრძობით აღმავსო ამ ახალგაზრდის სიტყვებმა.

მე მახსოვს კიდევ ერთი შემთხვევა, მოსკოვში ვესწრებოდი საფინანსო შე-ხვედრას საკავშირო თასზე. ჩვენი „დი-ნამო“ ეთამაშებოდა მოსკოვის „სპარ-ტაკს“. თოვდა, მოედანზეც თოვლი იდო. თამაშის ერთ-ერთ მომენტში პაიჭაძემ შუა მოედნიდან მოტულოდნელად გაი-ტაცა ბურთი მოწინააღმდეგის ცარი-ელ ნახევარზე. მთელ სტადიონს გმინვა აღმოხდა. ყველანი ფეხზე წამოიჭრენ და სპარტაკელებს გამწარებით გასძა-

ხოდნენ, დაეწიეთ, თორემ დავიღუპე-თო.

მართლაც რომ ამადღებულმა სანა-ხაობა იყო.

დაე, 1958 წლის საფეხბურთო სე-ზონში ისევ აღორძინდეს პაიჭაძის დროინდელი სახელოვანი ტრადიციები.

ქართველ კაცს ჰამაც კი ესტეტურ-კატეგორიაში ჰყავს აყვანილი და ამი-ტომ ზოგიერთს ჰგონია, ქართველი მა-რტო ჰამაზე ფიქრობსო.

არავითარ შემთხვევაში არ შეეჩვიო საქმის გადადებას. ესა ყველაზე საში-ნელი თვისება — შეიძლება საბედის-წერო თვისება აღამიანისა.

აგის მთქმელსაც კი კარგი გამგონე უნდა.

## 1959 წელი

### 1 ნოემბერი.

მივიღივართ დიდი თავგადასაყლებით, ვითარცა ოსტაპ ბენდერი ლიტერულ-მატარებელში. ვასალებთ სხვის ქათმე-ბსა და გოკებს. რადგან ჩვენ ვართ ერთადერთნი, საგზალი რომ არ წამოგ-

ვილია. დანარჩენები ყელთამდე სავსე-ნი წამოსულან და აღარ იციან რა უყონ დამკავება-აფუფუნებისაკენ წასულ რი-გვზიან ბადრიჩებს. შემწეარ გოკებს და ქათამ-ინდაურებს. ხვალ, ორ ნოემ-ბერს უკვე მოსკოვში ვიქნებით.

### 13 ნოემბერი, კარლოვი ვარი.

დავდივართ ევროპიასა შიგან და არა ვსმევთ კარლსბადის ანუ კარლოვი ვა-რის წყალსა. განვისვენებთ გრანდ-ოტე-ლის ფრიადას დიდებულსა ნომერში, სულ ბუნებულებსა და ყუესა ბალიშებ-ში. დღეს ვნახეთ იმპერატორ ფრანც-იოსების აბანო, რაიცა არს ფრიად გრა-ნდიოზული შენობა, საკმაოდ ძველი, მაგრამ მტკიცე. მთაზე დაგვანახვეს თი-თივით აღმართულ კვარცხლბეკზე ასე-ვე თითივით ზედ დადგმული ძველი კა-

რლოს შეოთხისა, რომელიც ამ ასი წლის წინათ კარლსბადის ბურჟუაზიას დაუდგამს ამ აგარაკის ზუთასი წლის-თავზე. ამ ძეგლის პირდაპირ დგას სა-სახლე ერთი გერმანელი გრაფისა, გვა-რად ლიცივისა. ეს გრაფი დიდი ორი-გინალი ვინმე ყოფილა. მთელი ეზო სა-ცხე ქონია ცხოველების ქანდაკებებით. პოდა. ამ გრაფს კარლსბადელი ბურ-ჟუაზიის დასაყინად. ჰაი, თქვე ძუნწე-ბო, თქვენაო. კარლოსის ძეგლის პირ-დაპირ აღუშართავს თავის ეზოში იმავე სიდიდის ძველი კატისათვის. საგანგე-

ბოდ ზურგშეკცევით მაშინდელი ქალაქის საბჭოს მიმართ. და აი, მოგზაურები დღესაც უცქერიან ამ ორ ბეგლს. აქ არის პავლიონი, სადაც ჩქეფს

ცხელი წყლის და ორბიტის გეოგრაფიკული შესანიშნავი საკურორტო ქალაქი შერბრფის შენობებით. გარშემო სულ ჩამყარო და არყნარია.

შპის წიგნაკიდას.

ფურნალ „В защиту мира“-ში ამოვიკითხე, რომ ამერიკელი ბომბდამშენი ჯდება თავისი წონა ოქროს ფასად ოცდა ცხრა მილიონი დოლარი. ამ თანხის ღირებულების ოქრო ზუსტად აწიხის თუმცე იმდენს, რამდენსაც ეს პულიტეჩიხავი.

აქედან ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რაც მსოფლიოში სამხედრო შეიარაღებისათვის თახხა იხარჯება, ის რომ ადამიანის კეთილდღეობას მოხმადუნს. მგონია ამ ქვეყნად ადამიანი ვი არა, დამუხიცი ვი აღარ დარჩებოდა რომ საერთო ფუფუნებაში არ ეცხოვრა, იუდასაც ამ საკითხს დაუფიქრდები, გულისწყრომას განიცდი იმ ადამიანთა მიმართ, ვის ზელშიცაა სახელმწიფოთა ბედ-იღბალი, და რომელთაც არ შეუძლიათ თავიანთი გონებრივი აპარატი აიყვანონ იმ სიმაღლემდე, რომ ჰუმანურად და კაცობრიობისათვის სასარგებლოდ გადაჭრან ყველა სადაო საკითხი.

თხი, იხელმძღვანელონ სალი გონების კარნახით, მოსაპონ ანტაგონიზმი სახელმწიფოთა შორის, ახგაოიში გაუწიონ როგოც საკეთარი თავის, ისე ბუნობლის ინტერესებს. მისცენ ყოველ ერს თავისუფალ განვითარების საშუალება, და გონივრულად გამოიყენონ პუნების ყველა რესურსები ბაუზთა საკეთილდღეოდ.

წელს ზევს ღვიხის ბრწყინლობაში დიდ მიღწევას ქოხდა ადგილი. პარიზის საერთაშორისო გამოდვენახე უმაღლესი ხარისხის კონიაები გავგზავნე „სალიუზი“ და „ყაზბეგი“, ერთი დიდ მუხის კასო გვქონდა, შავ გვესხა ოთასი ლიტრი ზეთწლიანი კონიატი. ასი ლიტრი ჩამოვასხით და დავარქვი „იილბუზი“. მეორე ასი ლიტრი „ყაზბეგად“ მოვხათლეთ. პარიზელი დეგუსტატორების მიერ „იილბუზი“ დაჯილდოებული იქნა უმაღლესი ხარისხის დიპლომით და დიდი ოქროს მედლით. „ყაზბეგი“ — შესამე ხარისხის დიპლომით და ბრინჯაოს მედლით.

1960 წელი

პარიზი, 24 ივნისი.

ღამის პირველი საათი, თბილისის დროით დილის ოთხი საათი.

მთელი დღე ვაფეალიერებდით პარიზს. ზვალ დილათ ვეწვევით ლუვრს და ოთხ საათზე უკვე აეროდრომზე უნდა ვიყოთ. ვნახეთ ვერსალი, ნოტრ-დამი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. საერთოდ, ნანახმა ყოველგვარ ბოლო ღიხს გადააჭარბა. ვერ წარმოძედგახა, თუ პარიზი ასეთი ფანტასტური

ქალაქი იყო. უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ დაქეტილია. მუჩებრი კუქუიხია. მაგამ წარმოუდგენლად მიძინდქელია და ახლა ჩემთვის ვასაგებია შაიკოვიკის სიტყვები. — მე ვინატრებდი მეცოცხლა და მოვმკვდარიყავი პარიზში.

ღამო\* გუშინ ჩამოსვლისთანავე ვინახულე, საკმაოდ დაბერებული... ვერც მე ვიცანი და ვერც თვითონ მიცხი...

\* ღამო ბელიხვილი — მისი ასევე ზელო ამვილთა.

იგი ცხოვრობს ალ. დიუშას ყოფილ სახლში, სადაც მჩვენა მეცბრამეტე საუკუნის უნიკალური ბიბლიოთეკა. მერე მთელი საღამო ერთად ვიყავით. დღეს მთელი დღე ქალაქში დაგჭროდი და ვერ ვნახე, ალბათ ხვალ დილით ვნახავ.

წუხელ თეატრ „ფოლი ბერეკრაში“ ვიყავით. როდესაც ამ სანახაობას ვუცქერდი. ვფიქრობდი რომ მომავალში ფრანგებმა რაღა უნდა მოუწახონ ქალს და თუ გნებავთ კაცს ისეთი დაფარული ადგილი სხეულზე, რომლის გამიშვლე-

ბასაც შესძლებენ.

ყველაზე სასაცილოა, რომ მწიგნობარ-დამის ტაძართან უსბრძენს მსხვერპლ-ვაზობენ პორნოგრაფიულ სურათებს. იყიდეთო. პირდაპირ გულს გვერეოდა. ეს ტაძარი კი მართლა რომ შედევერია, თუმცა არც ისე დიდია, როგორც წარმომედგინა.

ვერსალში ბაღები უფრო მშობამტკდავია. ვიდრე თვით სასახლე. დაძველებული და დაქუქილი. გიდას ეშინოდა. ქერი არ ჩამონგრეულიყო. თავებები დამბალიაო.

## 1961 წელი

### 30 სექტემბერი.

დღეს, როგორც იქნა. მოვითავე ყოველივე საქმეები და მივფრინავთ პარიზს საღამოს შვიდის ნახევარზე მოსკოვის დროით.

აქ შესანიშნავი ამინდებია. მაგრამ

### პარიზი. 1 ოქტომბერი.

წუხელ ღამით დავეფრინდით ორლის აეროდრომზე. ვიფრინეთ „კარაველათი“. ვარშავაში ნახევარი საათით შევჩერდით. აეროდრომზე დაგვიბედნენ ქართველები. სასტუმროში თავიანთი მანქანით მიგვიყვანეს. ჩვენი სასტუმრო ქალაქის განაბირასაა. ნიქვე ახლოა საბჭოთა გამოფენის პავილიონი.

დილით ადრე წავედით მანქანით იმ

### 4 ოქტომბერი. პარიზი.

გუშინ ვნახეთ ფილმი ბრიჯიტ ბარდოს მოხაწილებით. ჯერ მისი მიშველი უკაბალი დაგვანახეს ეკრანზე. მერე წინა ჩაწილი და შემდეგ ვაყთან კონტრალოც. ეს ითვლება ჩვეულებრივ

მოთხოვს. რომ კიდევ უკეთესი ამბები ბია პარიზში. 30 გრადუსი სითბო და ნამდვილი ზაფხულიაო.

ვიყავით სტუმრად ნიკოლოზ ტიხონოვთან. სუამდა კონიაცს. იმართდა ო.ო. ჰოო, ო.პო ჰოო. და გვიკითხავდა სიტყვებს. საკმაოდ კარგს.

სოფელში. სადაც არის ქართველების სასაფლაო და სადაც მარხია ჩემი უბედური მშა...

...შემდეგ დავერთინდით პარიზში. და ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ ტაქსის მოფერობა მთელი პარიზი დაგვატარა მანქანით. ეს ყველაფერი მე წინადაც მქონდა ნახაბი. საოცარია. რომ ხეები ისეთი მწვანეა. გეგონება ადრინაი გაზაფხულიაო. ჯერ ფოთლების სიყვითლეზეა ადრე ლაპარაკი.

ფილმად და არა პორნოგრაფიად. კინოთეატრში სულ ათიოდე ვაკო ოუ იქდა. ამავ დროს. ელისეს მიხედვებზე პარიზის ყველაზე დიდ კინოთეატრში მიმდინარეობს საბჭოთა ფილმების ფესტივალი. რომელზედაც კილომეტრიანი რიგი ედგა საღაროსთან.

ენახე საბჭოთა გამოყენა. საგამოფენო დარბაზი სულ ორი ნაბიჯითაა დაშორებული ჩვენს სასტუმროს. იმოდენაა, რომ მისი დავლით მუხლები დაგვაწყდა. სხვათაშორის, აქ გამოფენილი იყო ქართული ფულის იშვიათი ნიმუშმატიკური კოლექცია და მათ შორის იდგა თრიალეთის ცნობილი ვერცხლის თასი.

მუზეუმებში ჭერ არ ვყოფილვართ. ჭერ საქმეებს მოვითავებ და მერე ვნახავ ლევრსაც და ვერსალსაც. მინდა დავათვალიერო როდენის მუზეუმი და იმპრესიონისტების გამოფენა.

აქაური მოძრაობა ავტომანქანებისა ქუჩებში პირდაპირ ფანტასტიურია, როგორ არ ეხეთქებიან ერთმანეთს ყოველ წუთში, გაოცებული ვარ. დღეს მე და თინა ვიყავით ჩვენს საკონსულოში და ჩვენს ტაქსს ავეყვიათ ერთი პატარა მანქანა, რომელსაც მართავდა ვიღაც დედაბერი. ისე გამჭვრებოდა ხოლმე მა-

ნქანებში და წინ გაგვისწრებდა, გავრნებოდა ხელიკია და არა მანქანა. მოკლედ, აქ მოძრაობის წესს ვერ ვხვდებით. ლიად თავისებურად იცავენ და მანქანები ისე დაძვრებიან ერთმანეთს შორის, როგორც მოფუსფუსე კიანჭველები.

ჩვენი საკონსულო იქვეა; სადაც ცხოვრობდა ლადო...

გუშინ ფრანგულ გაზეთში ეწერა ცნობა, რომ თბილისში სტადიონზე ჩხუბი მოხდა და მსაჯმა ოცდამეორე წუთზე თამაში შეაჩერა, როდესაც შედეგი იყო სამით ერთი ერევენის „სპარტაკის“ სასარგებლოდ. საშინლად შევწუხდი. რა ღმერთი უწყრებათ, ხან წაევაგებთ ხან მოვიგებთ, ასეთ სისულელეზე რატომ ჩხუბობენ. თანაც ხომ ხედავენ, როგორი სისწრაფით გადის ამბავი უცხოეთში. ეჰ, როდის ვისწავლით ქუთას.

## 9 ოქტომბერი, პარიზი.

გუშინწინ დავათვალიერეთ ნოტრ-დამი, ვერსალის სასახლე და ბულონის ტყე, როგორც იქნა. მოვიცალე და სენის სანაპიროს ბუკინისტებს ჩავუარე. პირდაპირ ფეხზე ჩამოვწყდი. მაგრამ არ მომეწყინება აქ რომ მთელი თვე ყოველდღე ვიარო. აქ ბევრს ნახავ რუკებს, ძველებურ გრაფიურებს და პარიზის ხედებს აკვარელით ნახატს. უცხოურ ენაზე წიგნი სულ არ შემხვედრია, არც რუსული და, ცხადია, არც ქართული. თუმცა მითხრეს, რომ ასეთებს შეიძლება წააწყდე. მაგალითად, აქ შემთხვევით უყვიდათ ჩუბინაშვილის გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, ხახანაშვილისა და სხვა ავტორების ძველი წიგნები. აქა-იქ წააწყდები ინგლისურ წიგნებს. რუსი ავტორებიდან ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება დოსტოევსკი. არა მარტო აქ, არამედ წიგნის ყოველ მაღაზიაში. სხვა რუსი ავტორი სულაც არ მინახავს. მინდა ვიყიდო, თუ წაგაწ-

უდი, გამსახურდიას და ლორთქიფანიძის წიგნები.<sup>1</sup>

ფრანგი პოეტებიდან ყველგან იყიდება ბოდლერი, აქა-იქ მომხვდა ხელში ფრანსუა ვიორნი და ლეკონტ დე ლილი. დანარჩენები არც ბუკინისტებშია, არც სხვა მაღაზიებში.

პროზაული ნაწარმოებები კი მრავლადაა, განსაკუთრებით იაფფასიანი გამოცემები. ბევრ ნაცნობ სახელებს ვხვდები, როგორც ფრანგი, ასევე ინგლისელი და ამერიკელი პროზაიკოსებისას. თვალში არ მომხვედრია ჭერ არც ლუი სელინის დეპარტე მან პოლ-სარტრის წიგნები. რაც შეეხება კაფუას და კამიუს წიგნებს, აგრეთვე ფან კოკტოსას, აქ ხშირად ნახავ.

წუხელ კინოში ვნახეთ საოცრად მოსაწყენი ფრანგული ფილმი, რომელშიაც წამდაუწყებ ილოშნებიან და ასე-

1 კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და კ. ლორთქიფანიძის „კობლეთის ცისკარი“ საფრანგეთში გამოიცა.

ვე ილოშნებიან პარტერში მჭდარი წყვილები. გული აგერევა ამ ცხოველური ეროტომანიით. ეს ფილმი ნორმალურ სურათთა კატეგორიას ეკუთვნის. მაგრამ აქ ყოფილა ფილმები, რომელზედაც ახალგაზრდები თვრამეტ წლამდე (არ დაგავიწყდეთ, თვრამეტ წლამდე) არ დაიშვებიან. წარმომიდგე-

### პარიზი, 11 ოქტომბერი.

წუხელ ვნახეთ ფილმი აფრიკის ომის პერიოდთან, როდესაც ფრანგები უკვე ამარცხებდნენ რომმელის ჯარებს. ფილმში არ მონაწილეობს არც ერთი ქალი და მთელი მოქმედება უდაბნოში მიმდინარეობს. ამ ფილმის იდეაა ომის სრული უაზრობა, და, უნდა ითქვას, ამ ფრანგული ვულგარული სურათების შემდეგ მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ხვალ ვაპირებთ ფონტენბლოში წასვლას. მინდა ვნახო ნაპოლეონის ეს სა-

### 13 ოქტომბერი, პარიზი.

გუშინ ვიყავით ფონტენბლოში. დათვალიერეთ ფრანგი მეფეების დიდიბული სასახლე, ასეთივე შესანიშნავი ბაღით და წარმტაცი აუზებით, ზედ ჰოკურავე გედებით. აუზი საგნა თევზებით. მოსულები უყრიან პურს და გამგელებული თევზები ომს მართავენ ყოველი ნატეხისათვის. წყალი პირდაპირ დღის მათი ორმოტრილით, ერთმანეთზე მიხეტებოდა. თევზები საკმაოდ დიდები არიან. უმეტესად ჭანარი და მურწა, არის მგონი, კობრიც, თუმცა შეიძლება ვცდებოდე, რადგან იხთიოლოგიაში დიდად განათლებული არა ვარ. ამდენი თევზი ხელოვნურ აუზში მე ჯერ არ მინახავს. იქვე დაცურავენ იხვები, რომლებიც თევზებს პირდაპირ პირიდან ართმევენ პურის

ნია, იქ რა ამბავი ტრიალებს. ვიჯობებ მუნჯი პერიოდის დიდი ხელშეწყობით დადგმულ სურათებს და შექცენილობების ბრწყინვალე თამაშს. ვადარებ თანამედროვე აქაური კინემატოგრაფის ნიმუშებს და ვხედავ სრულ დაქვეითებას და გათახსირებას. ვიტყვოდი, სრულ უნიკობასაც.


ყვარელი ადგილი, სადაც მას აპყარეს იარაღთან ერთად ყველა უფლებები.

თინა უჩემოდ იყო იმპრესიონისტული მხატვრობის გალერეაში და შთაბეჭდილებებისაგან გაბრუნებული დაბრუნდა. ალბათ, მეც ვნახავ მას. მინდა აგრეთვე დავათვალიერო როდენის მუზეუმი.

გუშინ მე და თინა წაგვიყვანეს „ფოლი ბერეჟში“. დადგმა ფეერიული იყო. ნამდვილი შადრევნებითა და საცურაო აუზებით, ყოველ წუთში დეკორაციების ცვლით, მგონი ასჯერ მაინც შეცვალეს ურთულესი კონსტრუქციის დეკორაცია.

ნაჭრებს, გადასანსლავენ და ახლა მეორე ნატეხისაგან მოუსვამენ. გედებიც დასდევენ პურს, მაგრამ უფრო დიხად.

დავიარეთ სასახლე, ვნახეთ ნაპოლეონის საწოლი, სამუშაო პატარა ოთახი და ის მაგიდა, რომელზედაც ნაპოლეონმა ხელი მოაწერა თავის გადადგომას. ვნახეთ სატახტო დარბაზი, შემდეგ დედოფალ მარია-ანტუანეტას და მერე ნაპოლეონის მეუღლის საწოლი ოთახები. საცეკვაო დარბაზები, მოახლეების სადგომები. ზოგი ამპირის, ზოგი რენესანსის სტილისა, ოქროს კახდღეები, დიდი გობელენები. ძველებური ავეჯი, ყველაფერი ცხადია, მდიდრული, მაგრამ მოძველებული. სასახლე კაპიტალურ შეკეთებასა და რესტავირებას საჭიროებს.



შემდეგ ვისადილეთ პატარა რესტორანში, სადაც ვჭამეთ ფრანგული სალათი და ბიფშტეკი (დიდი ვერაფერი შეილო), სამაგიეროდ მომსახურება მართლა კარგია.

თვითონ ქალაქი ძალიან პატარა და მყუდროა, სავსეა უცხოელი ტურისტებით. მალაზიებიც ბევრია, მყიდველები, ცხადია, ცოტა.

მაოცებს აქაური ჰავა, მანქანის ფანჯარა სულ ღია მქონდა, ქარი უბერავდა, ვიყავი უქუდოთ, მარტო კოსტიუმით და სიცხევეს სულაც არ ვგრძნობ-

დი. ტყე ისევ მწვანეა, თითქოს აგვისტო იყოს, მარტო ჰადრებს მწვერვალზე ოდნავი სიყვითლე. საერთოდ მშენებლობაში საუცხოო ამინდებია, მოწმენდილია, თბილა. პარიზში ყველა უპალტოდ და უქუდოდ დადის.

წუხელ მანქანით დავიარეთ ლამის პარიზი, მართლაც რომ მომზიბლავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მოუთმენლად მოველი ბესოს და იოსების ჩამოსვლას. გუშინ ჩვენს საკონსულოში ვიკითხე, ჭერ არსად ჩანან.

### 19 ოქტომბერი, პარიზი.

აქაური ქართველებიდან, ზოგს არაუშავს რა, შედარებით კარგად ცხოვრობს, უმეტესობა კი გაქირავებით მიათრევს თავის წუთისოფელს.

წუხელ მიგვიწვია ვინმე ბარკალიამ, ინჟინერია, ფრანგი ქალი ჰყავს ცოლად და სამი შვილის მამაა. თვითონ ქართულად ლაპარაკობს ისე, როგორც მე ინგლისურად — ჩემს მასწავლებელთან. მას გადაუღია ვიწრო ფირზე ჩემი ძმის დასაფლავება და თავისი საპროექტო აპარატით მაჩვენა. მერე ეს ფირი მომიძღვნა, რაზედაც დიდი მადლობა ვუთხარი.

### უბის წიგნაკიდან.

უზარმაზარი რიგი საბჭოთა ფილმების ფესტივალზე ელისეს მინდვრებზე. ცარიელი კინოთეატრი, სადაც მიდიოდა ფართოკრანინი ფილმი ბრიჯტ ბარდოს მონაწილეობით (ტორტის დახეთქება სახეში და სხვა ასეთები).

სარეკლამო ფილმები. ქრონიკა. დეგოლის მოგზაურობა საფრანგეთში. უღარიბესი დეპარტამენტი სამხრეთ საფრანგეთში. გადარუჯული მინდვრები

და მიტოვებული სოფლები. ჩანგრეული სახურავები, დაქცეული კედლები.

ლეველის სასაფლაო. აქ დასაფლავებულია ას ოცდაათზე მეტი ემიგრანტი ქართველი. შეგიძლია იყილო საფლავის ხელშეუხებლობა ორმოცდაათი ან ასი წლით.

1 ბ. ელნტი და ი. ნონეშვილი, საბჭოთა მწერლების დელეგაციის შემადგენლობაში რამდენიმე მოგვიანებით ჩავიდნენ პარიზს.

საბჭოთა გამოფენა დიდ საექსპოზიციო დარბაზში. მთავარ დარბაზში თანამგზავრების მოდელები. დაზგები. ავტომანქანები (მათ შორის ზილ ას თერთმეტი). ქართული ნუმიზმატიკის ძვირფასი კოლექცია თრიალეთის ვერცხლის თასი. სასოფლო სამეურნეო იარაღები, მსუბუქი და მძიმე მრეწველობა, წიგნები. საინჟინერო ბინა მოდერნისტული სტილისა, ტელევიზორები, მათ შორის ფერადი. ტელევიზორებში მოჩანდნენ მნახველები.

ყოველი ექსპონატი ჩვეულებრივია და არა საგანგებოდ დამზადებული.

— სასტუმროში ჩემოდნები ღია დატოვეთ, — გვითხრა მიშამ, — თო-

## 7 მატომბარი.

დღეს დავათვალიერეთ ნოტრ დამის ტაძარი. აქ მეორედ ვარ. მერე წავედით ვერსალში და იქედან კი დავიარეთ ბულონის ტყე.

ვერსალში გერმანელი ტურისტების ჭგუფს მივეკედლეთ. როდესაც შევედით იმ დარბაზში, სადაც ხელმოწერილი იქნა ვერსალის ხელშეკრულება. ფრანგმა გიღმა ერთი სიტყვაც კი არ თქვა იმაზე, თუ რა მოხდა ამ დარბაზში. მხოლოდ აღნიშნა, თუ ვის მიერ იყო ჰერი გაკეთებული და მაშინვე გაიყვანა ისინი მეორე დარბაზში.

— რა საჭიროა თბილისში მეტრო? რატომ არ გაკაყავთ საქართველოში ორმაგი ლიანდაგი? რატომ აწინაურებენ კარგად მომუშავე მუშებს? რათ გვიღდა ამდენი უმალღესი სასწავლებელი? — ამგვარ კითხვებს მამლევდნენ პარიზელი ქართველები.

რემ ფრანგი ქალის თვისებაა, თუ დაკეტილი დახვდა რამე, მჩქვდვმა: სანამ არ გახსნის და არ ნახავს, ღის თუ დატოვებთ, არც კი ახდის თავს.

თავის მონოზნურ ტანსაცმელში კობტად გამოწყობილი ლოყებლავლავა მონაზონი გოგონები მათხოვრობენ.

ბუქუტა აბაშიძე ვერდენტან დაილუბა და პერ-ლაშეზე დაასაფლავეს. როგორც საფრანგეთისათვის თავდადებული გმირი. ახლა, როგორც მითხრეს, მისი საფლავი უკვე დაკარგულა.

შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ რა ფასი აქვს სხვა ქვეყნისათვის თავგანწირვას.

— ლიფტები თუ არის საქართველოში?

— როგორ ნაწილდება სახელმწიფო შემოსავალი?

— რას მეუბნები, მალაზიები არის ჩვენში? — გულწრფელი გაკვირვებით მკითხა ერთ-ერთმა.


ეიფელის კოშკი.

ფანგით შექმული ხარხები. დიდი ლიფტები. ყველაფერს მოძველები ელფერი ადევს. სულ ზემოთ ასვლა 3,5 ახალი ფრანკი. სუვენირები.

ზემოდან მოჩანს თითქმის მთელი პარიზი. გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. წყნარი ამინდი იყო. ქარში, ამბობენ, იგრძნობა ვიბრაცია.

ამ კოშკის კენწეროზე უმუშავნია ჩემს ძმას, როგორც მალამპოკავ მუშას.

მარიამ ლოლობერიძესთან სტუმრობის დროს ვნახე მერი შარვაშიძე. 72 წლის ქალი. ახლაც გასაოცარი სილამაზის მქონე.



ერთი ქართველი ახალგაზრდა, ტყვეობიდან დარჩენილი, გაჯიბვირებული და როდესაც დაიკვირნენ ხოლმე, თავს ხან თურქად ასალებს, ხან ალჟირელად.

პარიზელი მდიდარი კაცისათვის დიდ „მიკად“ ითვლება ძველი და ოდნავ ქუქუიანი ტანსაცმლით სიარული.

ასეთი იყო მოსიე გესტრეჟანი (მდიდარი დრეიფუსების ოჯახში ჩასიძებული. — პატრონი იმ სახლისა, სადაც ცხოვრობდა ჩემი ძმა), როდესაც იგი მოვიდა ჩემთან სასტუმროში და სამძიმარი გამომიხადა. იგი დანიელი თუ ნორვეგიელი ებრაელია.

— პლას დე მალზერბ, ლე ნუმერო კატორზ. — ვუთხარი დახეპირებული მისამართი ტაქსის მძღოლს.

როდესაც კარი მოვიჭახუნე, მძღოლმა მშვიდად გადმომხედა და მკითხა:

— Это где советское консульство? — და ძრავა ჩართო.

— Вы русский? — ვკითხე გახარებულმა

— Нет, я грузин.

— ქართველი ხარ, კაცო? — შევხტი გაოცებული.

— ქართველი ვარ, მაგრამ ცოტა მიკირს ქართული. — მითხრა მან უსუფთავესი ზუგდიდური აქცენტით. — მე რუსულ სკოლაში ვსწავლობდი. განჯაში ვარ დაბადებული. მერე სენაჯში ვცხოვრობდი.

— მარგალური ვა იჩქინო?

— ქომიჩქე, როგორ არა... ისიც დაძაიწყდა.

ვუცქერი ამ წარმოსადეგ ხანშიშესულ მამაყაცს. იგი დაახლოებით სამოცი წლისა იქნება. ევროპულად წვერ-ულვამ გაპარსული. თბა ოდნავ შევერცხლია. ვუცქერი და ვფიქრობ. საიდან და სად გადმოისვრის ბედი აღამიანს. მართლაც რომ, ვაჰ, სოფელი. რაშიგან ხარ. რას გვაბრუნებ, რა ზნე გქირსა...

— პატარა ვიყავი, აქ რომ მამამ წამომიყვანა. ათას ცხრაას თვრამეტში,

მას აქეთ აქ ვცხოვრობ. ფრანგული ვარაგად ვიცი, ინგლისურიც. აქ რჩები ვეღარ ვი გუდ...

— განჯის შემდეგ სენაჯში ვცხოვრობდით. — განაგრძობს ჩემი ასალი ნაცნობი. — მერე ფოთში. მამაჩემი რკინიგზელი იყო... მე აქ დიდხანია ვცხოვრობ. უფრო მეტად რუსობამ ვტრიალებ და... ქართულს კარგად ვერ ვლაპარაკობ...

მეუბნება ასე. მაგრამ ცდილობს სულ ქართულად მელაპარაკოს და სანამ პორ დე ვერსალის მოედნიდან საბუკოთა საკონსულომდე მივალწევდით, მხოლოდ ერთი ორჯერ თუ შორიშველია რუსული ან ფრანგული სიტყვა. თითქოს აქამდე მასში მიძინებული ქართული მეტყველება ილვიძებს. თანდათანობით ერევა თავს. მეტყველება უსწორდება და სიტყვებსაც ადვილად პოულობს.

— ჩემი სოფელია ხორგა. იცი შენ ხორგა?

— ვიცი, როგორ არ ვიცი.

— სენაჯში ყოფილხარ?

— ყველგან ვყოფილვარ.

— ერთი ეს მითხარი, თუ შეიძლება საქართველოში წამოვიდე?

— რად არ შეიძლება. ცოლ-შვილი გყავს?

— არავინ არ მყავს. მარტო ვარ.

— საქართველოში?

— მყვანან ნათესავეები, დები. დისწულები... მინდა ვნახო საქართველო. მომენატრა. კაცო, ჩემი ქვეყანა შენ არ შეგიძლია მასწავლო. ვის უნდა მთხოვრება გავუგზავნო. ვინ არის საქართველოში მთავრობის თავმჯდომარე?... მომცეს ნება ჩავიდე საქართველოში... მინდა განჯაშიაც ჩავიდე...

— მერე და ვინ დაგიშალა. რად არ მიხვედი საკონსულოში?

— ინტურისტში მივედი. ფასები რომ ვიკითხე... აუუ... ძალიან ძვირია... მე სად შემიძლია... ვუთხარი, არ მინდა ინტურისტი. ისედაც ღარიბი ვარ, ჩემი ჯიბით წავალ. ნათესავებთან ვიქნება...

იუ შეიძლება. შენ გამიგე, ხომ მომცემენ ხეხას?

რად არ მოგცემენ. მოგცემენ. ვანუგეშებ ამ სამშობლოდაყარგულ ადამიანს.

შენ რა ხელობის კაცი ხარ? — მკითხა მან.

მე ვუთხარი ვინცა ვარ. მერე მან მიამბო, რომ სულ დაეძებს თურმე ქართულ წიგნებს, რათა ამით მოიკლას სამშობლოს ნახვის წყურვილი.

მე ფრახველი კარგად ვიცი, ინგლისურისაც ვლაპარაკობ, გერმანულიც მესმის, რუსული ხომ სულ კარგად ვიცი. — მითხრა მან. — ეგ არის, რომ... ქართული მავიწყდება... ხანდახან ვრეკვები ქართველებს. მაგრამ ოჩენ რეცო...

როდესაც მალხაზობის მოედანზე მივედი. მან მთხოვა ჰატივი მეცა მისთვის და ქოა არ აიღო.

ძალიან გთხოვ მე ჩამდინი რუს შემხვედრია და ქარა არ აძლია. ის გამბაოტია ჩვენი მხრიდან მოსულ ადამიანს და ქართველ კაცს ქოა მოგორ გამოვართვა...

მე კი გთხოვ, ჩემო ალექსანდრე, აიღო. რადგან ჩემთვის ისიც დიდი ღირსებაა. რომ ასე გულთ ვინდა პატივი მცე.

აჰა, ძალიან გთხოვთ.

მეც ძალიან გთხოვ. აიღო. ეს უფრო გამეხალდება და გულშევიდად ვიქნები. აი, როცა საქართველოში ჩამოხვალ. მაშინ გაეასწოროთ ანგარიშები ისიც კარგი ყაჩაღებით.

— შენი მისამართი მომცე, წერილს მოგწერ. შეიძლება? *ეროვნული*  
— რატომაც არა. *გინგულიძე*

და აი, ჩემს წინ დევს ბარათი სამშობლოდან გადახვეწილი და თავისი ქვეყნის ნახვის წყურვილით დატანჯული ადამიანისა...

Vinsennes, lund; 6 novembre, 1961.

სალამი შენ, ბატონო ბელიაშვილი. მე ვარ პარიზის ტაქსის ВОДИТЕЛЬ წიგნის გამყიდველთან ვიყავი. შენი КАРТОЧКА აქვს. მაგრამ არა შენა წიგნები, რომელნიც გაყიდებული უკვე იყვი.

ერთი ეს მომწერე: რა ქვია იმ კაცს რომელიც არის საქართველოში მთავრობის თავმჯდომარე, იმას მთხოვობა დავუწერავ.

ეგება მომცეს სამშობლოში ჩასვლის უფლება.

მათალი დაუწერია ჩვენი შოთას: *Неизменно, чтоб ни было, любим мы родимый край.*

შენატრება. გესმის, სამშობლოს ნახვა!

იცნოვ შენ შენი კოლეგას ბათი მხეილის ძე ალექსიშვილი? ნაძეტანი მომწონს მისი *Из глубины веков*.

ქართულთ მისი წიგნსა ქვია „საუკუნეთა სიღრმიდან“ (მონათმფლობელური წყობილება და მისი დაცემა).

აბა შენ იცი აკაცი იონის ძე, რა ძალიან პასუხს (რუსულათ) დამწერებ და გამომიგზავნი.



ნიკოლოზ ტიხონოვი

...  
 ციკაბო ბილიკს — ნუ დაიხარებ —  
 აყუევ, შიადეკ ლატფარის კარებს.  
 გახედუ თვალწინ გადაშლილ არეს. —  
 და ცხადში ნახავ უცხოს და უჩვევს.  
 სვანეთის ზეცის ზღაპრულ სილურჯეს.

რაკი ლავეარდი ნაპირს გადასცდა  
 ჩემი გვემული გულიც განაზდა.  
 ამ სილავეარდის ანაბანასთან  
 თავქუდმოხდილი დადეკ ანაზდად!

...  
 მე საქართველო ვიცი ამგვარი  
 და გულში ვმაღავ, როგორც  
 თეალისჩინს:  
 ზვაეი ხარხარებს ყალუზე ამღვარი,  
 ჭიხენი ტორავენ მინდვრის ხალიჩებს.  
 აღმასწყარონი ჰქრიან ნებივრად.  
 და ამ განცხრომის მეთვალყურენი —

შემცბარ პოემის სტრიქონებივით  
 გაქვავდნენ ყინვის საფეხურები.  
 კოშკები!... მცირე ვანშამიც აქვე —  
 ჟურთხელ მიწის კაცური ვალი...  
 სალამოხანს კი მივწევი თალქვეშ  
 უნეტარესი სიზმრებით მავრალი

1948

ნიკოლოზ ზაბოლოვი

### ღამე ფსანაურისა

ბრწყინავდა ღამე, აელერებდა თავისთვის ფანდურს.  
 მთვარე შეუქს ჰფენდა არეშარეს, ვნებით აღსაევს.  
 ფსანაურის ბაღებში კი ტკბილად და სათნოდ  
 კვლავ მიმღეროდნენ ბულბულები ორთავ არავგზე.

ჯვრის უღელტეხილს, სადაც სუსხი სჩვევია მისს.  
 გამოვალწიე გადალილიმა ზვიად ბუნებით



და ჭანცგაწვეტილს აღი: მგვრიდა უკვე სიამეს  
არც ეს ზღაპრული სილამაზე, არც ბუღბუღები.

არაგვის პირას წამოვწევი და ვავინახე,  
მერე გავშიშვლდი. წყალმაც ტალღა არ დამიშურა  
და შმაგი ზვირთი, ვით ავბორცი ვინმე დიაცი.  
შემომეტმასნა და ჩამიკრა მკერდში გიეთრად.

ასე ვიწევი... რიყის ქვებში ჩაბლატკებულს  
ენებააშლილი ნაალვარი ნახლიდა ტალღებს.  
ბორგავდნენ ქვები. ცას აწვდიდნენ ღალადს და ჩურჩულს  
და ისეე ნაპირს ასკდებოდნენ ჩემს ფერხთით თავკვე.

ვხედავდი გაღმა მბეუტავ სანთელს და შაინც აქაც  
ეფინებოდა მისი ჩრდილი ნაპირს განბანილს.  
ნაპირიდან კი მდინარისკენ ვეება ნაგაზს  
მიპქონდა ტანი ზვიადი და ამპარტავანი.

და ამოვედი მეც ნაპირზე, როგორც მებრძოლი —  
მიწიერი და ღონიერი, ცივი და მკაცრი.  
ნაგაზმა მიცნო, მოკალათდა იქვე მუზობლად  
და გაინაბა უდრტვინველად, როგორც ღმერთაკი.

ფსანაურის წალკოტებში იმ გრძნულ ღამით  
პირველყოფილი ჩანჩქერების გავხდი მხილველი  
და შევაგებე გულს ფანდურის პირველი პანვი.  
ვითარცა სიყრმის გარიფრაფზე — კოცნა პირველი.

## პავლე ანტოქოლსკი

### ოთხმარ აბაკელი

გავესალბრე ქართველ მხატვარ ელს,  
მოკრძალებით და რიღით ვიკითხე:  
— რა ძალამ ზარდა შენი ბაოაქა?

ან ეს ხელები ვინ წრთვნა დღითიდღე?

რომელ ჯადოსნურ წილში იშვა  
პისისფერი შენი ყანგმიწა?

ეს განთიადი რამ გაგიშიშვლა?

ეს ვეფხის თვალი რამ გააღვიძა?

ეს თიხა მკვდრეთით რამ აღადგინა —

ხან ყამთა ფერი და ხან ზღვისფერი?

რომელი კოლხის ანდა იბერის  
სისხლი შეაშრა ამ შენს სანგიანს?

ვით ამოხსენი დედა-ბუნება?

ვით წაიკითხე იღბალთა წიგნი?

ვით დააოკე სრბოლა ჰუნეთა?

ვით მოუტყიე ამ ქაჩებს დინგი? —

მან ჩაიციხა და თვალწინ ხარბად  
გადამიშალა ასი მუყაო.

მერე მასტუმრა თეატრის დარბაზს —

სიბრძნე-სიცრუის საბერიკაოს.

მოუხმო ქაჯებს, წამოხალისდა,  
 მაინც უბრძანა თავშეკავებით —  
 მიწა გახეთქონ და სახვლიოდა,  
 მიართვან ქვეყნის საღებავები!

გამომეთხოვა, მომცა მზღებელი,  
 რომ სამშვიდობოს გადავეყვარე  
 და ჩამომართვა ორივე ხელს  
 თიხით ნათითხნი იდაყუებამდე.

## მიხილ ლუკონინი

### ქართულ მგონებას

...ძმებო, ქართული ლექსის მორევი  
 ჩემთვის ზღვასავით არის ულევი.  
 მის უკვდავებას ვეამბორები  
 და ვსუნთქავ მისი ასულდგმულებით.

დიდებულია, რომ საუყუნის  
 ქართველებს და ქარიშხალს უჩვევს  
 არ წაუღეკავს ლექსის გუგუნი,  
 სიტყვის მაღლი და ენის საუნჯე.

ბევრის აღმოფხვრას იქნებ ვნატრობდეთ,  
 იქნებ უკვალოდ ბევრი რამ გაქრეს,  
 მაგრამ უბადრუც ესპერანტოზე  
 ჩვენი მემკვიდრე ლექსს არ დაამტრევს!

ხალხის გულისთქმას ვერ მოსპობს კვერთხი,  
 ვერც კალმის მოსმა, ვერც ფიჭვი მტყნარი,  
 ენა მარადის აღსდგება მკვდრეთით,  
 როგორც ვოლგა და ვითარცა მტკვარი.

...დიდებულია, რომ საუყუნის  
 ქართველებს და ქარიშხალს უჩვევს  
 ჩვენ შევეუთანხმეთ ლექსის გუგუნი,  
 სიტყვის მაღლი და ენის საუნჯე,  
 რომ დედა ენა არ დავამუნჯეთ!

თხანის გოგოლაძე

## მასწავლებელი

დოკუმენტური მოთხრობა

ახალი მასწავლებლის მოლოდინში გასულსულიყო მთელი კლასი.

გიმნაზიის მეორე სართულის ფართოდერეფანში, სადაც ორიოდე წუთის წინ მიწყდა მოწაფეთა ხმაური, მალაღლი, გამხდარი კაცი, რომელსაც ფრაკის მაგვარი შავი, გაცრეცილი პიჯაკი ეცვა და მეორე სართულის ზედამხედველობა ევალდებოდა, ახლაც, ისევე, როგორც შესვენებისას, მოზომილი, ზანტი ნაბიჯებით განაგრძობდა სიარულს. ეს გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე სამასწავლებლოდან არ ამოვიდა რაღაც საქმის გამო ორიოდე წუთით შეყოვნებული მასწავლებელი, რომელსაც მეოთხეკლასელები ელოდნენ.

კლასში მასწავლებელი იყო თუ არ იყო, ყველა თავის ადგილზე უნდა მჯდარიყო გაყუჩებული — ზედამხედველი ამიტომაც დააბიჯებდა დერეფანში.

მასწავლებლის გამოჩენამდე ზოგიერთები ჩუმად მაინც ახერხებდნენ ოინბაზობას, თავშეკავებული სიცილი წამით ჩაურბენდა მერხებს. და მერე კვლავ დუმილი ჩამოვარდებოდა.

დერეფანში გამოჩნდა შავ კოსტუმში გამოწყობილი, საშუალოზე ოდნავ მაღალი, შავგვრემანი კაცი. იგი ენერგიული, სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა

მეოთხე კლასის ოდნავ ღიად დარჩენილ კარს.

ამ კლასში იგი პირველად შევიდა. კარი სწრაფად მიხურა, წამით იქვე შეჩერდა, ფეხზე წამომდგარ გიმნაზიელებს შეხედა და მიესალმა.

— გამარჯობათ!

პასუხიც ასეთივე მოკლე, მაგრამ მოკრძალებული იყო.

— დასხედით! — მიმართა მასწავლებელმა ყმაწვილებს და კარადისაკენ გაემართა, შავყდიანი ეურნალი დასდო, კათედრას რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა და ისევ შეხედა გიმნაზიელებს.

ყმაწვილები მორჩილად მისჩერებოდნენ ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის კაცს, მის ყოველ მოძრაობას ინტერესით ადევნებდნენ თვალს.

კოხტა კაცი იყო, ლამაზად შესწორებული შავი თმა ჰქონდა, კუთხოვანი, ძლიერი სახე, სიციცხლით სავსე გამომეტყველება — მხერით დამპყრობი თვალები. წარბთა შორის მრისხანე ნაოჭი აჩნდა.

სია არ ამოუკითხავს, იგი მოწაფეებს ათვალისებრებდა და ხმას არ იღებდა.

„ციცხალი „სფინქსი“, — რატომღაც ასე გაიფიქრა მასწავლებელზე წიგნების კარადის მახლობლად მალაღმერხზე მჯდარმა კაცო ნემსაძემ. ის

თვალს ერთი წუთითაც არ აშორებდა კაცს, რომლის სახელიც უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, თუმცა იგი სულ რაღაც ორი-ოდე წლის წინ გადმოვიდა ბაქოს სასწავლებლიდან თავის მშობლიურ ქალაქში.

— ბატონ დავით უზნაძის ნაცვლად ამიერიდან ზოგად ისტორიას მე გასწავლით, — მიმართა მასწავლებელმა გიმნაზიელებს, — ჩემი გვარია ნუცუბიძე, სახელი ნიკო... თქვენ კი თანდათან გამიცნობთ და იმედია ერთ მთავარ რამეს გაითვალისწინებთ: სიზარმაცე არის სათავე ყოველგვარი მანკიერებისა, ამიტომ ყველაზე დიდი სარდალი ის არის, ვინც საკუთარ თავს დაიპყრობს, დაიმორჩილებს და თავის საქმიანობას ხალხის საკეთილდღეო შრომას მოახმარს. მხოლოდ ფიზიკურად და გონებრივად ძლიერებს ძალუძთ ადამიანთა ყოფის შემსუბუქება.

გაჩუმიდა, დაფის წინ, სადაც ისტორიის რუკა ეკიდა, რამდენჯერმე გაიგამოიარა, ბოლოს შეჩერდა, და მომწუსხველი თვალები ყმაწვილებს მიაბყრო.

— ახლა კი შევეხოთ უშუალოდ საგანს.

მეტყველებდა ლალად, თამამად. გაბედულად. ხმის მომხიბლავე ელერადობით ამთავრებდა ყოველ წინადადებას. ზედმეტს არაფერს ამბობდა და იმით, რასაც იგი გამოხატავდა, ყოველ მოწაფეს ავალებდა — მისი თითოეული სიტყვის დამახსოვრება სავალდებულო, აუცილებელი იყო.

ნიკო ნუცუბიძე არ იყო ორატორი. და არც ცდილობდა ყოფილიყო. მაგრამ მოწაფეები პირველსავე გაკვეთილზე მოიხიბლნენ ამ კაცის რაინდული, უფაქიზესი არისტოკრატიული დახვეწილობით... იგრძნობოდა, რომ ეს კაცი არც ახლო მივიშვებდა თავისთან, არც გაგწირავდა. მომთხოვნელობის დიდი გავლენით გავალბებდა იმას, რასაც ამბობდა და გამოხატავდა.

იმ დღეს საუბარი ჰქონდა ძველი

რომის იმპერიის აღმოცენების საფუძვლებზე, აღწერა აპენინის ნახევარკუნძულის გეოფიზიკური ვითარება: 111010133

კლასი სულგანაბული უსმენდა.

დრო ისე სწრაფად გავიდა, ისე ერთბაშად გაისმა ზარის ხმა, ბიჭებს წამოდგომა არ უნდოდათ. მაგრამ მასწავლებელმა, რომელსაც ზარმა კი არ შეაწყვეტინა თხრობა, არამედ ზუსტად განსაზღვრულ ბოლო სიტყვაზე მოუსწრო გაკვეთილის დამთავრების ნიშანმა, კათედრას მიაშურა, ყურნალი აიღო და როგორც შემოსვლისას, ახლაც მღუმარედ შეხედა ბიჭებს და გულში კმაყოფილება იგრძნო, რომ ისინი ასეთი მორჩილნი და ყურადღებიანები იყვნენ.

ზარის ხმა მიწყდა, მაგრამ ისინი მაინც არ განძრეულან, ნიკომ მათ თვალებში მადლიერების გრძნობა ამოიკითხა და ასე არასოდეს მოსდომნია კლასში ერთხანს კიდევ დარჩენილიყო.

დერეფანში სხვა კლასებიდან უკვე ხმაურით გამოცვივდნენ ბავშვები. ნიკოს ყმაწვილები შეეცოდა, რომელთაც ბავშვური განავარდების მცირე ეამი წაართვა, სწრაფად შეტრიალდა და კარს მიაშურა.

კაკო ნემსაძე უკვე მღელვარებით ელოდა ისტორიის მომდევნო გაკვეთილს და ამ დღისათვის განსაკუთრებით ეშაადებოდა.

თავისთავად საგანი აინტერესებდა კაკოს, რომის ისტორია, მაგრამ მთავარი მაინც მასწავლებელი იყო. რომლის საპატივცემულოდაც საგანგებოდ ჩაუჯდა საგანს.

სამი დღე აშორებდა გაკვეთილიდან გაკვეთილს. მაგრამ ამ შუალედში, ყოველ საღამოს ისეთი მღელვარებითა და განცდებით იმეორებდა რომის იმპერიის ჩასახვისა და განვითარების ამბავს, როგორც სადებიუტო სპექტაკლზე გამომსვლელი ახალბედა მსახიობი თავის როლს. მსახიობს მაყურებელი უდგას თვალწინ, კაკოს კი თვალწინ ნიკო ნუცუბიძე ედგა, ეს ერთად-

ერთი კაცი, რომლის წინაშეც ყმაწვილი გიმნაზიელი თავის გამოჩენას ლამობდა, ეს იყო ბავშვური მღელვარება, თავისებური ანარეკლი იმ ქცევისა, რითაც მასწავლებლისაგან მოიხიბლა.

ქართულ გიმნაზიაში იმ დროს ბევრი კარგი მასწავლებელი იყო. კაკო ნემსაძე მოხიბლული იყო თავისი აღმზრდელების დიდბუნებოვნებით, მათი კაცური კაცობით, განათლების სიღრმით, სითბოთი და გულისხმიერებით.

გიმნაზიის ყმაწვილებს თითქმის ყველას ჰქონდა ეს შესისხლბორცებული. გიმნაზიის დირექტორის იოსებ ოცხელის მეცადინეობითა და მონდომების წყალობით წლობით ყალიბდებოდა აღმზრდელთა მართლაც სამაგალითო კოლექტივი.

ქართული გიმნაზიისთვის იოსებ ოცხელი და ამავე გიმნაზიის ინსპექტორი, ახლა რომ სასწავლო ნაწილის გამგეს ვეძახით, სილოვან ხუნდაძე, დიდი გულმოდგინებით არჩევდნენ ჰედაგოგებს. გიმნაზიაში იწვევდნენ ისეთ პირებს, რომელთაც საზოგადო მოღვაწის მაღლი ეცხოთ. მასწავლებლისათვის მართოდენ კარგი ნიშნებით ჩაწიკწიკებული დიპლომი არ ემაროდა. თუნდაც კარგი ჰედაგოგიური მომზადებაც ჰქონოდა... ის უნდა ყოფილიყო უფრო ფართო გაქანების ადამიანი...

ეს ის პერიოდი იყო. როცა ქუთაისს, — ძველთაძველ, მაგრამ პატარა, კოხტა ქალაქს, გარეგნულად უღარდებლობისა და პროვინციულობის დაღი რომ ესვა, სკოლებისა და მოწაფეების ქალაქს ეძახდნენ.

საქართველოში ძნელად მოიძებნებოდა სასწავლებელი, სადაც ერთად ამდენი ნიჭიერი ადამიანი შეკრებილიყო, როგორც იმჟამად ქუთაისის ქართული გიმნაზიის ჰედაგოგიურ კოლექტივში.

გიმნაზიას საკუთარი გამომცემლობა ჰქონდა სახელმძღვანელოების დასასტამბად. ჰყავდა საკუთარი მწერლები და პოეტები მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის, რომელთაგან ბევრმა დი-

დი ქართული ლიტერატურა დაამშვენა თავისი ქმნილებებითა და დაესახელოთ.

გიმნაზიას შეეძლო საკუთარმა ძალეობით ნებისმიერ თეატრალურ კოლექტივს გასციბრებოდა. თავისი რევოლუციური ტრადიციებიც ჰქონდა, მომავალს საღი თვალით უყურებდა, სწორ გზას ადგა და თავგამოდებით იღწოდა საქართველოს ბედ-იბდლისათვის — რაც შეიძლება მეტი განათლებული, კულტურული და თავისი ქვეყნის მოყვარული შვილი აღეზარდა.

ქართული გიმნაზია ქუთაისის მფეთქავი გული იყო.

ამ ტაძარში მოხვედრილი მოწაფე უთუოდ განიცდიდა, გრძობდა თავისი ერის იმ მაცოცხლებელ ძალას, დღითიდღე მეტ ენერჯისა და ცხოველყოფილობას რომ იძენდა და იკრებდა.

კაკოსთვის, ისევე, როგორც მისი თანაკლასელებისათვის, ნიკო ნუცუბიძე სხვა ჰედაგოგებისაგან მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ამ კაცის განსაკუთრებული, სხვათაგან მაინც გამოსარჩევი ბუნება, თავისი მტკიცე ნებისყოფითა და თუნდაც განათლებითა და მეტყველებით.

იმ დღეს ნიკო ნუცუბიძე ზარის დარეკვისთანავე გამოჩნდა კარებში. წამით შეყოვნდა, ასე იქცევა ადამიანი, რომელსაც ოთახში შესვლა ვერ გადაუწყვეტია, ან რაღაც დაავიწყდა და გაბრუნებას აპირებს.

ბიჭები კი მოუთმენლად ელოდნენ, ისევე, როგორც კაკო ელოდა ამ წუთებს. შეიძლება გიმნაზიელთა შორის იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ახალი მასწავლებელი ერთი გაკვეთილით ვერ შეიქნეს, ვერ გაუგეს, გულგრილად განეწყვენენ კიდევ მისდამი, მაგრამ ისინიც კი გარეგნულად არ იმჩნევდნენ ყოველივე ამას და გარეშე თვალი იფიქრებდა თითქოს სხვებთან ერთად გულისფანცქალით ელოდებიანო ნიკო ნუცუბიძის გამოჩენას.

ნიკომ კარი დახურა და ფეხზე წა-

მომდგარ გიმნაზიელებს მიესალმა. პასუხი რომ მიიღო, კათედრას მიაშურა, ჟურნალი დადო და დაფას შეხედა, სადაც კლასის მორიგეს რუკა ჩამოეკიდა. კლასი გასუსულიყო.

ნიკო კათედრასთან დაჯდა და ჟურნალი გადაშალა. წინა გაკვეთილზე თუ არც ჩაუხედავს, ახლა სიის ამოკითხვა დაიწყო, გვარებს ჩამარცვლით, გამოკვეთილად კითხულობდა. წაიკითხავდა, ჟურნალს მაშინვე მოაცილებდა თვალს, თავს წამოსწევდა და ფეხზე წამომდგარ ყმაწვილს შეხედავდა.

„ახლა იწყება გაცნობა“, — გაიფიქრა კაკომ.

მასწავლებლის თვალი მართლაც გამომცდელი მზერით აცქერდებოდა ყმაწვილს, რომლის გვარსაც თავისებური სიმახვილით, ლამაზად კითხულობდა.

ზოგი გაბედული ყმაწვილი წამოდგებოდა, ზოგი ზედმეტად გაბედულიც, თავბედური იერი რომ დაქკრავთ ხოლმე. ზოგი თბილ, მორჩილ თვალებს მიპყრობდა მასწავლებელს, ზოგი კი, ოღნავ თავდახრილი, ვერ ბედავდა კაცისთვის თვალეში შეეხედა.

— ნემსაძე კაპიტონ.

სანამ მასწავლებელი თავს აიღებდა ჟურნალიდან და გადმოჰხედავდა, კაკო ჩუმად, უხმაუროდ წამოდგა. გული გამალებით უტყვდა. თვითონაც ვერ მიმხვდარაიყო, ასე რატომ ემართებოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ღელავდა. თითქოს დღევანდელი გაკვეთილის მთელი სიმძიმე მასზე იყო დანდობილი, ის უნდა ყოფილიყო ყურადღების საგანი. გაკვეთილი კარგად იცის. აი, სწორედ ამისი განცდა აღელვებს. ფილტვები დაბერილი აქვს, თავისუფლად ვერ ამოუსუნთქავს, გული კი გამალებით უხეტყება ფილტვების დაჭიმულ კედლებს.

მასწავლებელმა შეხედა და უთხრა, დაბრძანდითო. სულ ეს იყო, მათი პირველი და წამიერი შეხვედრა და გაცნობა.

მასწავლებელმა სიის ამოკითხვა დაამთავრა. ჟურნალი არ დაუხურავს.

უთუოდ ვინმეს გამოჰკითხავს. ეს ჩვეულებრივ ასე ხდებოდა, ასე იქცეოდნენ სხვა მასწავლებლები.

ნიკო კათედრას მოშორდა, მერხების შუა მწკრივის თავში გაჩერდა და გიმნაზიელებს თვალი გადაავლო.

— აბა, ვინ მიპასუხებს გაკვეთილს? დადგა ის წუთი, რომელსაც კაკო ასე მოუთმენლად ელოდა.

როცა სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან, იქ ძალთა გამოცდაა და არა რაიმე შური, გრძნობა დაჯანბნისა და დამცირებისა...

სწორედ ასეთი „სპორტსმენი“ იყო ახლა კაკო ნემსაძე, რომელსაც სურდა ფინიშზე პირველი მისულიყო.

სწრაფად ასწია ხელი, თითქოს ეშურებოდა სხვამ არ დამასწროსო. არც არავის დაუსწრია, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, სანამ მასწავლებელი ელოდა, რამდენიმე მოწაფემ გაბედა ხელის აწევა. „გულადებს“ „მხდალნიც“ აპყვნენ და მალე ყველას ჰქონდა ხელი აწეული... მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი ერთსულოვნება. შეიძლება ყველას ჰქონდა ნასწავლი გაკვეთილი. მაგრამ ხომ არიან გულადნი, გაბედულნი, მამაცნი და თავხედნი... არიან მორჩილნი, თავიანთ თავში ნაკლებად დაჯერებულნი, მხდალნი და უკან მდგომნი...

მასწავლებელი თავს უცხოდა გრძნობს ამ კლასში, მეორე გაკვეთილს ატარებს, ბიჭებს არ იცნობს, ვინ რისი გამოკეთებელია, ვის რა უნარი გააჩნია... თუ იმისდა მიხედვით გამოჰყოფს წარჩინებულებს, ვინ ვის მერე წამოსწია ხელი, ესეც ხომ არ იქნება სწორი, ზოგჯერ წყნარი, მორიდებული ყმაწვილი სწავლით ბეჯითად სწავლობს, მაგრამ თავის გამოჩენა კი არა, ხელის აწევისაც ერიდება... არიან ასეთნი.

კაკოს გაბედულებას და დაუოკებელ სურვილს სწორედ ის შთაბეჭდილება ამბაფრებდა, რაც მან პირველ გაკვეთილზე მიიღო, მასწავლებლის თხრობის მომხიბვლელობამ, გამოკვეთილმა, ლაკონიურმა ფრაზებმა, საგნის ღრმა ცოდნამ, სადღაც ჯერ კიდევ გამოუც-

ნობმა, შინაგანი ცეცხლით გაღვივებულმა არტისტებმა.

აი, სწორედ ეს ცეცხლი გადავიდა ყმაწვილის გულში უნებლიედ. ახლანამდელიად დიდი ცოდვა იქნებოდა არ გამოეძახა იგი მასწავლებელს და არ გათავისუფლებულიყო ყმაწვილი განცდათა მოძალეებისაგან.

ბედი არ გინდა! როგორც კი მასწავლებელმა კლასში პირველად იგი ამოარჩია და ხელით ანიშნა დაფასთან გამოდო, კაკომ უმალვე იგრძნო შვება. მაგრამ სილამე დაფამდელა მიჰყვა. როგორც კი მასწავლებლისა და ამხანაგების ყურადღების ცენტრში მოექცა, წამით დაიბნა, თავი ისე იგრძნო, თითქოს არაფერი იყო. ყველაფერი დაიწყდა. გონება ჭურღმულად ექცა, ყველაფერი ამ ჭურღმულის ბნელ კუნკულეებში მიიკარგა.

ყმაწვილის გონებას ისევ მალე მოეფინა ნათელი, ჭერ მკრთალად, მერე თანდათან იმატა. გული გამალებით უცემდა. აშკარად ღელავდა. უცებ მხარზე მასწავლებლის ხელის შეხება იგრძნო და მისი დინჯი, ძალზე დინჯი და ჩუმი ხმაყ გაიგონა:

— დამშვიდდი... ჩვენ არსად გვეჩქარება...

მერე გაშორდა. კარისკენ გასწია, თითქოს დერეფანში უნდა გავიდესო. კაკომ თვალი მიადევნა. ეგონა მართლა გავიდოდა იგი, რომ მოწაფე დაფასთან ცოტა ხნით მარტო დაეტოვებინა დასამშვიდებლად. მაგრამ ნიკოს სწორედ ამიტომაც დასჭირდა იმ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა. ეს დრო საკმარისი იყო ნემსაძეს მოეთოკა გრძობა, გული დაუმშვიდდა. და როცა კართან მასწავლებელი შემობრუნდა და შემოხედა, მან უკვე სრულიად მშვიდად დაიწყო თხრობა. ხან დაფაზე დაკიდებულ რუკას დახედავდა, ხან მასწავლებლისკენ გააპარებდა მზერას. მასწავლებელმა კი კარიდან რამდენიმე ნაბიჯი ისე ჩუმად, ისე ფრთხილად გადმოდგა, თითქოს მძინარე ბავშვს უახლოვდებო, მერე შეჩერდა და აღარც განძრეულა.

კლასში მხოლოდ კაკოს ხმა ისმოდა, ოდნე მღელვარე, მაგრამ კლდევითი.

როცა მოსწავლეს საფუძვლიანი აქვს მომზადებული საგანი და თხრობისას ისე ტორტმანებს, როგორც აჭაფებულ ტალღებზე დასაღუბად განწირული ნავი, მაშინ მღელვარება ყველას ედება, ისმის ჩურჩული, ღრმა და შფოთიანი სუნთქვა, ვილაც წრიალებს, თითქოს ჰაერიც არ ყოფნით... და ეს ყველაფერი გრძელდება მანამდე, ვიდრე მასწავლებელი არ იტყვის: „კმარა!“ მაგრამ, როცა ამხანაგი ნებიერად მიცურავს ცოდნის ოკეანეში, როცა თავისუფლად, ლაღად დანავარდობს უკიდევანო სივრცეში, როცა თავისუფლად ვაისმის მისი ხმა, კლასში სამარსებური სიჩუმე ისადგურებს, ისევე, როგორც საკონცერტო დარბაზში, სადაც ტკბილხმოვანი მომღერალი გალობს.

კლასში იყვნენ ასეთნი, რჩეულნი, რომელთა მოსმენა გიმნაზიელებს ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებდა.

ნემსაძეს სწორედ ასეთი გრძობით უსმენდნენ.

ნიკო თვალს გადაავლებდა ხოლმე ყმაწვილებს. ისინი ასეთივე გატაცებით უსმენდნენ მასაც იმ დღეს. არც მათი ამხანაგი იმსახურებდა ნაკლებ ყურადღებას. მასწავლებელმა აღერსიანი თვალები შეავლო ბიჭს.

კაკომ თხრობა მოათავა და მასწავლებელს შეხედა.

ნიკომ წყლიანი თვალებით ახედდა, თითქოს ცივად უთხრა მადლობა.

— გვარი? — ჰკითხა მან ხმადაბლა, რომ კლასში გამეფებული მყუდროება უცებ არ დაერღვია.

კაკოს რატომღაც ეგონა, რომ სიის ამოკითხვისა და მოწაფეთა შეთვლიერების შემდეგ მასწავლებელს ორმოცივე გიმნაზიელის სახელი და გვარი ეცოდინებოდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, ამ მოულოდნელი შეკითხვის გამო, შეცბუნდა.

— ნემსაძე, პატრიცეზული მასწავლებელი. — მიუგო კაკომ.

— დაბრძანდით.

მასწავლებელი კათედრისაკენ გაემართა, სადაც გადაშლილი ჟურნალი ედო, კაკომ თავის ადგილისკენ გასწია. ამ დროს შეინამაურა ჩვეულება. მერხებზე შეწირილდნენ ბიჭები, კაკოს თვალი გააყოლეს, ჩურჩულით გაადევნეს: „ყოჩაღ, კაკო!“

მხოლოდ ახლა იგრძნო ლოყების სიმხურვალე. თავის ადგილზე რომ ჩდებოდა, შენიშნა, წინა მერხზე მსხდომ ონავრებს უკვე მოესწროთ ჟურნალში თვალის ჩაცეცება და ხუთ გამარჯვულთის მასწავლებლის უჩუმრად უჩვეუნებდნენ.

ნიკოს თვალს არაფერი გამოპარვია. ესიმოვნა უმაწილეში ამხანაგისათვის კარგი ნიშნის მიხარებას რომ ცდილობდნენ, გაიღიმა და მთელი კლასის გასაგონად თქვა:

— სასიამოვნოა, როცა მოსწავლე საფუძვლიანად არის მომზადებული. დასამალი არაფერი გვაქვს. ნემსაძეს დამსახურებულ ხუთიანს ვუწერ და იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება. აბა, ახლა შემდეგი ვნახოთ.

ნიკო ნუცუბიძე მოხიბლული იყო ისევე ოცხელის ძლიერი პიროვნებით. იგი ძლიერი იყო ფიზიკურად, ძლიერი იყო გონებრივად. ის დიდი ადამიანი იყო. მის ფართო და დიდრონ თვალეში გამოსკვივოდა ცეცხლი და ტემპერამენტი კაცისა. რომელიც მთელი არსებით საზოგადოებას ეკუთვნოდა. იგი ხალხის კუთვნილება გამხდარიყო. მას ბევრი თავყანისმცემელი და საქმის მოზიარე ჰყავდა.

ჭუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი ნაცადი კაცი იყო, მოამაგე და აღმზრდელი მამა მასწავლებელთა და მოწაფეთა. შავ-ბნელი დროის მოძულე, ნათელი მომავლის იმედით შემყურე, ნათელი მომავლისა, რომელიც თანდათანობით გაღვივებულ რევოლუციას უნდა დაემკვიდრებინა. ეს ლევილი, ამ ცეცხლის გაჩაღება იგრძნობოდა ქართულ გიმნაზიაშიც. სხვანაირად შეუძ-

ლებელი იყო განათლების ამ ტაძრის ცხოვრება ისეთი ცეცხლოვანი, ცხელი, ნის ხელში. როგორც ოცხელის ცეცხლი დათ. ამ კაცის ბედნიერი ხვედრი ისიც იყო, რომ მას პედაგოგებად შერჩეული ჰყავდა იმ დროისათვის საყმაოდ სახელმწიფოებრივი საზოგადო მოღვაწეები, მრავალმხრივ განვითარებული ადამიანები. ეს მართლაც პედაგოგთა ოქროს პლეადა იყო.

ჭუთაისის ქართული გიმნაზია ამ ადამიანთა მეცადინეობით კულტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო კერად გადაიქცა დასავლეთ საქართველოში. მომრავლდნენ განათლებული ადამიანები, წამოვიდნენ გონებაგახსნილი ახალგაზრდები, მომძლავრდა ქართული ინტელიგენცია.

როცა ნიკო ჭუთაისში რეალურ გიმნაზიაში სწავლობდა, ქართული კერძო გიმნაზიის ამბები სულ დაწვრილებით იცოდა. შემდეგ სასწავლებლად ოდესაში გაემგზავრა. იქაც მისდიოდა თავისი მშობლიური ქალაქისა და მისი სასწავლებლების ამბები. ოდესიდან ბაქოში მოხვდა, მესამე სასწავლებელში მოღვაწეობდა და იქაც, ამ შორეულ მხარეში, მას კარგად სწვდებოდა ქუთაისელი მოწინავე ადამიანების გულისხგერა. ერთი სული ჰქონდა მშობლიურ ქალაქს დაბრუნებოდა.

პრაპორშიკი დიმიტრი ნუცუბიძის ვაჟი ნიკო ყველაზე უფროსი იყო თავის და-ძმათა შორის. ის უკვე მოსამსახურე კაცი იყო და შეეძლო ორიოდ კაპიკით შეშველებოდა თავის მრავალრიცხოვან ოჯახს.

დიმიტრი ნუცუბიძე გვიან დაოჯახდა, ოცდაათი წლის სამხედრო მოსამსახურემ თავისი თანამოკელის იაკობ იაკოვლევის თოთხმეტი წლის ქალიშვილი იუღია მოიყვანა ცოლად. ახალგაზრდა ქალს სულ რაღაც ათიოდე წელში უკვე ცხრა შვილი ეყოლა: ნიკო, მარო, ვალოდია, ილია, ოლია, შალვა, მიხეილი, თამარი და ნინო. ჭუთაისის „ზასტავაში“ ვიწროდ ცხოვრობდნენ. მაგრამ დიმიტრი და იუღია ბედს არ

ემდუროდნენ. ბედმა მათ ერთად ყოფნა არგუნა და ცხრა შვილი უბოძა, ეს კი სიმდიდრე იყო, თუმცა მათი ჩაცმადახურება და გამოკვება უჭირდათ. და აი ამ გაჭირვებისა და შიმშილის ჭურღმულიდან სინათლის გზაზე ვაგიდა პირველი შვილი ნიკო. ის უკვე განათლებული კაცი იყო, რომლის მაღალხნეობის ამბავმა ოცხელის ყურამდე მიიღწია და მან ბაქოდან გამოიწვია ახალგაზრდა მასწავლებელი.

ნიკო ღამით ჩამოვიდა ქუთაისში. სადგურიდან თითქმის სირბილით გაიარა მანძილი თეთრ ხიდამდე. ბნელოდა. თეთრ ხიდთან რიონი გაშმაგებით ღმუოდა და ღამის მყუდროებას არღვევდა. აქედან „ზასტავამდე“ არც ისე შორი მანძილი იყო.

თეთრ ხიდს რომ მიუახლოვდა, ცხენების ფლოქვების გამალებული თქარათქური მოესმა და სანამ მოიხედავდა, ჟანდარმთა რაზმმა გრიგლივით ჩაუჭროლა. მხედრები ხიდზე გაცვივდნენ და გეზი „ზასტავისაკენ“ აიღეს. ნიკოს გულმა უგრძნო, რომ ჟანდარმები სასიყეთო საქმეზე არ მიდიოდნენ ასეთ დროს და თანაც ასე გამალებით.

ნიკომ ხიდი გადაიარა და როგორც კი თავის სახლს მიუახლოვდა, მიივიწყდა კიდევ ჟანდარმები.

პრაპორშნიკი დიმიტრი ნუცუბიძე საკუთარ ერთსართულიან სახლში ცხოვრობდა. სახლს მოზრდილი ხილიანი ბაღი ჰქონდა.

სამხედრო ქალაქში, — „ზასტავას“ რომ ემახდნენ, სამხედროებს არ ეძინათ და ყაზარმის ფანჯრებში ნავთის ლამპების სინათლე ბეუტავდა, ასეთივე სინათლე ერთოდა „ზასტავის“ შემოგარენში მიმოფანტულ დაბალ სახლებიდან, სადაც სამხედრო მოსამსახურეები, უმეტესად უმცროსი ჩინის ოფიცრები ცხოვრობდნენ.

აი ნაცნობი სახლი. ნაცნობი ბაღი. სინათლე ანთია. პატარებს ალბათ სძინავთ უკვე.

მართალია, არც ისე დიდი ხანი იყო, რაც თავისიანები არ ენახა ნიკოს, მაგ-

რამ მიიხსენებდა ისე ღელავდა. თითქოს მას აქეთ ათეული წელი გაჟღერებულდა, რომ სწავლობდა არდადეგებზე ჩამოდიოდა. ბაქოში გადაიყვანეს და იქედანაც, დროს იხელთებდა თუ არა, ქუთაისის მიამუშრებდა. თავისი კერა და ქუთაისის სიცოცხლის ტოლფასად მიიჩნედა და კიდევ ერთი გარემოება, ერთი დიდი და სწორუბოვარი ძალა ეწეოდა ყოველთვის აქეთ, რასაც ჭრჭერობით გულში ღრმად ინახავდა. ისევე, როგორც მის ასაკში ბევრ ქაბუქს, სიყვარული მასაც აღელვებდა. ერთხელ დღესასწაულზე გელათში უცაბედად შეხვდა ქალთა სასწავლებლის მოწაფეს ნინო გვარამაძეს. იმ დაუვიწყარმა დღემ მოსვენება დაუქარგა და თუკი ქუთაისში ძვირფასი რამ ეგულებოდა, ამ ძვირფასეულში ყველაზე მეტად ნინო გამოირჩეოდა. მერე რამდენჯერმე შეხვდა. სიყვარულში კი არ გამოტყდომია. ნინომ სასწავლებელი დაამთავრა და იქვე დასტოვეს რუსულის მასწავლებლად. ბაქოში გადახვეწილი ნიკო კი თავს დაჩაგრულად გრძნობდა და მადლობა ოცხელს, მადლობა ამ დიდებულ კაცს, რომ ნიკო ამ შორეული კუთხიდან გამოიწვია.

აი, რატომ მოუხაროდა ნიკოს, რატომ შეირბინა ასე ხალისიანად საკუთარ ბაღში, კარის სახელურს მისწვდა გასაღებად. მაგრამ ნუცუბიძეები კარს საღამომობით კეტავდნენ — ათასი ოხერი და ურჯულო დახეხებოდა ქვეყანაზე.

სახელურის ვახშურებისთანავე გაიხსმა დედის ნაცნობი წმინდა რუსული ნათქვამი:

— ვინ არის მანდ?

იუღია იაკოვლევა წარმოსადგვი, ახალგაზრდა რუსი ქალი იყო.

— ჩემო ძვირფასო ნიკოლი! — შეიღს იქვე, კარებშივე მოეხვია, მაგრამ გული არ ასჩუყებია. იგი მაგარი, უტეხი ქალი იყო. შვილებს ყოველთვის სიმამაცისკენ მოუწოდებდა და ვერ იტანდა გულჩვილთა ცრემლის ღვრასა და წუწუნს.

შვილს მოეფერა, როგორც საჭირო იყო და მერმე შინაურებს გასძახა:

— დაბრუნდა ჩვენი ნიკოლაი!

მამა პერანგის ამბარა გამოვიდა. ის იუღიაზე თეჭვსმეტი წლით უფროსი იყო, მაგრამ ორმოცდათეჭვსმეტი წლის კაცი, მაინც ჰარმაგად გამოიყურებოდა, თითქმის მთელი სიცოცხლე სამხედრო სამსახურში გაატარა და პრაპორ-შჩიკობას ვერ გასცდა, კაცმა რომ თქვას, არც უცდია, მსახურობდა ერთგულად და ასევე ერთგულად ევლებოდა თავს ოჯახს.

შვილი გულში ჩაიკრა, გადააკონა.

მერე ნიკოს ერთბაშად ბელულების გუნდით შემოეხვივნენ მარო, ვალოდია, ილია, ოლია, შალვა, მიშა, თამარი და სულ პატარა ნინაც კი, ბაჭბაჯით რომ მიუახლოვდა თავის ძმას.

მამამ, შვილის დაბრუნების აღსანიშნავად, საპარადო მუნდირი ჩაიცვა, რომელზედაც გიორგის ორი ჯვარი ეკეთა: დედამ სამოვარი გააჩაღა. ხოლო დაძმები ნიკოს არ შორდებოდნენ და ისეთი ხმაური ჰქონდათ, ქვეყანა რომ დანგრეულიყო, ვერაფერს გაიგებდნენ.

გარეთ ქვეყანა არ ინგრეოდა, მაგრამ ნუცუბიძეების მეზობლებს კი დაერივნენ ენდარმები. მალე ისინი ნუცუბიძეებთანაც მოვიდნენ. რამდენიმე ენდარმმა ცხენი ჰიშკართან დატოვა და სახლის კარს მიადგა. დაუპატიებელ სტუმრებს კარი დიმიტრი ნუცუბიძემ გაუღო.

უფროსი ენდარმი პრაპორშჩიკს გამოეკიმა, ხელი მხედრულად აუღო. შეიძლება მისი ჩინისთვის იმდენი პატივი არ ეცა, რამდენიც გიორგის ჯვრებისათვის. ეს დიდი ჯილდო ყველას მოყრდნობას იწვევდა და მით უმეტეს ენდარმი მოვალე იყო მხედრული პატივი დაედო მეფისა და სამშობლოს უმაღლესი ჯილდოებისათვის.

— აქ ჩვენ ერთ რევოლუციონერს ვეძებთ... თქვენს მეზობელს, ოკუჩავას, — ხმის თრთოლვით მოახსენა უფროსმა ენდარმმა, რადგან აუცილებელი იყო

მოსვლის მიზეზი ეცნობებინა პრაპორ-შჩიკისათვის.

დიმიტრი ნუცუბიძეს ჯარში ხანძრ ძლივმა სამსახურმა საკმაო სიდიცხე შემატა. ხმაც რიხიანი ჰქონდა. არც აცია არც აცხელა, ენდარმს ისე შეუთია:

— როგორ ბედავთ ამ საკითხზე მიხვიდეთ მეფისა და სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცთან? და ისიც ასეთ დროს!..

როცა ენდარმები გაისტუმრა, ცოტა არ იყო გაბრაზებით მიაჩახუნა კარები, უღვაშზე ხელი გადაისვა და ჩაიბუზღუნა:

— არამზადები!.. მაგათ ჰგონიათ... ჰო, რაც ჰგონიათ, ჰგონიათ... ჩვენ ახლა ნიკოს მოსვლას აღვნიშნით და ჩაი დავლით. ნამგზავრია კაცი, მოსვენება უნდა.

იუღია შემკრთალი მიაჩერდა ქმარს. ქმარმა ხელით რაღაც ანიშნა. ნიკო მიხვდა, რომ მათ უსიტყვოდ რაღაც საიდუმლო გაანდეს ერთმანეთს. წელან კარგად გაიგონა ენდარმის სიტყვები, რევოლუციონერ ოკუჩავას ვეძებთო... თქვენს მეზობელსო... ნიკო კარგად იცნობდა ოკუჩავებს. მეზობლებს ერთმანეთში კეთილი ურთიერთობაც ჰქონდათ. მიშა ოკუჩავა მეფის რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო და არაერთხელ დაურაზმავს ხალხი. ეძებენ. მამა კი ენდარმებზეა გულმოსული, როგორ მომადგნენ, როგორ მიაკადრეს ის ამბავი, სად არის რევოლუციონერი ოკუჩავაო. ჩაიზე რომ დასხდნენ, დიმიტრი უკვე საკმაოდ მშვიდად ხერეპდა ცხელ ჩაის.

ბავშვები მალე დააძინეს. იუღია და დიმიტრი შვილს კარგახანს კიდევ ელაპარაკებოდნენ. ნიკომ მამას გაახსენა ენდარმები, მიშა ოკუჩავა... ნუთუ იპოვნიათ და დაიჭერენ?

დიმიტრი ნუცუბიძემ შვილს შეხედა. ტუჩზე თითი მიიღო და მერე იგივე თითი ჰეროსკენ აიშვირა.

— იქ არის, მას ვერავინ დაიჭერს, — უთხრა ხმადაბლა.

— სამი დღეა ასე ვინახავთ... ალბათ კიდევ დიდხანს დავმალავთ, — ასევე ჩურჩულით უთხრა დედამ, — ბავშვებმაც არაფერი იციან.

ნიკომ ალერსიანი თვალები მიაპყრო მშობლებს, შეილებითა და სულით მდიდარ ადამიანებს. მათი გულკეთილობა ყოველთვის ეამაყებოდა, მაგრამ ეს საღამო კი განსაკუთრებულად ძვირფასი იყო მისთვის.

მეორე დღეს იოსებ ოცხელს ეახლა გიმნაზიაში. კარგა ხანს ისაუბრეს. საუბრის საგანი მრავალმხრივი იყო. იგი ეხებოდა სწავლა-განათლებას, ბავშვებთან დამოკიდებულებას, აღზრდის მეთოდებს, ქვეყნის მდგომარეობას, შინაურ ამბებსაც კი. და ოცხელი კმაყოფილი დარჩა თავისი პედაგოგების არჩევანით, რომელთაც ბაქოდან ნიკოს გადმოყვანა შესთავაზეს გიმნაზიის დირექტორს.

— დიდი ბრძოლა გვიწევს, ჩემო კარგო, — უთხრა ბოლოს იოსებ ოცხელმა ნიკოს, — ეს სასწავლებელი თითქმის ძალით შევქმენით, ვაკოწიწეთ, ვაკოწიწეთ და აი, როგორც ხედავ ბოლოს და ბოლოს დიდსა და ნათელ შენობაში მოვთავსდით კეთილ ხალხის შემწეობით. აბა, თქვენ იცით, ამოგვიდევით მხარში ისე, როგორც ეს შეშენის ნამდვილ საზოგადო მოღვაწეს... მე ამას დიდ ყურადღებას ვაქცევ, რადგან ჩვენი საქმიანობა მართლ საგნების სწავლებით არ განისაზღვრება, ჩვენ ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით გულგამთბარი ადამიანები უნდა აღვზარდოთ...

— მესმის ჩემი დანიშნულება, ბატონო იოსებ... თქვენი კეთილი რჩევა ჩემთვის კიდევ ერთი გაკვეთილი იქნება...

შემდეგ ნიკომ სხვებისაგან დაწვრილებით გაიგო ამ ორიოდ თვის წინ გიმნაზიაში მომხდარი ამბავი, რამაც ახალგაზდა კაცს გულში ცეცხლი წაუკიდა. ძლიერ ინანა, რომ ოცხელთან საუბრისას ეს ამბავი არ იცოდა, თორემ უფრო მტკიცე ფიქს მისცემდა ქართული გიმნაზიის საყვებლად.

გიმნაზიაში კი აი რა მოხდა:

1914 წლის სასწავლო წლის ბოლო დღეები იწურებოდა.

სასწავლო ოქტის მზრუნველი რუდოლფი საგონებელში იყო ჩავარდნილი, ვერ გადაეწყვიტა, რომელი ინსპექტორი გაეგზავნა ქუთაისის კერძო გიმნაზიაში გამოცდებზე დებუტატად ზემდგომი ორგანოების საიდუმლო დირექტივების საფუძველზე რომ ჩაატარებდა გამოცდებს და ოქტის მზრუნველი წლებს მაინც როგორმე საყვედურს გადაურჩებოდა.

შარშან კი ქართულ გიმნაზიაში სა-მოცდათვრამეტი აბიტურიენტიდან სა-მოცდაათამდე ახალგაზრდამ სიმწიფის მოწმობა მიიღო. ვახელდნენ ჩინოვნიკები ზემო. ინსტანციებსა და საფეხურებზე, ალბათ იმპერიის განათლების მინისტრიც განჩინდა, რომ რუდოლფს უსაყვედურეს, რა ამბავია ამდენი სტუდენტის გამოშვება, ვანა ეს ჩვენს ინტერესებს შეესაბამება?

წელს სულ თუ არ ჩაშლიდნენ გამოცდებს, საგრძნობლად მაინც უნდა შეემცილებინათ მოსწავლეთა გამოშვება სიმწიფის ატესტატით. საგრძნობლად! — აი, რა აწუხებდა რუდოლფს. უცებ გაახსენდა თავისი ძველი მეგობარი — ახალციხის პროგიმნაზიის ინსპექტორი კორიკი. სასწრაფოდ დაიბარა. კორიკი დანიშნულ დღეს ეახლა რუდოლფს. მეგობრებმა ერთმანეთი მოიკითხეს, თითო ფინჯანი თურქული ყავაც მიირთვეს და რუდოლფმა პირდაპირ უთხრა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რისთვის გაგსარჩეთ, ჩემო კეთილო მეგობარო...

საბეჩამომხმარ კორიკის თრითინას პაწია თვალები ეშმაკურად უციმციმებდა, მეგობარს მისჩერებოდა და ფინჯანს პირიდან არ იშორებდა, ისე წრუპავდა გაციებულ ყავას, როგორც სურნელოვან ფრანგულ კონიაკს.

— ადგილობრივ მცხოვრებთ ხომ არ მოსკარბდათ განათლებული ხალხი? — განაგრძობდა რუდოლფი, — მეტისმეტად ხომ არ ვცდილობთ განვანათლოთ ისინი?

— მეტისმეტად! — სწრაფად დაუდასტურა კორიციმ და ფინჯანი მაგიდაზე დაღო.

— ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გამოცდებს თქვენ ჩაატარებთ, — თვალი თვალში გაუსწორა რუდოლფმა, — ასეთია სასწავლო ოქქის თხოვნა თქვენდამი. იმედი მაქვს თქვენი პრინციპული დამოკიდებულება საკითხისადმი, რომელიც ეს ეს არის მოგახსენეთ.

კორიციმ მორჩილად დახარა თავი. მეორე დღეს კორიციი ეტლით მიადგა გიმნაზიის ახალ შენობას.

ეს იყო ერთ-ერთი დიდი ნაგებობა, რიონის მარჯვენა ნაპირზე, „ზასტავის“ ყაზარმებისა და ციხის შენობის შემდეგ. ქალაქის ყველა დიდრონი შენობა უმეტესად რიონის მარცხენა ნაპირზე იყო, დაწესებულებებისა და უწყებებისთვის გათვალისწინებული.

ეკლარის ქვით მოპირკეთებულ სასწავლებლის ახალი ორსართულიანი შენობა ფართო, ოღონდ შესახედავად მეტად მძიმე იყო. ქუჩიდან მოშორებით იდგა. ქუჩის მხრიდან ერთსართულიანი აგურის შენობა ეფარებოდა. გიმნაზიას ჰქონდა ნათელი დიდრონი საკლასო ოთახები, მალალი ფანჯრები, ფართო და ასევე ნათელი დერეფნები. მაგრამ შენობა იმ დროისათვის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. მშენებლებს თითქმის მიეტოვებინათ ცალი ფლიგელი. სადაც სააქტო დარბაზიც იყო გათვალისწინებული.

ეს შენობა ქუთაისის მშენება გახლდათ თავისი მოწმუნეტურობით, არქიტექტურით, სიგრძე-სიგანითა და სიმაღლით. ქართულმა გიმნაზიამ მშვენიერი ბინა დაიდო, მაგრამ ვინ იცის რამდენი წლის ტანჯვის, რამდენი მოამაგე ადამიანის ოფლის, სისხლისა და ნერვების ფასად.

ახალციხის პროგინაზიის შენობა ამასთან რა მოსატანი იყო. *არქიტექტურა* კორიციის შურმა გაულტანა. *მეტისმეტად* როცა ეტლიდან გადმოვიდა, ეზო გაიარა და შენობა გარედან შეათვალიერა. აღრეც ენახა, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, როცა მშენებლები ურმებით ეზიდებოდნენ ქვასა და ლორს, კირსა და ხე-ტყეს, მაგრამ თუ ასეთ გრანდიოზულ ნაგებობას წამომართავდნენ ქუთაისელი მოღვაწეები, ამას ვერ წარმოიდგენდა.

ეს შენობა ხალხის ნახელავი, ნაღვაწი და ნაოფლარი იყო. ამ ხალხის ნიჭი და უნარი კი ყოველთვის ახელებდა კორიციის.

სასწავლო ოქქის დებუტატი ახალმა დავალებამ ზამბარასავით დასკიმა და უკვე გარკვეული და ჩამოყალიბებული მიზნით ეახლა იოსებ ოცხელს. გიმნაზიის დირექტორმა რა იცოდა გულში რა ზრახვები უტრიალებდა ოქქის დებუტატს. პატივით მიიღო. მათ შეხვედრას გიმნაზიის ინსპექტორი, მასწავლებელი და პოეტი სილოვან ხუნდაძეც ესწრებოდა.

კორიციი გაეცნო გამოცდების ცხრილს. რის შემდეგ იგი სასტუმროში დაბინავდა. საღამოს კვლავ შეხვდა ოცხელსა და ხუნდაძეს.

— ბატონებო, მე დავალებული მაქვს გამოცდებზე ასისტენტებად მოვიწვიოთ სპეციალისტი მასწავლებლები მთავრობის სასწავლებლებიდან, — განუცხადა კორიციიმ, რომელიც სასტუმროში მოსვენებისა და დანაყრების შემდეგ ცოტა უფრო უხეში ჩანდა.

იოსებ ოცხელი შეიშმუნა და სილოვან ხუნდაძეს გადახედა.

— ჩვენ საკმაოდ გვყავს ღირსეული სპეციალისტი მასწავლებლები, რომლებიც მალალ დონეზე ჩაატარებენ გამოცდებს, — მკვახედ შენიშნა ოცხელმა. — შარშან, მაგალითად...

— ძალიან გთხოვთ ნუ შემეკამათებთ, — უფრო მკვახედ მოუქრა კორიციიმ, — და საერთოდ, ნურაფერს ნუ გავხდით საკამათოდ.

კორიციის ისე მოეღრია სახე, თითქოს მკვებე ტყემალი შეჭამაო. დეპუტატის უფლებამოსილება გაწესდაღრელი იყო.

მთავრობის სასწავლებლიდან მოიწვიეს ასისტენტი მასწავლებლები.

დაიწყო გამოცდები.

იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე დელავდნენ. რადგან პირველსავე დღეს კორიციმ ისეთი უმსგავსობა ჩაიდინა, სულ თავდაყირა დააყენა გიმნაზიაში მთელი წლის განმავლობაში რუდუნებითა და გულმოდგინებით აწყობილი საქმე.

კორიცი საგამოცდო ოთახიდან ოთახში დარბოდა და პირადად ამოწმებდა ნიშნებს. გადირია კაცი, როცა მთავრობის გიმნაზიიდან მოწვეულმა ქალმა ხრეანოვსკაიამ გერმანულ ენაში მოსწავლე ფანცხავას წიგნაკში სამიანი ჩაუწერა.

გაფითრებულმა კორიციმ მასწავლებელი ცალკე გაიხმო და კბილებში გამოსკრა:

— თქვენ იცით, რას სჩადიხართ?

და ამ წასისინებას ის მოჰყვა, რომ ფანცხავას „სამიანის“ ნაკვლად „ორიანი“ გამოუტყუა.

სახელაღწილი ოცხელი, რომელიც ამ ამბავს ესწრებოდა, მოუბრუნდა კომისიის წევრებს:

— ბატონებო... ბატონებო! — დელავდა სკოლის დირექტორი, — გთხოვთ პირუთვნელად დადასტუროთ ნამდვილი ნიშანი, რომელიც ქალბატონმა ხრეანოვსკაიამ დაუწერა აბიტურიენტს!

ეს ნიშანი ფანცხავასთვის არც კი უჩვენებიათ. ნამდვილად კი „სამიანი“ ეწერა. კომისიის წევრებსაც გაუყვირდათ საქმის ასეთი შეტრიალება.

ქართული გიმნაზიის გერმანულის მასწავლებელი გიორგი სვანაძე, რომელიც შესანიშნავი პედაგოგი და მოქალაქე იყო, წამოვარდა და ისტერიულად იყვირა:

— ეს სიძაგლობაა, უხამსობა და არაადამიანურობა! რას ერჩით ყმაწვილს?!

რას ერჩით მის მომავალს? რას ერჩით მეთქი, ბატონო კორიციწი თქვენნი გეკითხებითო!..

გინგლინიძე

მასწავლებელს სკამის საზურგეზე ისე ჩაეჭიდა ხელი, წუთიც, ერთი მცირედი ბიძგიც და ეს სკამი უთუოდ კორიციის მელოტ თავზე დაიშხვრეოდა. ოცხელმა სვანაძეს ხელი წაავლო.

— გონს მოდით, გიორგი...

სვანაძემ სკამს ხელი უშვა და ყბათოთოლებულმა შეხედა იოსებს, გააკვირვა მისმა თავშეკავებულმა გამომეტყველებამ, სიღინჯემ. გონს კი მოეგო, მაგრამ სიტყვის თქმა ველარ მოახერხა.

კორიცი გაუძრევლად იჯდა, აწეული თავი სკამის მაღალ საზურგისთვის მიეყრდნო და საგამოცდო ოთახში დატრიალებულ ამბავს ისე უყურებდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა და იქ მხოლოდ შემთხვევით მოხვდა.

გიორგი სვანაძეს სილოვანმა მოკიდა ხელი და დერეფანში გაიყვანა.

თითქოს მათ გასვლას ელოდაო, კორიციმ ურუდ ჩაახველა და ხმადაბლა თქვა:

— ბატონებო, მე მგონი გასაგებად გაგაფრთხილეთ. საკამათოდ ნურაფერს გავხდით-მეთქი, თორემ ქუთაისის კერძო გიმნაზიის საკითხი ძაფზე დაეკიდება და მოგეხსენებათ, რომ ძაფი ასეთ სიმძიმეს ვერ გაუძლებს...

რალაც ისე ჩაეღიმა, თვითონვე კმაყოფილი იყო ხატოვანი გამოთქმისა.

მაგრამ ოცხელმა არ დააყვანა:

— შეტისმეტს იღებთ საკუთარ თავზე, ბატონო კორიცი.

იოსებ ოცხელს უკიდურესობამდე შეეძლო მოთმენა. იგი ასეთ ბრძოლებში გამოცდილი კაცი იყო და ხშირად გამარჯვებულოც გამოსულა. მაგრამ არც დამარცხებას გაუტეხია მისთვის გული. მოთმინებითა და თავდაპირილობით კი რამდენჯერმე გადაურჩენია გიმნაზია. ვინ იცის, კერძო გიმნაზიას რამდენჯერ უპირებდნენ დახურვას. მხოლოდ ოცხელისა და მისი თანამოაზრეების ნერვების ფასად სუნთქევდა

ქუთათურთა ეს მანათობელი კერა და ახლაც, ამ მიმე ვაჟს, როცა კორიცი უკვე აღარც თავის მოწვეულ ასისტენტ-მასწავლებლებს ენდობოდა, როცა სენაძის აღშფოთების შემდეგ არამცთუ უკან დაიხია, არამედ მოწაფეთა დაბნევის ახალი ფანდიც კი მოაგონა. ერთ საგანში დანიშნულ გამოცდას უცებ მეორე საგნით ცვლიდა ზედ გამოცდის დაწეების წინ, ან ერთი დღით ადრე.

მოთმინებიდან გამოსულმა იოსებ ოცხელმა ქუთათისის გუბერნიის მარშალ დავით ნიქარაძეს, რომელიც იმჟამად თბილისში იმყოფებოდა, დეპეშით აცნობა კორიციის თავაშვებულობა, არავის ებუება, არავის არაფრად ავლებს, არავის ენდობა, ყოველ შენიშვნაზე გვემტკრება, ახლავე შევწყვეტ გამოცდებსო. მოწაფეები ღელავენ, მშობლების აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, როგორმე გვიშველეთ და ეს კაცი თავიდან მოგვაშორეთ. ეგებ გამოცდებზე ოლქიდან სხვა დეპუტატი გამოგზავნოთო.

მაგრამ რა გამოვიდა. ახალი დეპუტატი ოლქმა არ გამოგზავნა. კორიცი უფრო გათამამდა.

შემუშავებული განრიგით ოცდაექვს აპრილს გამოცდა რუსულ ენაში უნდა ჩატარებულყო. გიმნაზიელებმა ეს კარგად იცოდნენ. მაგრამ თითქოს ყველას გულის გასახეთქად, კორიცი თავს უყრის სამასწავლებლოში ქართული გიმნაზიისა და მოწვეულ პედაგოგებს და უცხადებს:

— ოცდაექვს აპრილს გამოცდა არ ჩატარდება რუსულ ენაში, მოემზადონ ალგებრის გამოცდებზე.

ოცხელმა, იგრძნო, როგორ აუთრთოლდა ორივე ხელი.

— თქვენ ძალიან გადახვედით საზღვრებს! — ეკლავ თავშეკავებით, მაგრამ მკაცრად განუცხადა კორიციის.

გამოსავალი ისევ საჩივარში ჰყოვა, რომელიც ამჯერად სასწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფს გაუგზავნა.

რუდოლფმა მოსწერა: „წინადადებას

გაძლევეთ დეპუტატის მოთხოვნას დაე-ზორჩილოთ!“

საქმე იქამდე მივიდა, რომ ლეტი შეწყდა.

კამათი დიდხანს გრძელდებოდა პედაგოგიურ საბჭოზე.

გიმნაზიის დერეფანში სინათლე არავის ჩაურთავს, მაგრამ მიღალ და განიერ ფანჯრებიდან ჭერ კიდევე შემოდისოდა მიღებული დღის მკრთალა ნათელი. უთავებოლო დავით მოღლილი იოსებ ოცხელი ოთახიდან გამოვიდა. ამ ენერგიით სავსე კაცმაკ კი, რომელსაც ჭერ ორმოცდაათი წელიც არ შესრულებოდა, ვერ გაუძლო კორიციის უსაგნო, გაუთავებელ კამათს. მის მუჭარას, ავსიტყვაობას და ცოტა ხანს თავის კაბინეტში გავიდა დალილობის განსაქარებლად, ახალი იერიშისათვის ძალების მოსაქრებად, დიდიდან მშვიერი იყო, ამის გამოც ეხვეოდა თავბრუ. ეს რა ჰირს გადავეციდეთ, გულზე ცეცხლი მოსდებოდა.

თავის ოთახში შევიდა და რაღაც ისეთი უპაერობა, დაბუთულობა იგრძნო, უმალ ფანჯრისკენ გასწია და გამოალო. ეამა აპრილის საღამოს საამო სიგრილე და უცებ წუთით შვება იგრძნო, უკეთეს წამალს ვერც ინატრებდა. ფანჯარას არ მოშორებია.

უცებ თვალი მოჰკრა ორ გიმნაზიელს, საექვოდ რომ დაეხეტებოდნენ გიმნაზიის ეზოში. გულმა რაღაც უგრძნო, ავად ენიშნა გიმნაზიელების საქციელი. ფანჯარას სწრაფად მოშორდა. დერეფანი გაიარა. მაგრამ ქვემო ვესტიბიულში ფრთხილად ჩავიდა, რომ გიმნაზიელების ყურადღება უცებ არ მიეპყრო.

სასწავლებლის კარი ღია იყო და ოცხელი ყმაწვილთათვის სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ეზოში. იმდროს ისინი კარის მახლობლად ატუზულიყვნენ. დირექტორის დანახვაზე უცებ შეტბნენ და ხელები უკან დამალეს.

— აქ რას აკეთებთ. ყმაწვილებო? რატომ შინ არა ხართ?

ორივე ქაბუტი დუმდა, გაფითრებულ სახეზე, ეტყობოდათ, როგორ ღელავდნენ და რაღაც გადაწყვეტილებას მათთვის შიშით აემღვრია თვალები.

ცხადი იყო ისინი სასიკეთოდ არ წრიალებდნენ გიმნაზიის კართან.

— მაჩვენეთ, ხელში რა გიჭირავთ.  
— ხელი გაიწვდინა ოცხელმა.

ყმაწვილებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მალე თავი დახარეს და იოსებს დაემორჩილნენ. ორივეს დაქანგული რკინის ნატეხები ეჭირათ. ოცხელმა გამოართვა და ისე შეათვალიერა, როგორც რაიმე საჩუქარი.

— რად გინდათ ეს?... რაში გჭირდებათ ეს რკინის ნატეხები? — ხმა შეუთრთოლდა ოცხელს და უმალ თვალწინ დაუდგა კორიცი...  
„მისი მოკვლა უნდათ!“ — თავში უცებ დაჰკრა ოცხელს და შიშმა მუხლებში გაუარა. გულის ფეთქვა ყელში ამოუვიდა.

დაძაბული ყმაწვილები მონუსხულნი მისჩერებოდნენ დირექტორს, რომელმაც რკინის ნატეხები შორს მოისროლა და მოწაფეებს დაუკავებთ მიმართა:

— გთხოვთ... მამა-შვილურად გთხოვთ, წადით შინ... თავი არ დაიღუპოთ და ჩვესც არ გაგვაწამოთ...  
ყმაწვილთა ბრიალა თვალებში მრისხანების ცეცხლი არ ჩამქრალა, მაგრამ მათ უსიტყვოდ შეხედეს იოსებ ოცხელს და ისე მორჩილად, ისე ნებიერად შეტრიალდნენ და წავიდნენ. კაცს თვალში ცრემლი მოადგა და სწრაფად შებრუნდა სასწავლებლის სადარბაზო კარისკენ.


გამოცდები ჩაიშალა. მართალია, სასწავლო ოლქმა კორიცი გაიწვია, მაგრამ იოსებ ოცხელსა და სილოვან ხუნდაძეს სიკეთე არ დაადგათ. ორივე დაითხოვეს გიმნაზიიდან.  
დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ხელმძღვანელის დავით ნიგვრამისა და ქუთაისის ქალაქის თავის ილია ჩიქოვანის თხოვნით მეფისნაცვალმა იოსებ ოცხელი გიმნაზიის დირექტორად აღადგინა მას შემ-

დეგ, რაც კორიციისგან „გადააჩენილი“ ორმოცდაათი აბიტურენტის გამოსცადეს. აგვისტოში სასწავლებელთა კავშირისგან განეზღვრეს კურსდამთავრებულთა ფორტოსურათები გიმნაზიის აღდგენილი დირექტორის ხელმოწერით. სილოვან ხუნდაძეს კი ბედმა არ გაუღიმა. მხოლოდ იმტომ, რომ კორიციზე საკმაოდ გულაოსულმა, ოლქის დეპუტატს ბელი არ ჩამოართვა, მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდათ სასწავლო ოლქში.

გიმნაზიის ინსპექტორად გერასიმე ცაგარეიშვილი დანიშნეს. მორიდებულსა და სილოვან ხუნდაძის დიდ პატივმცემელ კაცს ეუხერხულებოდა კიდევ, რომ ამიერიდან გიმნაზიის დიდი მოამაგის ადგილი ეჭირა, რომ ღვაწლშოსილ კაცს იოსებ ოცხელის გვერდით ვეღარ ზედავდა.

აი ასეთ ვითარებაში მოვიდა ნიკო ნუცუბიძე ქართულ გიმნაზიაში. იგი მოხვდა ინტელიგენტთა ისეთ კოლექტივში, სადაც მისთვის გამოუცდელი და უნახავი აღმოსაფერო სუფევდა. აქ, მართლაც რჩეული ადამიანები იყვნენ. ნიკოს თავიდანვე ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მათი მოღვაწეობა გიმნაზიის კედლებს სცილდებოდა და უფრო მეტ სივრცეს მოიკავდა. აქ არ ეგულებოდა უბრალო მასწავლებელი. აქ იყვნენ მოღვაწენი, რომელთაც ქაბუკების აღზრდა დიდ პატიოტულ საქმედ მიაჩნდათ. ისინი სამშობლოს ღირსეულ შეილებს უზრდიდნენ. წლობით ნაბოლარა შვილივით მიგდებულ კერძო გიმნაზიის ღირსეული ოსტატები გამოუჩნდნენ: როცა რიონის მარჯვენა ნაპირზე სასწავლებლის უზარმაზარი, მძიმე და მხარგაშლილი შენობაც წამოიშობოდა, საუკუნოდ დაიფუძნა კერა ცოდნისა, კერა სიკეთისა, კერა განათლებისა, კერა კაცურ კაცთა სამკვლელოსი.

ისეთ სასწავლებელში მოღვაწეობა ნიკოს საამაყოდ მიაჩნდა. იოსებ ოცხელს აღლომ არ უღალატა და ნიკოს



ოანდენიმე საგნის მასწავლებლობა და-  
ავალა. რუსული ენის ცოდნაზე ხომ  
ლაპარაკი ზედმეტი იყო, ისე ზედმი-  
წვენიერ ღრმად ფლობდა, ახლა ისტო-  
რია, ლათინური... ქართულს არ ასწავ-  
ლიდა. მაგრამ ქართულში ვერ შეეცი-  
ლებოდა ამ ენის ბრწყინვალე ოსტა-  
ტებს ვუკოლ ბერიძეს, იაკობ ნიკოლა-  
იშვილს, სიმონ ყიფიანს, იასე ცინცა-  
ძეს, დავით ლორთქიფანიძეს, ია ეკლა-  
ძეს...

რა სჯობია ქუთათურ საღამოებს! იმე-  
რელი კაცისთვის დროსტარება, სტუ-  
მარ-მასპინძლობა და კარგი სიმღერა  
ისევე აუცილებელი და სისხლხორცეუ-  
ლია, როგორც პატიოსან შრომაში ოფ-  
ლის ღვრა.

უყვართ სტუმრიანობა. ხმელა მჭად-  
ზე და ჭყინტ ყველზე, ზედ იმერულ  
მომყავო ღვინოს რომ დაგაყოლები-  
ნებს, ისეთ დროს გაგატარებინებს,  
სიცოცხლეში არ დაივიწყებ. არ დაი-  
ვიწყებ, რადგან იმერულ მასპინძლო-  
ბას ისეთი ეშხი და ლაზათი აქვს, თით-  
ქოს საამისოდ ყველა ოჯახს რაღაც გან-  
საკუთრებული სკოლა ჰქონდეს გავლი-  
ლი.

განსაკუთრებით, მოლხენისას, სიმ-  
ღერა უყვართ გიტარაზე დაკვანესებუ-  
ლი. არიან კენტკენტად მომღერლები,  
უბანში, ქალაქში. იმერეთში განთქმულ-  
ნი... არიან პატარა ოჯახური გუნდები,  
ასევე იმერ-ამერში ცნობილნი...

სუფრა არ გაიშლება — სიმღერა  
რომ არ მოჰყვეს...

და ამიტომ იმერულ წვეულებას  
სულ სხვა პეწი აქვს...

ერთ ასეთ წვეულებაზე დაპატივეს  
ბაჭოდან ახლად დაბრუნებული ნიკო.  
სუფრა მისი გიმნაზიელი ამხანაგის კი-  
რიღე ლორთქიფანიძისას გაეშალათ.  
რის გამო, რა მიზეზით, რის აღსანიშ-  
ნავად, კაცი შეიღმა არ იცოდა.

შეიქმნა ხმაური, მოწვევა და ქრია-  
მული.

— მობრძანდით, ბატონო!.. მობრ-  
ძანდით!..

— როგორ გიკითხოთ, როგორ მოძი-  
ნდებით?

— გმადლობთ... თქვენგან ხომ წასტყუა-  
ნთა...

— გმადლობთ, ბატონო...

სამზადში გოგოები ტრიალებენ, აივა-  
ნზე სუფრა იშლება... კაცები ეზოში  
ცალკე დგანან. მხიარულად მასლაათო-  
ბენ, ქალები ქალებს ეხმარებიან — გა-  
რჩევა არა აქვს, ვინ სტუმარია, ვინ  
მასპინძელი...

კაცები ქვეყნის ამბებზე ლაპარაკო-  
ბენ. გაკირვებას გაიხსენებენ — ოხრა-  
ვენ, სახუმაროს იტყვიან — სიცილი  
კარ-მიდამოს სცილდება...

კარგი პურ-მარილი ელით და გოგო-  
ები მეზობლისაგან უკვე მოარბენინე-  
ბენ ბაფთიან გიტარებს, აუ, რა სიმღე-  
რები დაგუგუნდება — აგერ სიკოიი  
გობრონიძე, კოწო წერეთელი... რა  
ხმები აქვთ, რა ამოუწურავი რეპერტუ-  
არი... ქალებიც თუ აიყოლიეს, მაშინ  
ხომ მთელ საფიჩხიას გადარევენ და  
აქედან ქუთათისის დაბალ უბნებში ისე  
ჩაარაკრავდება სიმღერა, როგორც თავ-  
ქვე დაშვებული ნაქადულები...

ნიკომ სტუმარ გოგონათა შორის  
უცებ მოჰკრა თვალი ნინო გვარამაძეს.  
ისეთი სიხარულის ელდა შემოენთო,  
ისეთი სიამით აუძგერდა გული, თით-  
ქოს ესაა ნინო მოჰკრავს თუ არა თვალს  
მას, ჩიტივით გამოფრინდება და აღე-  
ლვებულ მკერდზე შეაფრინდება.

ივრძნო, რომ ლოყები გაუხურდა.

ნინომ კიბე ჩამოირბინა და სამზად-  
ში ისე შევიდა, ნიკო არც კი შეუმჩნე-  
ვია. ქალიშვილი მალე დაბრუნდა, ხე-  
ლში სავსე სინი ეკირა და აივანზე უნ-  
და ასულიყო. კიბეს რომ მიუახლოვდა,  
უნებურად გამოიხედა და... არც ისე  
შორს იყვნენ, თვალი თვალს რომ არ  
შეხვედროდა...

მერე სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ,  
ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით მიე-  
სალმნენ. ნინო უფრო გაბედული და  
თამამი ჩანდა, თუმცა კდემამოსილება  
და სიმორცხვე არ აკლდა...

სუფრაზე პირისპირ მოხვდნენ.

„ალბათ ბედია!“ — გულში გაივლო ნიკომ. სხვა არც არაფერი ეყურებოდა და არც აინტერესებდა, რა ხდებოდა სუფრაზე, ვინ ვის გვერდით ჯდებოდა. ვინ ვის პირისპირ აღმოჩნდა. მთავარია, რომ ნინო მის წინ ზის. ალბათ საგანგებოდ რომ ენატრა, ნატვრა ასე არც აუსრულდებოდა. უნატრებლად მოვიდა ეს ბედნიერება. ზოგჯერ ცდილობდა თვალი მოერიდებინა. ზოგჯერ კი ქალის მომნუსხველი თვალები იპყრობდა და გული გადარევას ჰქონდა.

აწყრილად დანა-ჩანგალი. გაჩაღდა სმა-ჭამა. გვარდანი თამადა გამოდგა. ნიკო პირველად ხვდებოდა სუფრაზე, მაგრამ მისი ჩამოქნილი საღლეგრძელოები, მქვევრმეტყველება და ზომიერი ხუმრობა ძლიერ მოეწონა.

და მერე კალთაშიც ჩაიგორეს გიტარები, ააკენესეს სიმები და სიკოია გობრონიძეს და კოწოია წერეთელს არავისი თხოვნა არ დასჭირებიათ. კოწო სიკოიასკენ გადაიხარა, ვითომ ასე უფრო შეწყობილად ამოარაკრაკებდნენ სიმღერას! ნიკომ ისეთი ბანი დასძახა, ორივე მომღერალმა მისკენ გამოიხედა და მოწონების ნიშნად სახე გაებადრათ.

ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა. სანამ მთლიანად არ გაყუჩდა და მიიძინა პატარა ქალაქმა.

სტუმრები დაიშალნენ.

საფიჩხიის დაღმართს წყვილად ჩამოჰყვნენ ნიკო და ნინო. როგორღაც ასე შეუთანხმებლად. უსიტყვოდ მოხდა ერთ გზას რომ დაადგნენ. ნიკო თამამად იყო და მზიარულად. არც ნინოს გამოჰყვოლია ნაქლები ხალისი სუფრიდან.

ნიკომ შენიშნა, რომ ქალიშვილმა ნაბიჯს აუჩქარა.

— გეჩქარებთ?

— გვიანია...

— მოდი. ავიდეთ ბაგრატიის გორაზე... იქ ისტორიის ნანგრევებთან შევხვდეთ გათენებას... — ხალისიანად წამოიწყო ნიკომ და მართლაც მზად იყო ღამე ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან

გაეთია და ნინოსთან ერთად ეხლაძის ამოსვლა.

ნინოს გაეცინა და უმალ მიუხვეწა — და იქიდანვე მამაჩემი თავის რეზიდენციაში ამოგვაცოფინებს თავს...

ნიკოს უცებ გაახსენდა, რომ რაედენ გვარამაძე, ნინოს მამა, სულით დაავადებულთა საავადმყოფოს მმართველი იყო. ნიკოსაც გაეცინა.

— წარმომიდგენია, წარმომიდგენია... მასწავლებლები სულით დაავადებულთა საავადმყოფოში, მხოლოდ იმიტომ, რომ ღამე ბაგრატიის ტაძრის კედლებთან გაათიეს და დილით მზეს შეხვდნენ, რომ ერთმანეთისთვის საშუალომ ერთგულება შეეფიცათ...

ქალი ამის გაგონებაზე შეკრთა და შედგა.

— ამას რას ამბობთ, ნიკო?...

— თუ თქვენ თანახმა იქნებით, ნინო...

— იქნებ ღვინო გალაპარაკებთ?

— არც ენა შევიდება და გონებაც ისეთი ნათელი და საღი მაქვს, როგორც არასდროს... ასეთი ბედნიერი საღამო მე ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს...

...ძალე შეუღლდნენ.

ნინოს ორი და და ოთხი ძმა ყავდა, მათი ოჯახიც ისეთივე მრავალრიცხოვანი იყო, როგორიც ნუცუბიძეებისა. ახლადშეუღლებულუბმა, ქორწინების შემდეგ, ზდანოვიჩის ქუჩაზე ვინმე ზავადსკის სახლში იჭირავეს ბინა. ზავადსკი გადამდგარი ოფიცერი იყო, უკვე საკმაოდ მოხუცებული. მუდამ თავის წარსულ საბრძოლო და სამხედრო ამბებზე ჰყვებოდა და ერთსა და იგივეს სიამოვნებით მრავალჯერ იხსენებდა, მშვიდობიანობის დროს. სიკბაუჯის წლებში გატარებულ დაუფიწყარ დღეებს. მოგონებები მისი საზრდო იყო.

და აი, ზავადსკის სახლში ერთი წლის შემდეგ ნიკო ნუცუბიძეს და ნინო გვარამაძეს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც დავითი დაარქვეს. იქით გვარამაძეები, აქით ნუცუბიძეები, დიდები თუ პატარები ახლადშობილს დასტრიალებდნენ და ასე თანდათან იფურჩქნებოდა ნი-

კოს ოჯახური ყოფა. მომდევნო წელს ისევ ვაჟი...

— ხედავთ, რა ბედნიერების სახლი მაქვს, — წაიტრიაბა ზავადსკიმ და ნიკოს კიდევ ერთხელ თავის აივნიდან დააცლევინა ძველებური ფილთა თოფი, — ასეთი წესია, ვაჟი რომ დაიბადება, ქვეყანამ უნდა გაიგოსო...

მაგრამ ფილთა თოფის ხმა სადამდე გასწვდებოდა!

ვაჟს კუკური დაარქვეს, ზავადსკიმ იქვე გააფართოვა ახალგაზრდა ოჯახი, ერთ ოთახს მეორეც მიუმატა და განუცხადა:

— ქირა იგივე დარჩება... და თუ კიდევ ერთი ვაჟი გეყოლათ, ქირას გაზინახებრებთ... სამშობლოს ვაჟები სპირდება, ვაჟები! ოჰ, სალდათებო, ჩემო მამაცო სალდათებო!

სამასწავლებლოსკენ მიმავალ ნიკოს ბუნებათმცოდნეობის მასწავლებელი სერგი რომაქიძე დაეწყვილა. სერგიმ ხელკავი გაუკეთა ახალგაზრდა მასწავლებელს. ისინი შუა დერეფანში წელი ნაბიჯით მიდიოდნენ. შესვენებაზე გამოსული გიმნაზიელები თავაზიანად უთმობდნენ გზას.

სერგი რომაქიძე დაახლოებით ოცი წლით უფროსი იყო ნიკოზე. პროგიმნაზიულ კლასებში არითმეტიკასაც ასწავლიდა. თეატრის დიდი მოყვარულიც იყო და გარკვეული წვლილი დასდო ქუთაისის თეატრის განვითარებას. ნიკომ იცოდა, რომ ქართულ გიმნაზიაში სერგიმ დიდი ხანია ჩამოაყალიბა მასწავლეთა წრე, სადაც ფართულად კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებს. ნიკოერმა კაცმა გიმნაზიაში შექმნა დრამა-წრე და მხატვრულ-ვოკალური განყოფილება.

ნიკოს კარგად ახსოვს 1902 წლის ამბავი. მაშინ ქუთაისის სააზნაურო სკოლა ანტონ ლორთქიფანიძის სახლიდან კარგა ხნის გადატანილი იყო საფიჩხიაზე ივანე ჭაიანის სახლში. ეს ადგილი ქალაქში ყველაზე სუფთა და მყუდრო ადგილად ითვლებოდა. ჭაი-

ნის სახლი კი საკმაოდ მოზრდილი იყო, სკოლისთვის გამოსადეგი. ომსართულად ან შენობას ვეებერთელა ეზო-და-ღრდა ზვარი ჰქონდა. აქედან, განსაკუთრებით კი სახლის მეორე სართულის აივნიდან, ფართო თვალსაწიერი იშლებოდა ქვემო იმერეთისკენ. ო, რა ღიღებულად მოჩანდნენ აჭარა-ახალციხისა და რაჭა-ლეჩხუმის მთები!

ამ სახლში სააქტო დარბაზის უქონლობის გამო, სასწავლებლის დერეფანში გაიმართა საღამო მოსწავლეთა მშობლებისა და ნათესავებისათვის. სერგი რომაქიძის რეჟისორობით მოსწავლეებმა ვალერიან გუნიას „და-ძმის“ სამი მოქმედება მოამზადეს.

სასწავლებელში დიდი ფაცი-ფუცი იყო ფარდის გახსნის წინ. ამ დროს პოლიციეისტერი ლავროვსკის კაბინეტშიც დელავდნენ. ვილაცას წინა დღით ამბავი მიეტანა ლავროვსკისათვის, ხვალ საღამოს გიმნაზიელ მსახიობთა დასი სერგი რომაქიძის ხელმძღვანელობით რევოლუციურ სპექტაკლს მართავსო. ლავროვსკი წარმოდგენის დაწყების წინ ეანდარმებით შეიკრა ჭაიანის სახლში. თოფმომარჩვებულმა რაზმელებმა გაყარეს დამსწრენი, ჩამოგლიჯეს და დაფხრიწეს ფარდა.

იოსებ ოცხელი გაბედულად გადაუდგა წინ გააფთრებულ ლავროვსკის.

— გონს მოდით, ბატონო პოლიციეისტერო! — შეუძახა მედგრად, გაბედულად, რომ ეს გადარეული კაცი როგორმე მოეყვანა გონზე, მისი აღვირახსნილი საქციელისთვის ლაგამი ამოედო... მაგრამ ნურას უკაცრავად, ლავროვსკი მძვინვარებდა. ოცხელს სასტიკად დამუქტრა. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო.

დანა პირს არ უხსნიდათ უიარაღო მამაკაცებს, რომელნიც ყმაწვილთა წარმოდგენის საცქერლად მოვიდნენ და საღამო კი ასე ჩამწარდათ.

ოცხელი ძრწოდა და არ ებუებოდა ლავროვსკის.

— პასუხს აგებთ! — ემუქრებოდა.

— ჩვენ მაგას ვნახავთ, ვინ ვის წი-

ნაშე აგებს პასუხს, რევოლუციონერო... ბევრი რამ შეგრჩათ, ბევრი რამ... დამაცადე!

ლავროვსკიმ ახლა მუშტი დაუტრიალა ოცხელს, სკამს ფეხი წაქარა და დარბეულ ღერფნიდან რაზმელები წაიყოლა.

ქართულ გიმნაზიაში მომხდარი რბევის ამბავი იმავე საღამოს მოედო მთელ ქუთაისს.

ეს იყო ზუსტად თოთხმეტი წლის წინათ. მაგრამ მას აქეთ სერგი რობაქიძეს არა ერთი და ორი საღამო გაუმართავს გიმნაზიაში.

ახლაც, როცა ნიკოს ხელკავი გაუქვითა და სამასწავლებლოსკენ მიაბიჯებდნენ, გაანდო, რომ ზვალ საღამოსთვის, მას მეტად საინტერესო ღონისძიება ჰქონდა ჩასატარებელი, რეპეტიციებით აღფრთოვანებული იყო და ღელავდა.

— თქვენ დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებთ, ბატონო სერგი, — მიმართა ნიკომ, — გონების ასეთი ვარჯიში დიდ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობას.

— მარტოოდენ საგნებით, მოგვხსენებათ, ფონს ვერ გავალთ. მაგრამ ვშიშობ მთავრობამ არ გავვიგოს და მასინდელივით ზუს საღამოც არ ჩავგამწაროს... ყველაფერში ცხვირს ყოფენ. მათი შიშით ყმაწვილებისათვის ქეშმარიტება ვერ შთაგინერგავს... სიმართლეს კი მალულად ვამბობთ. მაგრამ ახლოვდება ბრძოლის გადამწყვეტი ეამი.

— ქეშმარიტებაა, ბატონო სერგი... ცხოვრების ჯერ ისედაც არეული რიტმი ისე დაირღვა, განახლებაც აღარ უშველის, თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა... მე წარმოდგენილი მაქვს ეს ახალი და დიდებული ცხოვრება, თანასწორუფლებიან ხალხთა ცხოვრება...

სერგიმ გრძნობით მოუჭირა ხელი მკლავში ახალგაზრდა მასწავლებელს.

მეორე დღეს სკოლაში მისულ ნიკო ნუტუბიძეს ახალი ამბავი დახვდა: სერგი რობაქიძე და საღამოს მომწყობი რამდენიმე მასწავლებელი საპოლიციო განყოფილებაში ისხდნენ.

ოცხელი ძრწოდა. მასწავლებლები საშინლად ღელავდნენ *რქინუნული*

პირველი ორი გაკვეთილი ჩამშალა. მღელვარება მოწაფეებსაც გადაედოთ. სკოლა ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა.

იოსებ ოცხელი სწრაფი, ენერგიული ნაბიჯით შევიდა სამასწავლებლოში და ხმამაღლა განუცხადა პედაგოგებს:

— შეუწყნარებელი ამბავია, ბატონებო!.. დაე, დახურონ ჩვენი სასწავლებელი, ოღონდ ბრძოლაში ნუ გამოვიჩნთ სილაჩრეს, მთელ ქალაქს უნდა ვანახოთ ჩვენი დარაზმულობა და ერთსულოვნება, ყველანი გავალთ საპროტესტო დემონსტრაციაზე ჩვენი ამხანაგების დასახსნელად... ყველანი გავალთ, მთელი სასწავლებელი... უკლებლივ! ორგანიზებულად, ისე, როგორც შეფერის სიმართლისათვის მებრძოლ ადამიანებს!..

იოსებ ოცხელი ისე იყო აგზნებული, იმავე წუთს გაიყოლებდა მთელ გიმნაზიას ქალაქში. მაგრამ დემონსტრაციას სათანადო მომზადება უნდოდა.

— ბატონებო, ჩვენი გიმნაზია ყოველთვის იღვა და კვლავაც მტკიცედ იდგება იმ პლატფორმაზე, რომელსაც ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის სამსახური ჰქვია... ჩვენს სასწავლებელს აქვს თავისი საბრძოლო ტრადიციები, ნუ ვუღალატებთ მას და ბოლომდე ვიყოთ მართალი საქმის მოსარჩლენი... მიბრძანდით კლასებში და მოუწოდეთ უფროს კლასელ მოწაფეებს. გამოვიდნენ დემონსტრაციაზე, საჭიროა ჩვენი ძალების მობილიზება... გათხოვთ, მიბრძანდეთ და განუმარტოთ ყმაწვილებს საქმის ვითარება.

ნიკო ნუტუბიძისთვის პირველი არ იყო ასეთი მღელვარე დღეები. დრო იყო, წლები იყო ისეთი, როცა ცარიზმის ისედაც მძიმე უღელი უფრო მეტად დამძიმდა. ეს იყო რევოლუციის გარიყრავი და მეფის რეჟიმის გაბრძოლება თავისი თავის გადარჩენის მიზნით.

ჯერ კიდევ ოდესის უნივერსიტეტში სწავლისას ნიკო ეზიარა რევოლუციუ-

რად განწყობილ ადამიანთა აზრებს.

რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული ოდესის უნივერსიტეტი მოწინავე ადამიანების, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ნამდვილ სამკედლოდ ქცეულიყო.

ქართველი ახალგაზრდობა სწორედ სამხრეთის ამ სახელგანთქმულ უნივერსიტეტს ეტანებოდა. ჯერ ერთი, კოდნის სახელოვანი ტაძარი იყო, მეორეც ოდესის კლიმატს ადვილად უძლებდნენ. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ცხრაასხუთი წლის რევოლუციის პერიოდში დიდად ისახელეს თავი. მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებში ჯარებთან შეტაკებისას გმირულად დაიღუპა უნივერსიტეტის საპროფესოროდ დატოვებული ახალგაზრდა ბუნებისმეტყველი საბა კლდიაშვილი. ეს იყო უნიკვერსი ქაბუჯი, რომელზედაც მთელი უნივერსიტეტი დიდ იმედს ამყარებდა, მაგრამ ასე მუხანათურად განგმირა ჯალათების ტყვიამ. საბას ნეშტი ბათუმში ჩამოასვენეს. მისი დაკრძალვისას მოეწყო დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია. სწორედ ამ წლებში ოდესის უნივერსიტეტში ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ასწავლიდა.

რევოლუციის დიდი სუნთქვა უნივერსიტეტში უფრო მეტად იგრძნობოდა მაშინ, როცა ნიკომ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი სტუდენტი გახდა.

პირველი ხარისხის დიპლომით იგი ბაქოში მიდის მასწავლებლად.

ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქში, ბაქოშიც ღვივოდა რევოლუციის ცეცხლი. აქ თავი მოკყარათ ქართველ რევოლუციონერებს, ფილიპე მახარაძეს, სანდრო ეული-ქუროძეს, ძმებს — ანდრია და თედორე დოლიძეებს, კოწია ზომერაქს, ვარლამ მენაბდეს, სხვებსა და სხვებს. მათ სამხედრო-ლიტერატურული წრე ჩამოაყალიბეს და დაიწყეს ეურნალ „წყაროს“

გამოცემა. აქვე ჩამოაყალიბეს დრამატული წრე, რომელსაც სტოკო მფუნქციონირებდა. მთელი ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილოვის თეატრში ქართველებმა ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით დადგეს „ქრისტინე“. ამავე თეატრში ლადო მესხიშვილმაც განახორციელა „ყაჩაღები“, ბაქოში ჩამოდიოდნენ მსახიობები ვასო აბაშიძე, პავლიაშვილი, მატარიძე, ტასო აბაშიძე.

და ამ კულტურულ ცხოვრებას, ამ ადამიანთა მოღვაწეობას, რომელსაც განსაკუთრებული მიზანსწრაფვა ჰქონდა, არ აკლდებოდა ნიკო ნუცუბიძე. ქართველ რევოლუციონერებთან ჯდა კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობა მის გონებრივ პორიზონტს აფართოებდა და ცხოვრებაში უკვე საქმაოდ მოწიფული ახალგაზრდა პედაგოგი, თავისი პროგრესული, ნათელი შეხედულებებით უბრუნდება ქუთაისს.

და ახლა, როცა გაკვეთილზე მივუბრუნებოდა იგი, მიდიოდა გულანთებულ, მუხუთე კლასებთან რუსული ენის გაკვეთილი ჰქონდა ჩასატარებელი.

კლასში სამარისებური სიჩუმე დახვდა. გიმნაზიელები ფეხზე იდგნენ და ძაბულნი და პირგამეხებულნი, თითქოს ნიკოს ემდუროდნენ. რალაც ისეთი მოულოდნელი, იმდენად მძიმე ეჩვენა მოწაფეთა ასეთი დახვედრა, წამით დაბნეულ მასწავლებელს დაავიწყდა მისალმებოდა კლასში მყოფთ.

ქართული გიმნაზიის მასწავლებლები და მოწაფეები ბევრ რაშეს ითმენდნენ. მიზეზი გასაგები იყო ნიკოსთვის. მაშინ, როცა სხვა მასწავლებლებში მსგავსი ამბავის შემთხვევაში მღელვარება წრეს გადასცდებოდა, თუნდაც სათავადანაზარო კლასიკურ გიმნაზიაში მოწაფეები პეტარდებსაც კი აფეთქებდნენ, შლიდნენ გაკვეთილებს, კვირაობითა და თვეობით წყვეტდნენ სწავლას, არღვევდნენ რეჟიმს, დისციპლინას, მსგავსი რამ ქართულ გიმნაზიაში არ მომხდარა. კერძო გიმნაზია კლასიკურ გიმნაზიის ვერ გაუტოლდებოდა ცხარე საპროტესტო გამოსვლებში. კლასიკურ

გიმნაზიას თავად-აზნაურთა და გავლენიან პირთა საბით მრავალი დამცველი და მოსარჩლე ჰყავდა, ქართულ გიმნაზიას კი სულ დახურვით ემუქრებოდნენ.

ქართული გიმნაზიის მოწაფეები ცდილობდნენ მთავრობისათვის მასწავლებლის დახურვის საბაბი არ მიეცათ, თუმცა მასწავლებელთა მეშვეობით ისინი ჩუმად მაინც ემზადებოდნენ მომავალი ბრძოლისათვის. მომავალი ნათელი ცხოვრების შექმნისათვის. მასწავლებლები მათ როგორც შვილებს ისე ეფერებოდნენ და ზრდიდნენ, რადგან შვილი ეს ხვალისდელი დღეა. ის, ვინც ხვალისდელ დღეს არ უყურებს, დღევანდელსაც ვერ ხედავს, მას, ვინც არ ესმის ხვალისდელი დღის მნიშვნელობა, არც დღევანდელისა გაეგება.

როცა ნიკო კათედრასთან მივიდა, როცა მისი ნაბიჯების ხმა მიწყდა და კვლავ სამარისებური სიჩუმე გამეფდა, მისალმების ნაცქლად ყმაწვილებს უთხრა, დაბრძანდითო.

ისინი მაშინვე დასხდნენ. რაღაცას ელოდნენ, ყველაფრისათვის მზად იყვნენ, ოღონდაც თავშეკავების დიდ უნარსა და მორჩილებას გაეჭვავებინათ. „რა ვქნათ?“ აი, რა იგრძნობოდა, აი, რა ისმოდა მათ მძიმე დუმილში, მათ გამომეტყველებაში, მრისხანედ ანთებულ თვალებში, საყვარელი მასწავლებლები საპოლიციო განყოფილებაში მძევლებად ჰყავთ, რომ ამ საღამოს ჩაიშალოს მათ მიერ მომზადებული წარმოდგენა.

ნიკოს გული სიამაყით ჰქონდა სავსე. სამასწავლებლოდან გამოყოლილი ბრძოლის ენის, ცეცხლი და სითბო, ოცხელის მგზნებარე სიტყვები, მოწოდება და ამ ყმაწვილების დაძაბული გამომეტყველება გულს უფორიაქებდა და ცოტა არ იყოს აზნევედა კიდევ, რადგან ის სარდალი არასოდეს ყოფილა და არც რაიმე შეტაკებაში მიუღია მონაწილეობა.

მის სიტყვას კი ელოდნენ. რა მოხ-

დებოდა, რომ ახლა ჩვეულებრივი გაკვეთილი ჩაატაროს? ეს შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია. სამსახურში ერთი გიმნაზიელი არ არის განწყობილი. ისინი მასწავლებლისაგან სულ სხვა რამეს ელიან, მოწოდებას, წინ გაძლოლას, რაღაც ისეთი რაიმეს გაკეთებას, რაც მათ აღუღებულ გულს დაამშვიდებს.

— ყმაწვილებო, — დაიწყო ნიკომ. გაკვეთილის ახსნას არ იწყებდა, არც რომელიმე მოსწავლის გამოკითხვას. ახლა, ამ წუთებში სულ სხვა დამოკიდებულება სუფევდა მასწავლებელსა და მოწაფეებს შორის. დუმდნენ, მაგრამ თითოეული მათგანის გულისგეთქვას კარგად გრძნობდა ნიკო.

— ყმაწვილებო! — თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მცირე, მაგრამ მაინც გარკვეულ მანძილზე ასე არასოდეს შეუყოვნებულა მოსწავლეების წინაშე. — დიახ... — თქვა და კვლავ მთლიანად დაეკარგა სიტყვათა მარაგი, მაგრამ მის გონებას ისევ მალე მოეფინა ნათელი და განაგრძო, — ჩვენი მასწავლებლების დაკავება და დღევანდელი საღამოს ჩაშლის ცდა აუღელვებლად არ შეიძლება განიცადოს კაცმა. თქვენს თვალებში ვკითხულობ დიდ გულისტყვივლს, ვხედავ აღშფოთებას... მაგრამ მაინც გემართებს თავდაპირილობა და ორგანიზებულობა... ხვალისთვის გიმნაზიის მასწავლებლები და უფროსი კლასების მოსწავლეები მოვაწყობთ საპროტესტო დემონსტრაციას, ქალაქის ხელმძღვანელობას და ყანდარმერიას მოვთხოვთ ჩვენი მასწავლებლების დაუყოვნებლივ გაათავისუფლებას... ქალაქს ვაჩვენებთ ჩვენს დარაზმულობას მართალი საქმისათვის ბრძოლაში, ასეთია პედაგოგიური საბჭოს და დირექციის გადაწყვეტილება.

დემონსტრაციამ ფართო ხასიათი მიიღო. ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს კლასიკურ გიმნაზიასთან უნდა გაველოთ და იქაური მოსწავლეებიც წაეყვანათ.

სანამ ქართული გიმნაზიის მასწავლებლები და მოწაფეები ქალაქის შუაგულისკენ დაიძრებოდნენ, სანამ შენობის წინ კლასების მიხედვით ეწყობოდნენ, იოსებ ოცხელს საიდუმლოდ აცნობეს, კლასიკური გიმნაზიის სარდაფში დამსჯელი რაზმები მიიმალნენ და შეიძლება სროლა აგიტებონო.

ოცხელს წარბივ არ შეუხზარია. რამდენიმე უფროსკლასელი აფრინა კლასიკურ გიმნაზიის იმ ჭკუფისაკენ, რომელიც დემონსტრანტებს თავიანთი სასწავლებლის წინ უნდა შეერთებოდა, რამდენიმეც წმინდა ნინოს სასწავლებელში გაგზავნა. ქალთა ჭკუფებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ მხარში ამოსდგომოდნენ ქართული გიმნაზიის დემონსტრანტებს. შეხვედრა ჭკუვის ხიდთან მოხდებოდა. აქ მოიყრიდნენ თავს და დაიძრებოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. კლასიკური გიმნაზიელებისა და წმინდა ნინოს მოსწავლეთა ჩარევით ოცხელი თავს იზღვევდა, რომ ეანდარმები ვერაფერს გაბედავდნენ.

კლასები რომ ეწყობოდნენ, ნიკომ დემონსტრაციაზე გამსვლელთა შორის თავისი ძმა შალვა შენიშნა. შალვა თოთხმეტი წლის იყო, მისი კლასელები არ დაუბარებიათ, ის კი მეოთხე-მეხუთეკლასელებში ტრიალებდა, ყველასგან გამოჩეული. დაბალი, მაგრამ მკვირცხლი და მოუსვენარი ყმაწვილი.

— შენ აქ რა გინდა? — უფროსმა ძმამ ჭეჩოში წაავლო ხელი შალვას.

მართალია, ნიკო ძმა იყო მისი, მაგრამ მასწავლებელი იყო და სკოლაში იმდენს ვერაფერს ვერ უბედავდა, რასაც შინ ჰკადრებდა. უფროსი ძმის რიდი და სიყვარული ჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ გაუჭიქტდებოდა კიდევ ხოლმე...

მაგრამ აწლა შალვას თვალეში ბავშვური ცნობისმოყვარეობა და რაღაც გაურკვეველი ამბის ინტერესი როდი გამოსკვიოდა, მის ჭკვიან და მორჩილ თვალებში იხატებოდა რწმენა, რითაც გამსჭვალული იყვნენ სხვა გიმნაზიელები და კარგად ესმოდათ საით და რა საქმეზე მიდიოდნენ.

— მე აქ უნდა ვიყო, თქვენთან ერთად! — იყო ყმაწვილის ეჭვიანი მტკიცე პასუხი.

ნიკო ისე ცივად გაშორდა, ველარაფერი უთხრა, შორიდან კი თვალს ადევნებდა, რა ამაყად მიაბიჯებდა იგი გიმნაზიელებს შორის.

ჭკუვის ხიდთან ორი დიდი ჭკუფი შეუერთდათ. კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს რამდენიმე მასწავლებელიც ახლდა, წმინდა ნინოს სასწავლებლიდანაც იყვნენ აღმზრდელი ქალები.

იოსებ ოცხელი გულში ზეიმობდა ასეთი ერთსულოვნებისა და დარაზმულობის გამო. სხვა სასწავლებელთა წარმომადგენლები თავისი გიმნაზიის კოლონაში ჩააყენა, კოლონის სათავეში მასწავლებლები მოაქცია და ყველას კი თვითონ გაუძღვა წინ. მართალია, დაიმედებული იყო, რომ კლასიკურ და ქალთა გიმნაზიელებს ეანდარმები ვერაფერს გაუბედავდნენ, მაგრამ მაინც შიშობდა, ვაითუ, იმათაც არ შეეპუონ და ეანდარმთა უფროსის ერთ უქუღმართად, გაბრაზებულ გუნებაზე ნათქვამ სიტყვას ტყვიის ცეცხლი მოაყოლონო.

ზამთრის დღე იყო. მოჭურუშებული, სათოვლედ გამზადებული ცა დაქუტრებდა ქუთაისს. ცივი ჭარი უბერავდა რიონის ხეობაში.

რამდენადაც უახლოვდებოდნენ დემონსტრანტები კლასიკური გიმნაზიის შენობას, იმდენად მეტი შიში იპყრობდა იოსებ ოცხელს, მაგრამ არ იმჩნევდა. მისი თვალი არ შორდებოდა შენობის სარდაფის დაბალ, თითქმის მიწასთან გასწორებულ ფანჯრებს: „ნუთუ გაბედავენ და გვესვრიან?“ — ეს ფიქრი არ ასვენებდა იოსებს. მაგრამ ბრძოლა რომ გარდაუვალია, ამას სად წაუხვალ? როგორ უნდა გაერაყო ცხოვრების ახალ მდინარებას, მდინარებას, რომელიც დაიძრა, აბობოქრდა და უნდა წაღეკოს ძველი, დახავსებული ყოფა!

ქუჩაში გამოფენილი ხალხი შეძახილებით მიაცილებდა გიმნაზიელთა მხნე კოლონებს.

კარიზხლისაგან გარიყული დრედნო-უტივით გარინდულაყო კლასიკური გრუნაზიის შენობა — ამჟამად ეანდარმთა ციხე-სიმაგრე.

სარდაფის თანჯრები დამანული იყო. სადარბაზო შესასვლელში ოცხელმა თვალი მოჰკრა რამდენიმე ეანდარმს და ერთხელ კიდევ გასცრა ერთანტელმთ. „ნუთუ ახლა დაიწყება?“, „მოსახდენი უნდა მოხდეს!“ თავს ძალა დაატანა, დემონსტრანტებისაკენ შებრუნდა და შეუძახა:

— მხნედ, მეგობრებო! მხნედ!

და უკვე დარწმუნებული იმაში, რომ ეანდარმებმა ცეცხლის გახსნა ვერ გაბედეს და შენობის სიღრმეში მიმალულნი თავიანთ ადგილებზე დარჩნენ, ოცხელმა პირველი გამარჯვების სიხარული იგრძნო.

ეს იყო ნიკოს უმცროსი ძმის შალვა ნუცუბიძის პირველი საბრძოლო ნათლობა. ყმაწვილთა გახარებული იყო, რომ ერთობის ძალამ იმარჯვა და მასწავლებლები თვითმპყრობელებს გამოსტაცეს.

სალამოს იგი შინაურებს აღფრთოვანებული უამბობდა დემონსტრაციებზე, დიმიტრი ნუცუბიძე სიამაყით შეკუყურებდა თავის ჩიკორივით ბზრიალა მოუსვენარ შვილს.

— საშიში დროა, — შიშობდა დედა, — როგორ გაბედე და წაპყევი უფროსებს!

— დედა, შენი ვალია დამარიგო ჭკუა. — დამჯდარი, ბრძენკაცივით მიმართა შალვამ, — მაგრამ ჩვენც საკმაო რამ ვისწავლეთ და შეგვიძლია საკუთარი ჭკუა-გონებითაც ვიმოქმედოთ...

— უყურე ერთი ამას, ჭერ მიწას არ ასცილებია!.. — კვლავ ბული უღონდება იფლიას.

— ყმაწვილი სწორად მსჯელობს, რას ერჩი... თოთხმეტი წლისას ბავშვი აღარ ეთქმის, — ოთახში ამაყად გაიარა დიმიტრი ნუცუბიძემ.

სწორედ ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ნიკო.

იგი ზღანოვიჩის ქტჩინდანი მასწავლებელს ყოველ საღამოს მოდიოდა „ზასტავაში“ თავისიანების სანახავად. იულია დღისით რძალს ეხმარებოდა პატარების მოვლა-გაზრდაში. ნიკოს დებიც, მარო და ოლიაც, თითქმის მთელ დღეს ზავადსკის სახლში ატარებდნენ სკოლიდან დაბრუნებულნი, მაგრამ ნიკო მაინც ვერ განუდგა თავის მშობლიურ კერას. რა დროც არ უნდა ყოფილიყო, თავისიანებს დახედავდა, მამასთან წაისაუბრებდა და შემდეგ შინ გასწევდა. ნიკო იმ დროს შემოვიდა, როცა დიმიტრიმ წამოიწყა:

— არამზადები... არამზადები! შვილს შეხედა და გაუღიმა.

— მასწავლებლებს რაღას წერჩიან?..

ნიკომ შალვას შეხედა, რომელიც თავის და-ძმათა შორის იდგა.

— შალვა, — მიმართა ნიკომ, — თუ არ დამიჯერე, როგორც შენს უფროს ძმას, შენს მასწავლებელს, ბოლოს და ბოლოს... წავიჩხუბებთ.

სწორია, — შესძახა იულიამ და გაბრწყინებული სახით შეხედა უფროს ვაჟს, — მადლობა დმერთს, რომ მყავს შემწე და დამხმარე, ერთი ჭკვიანი შვილი...

— შენ სხვა შვილებს ნუ ემდური, დედიკო, — ტკბილად შეუწყრა დიმიტრი, მერე ნიკოს მიუბრუნდა, — დააშავა რამე?

— ყოველ შემთხვევაში, ბავშვების საქმეზე არ ვიყავით დღეს მთავრობასთან... და არც ექსტრისიანზე საღმე... — ნიკო თვალს არ აშორებდა შალვას.

იმდღევანდელმა დემონსტრაციამ დიდი კვალი დასტოვა გიმნაზიელთა ცხოვრებაში. ერთობის ძალას ვერაფერი გასტეხდა. რწმენამ სიამაყე შესძინა ყმაწვილებსა და მასწავლებლებს.

მოხშირდა რევოლუციური სიმღერები და ლექსები.

სწავლა თავისი კალაპოტით მიედინებოდა.



მეოთხედი იწურებოდა. შობის დღე-სასწაული ახლოვდებოდა — 1917 წელი კარზე მომდგარიყო.

მეოთხედი ისე დაილია, კაკო ნემსაძე აღარ გამოუძახია ნიკო ნუცუბიძეს. მასწავლებელი მერხებს შორის რომ ჩაივლიდა, სათითაოდ ყველა მოწაფეს ჩათვლიერებდა. ო, რა გულთმისანივით კითხულობდა მათ სახეზე — იცოდნენ გაკვეთილი თუ არ იცოდნენ.

კაკო არასოდეს მოუშზადებელი არ მისულა ისტორიის გაკვეთილზე. ყოველთვის გაბედულად სწევდა ხელს, ყოველთვის გაბედულად ელოდა მასწავლებლის გამოძახებას, მაგრამ გამოძახების ნაცვლად, მიუახლოვდება მასწავლებელი, ხელს აღერსით შეავლებს მის აწეულ ხელს, სიტყვას არ დასძრავს, დააშვებინებს...

რამდენჯერმე იძახებდა მათ, ვინც საშუალოდ ან ცუდად სწავლობდა, გონებასა და ენას უფარჯიშებდა, აიძულებდა ბოლოს და ბოლოს ბევრი თუ არა, ცოტა რამ მაინც შეეთვისებინათ... ორმოც ბავშვში ძნელი იყო მუშაობა. ყველა რომ ორ-ორჯერ გამოეკითხა, გაკვეთილების ასახსნელი დროც არ ეყოფოდა... კაკოს კი აღერსიანი თვალეზით შეავლებდა მზერას, ისევე, როგორც სხვა ბევრი ბიჭებს, მასაც ასევე მოფერებით და უსიტყვოდ დააშვებინებდა ხელს... ზარმაცის მიმართ სულ სხვა ზნის იყო — ნიჰს თუ შეატყობდა, წარბს არ გაუხსნიდა, ტუბილ სიტყვას არ აღირსებდა, მკვახე იყო და შეუბრალებელი.

სწავლება დიდი ხელოვნებაა — წერთნა ყრმისა იმ სცენაზე გასასვლელად, რომელსაც ცხოვრების ასპარეზი ჰქვია.

ნიკო ამ თვალსაზრისით უყურებდა თავის საქმეს.

ამიტომ არ უნდოდა ცხოვრების ასპარეზზე უსუსურნი გამოსულიყვნენ, აბუჩად ასაგდებნი გამხდარიყვნენ ცხოვრებაში. მისი ნამოწაფარი უნდა ყოფილიყო სრულყოფილი ადამიანი, სოზოგადოების ღირსეული წევრი, ადა-

მიანებისა და სამშობლოს წიყველი... გაივლის წლები და ისევე ჩრფვობდა ერთ დროს გიმნაზიის შეტრთხეკმსწელები მღელვარებით ელოდნენ ახალ მასწავლებელს. ამ სტრიქონების დამწერი და მისი ამხანაგებიც ისეთივე მღელვარებით დაელოდებიან ახალ მასწავლებელს. კლასში შემოვა წარმოსადეგი. შავ კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ეცმევა თეთრი, გაქათქათებული პერანგი, ექნება კოხტად შეკრევილი და ღამაზად გადავარცხნილი შავი თმა, სითბოთი საესე თაფლისფერი თვალები, შემოვა კლასში დინჯი ნაბიჯით. უცებ მოგზობლავს თავისი შინაგანი სიძლიერით. გარეგნული სიფაქიზითა და მომზიბვლელი მეტყველებით.

ღიახ, ეს კაცი მე კარგა ხანს მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. წლიდან წლობით ღვივდებოდა მისდამი განსაკუთრებული წმინდა და შეუდარებელი სიყვარული. იგი ჩვენი, მოწაფეების დიდი მეგობარი იყო. უფროსი და საიმედო მეგობარი.

ეს კაცი კაპიტონ ნემსაძე გახლდათ. ნიკო ნუცუბიძის ნამოწაფარი, აი, რა შორს მოდიოდა მასწავლებლის სითბო და სიფაქიზე... მოდიოდა, რადგან სწავლება დიდი ხელოვნებაა — წერთნა ყრმისა იმ სცენაზე გამოსასვლელად, რომელსაც ცხოვრების ასპარეზი ჰქვია.

1917 წელმა ბევრი სიახლე და მღელვარება მოიტანა.

პატარა ქალაქში ყუმბარასავით გასკდა: „მეფე ჩამოაგდესო!“

აზვირთდა მოწაფეებისა და სასწავლებლების პატარა, პროვინციული ქალაქი. ახალგაზრდობა, ხალხთან ერთად. მოეფინა ქუჩებს. აფფრიალეს წითელი დროშები.

ზარდამცემი ამბით თავრეტლასხმული ქალაქის მმართველობა, პოლიცია, ფანდარმერია, მეფის მოხელეები კედლიდან კედელს აწყდებოდნენ და აღსასრულის ფაშის მოახლოებას განიცდიდნენ.

ქართულ გიმნაზიაში დიდი ზეგმა გა-

იმართა. სერგი რომაქიძემ, ალექსანდრე წერეთელმა, გიორგი სვანიძემ, ალექსანდრე ჯაფარიძემ თავიანთ სადამრიგებლო კლასებს სხვა კლასებიც შემოუერთეს და რუსეთის რევოლუციის შესახებ მოხსენებები წაიკითხეს.

იმავე საღამოს ქუთაისის თეატრში დიდი მიტინგი მოეწყო. ნიკომ დიდი ვაიფავლახით მოახერხა შეელწია დარბაზში და მოესმინა ორატორთა სიტყვებისათვის.

მზნებარე სიტყვა წარმოთქვა იოსებ ოცხელმა. მაღიმალ გაისმოდა შეძახილები, დარბაზი ფეხზე დგებოდა და ტაშის გრიალით კედლებს აზანზარებდა.

თავისუფლებამ უცებ გაიჭირთა პატარა ქალაქში. გამოცოცხლდა ღუქნები, გამოცოცხლდა და უფრო მეტი ეშვი მიემატა იმერულ სიმღერას. ვისაც როგორ შეეძლო, ისე გამოხატავდა თავის სიხარულს.

ღარიბ-ღატაკებმა თავისუფლების პირველი სუნთქვა რომ იგრძნეს, იმედიტ გამოიხედეს და თვალზე ცრემლმომდგარნი აღელვებულნი უყურებდნენ ქალაქის შუაგულში თავმოყრილ ზღვა ხალხს.

დიდ-პატარა ჩილინგაროვის სახლთან შეჯგუფდა.

ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა თავ-თავიანთი კლასები დარაზმეს, ზემით, შეძახილებით და სიმღერით ჩამოუარეს კლასიკური გიმნაზიის მოწაფეებს. შეიერთეს ისინი და მალე მიადგნენ ჩილინგაროვის სახლს, რომლის ერთ აივანზეც, ტრიბუნის მაგივრობას რომ სწევდა, თავი მოეყარათ რევოლუციონერებს. აივანზე წითელი დროშა გადმოეფინათ და რალაციის მოლოდინში წრიალებდნენ. ალბათ არკვევდნენ, ვის უნდა მიემართა ხალხისათვის.

აივანზე ნიკომ რამდენიმე ნაცნობი შენიშნა. ყველაზე უკეთესად მათ შორის სოცილისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთ ლიდერს, საზოგადო მოღვაწეს, კატიკოსსა და შესანიშნავ ლიტერატორს კიტა აბაშიძეს იცნობდა. ნიკო

მის ნიჟს პატივს სცემდა და არც ერთი მისი გამოკვეყნებული ნაწარმოები წუთითხავი არ დაუტოვებდა.

კიტა აბაშიძეს გაწყვილილი უღვაში და ბლანქე შეენოდა, დიდი შუბლი, გადაშლილი ფართო წარბები ჰქონდა. კაცი შორიდანაც კარგად გაარჩევდა მის გამკოლ, სიცოცხლით სავსე თვლებს. სწორედ იგი მოადგა აივანის ხარხასს, აზიმიზიმებულ ხალხს გადმოხედა და ხმადაბლა დაიძახა:

— აღსრულდა, ხალხო! მეფე ჩამოგდებულა! ხალხს ტანჯვა-წამების ბორკილი მოეხსნა!..

საკმაოდ ვრცელი სიტყვა თქვა. ლაპარაკი მას არ უჭირდა და აზრს არავის ესესხებოდა. აზვირთებულ მასას ჟრუანტელად უვლიდა თავისუფლების სიტყვა კეთილი.

დროდადრო ისმოდა შეძახილები, მთავრობის სახლის სკვერში ტაში გრიალებდა.

ზეიმი არც შემდგომ დღეებში ჩამცხრა. მიიშლნენ მეფის ჩინოვნიკები. ხალხს რევოლუციის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა — პატარა ქალაქში კვლავ თავ-თავიანთ მუნდირებში გამოჩნდნენ ჩინოვნიკები და მოხელეები.

გაზაფხული ადრე მოდის ქუთაისში, ძალიან ადრე და ისე ლამაზად, თითქოს მაშინ იბადება სამყარო, მაშინ ისახება მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სიცოცხლე.

უსულო საგნებსაც კი სულს უდგამს გაზაფხული.

მერედა, რა ლამაზად მოირთვება ხოლმე უქიმიერიონი და კიბული, როგორ ნაზად, ჰაეროვნად გაიფურჩქნებიან ხეთა კოკრები ბაღებში. ქუჩებში სითბო დაივლის, ღობეებს თეთრპერანგა ტყემლები ცნობისმოყვარე გოგონებვით მოადგებიან, თითქოს ქუჩაში უნდა მოხდეს მოსახდენი — აქ უნდა ჩა-

მოიაროს მზეთუნახავი გაზაფხულის ეტლმა.

ის კი ყველგან ერთნაირად მოედებოდა, ნაირ-ნაირი, სულ ცოცხალი საღებავებით, მზის ალერსიანი სითბოთი და იმედებით.

ღალიან ადრე მობრძანდება გაზაფხული ქუთაისში. მაგრამ ასეთი შიმშილიანი კი არასოდეს მოსულა, ასე ხელცარიელი... ილიმება, კეკელუცობს ქარაფშუტა ლამაზმანივით, ტანჯული კაცის გულს სიღრმეს კი ვერ სწვდება მისი ალერსი, მისი ეშხი და სილამაზე.

ასეთი დაძაბული, ასეთი არეული წელი არასოდეს ახსოვს ნიკოს.

საქართველოში მენშევიკებმა მოიკალათეს, მეფის ჩინოვნიკებმა ძველი ადგილები შეინარჩუნეს. პატარა ქალაქს მალე გაუნელდა თებერვლის რევოლუციით გამოწვეული სიხარული.

სწორედ გასაჭირის ჭამს გამოლოდდება ზოლმე ათასი ურჯულო, სპეკულანტი, ქურდი და ჯიბგირი, კაცის მკვლელი და ყაჩაღი...

ქვეყანას გაჭირვება სახადივით დაერია. პურის დუქნებთან, სასურსათო მაღაზიებთან რიგები გაიჭიმა. პურის მაღაზიაო... სადღა იყო პური! ზეთზე გამომცხვარ მჭადზე მთელი ღამე იდგა ხალხი რიგში. გაწყდა ნავთი და ასანთი.

ნინო და ნიკო ორი პატარა ბავშვით დროებით გვარამაძეებისას გადასახლდნენ — ნინოს მამის სახლში ერჩივნა ყოფნა, ზავადსკის ნაჭირავები ოთახი ისევ ჰქონდათ, რადგან ნიკო ღამეს იქ ათევდა, მუშაობდა, ხოლო ზოგჯერ გვარამაძეებისას რჩებოდა.

ნიკოს პირველი ვაკვეთილი მეოთხეკლასელებთან ჰქონდა რუსულ ენაში. ათი ყმაწვილი უკვე მესამე დღეა არ დაიარებოდა, ყველაზე უღარიბესნი; რომელ ერთს გაუწვდი დახმარების ხელს, ან რით დაეხმარები თავად კუჭამომწვარი...

ძალიან მძიმე და აუტანელი დღეები დადგა.

ქართულ გიმნაზიაში, ისევე, როგორც სხვა მრავალ სასწავლებელში, მოსწავ-

ლთა შორის იყვნენ ბეჯითნი, საშუალონი და ისეთნიც, ვისთვისაც სწავლა ტანჯვად იყო ქვეული. *გიგლინიძე*

მეოთხე „ბ“ კლასელი ლევან კაპანაძე უნიჭოთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ რუსულში მოიკოკლებდა.

— კაპანაძე, ვაკვეთილების შემდეგ დარჩები... უნდა მოგელაპარაკო, — უთხრა ერთხელ ნიკო ნუცუბიძემ. ვაკვეთილი მისთვის არ გამოუკითხავს.

კაპანაძე შეიშმუნა, მაგრამ შეკითხვა ვერ გაბედა, კარგად იცოდა ნიკოს ხასიათი, რომ იგი ზედმეტი სიტყვის გამო ერთს მკაცრად, უსიტყვოდ შეხედავდა და გააჩუქებდა. მასწავლებელმა უბრძანა, ესე იგი, უნდა დარჩეს!

და როცა ვაკვეთილების შემდეგ მთელი კლასი შინ წავიდა, კლასში მარტო დარჩა კაპანაძე. ბიჭები დიდი ამბით გამოემშვიდობნენ „მძევლად“ დატოვებულ ამხანაგს, ეხუმრებოდნენ, გაამხნევეს, ზოგმა თავშიც წაუთაქა. ბიჭების ხმაური მიწყნარდა, დერეფანში მიიკარგა ფეხების ბათქაბუთქი. და უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, მარტომ ვერ გაუძლო და იფიქრა, ეგებ გადავიწყდა ნიკო მასწავლებელს ჩემი აქ ყოფნა, მოდი სამსწავლებლოს კარს ჩავუვლი, ეგებ დამინახოს და გავახსენდეო. ჩანთა აიღო და ის იყო დერეფანში გამოვიდა, დაინახა დაცარიელებულ დერეფანში მომავალი ნიკო მასწავლებელი. ჩვეული ენერგიით, სწრაფი ნაბიჯით მოემართებოდა.

— ბოდიშს ვინძი, რომ ცოტა შემავგიანდა, — მოწიწებით მიმართა მასწავლებელმა კაპანაძეს. ლევანს ეგონა მეხუმრებოთ, მაგრამ ნიკოს სახეს სულ არ ეტყობოდა ხუმრობა.

ლევანი შეკრთა და მიუგო:

— რას ბრძანებთ, მასწავლებელო!

— შემოდი კლასში. მიხურე კარი. აი, ამ მერხზე დაჯექი.

მასწავლებელმა იგი წინა მერხზე დასვა და თვითონ გვერდით მიუჯდა.

— მინდა სერიოზულად მოგელაპარაკო, ასევე სერიოზულად მომიხმინო, გონივრულად გაუკეთო ანალიზი დღე-

ვანდელ ჩვენს საუბარს და დღეიდანვე, ჩვენი საუბრის დამთავრებისთანავე, დავადგეთ სულ სხვა გზას. ხომ გესმის, რას გეუბნები?

— გისმენთ. პატივცემულო მასწავლებლო.

ლევანი მერხს დასჩერებოდა, ხედავდა მერხზე დაწყობილ მასწავლებლის ხელებს და მისი თითების მოძრაობით ხედებოდა, რომ ნუცუბიძისთვისაც ძნელი იყო ეს შეხვედრა და რაღაც დიდი აზრის შემცველი საუბრის დაწყება: „სულ სხვა გზას დავადგეთ“.

— გიყვარს მშობლიური ენა? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მიყვარს.

მასწავლებელმა თითები ნერვიულად აათამაშა.

— რაში გამოიხატება?

— რა ვიცი, რაში უნდა გამოიხატოს... მიყვარს... თავისი ენა ვის არ უყვარს!

— ეს რა სიყვარულია, როცა მშობლიური ენაში საშუალო ნიშანი გაქვს? ეს უკვე სიყვარული არ არის. მშობლიური ენის სიყვარული იცი რა არის? როცა მთელი შენი არსებით, გონებით, სულით, თითოეული შენი უჭრედით გრძნობ მის სურნელებას, მის ხატოვნებას, მის აუცილებლობას შენთვის ისევე, როგორც პაერსა და წყალს... ურომლოსოდაც სიცოცხლე მართლაც შეუძლებელია, როცა გრძნობ, რომ თითოეული ქართული სიტყვა ეს ჩუქურთმია, ეს მხატვრობაა, ეს სურათია... თითოეული სიტყვა ფერია... ეს თუ არ შეიტყებ და შეისისხლობრცე, ისე რა სიყვარული გექნება ენისა! ენა შენი მიწის, შენი სამშობლოს სუნთქვაა. გესმის ეს სუნთქვა? ენა ჩვენი წინაპრების გადმომცხილია, ენა შენი მშობლების ალერსია. ენა შენი სისხლი და ხორცია... დაფიქრებულხარ ერთხელ მაინც ამაზე? შემომხედე, ლევან.

— არა, ასე, როგორც თქვენ ამბობთ... არასოდეს არ მიფიქრია, პატივცემულო მასწავლებლო.

— ახლა გაიგე, რაც გითხარი...

— თქვენ ისე ლამაზად თქვით... კარგადაც გავიგე...

— უფრო მეტად შეეცადე... სულ ენაში... გასაკვირია, პირდაპირ, სიტყვებს ისე ამახინჯებ. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, რომელიმე სხვა ერის შვილმა შენი ენა ასე დაგრიბოს, დაკუწოს, დაგიფხრიწოს... გესიამოვნება?

— არ მიყვარს რუსული! — უცებ მოკრით და გარკვევით თქვა ლევანმა. რის შემდეგ წუთიერი დუმილი ჩამოვარდა. მასწავლებელმა თითები ისევ აათამაშა მერხზე და ღრმად ამოისუნთქა.

— მიზეზი?

ლევანმა ხელებს დაუწყო წვალება და თვალში ცრემლი მოერია. ამის დანახვაზე შეცბუნდა ნიკო. ყმაწვილს ზამთრისთვის შეუფერებელი სამოსი ეცვა. თითქოს ახლა შენიშნა მისი სიღარიბე და სიბეჩავე. მსგავსი ყმაწვილები გიმნაზიაში უამრავი იყო, მაგრამ ისინი ჩინებულად სწავლობდნენ.

პასუხი რომ ვერ მიიღო, კითხვა აღარ განუშეშებია ნიკოს.

— მამა სად მუშაობს?

— მამა არა მყავს, პატივცემულო მასწავლებლო... სამი წლის წინ რუსმა სალდათებმა მოკლეს რკინიგზაზე...

ნიკო წამოდგა. ალბათ მერხი ევიწროვა, სუნთქვა შეეკრა და თავიც გაუბრუნდა. „იქნებ მშვიერიცაა, საცოდავი!“ გული მოეწვა. თვითონაც ხომ მშვიერი იყო, ინანა, რომ ასე უდროოდ დროს დასტოვა კაპანაძე, სასაუბროდ შესაფერი დრო ვერ მოუნახა. მაგრამ საუბარი უთუოდ უნდა გაგრძელებულიყო სწორედ იქიდან, ყმაწვილის კატეგორიულ და მტკიცე განცხადებიდან, არ მიყვარს რუსულიო. ისევ გვერდით მიუჯდა. ერთხანს ჩუმად იყო და აზრს იკრებდა, ბოლოს ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით დაიწყო.

— მძიმე, ძალიან მძიმე ცხოვრება გვაქვს, ჩემო კარგო... ძნელია მამის დაკარგვა... შიმშილი და სიღუპური... ვინ იცის, დღეს არც არაფერი გიკამია...

ყმაწვილის თვალბეში ცრემლი შენიშნა და მხარზე დაადო ხელი.

— უნდა ყველაფერს გაუძლო, რადგან ვაჟკაცი გქვია... მომავალი თქვენ გეკუთვნის, ქვეყანა იმედით შემოგყურებთ... და თუ აქედანვე ყველაფერს სიძულვილითა და უიმედოდ ვუყურეთ, არაფერი გამოგვივა.

ნიკოს ხმაში სიმტკიცემ იმატა და მისმა ალერსიანმა სიტყვებმა ყმაწვილს გული გაუთბო.

— რუსეთში მოხდა რევოლუცია, სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც სულ ახლებურად, სულ სხვა მიმართულებით შეატრიალა რუსი ხალხის ცხოვრების ჩარხი. ხელისუფლება ხელში აიღეს მუშებმა და გლეხებმა. ეს კი იცო, რას ნიშნავს? ისინი თავიანთ მომავალ ცხოვრებას თვითონვე გამოსჭედნენ და ამ დალოცვილ მიწაზე ერთხელაც იქნება გაიხარებს მშრომელი კაცი, აი რა იმედები და რწმენა გადმოვიდა ახალ რუსეთიდან. განვუდგეთ? არ გავიზიაროთ და არ მივიღოთ ეს სიკეთე? ახლა შევიძულოთ მათი ენა, რომელიც ერთ-ერთ თვალსაჩინო ენად ითვლება ენათა შორის და ამ ენაზე იქმნება მდიდარი ლიტერატურა...

ნიკო დადუმდა. იგი ამას ალღევებულად და მგზნებარედ ლაპარაკობდა, ისე მგზნებარედ და ცეცხლოვნად, ყმაწვილი მოინუსხა.

— ცარიზმის რეჟიმი მძიმე უღლად აწვა თვითონ რუსეთს... მისი მსახვრალი ხელი მოხვდა მამაშენსაც... ენა კი, რუსული ენა ამიერიდან დარჩებათ მშრომელებს... მალე ალბათ გამარჯვებული მუშათა კლასი გამოგვიწვდის და ხმარების ხელს და ამოვალთ ამ დამბალ კაობიდან... ახლა ეს სიტყვები რომ გამოიგონ, ციხე არ ამკდება და შენ-შევიკების გვარდიელები ტყვეასაც არ დაიშურებენ ჩემთვის... მაგრამ მე შენ გადაგიშალე გული და ვითხარი სრული სიმართლე. თუ რამ გავიჭირდეს, მითხარი, არ მომერიდო, დავრჩეთ გაცვეთილების შემდეგ, დაგეხმარები...

კაპანაძე ჩუმად იყო, მაგრამ ახლა

თავი კი არ დაეხარა, მასწავლებელს უყურებდა.

— ნუთუ კარგი ცხოვრება გეცქმნება ოდესმე, პატივცემულო მასწავლებელო?

— უნდა ვიბრძოლოთ, უნდა ვეცადოთ, უნდა ვისწავლოთ და დიდი რევოლუციის ცეცხლი ჩვენშიც გადმოვიტანოთ. აი, მაშინ მოვითქვამთ სულს და კიდევ გვექნება კარგი ცხოვრება.

კაპანაძეს გული გამალებით უძგერდა. მასწავლებლის თვალბეში რწმენის ცეცხლი ენთო.

— ახლა კი წავიდეთ შინ, — თქვა ბოლოს ნუტუბიძემ და წამოდგა.

მეორე დღეს კაპანაძე გიმნაზიაში არ მოსულა. ეს მაშინვე შენიშნა ნიკომ, როგორც კი გაკვეთილზე შევიდა და ყმაწვილებს მიესალმა. კაპანაძის გარდა რამდენიმე მოსწავლეც აკლდათ, მაგრამ ნიკოს მაინცდამაინც კაპანაძე დააკლდა თვალში. გუშინდელი საუბრის შემდეგ, ქუჩაშიც რომ განაგრძეს, სულ სხვანაირ ბიქს ელოდა ნიკო.

მაგრამ კაპანაძე არ მოვიდა.

ნიკოს არავისთვის უქითხავს, რა დაემართაო. ჩვეულებრივ ჩაატარა გაკვეთილი. დროდადრო კაპანაძეს უბრუნდებოდა: „არა, დღეს მაინც არ უნდა გაეცდინა გაკვეთილი. ვანა რა დაემართა ისეთი, რომ არ მოვიდა?“

ჩაუარა მერხს, სადაც კაპანაძე იჯდა ხოლმე. გულისტკივილი იგრძნო ცარიელ ადგილს რომ დახედა. „დღეს აქ უნდა ყოფილიყო. დაე, ხვალ, ზეგ, მა-ზეგ, როცა უნდოდა გაეცდინა მიზეზით თუ უმიზეზოდ, მაგრამ დღეს აქ უნდა მჯდარიყო“.

გაკვეთილის შემდეგ გაიგო კაპანაძის მისამართი. ბალახვანში უცხოვრია. ნიკო შინ არ წასულა, პირდაპირ ბალახვანისკენ გასწია.

ნაშუადღევი იყო. ციოდა. ღამით წამობარდნილი თოვლი ფეხქვეშ ხრანუნობდა.

ბალახვანი ქონხახებითა და ბალებით, მოსახლეთა შორის გავლებული ვიწრო

შუკებით ქალაქის ნაწილს კი არა, სოფელს უფრო წააგავდა.

ასეა, ღარიბი კაცი ქალაქგარეთ სახლდება. ქალაქი ღარიბების უბნებით იზრდება, ქოხმახებით, ჰაიპარად აშენებული სახლებით. სიღარიბე ქალაქს ეტმასნება, ეკოწიწება. აქ უმეტესად სოფლებიდან სამუშაოდ ჩამოსახლებულნი ცხოვრობენ. სოფლურ ყაიდაზე დაეკამიტომ მოეწყვენ. განა არა, აქაიქ შნოიანი ორსართულიანი სახლებიც იყო ჩადგმული...

სულ სხვა იყო ბალახვანი გაზაფხულზე, როცა ეს ამდენი ბალი აყვავდებოდა, ნუში და ტყეშალი გამოიღვიძებდა, მათი ქორფა თეთრი ყვავილი გაიფურჩქნებოდა, ჭერ თეთრად გადაიპენტებოდა, მერე ვარდისფრად, ატმები წამოაშველებდნენ ახალ ფერსა და ლაზათს, ამასობაში ფოთოლიც წამოეზრდებოდათ ხეებს და ქალაქის ეს განაპირა უბანი ნამდვილ სამოთხეს დაემსგავსებოდა. აქაიქ კობტა სახლს უფრო შეაღამაზებდა, ქოხმახებს კი ისე წაეფარებოდა, თითქოს სირცხვილისგან შალავსო.

მინც როგორ იფეთქებდა ხოლმე მკენარეთა მწვანე ცეცხლი!

ახლა სულ თეთრად შელესილა ქოხმახები და შეშანბანდიანი სახლები, გასიპულა შუკები, ფქვილივით მიპყრია თოვლი ღობეებს, ხეებსა და ბუჩქებს.

ცა ისევ საავდროდ დაჰყურებს ქვეყანას.

ცივა. ნიავეც უბერავს.

ნიკომ პალტოს საყელო წამოიწია და გზას გაუდგა. ბალახვანში სიწყნარე სუფევდა. საკვამურებიდან ბოლი ამოდისოდა. ბოლს ნიავე-ქარი ხან ერთ მხარეს წაიღებდა და სწეწავდა, ხან მეორე მხარეს. რიონის ხმა ყრუდ მოისმოდა. გადარევა გაზაფხულ-შემოდგომაზე იცოდა.

ნიკო ერთ ვიწრო შუკას ჩაჰყვა, მესერთან შეჩერდა, ფიცრულ კუტიკარს გასაღები მოუსინჯა, კრილში ხელი შეჰყო, ხის რაზას აპკრა, კარი შეაღო და მეზობლის საზიარო ღობესა და ფიც-

რულ ძველ სახლს შორის ვიწრო ბილიკს გაჰყვა, რომელიც სახლს უყვან, აივანთან თავდებოდა. მასხლს წინ მატარა ბალი იყო. წვიმასა და ქარში ჩამუქებულ, დამსკდარ ფიცრულ სახლს ყვავარი ეხურა, აივანზე ოთხსაფეხურიანი უსახელურო კიბე იყო მიდგმული. აივნის მოაჯირი ბებრის ყბას ჰგავდა — აქაიქლა რომ შერჩენია კბილები.

ნიკო აივანზე ავიდა და კარზე დააკაუნა. კარი გაიღო და თავით-ფეხებამდე დაზღში შეფუთვნილმა გოგონამ გამოიხედა.

— ლაღო კაპანაძე აქ ცხოვრობს?

— კი, აქ ცხოვრობს, ბიძია, მობრძანდით.

ნიკოს ზედმეტი პატივი არ დასჭირვებია, გოგონას შეჰყვა. სახლი ორ-ოთახიანი იყო. წინა ოთახში თავმოყრილი იყო სასადილო მაგიდა, ტაბურეტები, ერთი რკინის საწოლი, ტანსაცმლის ძველებური აწოწილი კარადა, მამაპაპური ჭიანჭამი „ბუფეტი“. ნიკოს ოთახში არც კი მიუხედ-მოუხედავს, თვალში ისე ეცა ყველაფერი. ქუდი მოიხადა, მაგრამ არც დაკიდებას აპირებდა და არც სადმე დადებდას. თავზე ხელი გადაისვა და სანამ გოგონას რამეს ჰკითხავდა, ტანსაშოსის საკიდზე ლევანის ძველი პალტო შენიშნა, რომლის სახელოზეც ცარკით ციფრი 85 ეწერა. წარწერა ჩამოსვრილი იყო, ნახევრად წაშლილი. ეტყობა ციფრებზე ვიღაცას ხელებითაც უფათურია, იქნებ მუჭლუგუნებითაც გაიდღაბნა... ასეთ ციფრებს ხომ პურის რიგში აწერდნენ... პურის რიგს ეძახდნენ, ზეთზე გამოცხვარ სველ-სველ მჭადს კი იძლეოდნენ.

ნიკომ იგრძნო გულის გამაღებელი ფეთქვა. ერთხანს თვალი არ მოაშორა პალტოს.

გოგონა გაკვირვებული მისჩერებოდა უცნობს, ჩუმად იყო და სათქმელს, მოსვლის მიზეზს ელოდა.

მეორე ოთახში ვიღაცის შფოთიანი ღრმა ამოსუნთქვა გაისმა და ძველი ტახტის კრიალი.

ნიკომ გოგონას შეხედა, რომელმაც თავზე გადაიძრო ღაწლი და ახლა სასაცილოდ გაკეთებული კიკინები გამოუჩნდა, ბაფთის მაგიერ ცისფერი წვრილი ზორტებით განასკველა გოგონას ციმციმა, შავი თვალები ჰქონდა.

— სად არის, ლაღო?

— სძინავს, ბიძია... წუხელ მთელი ღამე...

— კი, ბიძიო, მივხვდი... — ისევ პალტოს შეხედა ნიკომ და მერე ნაღვლიანად იკითხა, — ერგო მაინც?

— კი, ბიძია... კი, ერგო! — ისეთი ბედნიერების სიმი აქლერდა გოგონას ხმაში, ნიკოს თვალში ცრემლი მოადგა. თავი შეიკავა. უბეში ხელი ჩაიყო, ფანქარი და ქალალი ამოიღო, რაღაც სასწრაფოდ დაწერა და გოგონას გაუწოდა.

— როცა გაიღვიძოს, შენს ძამიკოს... ძამიკოა, ხომ?

— კი, ლაღო ჩემი ძმაა.

— დედა სადღაა?

— სამუშაოზე. გვიანობამდე არ მოდის.

— ჰო, აი, ეს ჩემი მისამართია... გაიღვიძებს თუ არა, აუცილებლად მოვიდეს ჩემთან.

— კი, ბიძია... თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე მისი მასწავლებელი ვარ, ნიკო ნუცუბიძე.

— მასწავლებელი?! — გოგონამ ისე გაიოცა, თითქოს რაღაც საოცრება გაიგონათ. მაინც, რამ განაცვიფრა ამრიგად? ისეთი სიხარული ჩაუდგა თვალებში, ისეთი სილამაზით გაუბრწყინდნენ, ნიკო დაიხარა, გოგონას შუბლზე აკოცა, მერე სწრაფად შეტრიალდა და შუკაში გამოვიდა ფიქრარეული და გოგონებულო.

ნიკო ნუცუბიძე თავისი ოჯახით ამ ცოტა ხნის წინათ მასწავლებელ ფერადის სახლში გადავიდა საცხოვრებლად, პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად.

მართალია ზავადსკი თავის მდგმურებს თან ჰყვებოდა, მაგრამ პატარა დათოს სიკვდილის შემდეგ ნინო ვერაფრით ვერ ეგუებოდა იქაურობას და

არანაკლებ განიცდიდა ნიკოც. სახლს მიუხაზოვდებოდა თუ არა, მუხლებში სიძაბუნეს გრძნობდა და გული ისე გამალებით აუძგერდებოდა, რაღაც საშინელებად ექცა დათოს მოლანდება. ყოველთვის იმის მოლოდინში იყო, რომ სადღაც გამოჩნდებოდა იგი, კიშკართან, ეზოში, კიბეზე, კარადის უკან მიმალული, მაგიდის ქვეშ, ან ტახტქვეშ შემძვრალი... მისი ბავშვური სიცილე, მისი ხმა ისევ ტრიალებდა ზავადსკის სახლში და ყოველივე ამის შეგრძნება დათოს გარეშე მართლაც ძნელი, ძნელზე უძნელესი იყო! ამიტომ მასწავლებელმა ფერადემ თავისი ბინის ნაწილი მიაქირავა ნიკოს. ზავადსკიმ მაშინვე გაუგო ახალგაზრდა ცოლ-ქმარს და ბარჯის გადაზიდვაშიც მიეხმარა, მერე ხშირად აკითხავდა ფერადეებისას, რადგან მას ნიკოსთან საუბარი ერთ რამედ ერჩივნა, მისგან ბევრ საინტერესო რამეს იგებდა. კაცი დაბერდა და ცხოვრების ბევრი საიდუმლო მასავით მაინც არ იცოდა.

ნიკო ბალახვანიდან რომ დაბრუნდა, ნინო კუკურის უჭდა და რვეულში რაღაცას უხატავდა. შეიღს ცოტა ხნით მიაწება თავი და ქმარს მიხედა.

— რატომ შეგაგვიანდა?

— ბალახვანში გავიარე, მოწაფესთან... საცოდაობა ტრიალებს, ნინო... საცოდავი ბიჭი მთელი ღამე მკადის რიგში მდგარა, დღეს სკოლაში არ მოვიდა. შინ მივედი და ეძინა... დას დავუბარე, გამოიღვიძებს თუ არა, ჩემთან მოვიდეს-მეთქი. რუსულში მოიკოკლებს, ხელი უნდა წავაშველო...

ელოდა. კუკურის წაეთამაშა; შვილი მამას ეტიკტიკა. ნიკოს ყურადღება მაინც კარისკენ იყო და ყოველ წუთს დაკაუნებდას ელოდა.

შებინდდა. ლაღო არ ჩანდა. ნიკო საათს შეხედავდა, ძველებურ გირაგიან საათს, კარგა ხანს რომ ემსახურა ნუცუბიძეების ოჯახს. გადადებული მოძებნა, შეაკეთებინა და კედელზე ჩამოჰკიდა. ჯერ მამა-პაპას დაუთვალა წუთი-

სოფელი. ახლა მათ მოდგმას უთვლიდა, ჩუმი, მონოტონური წიქწიქით.

ნიკო ფანჯარას მიადგებოდა და ქუჩაში გაიხედავდა. ბოლოს ისე წამობარდნა, ლადოს მოსვლის იმედი გადაუწყდა.

კუყური ადრე ჩააწვინეს ლოგინში. ნინოს რვეულები ჰქონდა გასასწორებელი. წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში დაბალ კლასებში რუსულ ენას ასწავლიდა და საღამოობითაც დიდი სამუშაო უტროვდებოდა. როცა კუყური იძინებდა, მაგიდის ცალ მხარეს ნიკო დაიწყებდა მუშაობას, მეორე მხარეს ნინო უჭდა ღრმად ჩაფლული თავის საქმეში. მაგიდის შუაში ნავთის პატარა ლამპა იდგა და ორ მასწავლებელს შუქს უნაწილებდა, მათი ჩრდილები კი საპირისპირო მხარეს მიეხატა კედლებზე. პატარა კუყური კი უშფოთველად, ჩუმად ფშვინავდა და ალბათ ძილის წინ დედის მონაყოლი ზღაპრების ცოცხალ პერსონაჟებს ხედავდა.

როცა ნიკოს მოლოდინის იმედი გადაეწურა, კარზე ვილაცამ დააკაუნა. ნიკო ისე შარდად წამოხტა, თითქოს სასიხარულო ამბის შეცნეს უნდა შეეგებოს. „ნეტავი კი ის იყოს!“

კარი გამოაღო და თოვლში ამოგანგლული ლადო დაინახა.

— კარგი ბიჭი, ხარ, კარგი! — შესძახა ნიკომ. ყმაწვილი შინ შეიყვანა და იჭვე, კართან თვითონვე დაუწყო თოვლის ჩამოფერთხვა.

— მე თვითონ... მე თვითონ... თქვენ რატომ სწუხდებით, — ქუდი მოიხადა ლადომ. მუხლზე დაიბერტყა, პალტოზე ხელები მიიხვ-მოიხვა.

ნომერი 85 ისევ აჩნდა სახელოზე. ნიკომ ხელი წაავლო მკლავში და დახედა. არაფერი უთქვამს. ლადომ პალტო გაიხადა.

— კარგი ბიჭი ხარ, კარგი, რომ მოხვედი, — კიდევ ერთხელ შეაჭო სტუმარი ნიკომ და ნინოს სთხოვა ერთი ჰიჭი ცხელი ჩაი მიერთმია.

ყმაწვილს ჩაიზე უარი არ უთქვამს.

შაქრის მაგივრად სახარინი მიაყოლა, გათბა და ეამა.

— შენი დაიკო... სახელიც ვერ ვკითხე. რა კარგი ვოგონაა, — გაესაუბრა მასწავლებელი ლადოს.

— ეუყუნა ჰქვია, პატივცემული.

— კარგი სახელია. კიდევ ხომ არ დარღვევი ჩაის? ხომ გათბი? მოდი ახლა წიგნს ჩაეუჯდეთ, თუ, რასაკვირველია, შენ რაიმე საწინააღმდეგო არ გექნება, — როგორცაც ისეთი თბილი, ისეთი ალტრისიანი, მაგრამ ამავე ღროს მომთხოვნიც იყო ნიკო, ყმაწვილი უარის თქმას როგორ გაუბედავდა, უსიტყვოდ დაჰყვა მის ნებას.

„შვილივით თუ არ გიყვარს მოწაფე, არაფერი გამოგივა. — ფიქრობდა ნიკო, — ჭიგარი თუ არ გეწვის, ვერც ვერაფერს გააკეთებ... მისი მომავალი თუ არ გაწუხებს, შენს მუშაობას რაღა ფასი აქვს...“

ყმაწვილების აღზრდა ნიკოსთვის მხოლოდ საგნის სწავლებით არ განისაზღვრებოდა. ნაწილი კარგად სწავლობდა, ნაწილი საშუალოდ, ნაწილიც გულაყრილი იყო. მიზეზი ათასი და ათი ათასი. ყმაწვილის გონიერება და უნუგეშობა, ათვისების უნარი, საგნის სიყვარული და სიძულვილი, სიბეჯითე და სიხარბაცე... ოჯახური მდგომარეობაც, რაც უთუოდ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო ყმაწვილის სულიერ წყობისა, მისი გუნებობისა, ხალისისა და ბოლოს მისი მსოფლმხედველობისა. მრწამსი, იმედი და უიმედობა, ჯანმრთელობა, ჯანის სისუსტე, მასწავლებელთან დამოკიდებულება, მისი სიყვარული და სიძულვილი...

ყველაფერ ამაზე ფიქრობდა ნიკო, ყველაფერ ამას ანგარიშს უწევდა. ის რომ კლასში შედიოდა ამ ნაახრევით მოქმედებდა და იმ წუთებიდან, როცა ეუწინალს გადაშლიდა, ყმაწვილის გვარს ამოიკითხავდა, წამიერად მაინც შეხედავდა ფეხზე წამომდგარ გიმნაზიელს და მის გამოხედვაში, თუნდაც წამოდგომასა და მოკლე პასუხში „ვარ“,

გრძობდა მის განწყობილებას, მის გუნებიერებას.

ნიკოს ასეთი დაკვირვება არც არავისგან უსწავლია, არც არავისგან შეუთვისებია. ეს მის ბუნებრივ ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცა, იგი სათანადოდ უნდა შემზადებულიყო თითოეულ ყმაწვილთან შესახვედრად, თუნდაც იმ პირველსავე წუთებიდან, როცა იგი სიას კითხულობდა. სიის ამოკითხვას ამიტომაც თვლიდა სავალდებულოდ.

გაკვეთილის ახსნა, მოწაფის გამოკითხვა და შეფასება იოლ საქმედ მიაჩნდა. ამას თითქოს ყველა პედაგოგი მოახერხებს, მაგრამ ყმაწვილთან სულიერი კავშირი, მის გულში ჩაწვდომა ეს რთული პედაგოგიური პროცესი იყო და კაცო. რომელმაც ამ საქმეს სამართადამოდ მოჰკიდა ხელი, ცდილობდა ამ რთული პროცესის საიდუმლოების გარკვევას და ყმაწვილების გულთან დაახლოებას.

მას ერთი გარემოებაც აღელვებდა და ღრმად აფიქრებდა. ზოგიერთ კლასში ვერ გრძობდა მოსწავლეთა კოლექტიურ სულისკვეთებას. იყვნენ მეთაფისენი, სწავლაში საკმაოდ მოწადინებულნი მეთაფისენი, რომელნიც წინ ისწრაფოდნენ, უკან მომდევარტ ერთხელაც არ მიხედავდნენ, დახმარების ხელს არ უწვდიდნენ, საკმაოდ გოროზად და თავმომწონედ გამოიყურებოდნენ.

ეს ამბავი ყველაზე მეტად აღელვებდა ნიკოს. გამორჩეულობამ ცხოვრებაში ადამიანებს ბევრი რამ აწნო. რასაკვირველია, ყველა ადამიანის გონება ერთნაირად არ არის მოწყობილი, მომზადებული, ჩამოყალიბებული. ზოგი ამქვეყნად გენიოსია, ზოგი კეკიანი, ნიკიერი, ზოგი ძლიერი, ზოგი უძლურა და გონებაჩლუნგი... მაგრამ კაცობრიობის ისტორიამ იცის, რომ გენიოს და კეკიან ადამიანთა გამორჩეული ნაწილი თუ რამეს ქმნიდნენ თავდაუზოგავად და ბევრჯერ პირადი მსხვერპლის ფასადაც კი, ქმნიდნენ ხალხისთვის, საზოგადოებისთვის. მათდა გამოსადე-

გად. მათდა საკეთილდღეოდ, მათდა დასატკობად და მათდა მოსახმარად... ასეთ საქმეში წინ წასულსა და გაწეულს რჩეულს ბარაქალა!

მაგრამ კლასებში შეიმჩნეოდა ისეთი რამ, რაც ნიკოს გულს სტკენდა და ზოგიერთი მოსწავლის განკერძოებულ, განდგომილ გონიერებას და სწავლაში გამორჩეულობას არამცთუ ალტაცებაში მოჰყავდა იგი, გულსაც სტკენდა ყმაწვილის საქციელი. მაგრამ ვინც მეგობარს ეხმარებოდა, ასეთებს კი თავზე ევლებოდა და მათში დიდ ადამიანს ხედავდა.

გაკირვებულის, ჩამორჩენილისა და დაკრძობილისადმი ხელის გაწვდენას მას ერთ-ერთ კეთილშობილურ საქმედ მიაჩნდა, ამაში იხატებოდა უპირველესი მამულიშვილი.

ბუნებით კეთილშობილს თქმა და ჩიჩინი არ სჭირდება. სქელშუბლას კი უნდა მიუკაეუნო და შთაგონო, ასწავლო და მიუთითო.

და ნიკომაც კლასებში, სადაც იგი ასწავლიდა, რუსული ენა და ლიტერატურა იქნებოდა თუ ზოგადი ისტორია, ისეთი წესი შემოიღო: სწავლაში დაწინაურებული კარგ ნიშანს ვერ ეღირსებოდა თუ ერთს ან რამდენსავე ამხანაგს ბუქსირზე არ აიყვანდა და კლასის ღირსებისთვის არ იზრუნებდა.

ამ ამბავმა უსიამოვნებასაც შეახვედრა.

თუკი სილოვან ხუნდაძეს რომელიმე მასწავლებელთან საიდუმლო რამ საქმე არ ჰქონდა, კაბინეტში არასოდეს იბარებდა, თვითონ გამოვიდოდა სამასწავლებლოში და იქ მოელაპარაკებოდა. მაგრამ მაშინაც კი, როცა მასწავლებელთან განმარტოება სწადდა, სხვას კი არ მოახმობინებდა, თავად გაირჩებოდა, სამასწავლებლოდან ხელკავით გაასიერებდა თავის კაბინეტისკენ.

ერთხელ სამასწავლებლოში შემოვიდა, ნიკო ნუცუბიძეს მიუახლოვდა და მიმართა.

— ვგონებ თავისუფალი ბრძანდებით ამ გაკვეთილზე, ბატონო ნიკო.

— დიახ, ამ გაკვეთილზე თავისუფალი ვარ, ბატონო სილოვან.

— მაშ ჩემს კაბინეტში შემობრძანდით, გეთყავა... აქ ერთი მშობელი გვეახლა...

„უთუოდ რაღაც მოხდა!“ — უცებ გაუელვა თავში ნიკოს და მაშინვე გაჰყვა სილოვანს.

კაბინეტში ჯერ სილოვანი შევიდა, ნიკო ფეხდაფეხ მიჰყვა.

ფანჯარასთან ფეხზე იდგა ზორბა აღნაგობის ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი უღვაწვადამწეპილი მამაკაცი. ყაბალახი მხარზე მოეგდო, ფეხებზე უძირობები შემოეტკიცა. იმ დალოცვილს რაღა ყაბალახი უნდოდა — თავზე თმა ზვინივით ადგა. თვლებს ისე აბრიალებდა, თითქოს მოსისხლე მტერს ელოდებოდა. ცალი ხელი ხანჯლის ტარზე დაებჯინა.

მასწავლებლების შესვლისთანავე მამაკაცი აწეკიბილ უღვაწვად გადაისვა ხელი, სათქმელად შეემზადა, თორემ კოხტად გადაწყებილ უღვაწვს რა შესწორება უნდოდა! მასწავლებლებს თავი მდაბლად დაუქრა.

— მაქვს პატრვი, მოგესალმეთ! — თქვა იმერული ვაცის ზრდილობით.

— მოგესალმებით, ბატონო! — ასევე თავის დაკვრით მიუგო ნიკომ და მერე სილოვანს ხუნდაძეს შეხედა.

— მეოთხე კლასელ სიმონ კლდიაშვილის მამაა, — გააცნო მასწავლებელს სილოვან ხუნდაძემ.

— ფრიად სასიამოვნოა, — თავი კვლავ მდაბლად დაუქრა ნიკომ.

არც სტუმარი და არც მასწავლებელი არ ცდილან ხელი ჩამოერთმიათ ერთმანეთისათვის. სტუმარმა ალბათ არ იკადრა, ხოლო ნიკო მასზე უმცროსი იყო და არ ეკადრებოდა.

— დაბრძანდით, ბატონო ისიდორე! — მიმართა სილოვან ხუნდაძემ.

— გმადლობთ! — რაღაც ბრაზიან კილოზე თქვა ისიდორემ, სკამს სახურგზე წაავლო ხელი, გასწია და ასევე ბრაზიანად ჩამოჯდა, ნიკოს თვალს არ აშორებდა.

— რას ველირსეთ, რა დრო დაგვიდგა! — ორივე ხელი მუხლებზე დაიჭრტყა ისიდორემ.

— რა მოხდა, არ გვიბრძანებთ? — თამამად შეხედა ნიკომ და მაშინვე თვალწინ დაუდგა მეოთხეკლასელი სიმონ კლდიაშვილი, ამპარტავანი, სწავლაში მოკოქლებული.

— გიბრძანებთ, ბატონო, გიბრძანებთ! — ხანჯალი შეისწორა და მაშინვე უშვა ხელი კლდიაშვილმა, — როდის იყო გლეხის შვილი... — რაღაც უნდოდა ეთქვა, სიფიცებე კრიტა შეუქრა, მერე ხმას დაუწია და ნიკოსკენ წაიგრძელა კისერი, — გამაგებინეთ, თქვენ ხართ მასწავლებელი თუ ვიღაც გლეხუტა მარგველაშვილის ბიჭი... ვითომ გონებით ჩემს სიმონიკაზე უკეთესია, უფრო ნათელი გონება აქვს და დიდი ტვინი?... თუ რაშია საქმე, გამარკვიეთ, ბატონო...

— მარგველაშვილზე ბრძანებთ? — იკითხა ნიკომ.

მისი კილო არ მოეწონა ისიდორეს და უფრო გაცხარდა.

— დიახ, მარგველაშვილზე... მაშინ წახდა დრო... მაშინ კი არა, ახლა, ახლა წახდა დრო! — თავი გააქნია და თვლებში დაამბრიალა კლდიაშვილმა.

— მარგველაშვილი ერთ-ერთი სამაგალითო ყმაწვილია, ბატონო ისიდორე, — დინჯად დაიწყო ნიკომ, ისე, როგორც სჩვეოდა, აუღელვებლად, — თქვენი ვაჟი კი სწავლაში მოიკოქლებს.

— მერე, ასწავლეთ, ბატონო! ფულს ვიხდი! — იყვირა ისიდორემ და ხელები გაშალა, ვითომ, რა გემართებთ, ერთს ასწავლით, მეორეს არაო?

— თქვენ გაღელვებთ ის ამბავი, რომ მე დავავალე მარგველაშვილს გაკვეთილების მომზადებაში მოხმარებოდა თქვენს ვაჟს, — განაგრძო ნიკომ.

— რა აქვს სხვისი დასახმარებელი და ისიც... გლეხუტა მარგველაშვილები ჩემი მოჯამაგირეები იყვნენ თერჯოლაში... რას ველირსეთ, რა დრო დაგვიდგა! — ისევე მუხლებზე დაიჭრტყა ხელები გამწარებულმა კლდიაშვილმა.



— დიახ, მოვიდა ასეთი დრო... და მოვა ისეთი დრო, როცა გლეხუკებისა და აზნაურის შვილები ერთად ხელი-ხელჩაკიდებულნი ააშენებენ ახალ ქვეყანას... აქედანვე უნდა ისწავლონ ურთიერთდახმარება და ხელის გამართვა, აქედანვე უნდა გადასცენ ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება. უნდა შეეჩვიონ იმას, რომ ერთნი წინ არ იდგნენ, მეორენი უკან...

— რა წმინდაწყლის ბოლშევიკივით მელაპარაკებით? — თითქმის ჩურჩულით იკითხა გაოცებულმა კლდიაშვილმა.

— ეს არის ჩემი პედაგოგიური მეთოდი, რომ მარტო ცოდნით კი არა, კეთილშობილებით მდიდარი კაცი წავიდეს ამ წმინდა ტაძრიდან... არიან აზნაურიშვილებიც, რომლებიც გლეხის შვილებს ეხმარებიან... მე ასე მინდა, მე ასე მწყამს, რომ ცოდნა თანაბრად და უხვად გაიანწილოს. ერთმანეთს სიყვარული და ძმობა ასწავლონ... ურთიერთპატივისცემა განიმტკიცონ. სათაქილო აქ არაფერია, რადგან ეს მომავალს სჭირდება ასე.

ნიკო გამოკვეთილად და მტკიცედ ახლიდა ამ სიტყვებს სტუმარს და ხედავდა კაცს ყბა როგორ მოექცა, როგორი განცვიფრება ჩაუდგა თვალებში, და როცა სათქმელი მოათავა, ენაჩავარდნილმა კლდიაშვილმა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, ნიკო სილოვან ხუნდაძეს მიუბრუნდა.

— მე მგონი საკითხი გარკვეულია და შემძლია წავიდე.

სილოვანს ცისკარი ჩასდგომოდა თვალებში. სანამ ნიკო ლაპარაკობდა, ჩუმად უჭდა მაგიდას, სიამაყის გრძობით უყურებდა ახალგაზრდა პედაგოგს.

— მიბრძანდით, ნიკო, მიბრძანდით, გეთაყვა.

და ამ ბოლო სიტყვებში იმდენი სიტბო იყო ჩაქსოვილი, ნიკო უფრო მეტად შეთამამდა, როცა კარებში გადიოდა, კლდიაშვილის ჩუმად, მაგრამ დეარძლიზნად ნათქვამი შემოესმა.

— ბოლშევიკი!

ერთ დილას გულგახეთქილი იქცა იაკოვლევმა ისევ მოვარდა უფროს მშენებელთან.

ნიკო გიმნაზიაში წასასვლელად ემზადებოდა.

— დავიღუპეთ, — მუხლზე ხელს იყრავდა ქალი.

ნინოს ფერი ეცვალა.

— რა მოხდა, დედა?

— გუშინ წავიდა თავისი თოფით და მთელი ღამე შინ არ მოსულა...

— შალიკო? — გულგრილად იკითხა ნიკომ, რადგან კარგად იცოდა ძმის ასავალ-დასავალი, მისი მიზანი, ის წითელრაზმელებს გაჰყვებოდა. თბილისიდან ამბავი მოვიდა, რომ წითლების მეთერთმეტე არმია ქართველ ბოლშევიკების დასახმარებლად საქართველოს დედაქალაქს მიუახლოვდაო. „წითელი ეშმაკების“ მოლოდინში ქუთაისშიც ატყდა ფუსფუსი, შეიძრა პატარა ქალაქი...

შალიკო წუხელ შინ არ იყო, ესე იგი უკვე ამოქმედდნენ წითელრაზმელები.

დედა კი მუხლზე ხელს იშენს და ნიკოს შევლას სთხოვს. აბა რა შეუძლია ნიკოს, სად ეძებოს ძმა, ანდა, გინდაც მონახოს, წითელრაზმელებს ჯარისკაცს როგორ მოსტაცებს, რა ძალით, რა მიზეზით, რა საბუთით? ისევ დედა უნდა დაამშვიდოს და აუხსნას, რომ ეს ყველაფერი კანონზომიერად ხდება, რომ შალიკო ბავშვი აღარ არის და ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის იბრძვის.

— კმარა ცრემლები, დედა. შალიკო ბავშვი არ არის და მან კარგად იცის თავისი გზა! — მკვახედ მიუგო ნიკომ დედას. ასეთი შემტევი კილო კმრისგანაც არ ახსოვდა იულიას. შინ ნაწყენი წავიდა.

როცა თბილისში წითელი დროშა აფრიალდა, უნდა გენახათ რა ამბავი იყო რიონისა და სამტრედიის სადგურებზე. თბილისში ალბათ არც ერთი ორთქლმავალი, არც ერთი ვაგონი აღარ დარჩე-

ნილა, მოაწყდა და მოაწყდა ლტოლვილთა ბრბოებით გაქედილი...

დაუღულარ ფაფასავით ფუფუფუყებდა ცხოვრება პატარა ქალაქში. იყო ფაციფუცი და რჩევა განძეულისა. ხარბნი ყველაფრის წაღებას აპირებდნენ, ფარდებსაც კი ხსნიდნენ ფანჯრებიდან, სტენიდან მაფრაშებს, ყუთებს, კალათებს, ხელჩანთებს... იყო ცრემლის ღვრა, წრიალი, ტრაგიკული გამოთხოვება მშობლიურ სახლ-კართან, ნერვიული მისვლა-მოსვლა... ფურგონებით, ურმებით, დროგებით გაივსო რიონისკენ და სამტრედიისკენ მიმავალი გზები... გაიწელა ქარავენები ბალახებიდან საღორიამდე, საღორიიდან რკინიგზის მთავარ მაგისტრალამდე.

ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა მოწაფეებს მოუწოდეს წესრიგისაკენ, აუხსნეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება და დირექტორის ბრძანებით ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა მეცადინეობა.

დილაა. ნიკო გიმნაზიისკენ მიიჩქარის.

ქუჩაში რაზმელთა დიდი ჯგუფი მოდის დაწყობილი. ყველას მხარზე თოფი გაუდგია და თოვლიან გზაზე ხრახნარში გააქვს აწყობილ ნაბიჯებს. მოდიოდნენ ამაყად, თავშემართულნი, წინ შავბულატიანი ახოვანი მამაკაცი მოუძღვებოდათ, ბოლჩიანი რევოლვერი მარჯვენა ბარძაყზე რომ ეხეთქებოდა. მარცხნივ ხმალი მოეგდო.

ნიკო შეჩერდა და თვალი მიადევნა. ათას კაცში გამოარჩევდა თავის ტანდაბალ ძმას, შენიშნა, მხარზე მძიმე თოფი რომ გაედო და ისე მიჰყვებოდა წითელრაზმელებს, თითქოს მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება მხოლოდ ეს წუთები ყოფილიყო, მხოლოდ ეს მსვლელობა...

ნიკომ ჩუმად გააყოლა თვალი; ძმას არ შეეხშიანა, რომ მისი გატაცება არ დაერღვია, ნაბიჯი არ შეშლოდა. ფიქრი არ არეოდა... ძლივს მიათრევდა შაშხანას, ემძიმებოდა, აშკარა იყო, ცალი ხელით ძლივს ეჭირა კონდახის ძი-

რი, მაგრამ რაზმელებს ნაბიჯში მინც უსწორდებოდა... ნუთუ... შენიშნა ქუჩის პირას მდგარი ნიკო? ნუთუ ვერ მოჰკრა თვალი? იქნებ კიდევ შენიშნა, მაგრამ არ გამოიხედა, ალბათ იმისი შიშით, ნაბიჯი არ არეოდა...

ქუჩა ხმაურობდა, შუკა ხმაურობდა... ნიკომ ცოტაზე რომ გაიარა, გზისპირა ორმოში ცალი თვალთ ჩავარდნილ ფურგონს წააწყდა. ფურგონი მძიმედ იყო დატვირთული. მეფურგუნე ბერიკაცი ამაოდ ეძალებოდა გაძვალტყავებულ ცხენებს... იქვე, მახლობლად, აბობოქრებულნი კირილე წულუქიძე მუშტს მკერდზე იცემდა და მეფურგუნეს უწყრებოდა:

— რალაც იღონე, შე უპატრონო... ასე მკვდარი ცხენებით სამტრედიისკი არა, საღორიამდე ვერ მივალწევთ. ბოლშევიკების მაგივრად მგლები შეგკვამენ.

ნიკო შეჩერდა და გამძვინვარებულ კაცს მიაჩერდა, რომელიც იძულებული იყო მოხუც მეფურგუნეს შეშველებოდა.

ფურგონის უკან ურემი იდგა, რომელზედაც ქალები და ერთი ბიჭუნა ისხდნენ.

იძალეს კაცებმა, იძალეს ცხენებმა და როგორც იქნა ფურგონი გზაზე დააყენეს.

კირილემ ტანისამოსი ჩამოიბერტყა, სული მოითქვა და მისი მზერა სწორედ ამ დროს შეეფეთა გზის პირას მდგარ ნიკო ნუცუბიძეს. ვითომ ვერ შეიცნო, დაფაქურდა, ფურგონისკენ იბრუნა პირი.

— ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ... დაღამდა, თქვე უღმერთობო!

— მშვიდობით მგზავრობა, ბატონო კირილე...

კირილე იძულებული იყო მოეხედა. — ასეთი მშვიდობა ნუ მოუშლოს ჩვენს დამაქცევარს, ჩვენი ბუდის ამშლელს! — სვეგამწარებული კაცის კილოზე შესძახა კირილემ და ორივე ხელი ზეცისკენ შემართა.

— შორს მიბრძანდებით? — არ მოემეა ნიკო.

— დამეხსენ თუ კაცი ხარ... რას გადამიკიდე?! — ფურგონს აედევნა კირილე.

— ბრძანებაო... რუსულის გაკვეთილს მიტოვებ თუ არ მიტოვებ?..

კირილემ მწარედ გადააფურთხა. არც ნიკომ დააკლო, მაინც მიამახა:

— ო, რა ცხელი გულით გყვარებით საქართველო!

ქუთაისის რევოლუციური ტრადიციების ქალაქი იყო. ბევრჯერ მორწყულა მისი ქუჩები უსამართლობის წინააღმდეგ აღმდგარი მშრომელი კაცის სისხლით. ქუთაისის ციხე სავსე იყო რევოლუციონერებით.

სანამ მეთერთმეტე არმიის ნაწილები ქუთაისს მოაღწევდნენ, ქუთაისელმა რევოლუციონერებმა, რომლებიც კარგა ხანს იატაკქვეშ იყვნენ, დააპატიმრეს ადგილობრივი მენშევიკი მმართველები, განაიარაღეს გვარდიელები, ჩაჭკეტეს ქუთაისელ ბოზოლათა გასაჭკევი გზები.

როინისა და სამტრედიის გზებზე ქუთაისიდან გაქცეულთ წითელრაზმელები ზედებოდნენ, ქალაქიდან გატაცებულ სიმინდს, ხორბალს, ბრინჯსა და შაქარს ფუთობით ართმევდნენ. სისხლიც დაიღვარა.

ერთ შეღამისას ნიკო კარის კაკუნმა გამოაღვიძა. გაბედულად და თამამად აკაკუნებდა ვილაც.

— რომელი ხარ? — გასძახა ნიკომ.

— შალიკო ვარ, გამიღე კარი, — მოესმა ძმის ხმა და ნიკო მაშინვე ეცა კარს.

სიქაგაცილილი, ჭუჭყიანი, მებრამ მომლიმარე შალიკო თავისი განუწყრელი თოფით გამოეცხადა ძმას.

ნინოც წამოდგა, ნავთის ლამბა აანთო და მაზლს მიეგება.

— დილამდე გამომიშვებს. დედასთან ვეღარ წავეღ, ხომ იცი, ერთ ამბავს ასტეხს... ისევ ბავშვი ვგონივარ, — თოფი კართან მიიყუდა შალიკომ და

სული მოითქვა, — ჩვენ რომ არ ვიყოთ, ქუთაისის სულ გაყვლიდადნენ ბოძებულნი... ერთი თავი მიმადებოდნენ... დამაძინეთ... სამი ღამეა თვალი არ მიმიხუტავს, მადლიანო ხალხო...

ტახტზე მიბანცალდა, გაუხდელი მიეგდო.

— დაიცა, ბიჭო, ლოგინს დაგიგებ, — შეწუხდა ნინო. ნიკომ ვილაცის ძველი ბუშლატი გახადა. ცხადია ვილაცის ნაჭონი იყო, უშველებელი, მძიმე და ალაგ-ალაგ დაეკმისლი.

— არ მინდა ლოგინი... ეგ ბუშლატი წამაფარე... ჰო, ასე... ძილი დაგიფრთხეთ... არ მინდა-მეთქი ლოგინი, ჭუჭყიანი ვარ... თანაც ასე უფრო მალე წამოვდგები, უთენია გასასვლელი ვარ... აბა, ღამე მშვიდობისა...

თვალის მოხუტვა და მიძინება ერთი იყო.

ნინომ ერთი კი დახედა მაზლს, ყოჩაღს და დაუდგარს. მზრუნველი ხელით წააფარა ბუშლატი, თავით მუთაქაც შეუსწორა, ფეხთ გახადა... გატალახიანებული და სველი ფეხსაცმელი კართან დაყარა და ჩვარი მომებნა გასაწმენდალ...

ნიკომ თოფი აიღო და შეათვალაიერა.

— ხელი უშვი, შენი ჭირიმე, — შეევედრა ნინო, — გატენილი არ იყოს. ზიფათს არ ვეწიოთ. ვინ იცის, მშვიერიცაა... ვინ რას აკმევს...

ნინომ ფეხსაცმელი გაასუფთავა და ტახტთან დაუწყო მაზლს. ნიკომ თოფი ისევ კართან მიიყუდა. ოთახში ციოდა. აკანკალებულმა ცოლ-ქმარმა ლოგინს მიაშურა.

ნიკოს ძილი არ ეკარებოდა. ძმაზე ფიქრობდა, ასე ზაზადაზა რომ დასდევდა წითელრაზმელებს. ესმოდა ღრმა ძილში წასული კაცის თავისუფალი სუნთქვა. არც ნინოს მიჰკარებია ძილი, უთენია უნდა წავიდეთ. მაზლის სიტყვები აფხიზლებდა, არ უნდოდა ისე გაეშვა ცხელი ჩაი სახარინით მაინც არ დაეღვეინებინა და ერთი ლუკმა მკვადი არ ექამა მისთვის. თან ეცოდებოდა, თანაც სიამაყეს განიცდიდა მის გამო.

შიშიც შეჰპარვოდა გულში, ათასი ხიფათი ხდებოდა გზებზე, ათასი ოხერი და მამაძალი უძალიანდებოდა წითელრაზმელებს, ოღონდ ქონება გაეტანა და ბოლშევიკებისაგან ეხსნა თავი. ათასი უბედურება ეხატებოდა ნინოს და თავის დედამთილს ოდნავადაც არ ამტყუნებდა, ასე რომ განიცდიდა შვილის გამო.

ნინო ფეხმძიმედ იყო. მესამე შვილს ელოდა. უძილობა ისედაც დასჩემდა და ახლა კედელზე მოწიწიყვე საათის ხმაზე დროს გუნებაში ითვლიდა, რომ შალვასთვის აესწრო.

დილის ხუთი საათი იყო როცა წამოდგა, ლუმელი შეაფიცა და ჩაიდანი დადგა. შალვას ისე ღრმად ეძინა, ყურთან ზარბაზანი რომ დაეცალა კაცს, ვერ გაიღვიძებდა. მაგრამ გაწვრთნილი ჯარისკაცივით, მაინც იმ დროს წამოხტა, როცა ალბათ გუნებაში ჰქონდა ჩათქმული, რომ წითელრაზმელებთან მისვლა არ დაგვიანებოდა. ჩაიდანი უკვე თუხთუხებდა და ნინო ისე დიასახლისობდა, თითქოს მავლს სამეფო სუფრა უნდა გაუშალოსო.

შალვამ თვალები მოიფშვინა, რძალს გაუღიმა, მერე საათს შეხედა. დაფაცურდა, არ დამაგვიანდესო, ცხელი ჩაი კი სიამოვნებით შეხვრიბა...

— ფრთხილად იყავ, ბიჭო, — უთხრა დედობრივი ალერსით.

— ფრთხილად, ახლა... ბუჩქში კურდღელივით ვერ გავინაბები... მტერს პიჩისპირ უნდა შეხვდე...

ჩიკოც წამოდგა.

— სამტრედიაში იყავი? — ჰკითხა ძმს. წუხელ მათი საუბარი ვერ აეწყო და ახლა წასვლის ეამს მაინც უნდა ეცოხა რამე, გაეგო მისი ასავალ-დასავალი, საქმის ვითარება, წითელრაზმელების მოქმედება.

— სადგურში ვტრიალებთ... მირბიან და მირბიან... მატარებლები საესევა, მაინც ეტენებიან... ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! ნინო, ერთი ჰიქაც დამისხი... ქუთაისიდან ერთ გრამ მარცვლეულსა და შაქარს არ გავატანთ... იცით რამდე-

ნი გროვდება? მაგათი დედა კი გატირე... წუხელ მთელი ქარაიანი ჩამოვაცილეთ ქუთაისში... ალბათ დღესაც იქნება რამე... ო, რას ცახცახებენ და კანკალებენ, გვარწმუნებენ ბოლშევიკები რქიანი ეშმაკები არიანო. აქ რომ ბოლშევიკები ვართ, ვითომ ჩვენ არაფერი... არაფერი? აბა, მოიტა ეგ ტომარა რომ დაგიტენია სიმინდითა და ბრინჯით! გამდლობთ. აბა ახლა, უნდა ვიჩქარო... მეთერთმეტე არმიაც მოგვისწრებს და ჩაებაბრებ ამ თოფს... რა მძიმეა ეს ოხერი!

— მიკვირს, როგორ ატარებ, — გაიღიმა ნიკომ, — რევოლვერი მაინც მოეცათ...

— რევოლვერი უფროსებისა... დიდ ბოლჩებში რომ უწყევიათ... შენ გგონია ის მსუბუქია?

შალვა წამოხდა, ბუშლატი ჩაიცვა, რძალი, ძმა და საწოლში მძინარე კუკური დაკოცა, კართან აყუდებულ თოფს სტაცა ხელი და ღამის სიბნელეში გავარდა.

\* \* \*

...იმ დღეს გავეთილების ბოლოს, მასწავლებლები ჩვეულებრივ თავს იყრიდნენ სამასწავლებლოში და ცხოვრების ამბებზე მსჯელობდნენ, ვილაც ცხელ-ცხელ ამბავს მოიტანდა... ზოგი გულგატეხილიც იყო, ბევრ ბრძოლას და შეხლა-შემოხლას მოვესწარი ცხოვრებაში, ცხოვრება კი მაინც არ დალაგდა, რას მოგვიტანს ეს ამბები არა მესმის რაო. იყვნენ გულჩათხრობილიც — ხმას არ იღებდნენ. მაგრამ იყვნენ ისეთნი, ვინც ალტაცებით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას, სიახლეს, ქვეყნისა და ხალხის გამოღვიძებას...

იყვნენ მასწავლებლები, რომელთაც ქართული გიმნაზიის მომღერალთა გუნდს „ინტერნაციონალი“ შეასწავლეს და ერთ საღამოს, როცა გავეთილები დამთავრდა, მოსწავლეებმა გრძობით, გულიდან მომსკდარი ხვევრდოვანი ხმით დააგუგუნეს რევოლუციური ჰიმნი...



## მიხეილ ღუდინი

### ქმადნაფიცოვის ათინათები

საოცარია ათინათები

მოშაირეთა ქმადნაფიცოვის!...

ლექსად აპკინძა გულისნადები —  
სიმონ ჩიჭოვანს ასე ვიცნობდი.

მანვე გამანდო ქართული სიტყვის,  
ქართული ცის და მიწის მშვენიება  
და დამაჯერა: მათს ეშხს, და სიტკბოს  
არ უწერია გადაშენება.

პოეტის სული ბრწყინავდა, როგორც  
მთის ნაკადული, კლდეებს მომსკდარი,

გზნებით იკვლევდა გზას ოღრო-ჩოღროს  
და ქადაგებდა როგორც მოძღვარი.

შეფარებულმა მთაწმინდის კალთას,  
მაღალმა, როგორც იგი მთა წმინდა,  
გადაულოცა ქაბუკ არწივთა  
მაღლი სტრიქონთა გულთამხილაეთა.

ამიერიდან მისი ღიმილი  
ჩემს ცოცხალ ღიმილს მუდამ თან  
ახლავს.  
მთვარის ნამგალიც ვერცხლის ღილივით  
ელავს, მიბმული უცოდველ ვარსკლავს.

### ალექსანდრა მუხომეი

### ქართული ცეკვა სმლავით

ამიერიდან უკუნისამდე

შენ დამიფარე, ცეკვავ!

შენ განმარიდე ხუნდს და სიმდაბლეს—  
რომ ვთქვა, რაც უნდა მეთქვა!

შემომატარე

ბედნიერ ხვედრით შემკული მთა  
და ბარი.

რომ გაზაფხულის სიმივით ეღერდეს  
ჩემი გული და ქნარი,

რომ მკერდით ძგერდეს

გულცხელი პუკარი!

ცეკვავ, ფრთიანო,

ცად ამიტაცე,

გაღამატარე

ქედს უნაპიროს

და ისე დამსვი

დედამიწაზე —


ველებს დაწამ  
 ველარ განმგმიროს,  
 თან თუ დაირას შემოპკრავ ფიცხელს—  
 ცას და ვარსკვლავებს გადამაფიწყებ.  
 მოსაგონებლად, დე, შემრჩეს მხოლოდ  
 ეგ სხივმოსილი მიწა,  
 დღეს რომ ვიხილე და საამსოფლოდ  
 მისი შშვენება მიცავს.  
 ღღონდაც გულში აღბეჭდილ იყოს  
 ეგ ნაღდი მიწა, დღეს რომ ილიკო  
 ფეხისწვერებზე უვლის და აქვე,  
 მის შუბლთან ზმალი  
 ნაპერწყლებს აფრქვევს!

ლობის მიღმა კი თვლემენ ცხენები  
 და ლაგამს კვებენ განაწყენებულნი  
 ნაგაზნიც ღრღნიან თანგიან ჭკვემს  
 გაზშირდა გულის ფეთქვა,  
 გაჩაღდა ცეკვა  
 სულ უფრო მარჯვედ! —  
 შენ შემოგველე, ცეკვაე!  
 გარს შემომეველე, შემომესალტე  
 აწ და განკითხვის დღემდე,  
 გადამაფარე მფარველი კალთა,  
 მალიჩსე სიტყვით შენმძიერ ძალთა  
 და მენდე, —  
 ვით შე გენდე!

ბაღა ახმაღუღინა

### სიმონ ჩიქოვანს

ეახლე დილით ჩრდილოეთის ქათქათა ბაღნარს,  
 როდესაც ზამთარს დიდთოვლობის სიუხვე ახლავს,  
 ამოისუნთქე თავისუფლად, მიენდე ალღოს.  
 თოვლის სიქარბე დაგიოკებს გუშინდელ წყულულებს,  
 მტკნარი ყინულის სასმისს შესვამ, მოიკლავ წყურვილს,  
 რომ კვლავ ღიმილი შეაგებო ფიქრების ალღუმს.  
 რაც შენ გწყურია — შენშივეა, შესვი მირონი!  
 და გაფიქრების უმაღ ნახავ: მოღის სიმონი!  
 მოკვეება ბილიკს, თითქოს ყინვით ნაფერმკრთალევი.  
 და ვით ვირწმუნო დღევანდელი საკვირველება,  
 ვით ვკითხო სიმონს: რას ზედავენ ჩემი თვალები?  
 ან როგორ გავხარ, ჩემო სიმონ, ასე უდავოდ  
 სამშობლოს შენსას, სადაც ერთხელ და სამუდამოდ  
 თვალცრემლიანი ჩემი ლანდი კრთის და კიაფობს?  
 სადაც მტკვრისა პირს, ღვთიურ მადლით მოცულ მცხეთაში,  
 იანვრის დამდევს დავსეირნობთ კვლავაც შე და შენ  
 და გვესმის ბავშვთა ტბილქართული — „აი, იაო“.  
 და თუ შენ აქ ხარ, მაშინ ვინღა მიაპყროს მზერა  
 დაცილდ მოედანს, ცის კაბადონს, შორეულ მწვერველს,  
 ვინ უაღერსოს ცირკის გუმბათს და ღამის უკუნს?  
 ო, შენი სახლის, შენი საყდრის წრფელი თქმულება,  
 ტუჩებთან ღვინის და ჩურჩულის ასულდგმულება,  
 ტალღად რომ ერთვის აზვირთებულ სიმღერის გუგუნს!  
 მაგრამ დღეს სიერცე აღარ თიშავს ზამთარს და ზაფხულს.  
 ექვსი თვის მანძილს სულ ორ საათს ანდომებ ზღაპრულს,



რომ აგვისტოდან გადმოფრინდე იანვრის ზღურბლთან.  
 და მე ვეხვევი ისევ სიმონს, ვუკოცნი თვალებს, *ერკონული*  
 შეხვედრა ჩვენი აღტაცებულ სასწაულს ავლენს *ნიგელირთვეს*  
 და მართავს ზეიმს თავისუფალ და ამაყ გულთა.  
 მაშ ყოველავე თავისთავად მოხდეს ამიერ!  
 ხომ თვით მოფრინდა თვითმფრინავი წამით-წამიერ,  
 თვით წარიმართოს საუბარიც დინჯად და ლალად.  
 ნუ დაეპატიეებთ — მეზობელი გვეწვევა მაინც.  
 თვით ჩამთასხამს სამოვარი კიქებში ჩაის  
 და ჩვენი ხმებიც თვით ასტეხენ ლექსებით ლალადს.  
 და ვეტყვი ჩემს თავს: ხომ გეწვია სიმონი სტუმრად?  
 იხარე! ფერმკრთალ, გამხდარ სახით დატეხი უჩუმრად!  
 დატოვე შენთან, ნუ გაუშვებ ნურსად, ნურასდროს!  
 მაგრამ აქლერდა უკვე ჩემში ექვანი შიშის,  
 კვლავ მოასწავებს განშორება წყურვილს და შიმშილს,  
 ზამთარიც ზაფხულს ვერ უმაღავს მტრობას უაზროს.  
 დაგემშვიდობე სიტყვაძუნწად, შენ უხმოდ წახველ,  
 წევრჩი მარტოკა უღიმღამო იანვრის ზრახვებს,  
 რომ ძილში მაინც ჩაველა დარდი და გადავთელო,  
 რომ სიზმრად მაინც ვენდო იმედს და ავეყე ლოდინს,  
 ვეახლო ისევ ბაღს გაძარცულს და ხმელი ტოტით  
 ქათვათა თოვლზე წავეწერო კვლავ: საქართველო.

1964

თარგმნა ზინ მარგველაშვილმა

## გრძელი საიდუმლო ბარათი

### მოთხრობა

კოტე, მეც ამ აზრს ვიზიარებ: თუკი ბლომად გაქვს გადაძალული პატიოსანი თვალი ყვავილის ქოთანში ან ლეიბებში, სასწრაფოდ ამოაწყვე და შეორე დღესვე დაურიგე მათხოვრებსა და გაპირვებულებს. ამაღლები. ისინიც გაიხარებენ. ოღონდ მანამდის ერთი ან ორი ამეთვისტო მიყიდე ვინმე ყურამსალს და იმოგზაურე. თუ ბეჭდები და საყურეები არა გაქვს, მამულები დააგირავე. ვიდრე ახალგაზრდა ხარ, გაიხარე. შემოიარე დედამიწა. ოღონდ ბახმაროსაც ეწვიე აუცილებლად. არ ინანებ...

მთები, ქედები, დაკლაქნილი, გაუთავებელი აღმართი, ტყე — ჭერ ფოთლოვანი, შემდეგ წიწვნარი, ალაგ გაშისვლებული მზე, ალაგ ნისლი და საიდუმლოება — აი, პირველი შთაბეჭდილება ხიდისთავიდან ბახმარომდის მგზავრობის დროს. აქ ის არის, რაც მანდ არ არის.

ნელ-ნელა მიიწევეს წინ დანჯღრეული ავტობუსი. „დალოცვილია ბახმარო, — მეუბნება თანამგზავრი, — ზაფხულობით თითქმის ყოველ კვირას ამოვდივარ მახარაძედან, ჩაეყლაპავ აქაურ პაერს და ისევ გამოვცოცხლდები... მაგრამ სინამდვილეში აქეთიქენ ეტყობა სულ სხვა რაღაცა იზიდავს კაცს. პროფესიით ვეტერინარი ვარ და ალბათ

ამიტომ ვერ ამიხსნია ეს განცდა, და ამიტომ შენც ვერ გაგიზიარებ. მაგრამ ახლა ავალ ერთ მომალლო ბეჭობზე, გადავიხედავ და გავირინდები. სულ მალე შენც ეწევი ასეთ ბედნიერებას, შენც გაირინდები... სადაური ხარ, ძამა? — „თბილისელი ვარ“. „არა, ნამდვილად საცხა ამ არემარეში დგას ჩემი ფართული მაგნიტი... შენი მაგნიტი სად არის?“ მოწყენილი ხმით ეუპასუხე: „შინ დავტოვე“. „უპ, აშენდა შენი ოჯახი, კერძისთან გეკნება დამალული“. „კერძა რაა?“ „კაცს რამდენიმე მაგნიტი აქვს: ერთი ქალის უბეშია დამალული, მეორე — სამუშაოზე, დაზგასთან ან ჩაის ბუჩქში, მაგრამ მესამე — ყველაზე დიდი — მშობლიური სახლის იმ ადგილასაა ჩაფლული, საცა ცეცხლს ანთებენ... მიმიხვდი, თბილისელი?“ „მიგიხვდი“. „ხოდა, სამოთხეშიც რომ იყო სიხარულით ან კარად მუტობით თავგზადაკარგული, უეცრივ ძლიერად თუ გაგჭაჩავს უკან რაღაცა ძალს, არ გაგიკვირდეს... სკოლა დამთავრე?“ „მეთერთმეტე კლასში გადავიდი“. ცოტა ხნის შემდეგ მკითხა: „პატრონი გყავს?“ „მყავს...“ ისევ მკითხა: „სკოლის დამთავრების შემდეგ სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?“ „ფილოსოფიურზე“. „აუპ, შენი კირიმი!“

დასასვენებელი სახლი ფერდობზეა

შემდგარი. სახლის პირდაპირ კედლის ლაქებს შორის პატარა მდინარე ვარბის, უცნაური და, მინც პატარა. შენობის მარცხნივ და უკან წიწვნარია, დარბაისელი, ეამთამანახველი ხეთა გუნდისგან შემდგარი, რჩეულთა შორის რჩეულნი. მთების კალთებიც მხოლოდ წიწვითაა მოფენილი. მამაცი მთამსვლელები. მათ გარდა ვინ გაბედავს ამ სიმაღლეზე ამოსვლას? მუხაც კი შედრკება... ხელმარჯვნივ სოფელი მოჩანს, რომლის ნახევარი, პირობით რომ გავყოთ, ბარს წარმოადგენს, მეორე ნახევარი კი მთას შესევია.

განმარტობით დგას. როცა სოფლიდან მოსეირნობ, შენობა არ ჩანს. მოდიხარ, მოდიხარ და უეცრად ფირალივით გამოგინტება წინ. ხის შენობაში შესასვლელად საკმაოდ ფართო ეზო უნდა გადასერო. ეზოს მესერი არტყია. სახლის წინ და ოდნავ მარჯვნივ, ფრენბურთის მოედანია. აქა-იქ გრძელი სკამებია მიმოფანტული. შენობა არქიტექტურულ საგანძურს არ წარმოადგენს. ერთსართულიანი სახლი კიტრივითაა წაგრძელებული, რომელიც შუაში ოდნავ წინაა წამოწეული, საიდანაც აღმაცერად ეშვება კიბე. სახლის მარჯვენა ნაწილში ქალთა განყოფილებაა, მარცხენაში — მამაკაცები მოთავსებულან. ქარი დაქპრის ოთახებში, კედლებში უშქარი ნახვრეტები და ნაპრალებია. თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა. მაშინ დირექტორის მოადგილის განკარგულებით ერთ-ერთ ასეთ გვერდებდასერილ ოთახში მეხუთე საწოლი რის ვაი-ვაგლახით ჩააკვეტეს... კოტე, ხომ ხედავ, თავიდანვე არ აეწყო საქმე კრიალოსანივით... ოთახის მდგმურები ალბათ, უქმყოფილონი დარჩნენ. მაგრამ როდესაც კარი შევალე და ზღურბლს გადავაბიჯე, ოთხივემ ვაეკატურად ჩამომართვა ხელი. და ოთხივემ სასწრაფოდ დატოვა ოთახი. ახალგაზრდები იყვნენ. მინც მადლობელი დავრჩი, კაციშვილმა რომ არ მკითხა — ვინ ვარ, სანდო ვარ თუ მზვერავი?

საოცარმა სულიერმა სევდამ მომიც-

ვა. თვალწინ დამიდგა ჩუენი ეზო, ჩემი ოთახი. თავზე გადავისვი ხელი. ერთადერთი რაც შემჩა, მოგონებდა წისლირთა მოცული თბილისი, მაგრამ მინც ვნედავ. გავხსენი ჩემოდანი და ამოვალაგე დაუქუელი პერანგები და თბილი ჭემპრი. მაგრამ კარადა ვადატენილი აღმოჩნდა და პერანგები სკამზე გადავაფინე. ჩემოდანი საწოლის ქვეშ შევაკურე. ახლა რა ვქნა? სად ეშმაკებში წავიდე? მოდი, წამოვწევი და ალგებრის სახელმძღვანელოს გადავშლი. შევექიდე ვანტოლებებს. ერთი ბოლომდისაც კი ამოვხსენი, მაგრამ როდესაც სარჩევში პასუხს შევადარე, სწორი არ აღმოჩნდა... სად ხარ, კოტე, ჩემო მერხის მეგობარო? ხელი ხელს გადავხვევდით, ჩამოვხსნებოდით ლოდზე და ერთად დავიტირებდით სევდიან დილას, გარემოს მოჩვენებით სილვარეს შენც ხომ გვიპრს მათემატიკაში, ნუ მიწყენ)... ისევ გადავშალე წიგნი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ სევდის ერთადერთი წამალი — გაქცევაა. კოტე, მანდ ბედით კმყოფილი ვიყავი, აქ — არა. მაგრამ უკან დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ამ საგზურისათვის იმდენი ირბინი მამაჩემმა, რომ გამოქცევა დალატზე უარესი იქნებოდა, მამაშვილური დამოკიდებულების აბუჩად ავღებას დაემსგავსებოდა.

ბუნება, ტყე, მთები, ზეცა ხომ არ მიხსნის?.. დასასვენებელი სახლის უკან გავედი, წიწვებს ვეწვია. თითქოს გრილოდა. ჩამოვჯექი. ზეცა მშვიდი და ნაზი მიჩვენა. წელზემთო გავიხადე. თითქოს ნიავმაც დაუბერა. მთები დგანან. წიწვებიც დგანან. მდინარე მირბის. მე ვზივარ. ხანდახან ძალოს შორეული ყევა ისმის. რა სასიამოვნოა ეს ხმა უცხო ადამიანთა შორის. თანდათან ვწყნარდები. ამ დროს ხის ტოტების ტყლაშენი მომესმა. თავი ავწიე და ქალიშვილი დავინახე. მან უხმოდ ამი-არა და გაუჩინარდა. თავზე გადავისვი ხელი. ტყეშიც ვერ ჰპოვებს ახალგაზრდა კაცი მიუდგომელ კუნძულს?.. ეს კი შარშან აღმოვაჩინე: ადამიანი დღე-

ში ათჯერ მაინც კედება, და ათჯერვე ისევ აღსდგება. ან მასწავლებელი გკლავს, ან თანაკლასელი, ან კინოს სალაროსთან რიგში მდგარი დარბაისელი კაცი აგინწევს ყურს რატომღაც, ხან ახლობელი გწირავს, ხან გადამთიელი. მაგრამ ესეც შევნიშნე — რაც არ უნდა გაქვიანურდეს ზამთარი, ერთ მშვენიერ დღეს მერცხლები მაინც მოფრინდებიან და თუ ბოროტი ბიჭი არა ხარ, ბინას ისევ შენს აივანზე დაიდებენ, მოგიპოვებენ, მოგიყვებიან ამბავს ინდოეთის რაგაზე, სპილოებზე, ტურებზე და მაიმუნებზე, ჭუნგლებში დაკარგულ ბიჭზე და მის მეგობარ მგლებზე, სიკეთეზე და ბოროტებაზე, მწუხარებაზე და სიხარულზე. ამბობენ, მერცხალი ახალგაზრდობის და სიცოცხლის სიმბოლოაო. გახსოვს, ბიოლოგიის მასწავლებელმა ისიც კი გვითხრა, ეს ლამაზი და სხარტი ფრინველი განთავისუფლების ნიშანიაო.

ისევ მომესმა ხმაური. ავიღე თავი. ისევ ის გოგონა დავინახე. ჩამიარა. ისევ გადავისვი თავზე ხელი.

დამბარუნეთ თბილისში, დამაწვინეთ ჩემს ტახტზე. ახალგაყნობილი აღაშინები მაფრთხობენ, სევდას მგვრიან, მაქინებენ. ძალით ჩაკვეთებულ საწოლზე წოლა კი მხოლოდ ტანჯვაა და არა დასვენება. იმიტომ აგინებენ გარეულ ცხოველებს — მგელს, დათვის, ფოცხვერს — თავისუფლება რომ უყვართ? აბა, კაი ბიჭი ხარ და ზედმეტი საწოლი ჩაუდგია ოთახში. თუ იმიტომ არიან უზრდელნი, ცხვარივით ყელს რომ არ გიშვერენ გამოსალადრავად? დათვის და მგლის გახსენებაზე მუცელში ბუყბუყი დამეწყო. მგელივით მშიერი აღმოვჩნდი. სადილის დროც მოახლოვებულიყო და წამოვდექი, მაგრამ ფეხი მაინც ავიტრიაე.

თავის დროზე, როცა ფილოსოფიურს დავამთავრებ, მე თქვენ შეგიყვანთ სხვა სამყაროში. ამოგაყნობივით ზოგიერთ საიდუმლოებას. გასწავლით მულამს, ირემივით გაქცეულ წლების გამო რომ არ აწუწუნდეთ. ბეწვის ხიდზე სია-

რულს შეგაჩვენო, გაგიმტლავებთ ხერხს — სიბ ქვას როგორ გაადინოთ... როგორ მოწველოთ კლდე, ტრცა... ხები გადაშენდებიან. ოღონდ ახლა ნუ შემიყვანთ დასასვენებელი სახლის სასაიდილოში, აქ ამომიტანეთ პური და ყველის პაწია ნაჭერი... კოტე, ვის სცალია შენთვის, ვინ ამოგიტანს?

შევედი სასაიდილოში. ხამად რომ არ გამოვსულიყავი, აქეთ-იქით გავიხედე, ვითომ ვილაყას ვეძებდი. დამსვენებლები მაგიდებთან სხედან და შეექცევიან სადილს. ბოლოს მაინც შევამჩნიე ერთი თავისუფალი ადგილი და იქით გავსწიე. გზად ერთ-ერთ დამსვენებელს წამოვედე. თავზე გადავისვი ხელი და ბოდიში მოვიხადე. როგორც იყო, მიუვახლოვდი თავისუფალ სკამს. საცაა დავჯდები. ეს რომ იგრძნო, გამხდარმა ჭალმა თავი ასწია და შემაჩერა. ეს ადგილი ორი კვირაა, რაც დაკავებულიაო, აი, ხუთი დღის შემდეგ, როდესაც გავემგზავრებით, მაშინ დაბრძანდითო. დავჯექი. კ, ბატონო, ოღონდ გაითვალისწინეთ, ჩემი მეუღლე ბრაზიანიო. ავდექი. სასაიდილოს გამგეს მიაკითხეთო. სად ვიპოვინ-მეთქი. „ამ დარბაზშივე“, — მითხრა გამხდარის გვერდით მჯდომმა სათვლიანმა მამაკაცმა. შემდეგ გამხდარის მეუღლე მოვიდა და გამგე მომაძებნინა. გამგემ დარბაზს გადახედა. ხუთი დღით ადრე უნდა ჩამოსულიყავი, ახლა რა მოგიხერხო? „ტყეში რომ ვისაიდილო?“ აკრძალულია, ტყეში ტურები დაძრწიანო. ბოლოს თავის კაბინეტიდან სკამი გამოიტანა და ერთ-ერთ მაგიდასთან მიმიყვანა. დამსვენებლებს მოუბოდიშა და მაგიდის მეხუთე წვერად გამომაცხადა. ისევ ჩამაკვეთეს... კოტე, ხედავ, ისევ უნუგავო და უსიხარულო ყოფა. მომწერე, როდემდის ვიქნები ასე ჩაკვეთებული. შენ კი მშობილო, სანაპიროზე გაინავარდე, მზესუშობირა აქნატუნე, ლოტო ითამაშე, ლისის ტბაზე იცურავე, ვიდრე დრო გაქვს, ვიდრე საგზური შენთვისაც არ გამოძებნეს.

ჩამოვჯექი. ცოტა ხნის შემდეგ მარ-

ცხნივ შეებრუნდი. ღმერთო ჩემო, სასწრაფოდ გადავისვი თავზე ხელი. ჩემს გვერდით ის გოგონა იჯდა, ტყეში რომ გამომეცხადა. გავირინდე, ერთ წერტილს მივაშტერდი. დამსვენებლები მიირთმევდნენ. შიმშილის გრძნობამ გადაიარა...

შენისთანა რჯულის კაცს აქ ვერ გადავეყრები, სხვის რჯულზე კი არავითარ შემთხვევაში არ გადავალ... ძალიან გრძელი სარი რომ გამოთალო, ფარანი ჩამოაცვა და მალა ასწიო, ნათლად იხილავ, თუ როგორ გარბიან აქეთიქით ცოცხალი არსებანი. მოწყვეტილი გაკვეთილებიდან იპარებიან, დედალი ბუკები — ჩხუბის ველიდან. ჯურღელი დღედაღამ სულ გარბის. კვალს ურევს. სიცოცხლე კი, ამბობენ, ჯურღელზე ფეხმარდიაო. საბრალო ღამურა, საკუთარი სიმახინჯით შეძრწუნებული, სინათლის შუქს ემალება. რამდენჯერ გამქცევია ხელსა და ხელს შორის ზღვაზე მდღუზა. სიზმარში კი, საერთოდ, ყველაფერი გისბლტება ხელიდან. და ღმერთმა არ ჰქნას ის აზრი სწორი აღმოჩნდეს, რომელიც სიცოცხლეს სიზმართან და მოჩვენებასთან აიგივებს. დაკრილი ლომიც შამბნარისკენ მიიძურწება. გაკირვების და უგუნებობის ქამს ერთადერთი გამოსავალი — გაცლაა. შეიძლება ხვალ მაგრად ჩამოგართვა ხელი... მაგრამ შევიდგზის მართალი ხარ, კვლავინდებურად უნდა ვავეო კისერი უღელში...

„ყმაწვილო, აქ თვითომსახურებაა“, — შესძის დარბაისელი ქალის ხმა, ჩემს პირდაპირ რომ ზის. ღრმა ფიჭვებიდან გამოვერკვე და უნებურად წამოვდექი. კონსტანტინე, უბედურებიდან ბედნიერებამდე ნეიტრალურ მდგომარეობამდე ათი ან ოცი კილომეტრია, ბედნიერებიდან უბედურებამდე — მხოლოდ ერთი ნაბიჯი. უბედურებიდან ახალ უბედურებამდე კი — ერთი გოჯა მანძილიც არ არის. შენ სწრაფად იგრძენი და მიხვდი ალბათ, რაც დამეპარებოდა, მე კი — ვერა. ბორშიით სავსე თევში, მივეუახლოვდი თუ არა ჩემს ადგილს. ხელიდან გამივარდა და

ცხელი სითხე მეზობელ გოგონას გადავასხი კაბაზე... გონს მესხინებს ქედზე მოვედი.

განუმეორებელია მზის სიკვდილი მთაში. ბრუტიანი უნდა იყო, ეს რომ ვერ შეამჩნიო. მშვენიერი სანახაობაა ამ ქვეყნის სამკაული სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე. სპექტაკლიცაა. უზარმაზარი, დაკრილი, სისხლიანი, მუხლებზე დაცემული, უზადო ფორმის უცნაური სხეული შემოგატყერის. ირგვლივ და გასწვრივ ცა ასეთივე ფერითაა შეღებილი, ოღონდ ოდნავ ბაცად. თავზარდამცემი სიღიადე, არამიწიერი ფერების ნაკადი. თანდათან ეშვება მეწამული მეუფე. ეს სიკვდილი არ არის, ეს მიფარებაა, ჭვარცმაა, დღის ცოდვების განტყვებაა. კაცობრიობის ერთ-ერთი უბნოდ ინთქმება. მთელ საწიერზე სხვა არაფერი ჩანს. ქედები დგანან გახვევებულნი. ამ გარინდებაში მოწიწება და თავყანისცემაა. უსიტყვოა. გამოუთქმელია მათი მოთმინება... მახვილი თვალთ ყველაფერს ვხედავ და ვამჩნევ, მაგრამ როგორ ავწერო, შენც როგორ გაზიარო ამ მშვენიერებას. არ ვიცი. ეტყობა, თავად მოგიხდება ერთხელ ამოსვლა. რამდენი წელია, რაც ვიხედები, ამისთანას კი პირველად ვხედავ.

„მზის ჩასვლის გორაზე“ ათიოდე დამსვენებელი ვიდექით. ამ სანახაობაზე წამოსვლა მიშამ. ჩვენი ოთახის ერთ-ერთმა მდგმურმა, შემომთავაზა, სასადილოში განცდილი სამარცხვინო მარცხის შემდეგ, მიშამ მხარზე დამადო ხელი. „იმ ქალიშვილს რა ჰქვია?“ — დარიკო“ — მომიგო მან. ნიაზე დაუქროლა და ნელ-ნელა დავეშვიო ქედის ნეკნებზე. დარიკო წინ მიდიოდა. თვლებში არ ვეჩხივებოდი. მიშამ მკითხა: „მზის ჩასვლა მოგეწონა?“ „მართლა მკითხები თუ ხუმრობ?“ „ახლოს ხარ ნეტარებასთან?“

მდინარის პირას შევდექით და ჩვეულებრივად მთვარის სხივებით განაოებულ კენჭებს წყლის ფსკერზე. „მთვარის ჩასვლამდის რამდენ კენჭსაც დაი-

თელი, იმდენ გოგონას ეყვარები ამ ქვეყანაზე, — მითხრა მიშამ, — ეს აქაურების საუკუნოვანი რწმენაა... მოდი, ჩვენც ვცადოთ ბედი, ოღონდ არ მომატყო“. გავიდა სამი წუთი. მეკითხება: „რამდენი დაითვალე?“ „ერთი“. „ყოჩაღ, — მითხრა მან, — ასეთ გადაწყვეტილებაში დიდი სიბრძნე და სიმამაცე გამოსკვივის. თავის დროზე ტყვიაც კი ლობიოს მარცვლად მოგეჩვენება. დიდი ადამიანები ბავშვობიდანვე გამჭკრიახები არიან... დარიკო მოგწონს?“ „ისე, რა“. ჩაიცინა და გამშორდა.

ვახშობის შემდეგ დამსვენებლები ცალ-ცალკე დაჩგუფდნენ. ერთნი კარტის სათამაშოდ ავიდნენ ოთახებში, მეორენი ქადრაკის დაფას მიუსხდნენ. წყვილ-წყვილად სეირნობენ, წყვილ-წყვილად საუბრობენ. ახალგაზრდებმა გაფუჭებული ტელეფონის თამაში გააჩაღეს. არც ერთ ჩგუფს არ მივეყედლე, ეზოში განმარტობით ჩამოვჯექი და ცას ავხედე. საითკენ მივდივარ? რატომ გამომყვა საშემოდგომო გამოცდა ალგებრაში? სამიანზე მეტს არცერთი პედაგოგი არ მიწერს. რატომ?... პაერში კი საამო სურნელი დგას, აქ ზღვის და მთის ნაზავი პაერია. ვიზმორები...

მაგრამ ფიქრი და ოცნება ყველაზე ტბილი მაინც ძილის წინაა. დრო საიდუმლოებათა, ეამი ღამეულ ფერიათა, წრეგადასულ ტბობათა... შეღამებულზე მოგაკითხავ, დარიკო... თავი სასთუმალზე ასვენია, ცალი ბელი ლოყის ქვეშაა, ფეხები ოდნავ მოკაკეულია და მიჰკრიახარ გაყურებული. ა, თბილისიც აგრეა. ვინ დაგხატა, ღამაზო? თბილმა წყლებმა, გორგასალის ბოხობმა და უფლის ხელმა? ჩემს ქუჩაზე ვინ გარბის? კოტიკ, შენ ხარ?... გინდა, ნინე-ვიაში ამოვყოთ თავი? მოდი, კუქრუტანიდან ტიგლატპალასარ I დავჩიჩმით. უსინდისოს სისხლის მდინარეში ეყვარდა ცურაობა. ორსულ ქალებს მუცელს უფატრავდა, ძლიერებს კისერში წყვეტდა, ყველას, ვინც არ მოეწონებოდა, ატყავებდა (აქედან წარ-

მოსდგა: გამიტყავეს ბაზარში, გამიტყავეს მისაღებ გამოცდებზე, გამიტყავეს სახლის გარემონტებისას და ასე შემდეგ)... დარიკო იშტარია, ვარსკვლავი და ქალღმერთი ერთად... ღრუბლის ნაფლეთს მიუღვია თავი მესხეთის ქედის მკერდზე... ვაჰ, ამ ყურუშსალს რა უნდა აქ, ჩვენი კლასის ჩგუფხელს?... კოტე, ვგონებ ძილის ქვეყანაში მივემგზავრები...

სისხამ დილით მეღვიძება. ჩვენი ოთახის მდგმურები დგებიან. თვალს არ ვახელ, ვითომ შინააგს. ხმელ-ხმელი ვაეი, ვგონებ, პავლე რომ ჰქვია, წვერს იპარსავს და ლილინებს, ვიღაც ოთახიდან გადის. ეზოში სასადილოს გამგის მამალი ყვივის. შუბლზე ბუზი მჩაქდება. ვითმენ. წელან რომ ოთახიდან გავიდა, უკან ბრუნდება. „ქვების ოფლი წავილოთ?“ „ჩააგდე ჩანთაში“. „გამნაზისტი არ გავალვიოთ?“ „ლეიძავს“, — ამბობს მიშა. „ავდგე?“ — თვლებს ვახელ. „როგორ გეძინა?“ „გმადლობთ, კარგად“. „სირინოზი ხომ არ დაგესიზმრა, რატომ გაქვს მიბნედილი სახე?“ მიყურებს. ვუყურებ. ვგონებ პავლე რომ ჰქვია, მელოტ შუქრის ეუბნება: „შენი თავი კოხტა არის ფასკუნჯისა კვერცხივითა“. ბოლოს გადიან. მარტო ვრჩები. ვსუნთქავ თავისუფლად. ვდგები. ჩემოდნიდან ამოვაწყვე პირსახოცი, საპონი, კბილის ჭაგარისი და პასტა. წავილილინე. აქეთ-იქით მივიხედე. სად მივაგდე წუხელ შარვალი? წავუსტვინე. საწოლის ქვეშ შევიხედე. კარადა გამოვადე. შევათვალიერე მეზობლების ლოგინი და სკამები. არ არის. ჩამოვჯექი. საქმე ის იყო, რომ ერთადერთი შარვალი მქონდა, ვადაწყვიტე არ აეჩქარებულეყავი. მაგრამ მაინც რა მოხდა? გამწირეს? მაშინ ვიტყვი, სხვისი სიკეთის ხელში ჩაგდება ან სხვისი აბუჩად აგდება, არავის ჩაეთვლება ვაეკაცობად... კოტე, აი ასეთ დროს ამბობენ: „გულს ეწვა წითელი გველი, ძუძუ ეჭირა კბილითა“... ფინთო, რატომ მიმართავე?... ბოროტი არ ვარ, თუმცა კაი გვარიანი მიზეზი კი მაქვს, რომ

გავბოროტდე. ეუღობის გრძობა დამე-  
უფლა. კოტე, ბარემ შენი ცნესაც მე,  
შენ მიინც გაიხარე.

აღგებრა გადავშალე. აქაც არაფერი  
გამომდის. შვიდ დღეში ერთი განტო-  
ლებაც კი ვერ ამოვხსენი. ერთმა კაცმა  
კი შვიდ დღეში, ამბობენ, გაუგონარი  
შენობა ააშენაო... საღამოზე, ბინდ-  
ბუნდში გამოვიბარები ბახმაროდან,  
ჩავალ მახარაძეში, და თუკი ვინმე და-  
ინტერესდება ჩემი ჩაცმულობით, ვიტ-  
ყვი, რომ გზად ყაჩაღები დამესხნენ და  
გამძარცვეს.

ავდექი. შეიძლება რომელიმე ლეი-  
ბის ქვეშ ამოდეს შარვალი? ვთვალე-  
ერებ. არ არის. თავზე გადავისვი ხე-  
ლი. თან ფანჯარაში გავიხედე. მთები  
ისევ დგანან. ცაზე ღრუბლის ნაგლე-  
ჯიც არ ჩანს, და დღეა ნაზი, კრიალა,  
საექსტრასიო. იმ წამს, როდესაც გან-  
მეორებით თავზე ხელის გადასმა დავა-  
პირე, ეზოში დარიკოს მოვკაჩარი თვა-  
ლი. გავქვავდი. ამ დროს კი გული ამე-  
ესო თბილი სისხლითა. გაელვებული  
სიხარულითა და ცოტაოდენი იმედი-  
თაც ხომ შეიძლება იმიტომ არ გაქყვა  
დამსვენებლებს, მე რომ ვერ შემამჩნია  
მათ შორის. მერე ისევ სევდა. კოტე,  
მაგრამ შეიძლება ვერ გამოიგო. რადგან  
ჩერ არ განგიცდია უცხო აღამიანთა  
შორის უშარვლოდ დარჩენის გრძო-  
ბა.


შუადღისას დამლაგებელი ქალი შე-  
მოვიდა ოთახში, ხელში შარვალი ეკი-  
რა. „შენია?“ „ჩემია“. „მერე ეს რა წე-  
სია, რა გულმავიწყობაა? როგორ შეიძ-  
ლება. სამოსელის საპირფარეოში და-  
ტოვება?“

სადილობის ვამეც დაქრა და კარ-  
გადაც გეახელით. მერე სულ გამოვ-  
ჩერჩეტდი. როდესაც ისევ განმარტოვ-  
და დარიკო და წიგნტ გადაშალა. მივუ-  
ახლოვდი და პირდაპირ ვკითხე: „რას  
კითხულობ, დარიკო?“ თავი ასწია, შე-  
მომანათა ლამაზი თვალები და მშვი-  
დად მითხრა: „მე ქეთინო მქვია“. გავ-  
წითლდი, დავაპირე წასვლა, ფეხი ვერ  
გადავდგი. მან კი კითხვაზე მიპასუხა:

„მაუგლის“ ვკითხულობ“. ისევ წავი-  
ჩერჩეტე: „განა „მაუგლი“ მუხუთე  
კლასელებისათვის არ არის ვთვალისწი-  
ნებელი?“ მან მომიგო, როდესაც დი-  
დი მწერალი წერს წიგნს, მაშინ ყველა  
ასაკის მკითხველი ერთნაირ სიამოვნე-  
ბას და ამაღლებას განიცდისო. ხელმე-  
ორედ გავწითლდი. მან კითხვა განაგრ-  
ძო. ამის შემდეგ უცნაურად ავითამაშე  
ხელები და გავშორდი. სოფლისკენ გავ-  
სწიე. გზად ამაღლებულ საგნებზე ფიქ-  
რი გადავწყვიტე, მაგრამ ნახევარ კი-  
ლომეტრზე მეტი გავიარე და მნიშვნე-  
ლოვანი ვერაფერი შევქმენი. სოფელში  
გუნებ-განწყობა გამიფუჭეს. ერთ სახ-  
ლთან უეცრივ გაიღო კიშკარი და ჩა-  
სუქებული ბიჭი გამოჩნდა. შემძახა:  
„გამხმარო, გამხმარო, გავასუქებს ბახ-  
მარო“, — და ვაქტრა. იფიქრე ამის შე-  
მდეგ კაცობრიობის ბედზე, წუთისოფ-  
ლის ავ-კარგზე. მაგრამ, კოტე, არ იდა-  
რო, სევდა გადაიყარე გულიდან, გა-  
ვუძღვებ.

სეფისკვერაძე დინებას გაქყვა, რად-  
გან ფუჭი შრომაა აღმა აუყუვე. დავბ-  
რუნდი თუ არა ეზოში, ერთმა ახალგა-  
ზრდა დამსვენებელმა მომიყიყინა. ჩემი  
დანახვა რომ ესიამოვნა, მეც მესიამოვ-  
ნა. ღიმილით მივუახლოვდი შეჭგუფე-  
ბულ ახალგაზრდებს. გამოირკვა, ფრენ-  
ბურთის თამაში გადაწყვიტათ და ერ-  
თი მოთამაშე აკლდათ. ქეთინოც იქ  
იყო. გავაჩაღეთ ბურთობა. ვთამაშობ-  
დი მონდომებით, სხარტად, ზოგჯერ ეშ-  
მაკურადაც ქალიშვილებს მოწონთ მა-  
რჯვე მობურთალები. ისე გამოიტაცა შე-  
ჯიბრმა და ქეთინოს სიახლოვემ. რომ  
თბილისი სულ ამომივარდა თავიდან.  
საინტერესოა. ვინმეს თუ განუცდია კი-  
დევ ასეთი სიმჩატე და ის სევდანარევი  
წინათგრძობა, რომ ოდესღაც, ერთი  
თუ ორი საათის შემდეგ, ეს ყველაფე-  
რი უნდა გამქრალიყო. ისევ ეუღობა,  
ისევ საერთო ოთახი.

ფრენბურთის შემდეგ ბახვისწყალზე  
წავედიო საბანაოდ. წყალი ცივი იყო.  
მუხლისთავებამდისაც არ გვწვდებოდა.  
ქეთინოც და ერთი გოგონა კაბებით ჩაწე-



ნენ მდინარეში და კისკის ატეხეს. მათგან ოციოდე მეტრის დაშორებით მეც შევედი წყალში და ჩავსუკქდი. ცურვა არ ვიცი. მართალია მდინარე პატარაა, მაგრამ ხომ შეიძლება, ჩემი ბედი რომ ვიცი, საცხა ღრმა იყოს და შორევემა ჩამოთრიოს. არ დაეიხრჩვები, მაგრამ თავს შევირცხვენ. ლეკვებივით ნებეგრობენ. შემდეგ სურათი გადავიღეთ. შემდეგ ერთმა ვაჟმა სიმღერა დაიწყო. მშვენივრად გალობდა, კონსერვატორიის სტუდენტი გეგონებოდა. მეორეც აყვა, მესამეც. ნეტარმა უღონობამ შემიპყრო. უცებ მთხოვეს, ახლო მოიწი და ბანი გვითხარო. ისე რა ვუთხარი ჩემს ბედს, სიმღერის ნიჭი არ მოემადლოს. ხმა და სმენა აკვანში ჰყვება ბალს. გულწრფელად ვუთხარი სიმართლე და შემეშვნენ. კუდამოძუებული ვბრუნდებოდი დასასვენებელ სახლში. კონსერვატორიის სტუდენტმა, თუ სტუდენტივით, ნიჭიერმა, ბოლოს და ბოლოს შინც გააწყალა ტვინი, მთელი საღამო მღეროდა. ასე უნდოდა გაეცხადებია საკუთარი თავი, სინამდვილეში კი გაიყიდა, ბრიყვი რომ იყო. და დაგვანახა, რომ ზოგჯერ ნიჭი და სიბიბითურ თავისუფლად მიიბიჭებენ გვერდითგვერდ შარახე.

მთაში წასული დამსვენებლები გვიან დაბრუნდებოდნენ. ადრე დავწეკი. მანამდის შარვალი ლეიბის ქვეშ ამოვდევი. წამოვწეკი და ალგებრა გადავშალე. ნათურა ძლივს ბეჭუტავდა. ასეთ სინათლეზე სულ იოლია მხედველობის ორგანოს დაზიანება. გავიფიქრე და წიგნი გადავდევი. მალე სინათლეც ჩავაქრე და გავიჩინდე...

ორი ბედაღური დავიჭირავე სოფელში, ერთს შავრა ერქვა, მეორეს — ლურჯა. მითხრეს, გახედნილი ცხენებია, მაგრამ შავრა ოღნავ ცერსეცია და თუ მანდილოსანთან ერთად აპირებ გასეირნებას, ლურჯა შესთავაზე მას. ქეთონომ შავრა აირჩია. შევახტით ცხენებს და გავქუსლეთ ბახმაროდან ათიოდე კილომეტრით დაშორებულ თათრების სოფლისკენ. რა შეედრება ცხელი ზაფხუ-

ლის მისამხარში ცხენებით გასეირნებას? სულის შემძვრელია ეს ყურთუბუღი მზე იწვევრება და ზანტად მზნტყნს (სხხხხხხხ) ვებს. მოხდენილად ვზივართ რაშებზე. მალე სწორი გზა დამთავრდა და აღმართს შევუყუვი დაისის ეამს ამორძალის გვერდით. კოტიკ, ფოთლების შრიალი და ჩიტების გალობა კანტიკუნტად ისმის. დაბერდა დღე, ჩაულამდა თვალები. შავი ნოკებით დაელარა სახე. თანდათან ფართოვდება ბინდის სამფლობელო. ასეთ დროს სოფლის ერთ ბოლოში ხმამალალ დალაპარაკებას მეორე ბოლოში გაიგებს ადამიანი... გავინავარდოთ, ძვირფასო...

გვერდს ვიკვლი...  
 სადღაც ტურა ავივლდა. მტაცებლების არ ეშინია. აღმართი დამთავრდა და გავივაკეთ. მაგრამ არაფერი არ ჩანს. თვალები მაგრად დავაკუიტე და წყვილიადი დავიმორჩილე. უცებ შავრამ გვერდზე ისეუა. უხსენებელი მოეჩვენა. ვიმარჯვე და ლაგამში წავატანე ხელი. ქალიშვილმა მადლობის ნიშნად გამიღიმა. — უკან ხომ არ დავბრუნდეთ? — ვკითხე. „არა“ — მითხრა. თუ მას არ სურს, მეც არ მინდა. ცხენები შედგნენ. ჩვენს წინ სამი უცხო მხედარი იდგა ყაბალახჩამოფხატულები. შხაგვრულად იდგნენ. უეცრივ კარმა დაუბერა, კაბა აუფრიალა ქალიშვილს და წამიერად შიშველმა ზორცმა ისე გაიელვა უკუნეთ ღამეში, თითქოს ბადრი მთვარე გამოვარდნილიყოს ღრუბლებიდან. კიდევ უფრო საევეოდ დაიპირეს თავი მხედრებმა. მგლებივით დაკრიკეს კბილები (ზოოპარკში მინახავს მგელი). მაშინ ჩიქურ მივიკერი და სამივეს სათითაოდ ჩავხედე თვალებში (მეტყვი: გეზელო კორის ჭილაგო, მალამ ნაჭდომო თულზედა). თვალებით შევატყობინე: ვითარცა თივა, ისე გაგთბოთ. უხმოდ მოაბრუნეს ცხენები და გაუჩინარდნენ...

გულაღმა ვწვები...  
 შეკოვდა, ვიხდი ხალათს და ვაქმვე. ცხენები გვერდიგვერდ მიდიან. შემთხვევით მხარით მხარს შევებეთ. ასე ვია-

რეთ კარგა ხანს. ფლოკეების თქარათქური და დროდადრო ფრუტუნი ისმის. ბახვიწყლის ნაპირთან ხელში ავიტაცე. რატომ? შავრას ისევ უხსენებელი მოეჩვენა და წაიბორძიკა... კოტე, შენ საიდან გამოტყვერი?.. შემდეგ მტკვარი. შუა მდინარეში აღმოჩნდი და ნელ-ნელა ვყვინთავ... მტკვარს ბახმაროში რა უნდა?.. ქეთინო სად გაქრა?.. რა ზღება?.. ცეცხლი საიდან? თუ ვიძირები, თუკი მტკვარში ვიხრჩობი, ფეხები რატომ მეწეის?..

წამოვბტი. ფეხის თითებს შორის გაზეთის ნაგლეჯები მაქვს ჩაკვეტებული. ქალალს ცეცხლი უყილია. სასწრაფოდ ვაქრობ ხანძარს და ფეხის თითებს ვიზილავ. ოთახის მდგმურებს მშვიდად სძინავთ. ვითომ? ჩამწყდა გულში ნაზი ძაფი. ამბობენ, გული უამრავი ნაზი ძაფებისგან შედგებაო. კი მაგრამ, ზვირხნორად რომ გადაგიწყვიტონ, რაღა დარჩება? ზეწარი წაეფარე თავზე.

ამოვიდა თუ არა ცისკრის ვარსკვლავი, მეც წამოვბტი. ჩავეცი და ეზოში გავიქერი. შემოვეარე სახლს და მიზანს მივაშურე. არ გამიმართლდა. ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადგილი ძალის აღიონზეც დაკავებული აღმოჩნდა. როცა გიქირს, რიგი არ უნდა არსებობდეს. აი, კიდევ რატომ არ მიყვარს აგარაკზე დასვენება.

საუზმზე ქეთინო არ გამოცხადდა. მიმას და მის მეგობრებს თვალი ავარიდე. ორ ვევრცხს ჩაი დავაყოლე და ტუჩები შელსახოცით გავიწმინდე. სამკითხველში ერთი დამსვენებული ყურნალს ათვალეოვებდა. „დღეს დიდი ზეადი იქნება“, — ვუთხარი მას. კერს ახედა და მითხრა: „ამას რა ჩიჩინი უნდა“. გაუწითლდი. „როდის აღწევს ახალი გაზეთი აქამდე?“ „როდესაც ამოიტანენ“. ისევ დაუუსვი კითხვა: „ხომ ვერ მეტყვიით, ზამთრობით დიდ თოვლს ღებს აქ?“ „ვერ გეტყვიით, მაგრამ თუ ძალიან გაინტერესებთ, იანვარში ამობრძანდით და ნახეთ“. წიგნების კია. „ეკ, — ვთქვი, — რა შეედრება თხილამურებზე სრიალს“. მოეშორდი.

ეზოში გავედი. კიშკართან მიმა ქეთინოს ეხმარებოდა ცხენს მუჭოდამაში. შემდეგ ლაგამს წელს წაატანა და ცხენს წინ წარუძღვა. იმ გზით მიდიოდნენ, წუხელ ოცნებამ რომ გაგვასეირნა. შეხედე, შტერო, ვუთხარი თავს, რამხელა სხვაობაა ზმანებას, ღრუბლებში პოტიალსა და სინამდვილეს შორის. პო, მიდი შენ, ლოგინში ორი ბეადური იქირავე, სამ ფირალს ყუღით ქვა ასაროლე, ბუნებულოვით ხელში აიტაცე... ის კი ერთი ჯაგლაავით ნამდვილ საქმეს აკვარაბქინებს... ოჰ, მუხანათო წუთისოფელი!

თავზე გადავისვი ხელი, მიანც უნდა ჩავეტიო საკუთარ კანში. სადილობადე პატიოსნად ვიშრომე ტყეში. გამოქირდა, მაგრამ ერთი ორჯერ გონების გამპრობობა გამოვიჩინე და ბოლოს და ბოლოს, რამოდენიმე განტოლება ამოვხსენი. შრომა გვიცავს. მართალია, დროდადრო ციფრებს შორის ქეთინოს და მიმას მოვერავდი თვალს, მაგრამ უმალ ხელს ავიფარებდი სახეზე და ვწყნარდებოდი. ოფლში გაწურვა სასიამოვნოა, ეს გაუმხელელი სიყვარული და შურია სატანჯელი. ერთხელ მათემატიკის დანიშნულებაზე ვკითხეთ მასწავლებელს, ხომ გახსოვს? ბუნდოვნად აგვიხსნა. ეს შეცნიერება თითქმის ყველა დარგში გამოიყენებაო. თუ მათემატიკა იცი, რია-რია გაიტანთ სკოლის ლელოსო. უნდოდა ფეტვის მარცვალავით დაეებნიეთ. მაგრამ ჩვენ, ვისთვისაც არითმეტიკული შემეცნება ყოველდღიურ ცხოვრებაში უქმი და ურგებია, ვკითხეთ: პოეტმა გეომეტრია თუ არ იცის, ლექსებს ვერ დაწერს? დამაჯერებლად ვერ გვიპასუხა: გაკვეთილის დამთავრების შემდეგ ერთმა სათვალთანმა მოწაფემ (გვარს არ ვასახელებ), მომავალმა მათემატიკოსმა, ღერეფანში გამიბძო და მითხრა, ვინც რიკვების და ციფრების საიდუმლოებას ჩაწვდება, უფრო საღად მსჯელობს, უფრო უღრმავედება ტვინის ღარები, აღწევს შინაგან დამოუკიდებლობას და სულიერ თავისუფლებას. მათემატიკაც თამაშისა ჰგავს,

გამართლებაც, და ვინც ჩვენი ერის ის-  
ტორია იცის, დამეთანხმება, რომ ეს  
ინტერპოლაციური ცდები, შეიძლება,  
ხელის იმ ანაბეჭდებლად წარმოვიფიქრო-  
თ, წყალში ჩაცვენილთ მათი გადამრ-  
ჩენი მორისთვის რომ შეუტოვებითა.

ამრიგად, ჩვენამდე მოღწეული, უა-  
მრავი ჩამატებითა თუ შესწორებით  
აჭრელებული, სწავლულთათვის ასეთი  
რთული, თავსატეხი რებუსებით სავ-  
სე ტექსტი იმითაც არის მნიშვნელოვ-  
ანი, რომ არ არსებობს მეორე ნაწარ-  
მოები ქვეყნად, რომელსაც ამდენი,  
მისი ავტორობის პრეტენზიით აღბეჭ-  
დილი ავტორი ახლდეს თან. ის თი-  
თქოს უკვდავების საბუთია, რომელზე-  
დაც მთელ ხალხს მოუწერია ხელი.

ვეფხისტყაოსანში ქართველმა ხალხ-  
მა თავისი სახე დაინახა, თავისი ხმა  
გაიგონა, თავისი გულის ცემა იგრძნო:  
უფრო მეტიც — თავისი ბედის ამოხს-  
ნაც სცადა (ჩვენში არსებობდა და  
დღესაც არსებობს ეგრეთწოდებული  
ვეფხისტყაოსნით მკითხაობა). მეტად  
საყურადღებოა თეიმურაზ ბატონიშვი-  
ლის ფრაზა: „მდაბალი ხალხი ძალიან  
კითხულობს ვეფხისტყაოსანსა!“ —  
„ძალიან კითხულობს“ ხომ იმასაც ნი-  
შნავს, რომ ესმის კიდევ!

ცოტათი გადავაკეთებ და ვეფხის-  
ტყაოსანის მისამართით. გავიმეორებ  
ამერიკელი მწერალი ჟალის ჯოის კერ-  
ოლ ოუტისის სიტყვებს, ერთ-ერთი ამ-  
ერიკული რომანის შესახებ რომ თქვა:  
როდესაც ამ ნაწარმოებს ბოლომდე  
ჩავეკითხავთ, მაშინ მივხვდებით, მხო-  
ლოდ ახლა რომ ვართ ნამდვილად მზად  
მის წასაკითხადო.

ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით.  
შეგვიძლია გაცოლებით მეტი მნიშვნე-  
ლობა მივანიჭოთ ამერიკელი მწერლის  
ამ ბზრს და ვთქვათ: ვეფხისტყაოსნის  
წაკითხვის შემდეგ ხლები ლირსი მისი

წაეთხვისა! აჲ, რასაკვირველია, უკუ-  
გდებულია წიგნის წაითხვის ჩვეულებ-  
რივი გაგება და საკუთარი პიროვნების  
ზრდის დაუსრულებელ პროცესზეა სა-  
უბარი. ასეთი წიგნები, ანუ ვეფხისტყა-  
ოსნის მსგავსი წიგნები, კაცობრიობ-  
ას, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ძალიან  
ცოტა. თუმცა, ასეთი წიგნი არც შეი-  
ძლება ბევრი იყოს. ამით მე მხოლოდ  
იმის თქმა მინდა, ვეფხისტყაოსნის წა-  
კითხვა არ შეიძლება ამ ცნების ჩვეუ-  
ლებრივი გაგებით — ვეფხისტყაოსნით  
უნდა იარსებო!

ამავე დროს, უსათუოდ უნდა ითქ-  
ვას ისიც, რომ რუსთაველი თითქმის  
მთლიანადაა დამოკიდებული მკითხვე-  
ლზე, რუსთაველი ენდობა მკითხველს,  
ოღონდ ისეთს, რომელსაც არა მარტო  
სიუჟეტის გაგება, არა მარტო მისი მე-  
ლოდიუბითა თუ აფორიზმებით აღ-  
ტაცება შეუძლია, არამედ წარმოსახ-  
ვის უნარიცა აქვს, ძალა შესწევს წარ-  
მოდგინოს პოეტური სივრცის უსასრ-  
ულობა, უწყვეტობა, დანტეს სიტყვით  
რომ ვთქვათ, განიცადოს „სიამოვნება  
იმ უკაცურ ქვეყნის ხილვისა, მანათო-  
ბელი მზის გადაღმა რომ მდებარეობს“.  
და, რაც მთავარია, არა მარტო კითხუ-  
ლობს ტექსტს, ანუ არა მარტო იმას  
სწვდება, რაც მის ზედაპირზე დევს,  
არამედ უსმენს და უკვრეტს იმ უხმო-  
სა და უჩინარს, პოეტური შექი, პო-  
ეტური აზრი რომ ჰქვია და ნაწარ-  
მოების სიღრმეში საიდუმლო არ-  
სებასავითაა ჩაბუდებული. ამ თვალ-  
საზრისით, შეიძლება დაგვიანტერე-  
სოს იულიანეს შემდგგმა მოსახ-  
რებამ: „რაც უფრო მეტად პარა-  
დოქსალური და ზღაპრულია გამო-  
ცანა, მით უფრო გვავალდებულებს  
ვირწმუნოთ არა ის, რასაც გვეუბნება,  
არამედ — რასაც გვიმაღავს!“


პოემის მკვლევარები, უმთავრესად კი  
ტექსტოლოგები, ფრთხილად ფხეკდ-  
ნენ რა პოემიდან, როგორც უძველესი  
ტაძრის კედლიდან, დროისა თუ უფი-  
ცობის დანაშრეებს, ამავე დროს, მის  
გარშემო აგებდნენ ფილოლოგიურ ხა-

რაჩოებს. პოემა თითქოს რამდენიმე  
ტექსტოლოგი-განდობილი ნაწილად  
ბად იქცა, ფილოლოგიური ექსპერიმენ-  
ტების საგნად. პოემასა და მის მკითხ-  
ველს შორის ინტელექტუალური ჯები-  
რი აღიმართა. მკითხველმა თანდათან-  
ობით თავისი მოუზადებლობა და  
უცოდინარობა ირწმუნა, პოემა კი ლა-  
მის ჩაიკარგა მასზე დაწერილი გამოკ-  
ვლეების ზღვაში.

ფილოლოგიური ხარაჩოები, ნების-  
მიერ ხარაჩოსავით, საჭირო და აუცი-  
ლებელია, ოღონდ, როგორც ყველა  
ხარაჩო, ისიც თუ დროზე არ ჩამოსხე-  
ნი, თავის მნიშვნელობას უსათუოდ  
დაკარგავს. ამასთანავე, აქვე უნდა ით-  
ქვას, რომ ტექსტოლოგების ტიტანუ-  
რმა შრომამ — მართლაც, სხვა სიტ-  
ყვა არ გამოიჭებნება ჩვენი ბევრი შე-  
სანიშნავი მეცნიერის დაუღალავი გარ-  
ჯის აღსანიშნავად — არაჩვეულებრივი  
ნაყოფი გამოიღო: დღეს გაცილებით  
უკეთესი ტექსტი გვაქვს ხელთ, ვიდრე  
რომელიმე, ცალკე აღებული, ჩვენთვის  
ცნობილი ხელნაწერია.

ფილოლოგიური ხარაჩოები მხოლოდ  
ერთი წყებაა ინტელექტუალური  
ჯებირისა. მეორე წყება — ფილოსოფ-  
იური ხარაჩოები გახლავთ. თუმცა, ფი-  
ლოსოფოსებმა, ბუნებით უფრო თამა-  
შებმა და შეუპოვრებმა, ხარაჩოები არ  
იკმარეს და ვეფხისტყაოსნის ტერიტო-  
რიაზე რამდენიმე საფეოდალო დააარ-  
სეს: ნეოპლატონიზმი, არისტოტელიზ-  
მი, პანთეიზმი, მანიქეველიზმი... ამ „სა-  
ფეოდალოებს“ მაღალი გალავანი შე-  
მოარტყეს და ამ მაღალი გალავნიდან  
შუბების ტყორცნა დაუწყეს ერთმან-  
ეთს, რაც, რატომღაც, ბრძოლას კი არ  
გავდა, არამედ — ვირტუოზთა გაართ-  
ობას, ტურნირს. რის საყურებლადაც  
დიდი სიამოვნებით ვეკრიბებოდით  
ჩვენც. „საქმის უცოდინარი მკითხველ-  
ები“ (მ. გოგიბერიძის გამოთქმა).

გატაცებით ვადევნებდით რა თვალს  
ფილოსოფოსთა ამ ტურნირებს, სავსე-  
ბით დავივიწყეთ პოემა და ისიც ნელ-  
ნელა, თითქმის შეუძინველად გაქრა ჩვე-



ნი თვალსაწიერიდან. არა კი არ გაქრა, დანაწილდა, გადაიწონ-გადმოიწონა, გადაიღვარ-გადმოიღვარა სხვადასხვა დისერტაციასა თუ მონოგრაფიაში. ჩვენ კი, როგორც მკითხველებს, ყავლგასული საბუთივით, ხელში შეგვჩნა მოგონება, რომ ჭარ კიდევ ჩვენმა ბებიებმა ეს პოემა თავიდან ბოლომდე ზეპარად იცოდნენ და მათ, უბრალო დასახლისებს, ესმოდათ, აღელვებდათ, ცრემლსა გვრიდათ ავთანდილისა და ნესტანის ბრძნული წერილები... რომ ჭარ კიდევ გუშინ მწყემსები, გუთნისდედები, კალატოზები რუსთაველის ლექსით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს... ჭაბუკი თავის სატრფოს რუსთაველის სიტყვებით უმელავენებდა სიყვარულს.. ასე კი იმითმ ხდებოდა, რუსთაველმა ქართული სულის „მეტაფიზიკური ენა“ რომ შექმნა, რომლის რაობაც შესანიშნავად ამოხსნა გალაკტიონ ტაბიძემ: „საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის გაქანების, მანერა ბრძოლის, საქართველომ შეისისხლბორცა პოეტის გემოვნება, მისი ჩვეულებები, მისი აღერსი, მისი სასიყვარულო სიტყვები. საქართველო და პოეზია თანაბრად არიან რთული, გაწვრთნილი და ამალღებული მრავალფეროვანი და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორია“.

ზოგიერთმა ჩვენმა ფილოსოფოსმა თუ ტექსტოლოგმა-მკვლევარმა ლოდინი კანდაკება კი არა, კანდაკებიდან ლოდი გამოთალა და იმით ჩაბერგა კარი იმ შიხი. სიკეთით სავსე სახლისა, ვეფხისტყაოსანი რომ ჰქვია, რასა-ვერცელია, ეს სიტყვები ყველას ერთნაირად არ ეხება. ჩვენ დიდი მადლიერების გრძნობით ვახსენებთ ამ პოემას ისეთ მკვლევარებს — ვახტანგ VI დაწყებული ჩვენი თანამედროვე ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერის ჩათვლით — რომელთა შრომებმაც ჩაგვიხერგეს რწმენა, გვაჩუქეს იმედი, რომ

ეს პოემა ჩვენთვის არის მოვლინებული, როგორც ამქვეყნიური ადამიანური შვება.

პოემა რომ მეცნიერებისათვის არ არის დაწერილი, ამაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ზედმეტია, ამასთანავე, ვერაინ დამარწმუნებს (თუკი, საერთოდ, გამოჩნდება ასეთი ვინმე!), თითქოს ნებისმიერი ტექსტოლოგი, ენათმეცნიერი ან ფილოსოფოსი პოემაში გაცილებით მეტ პოეზიას პოულობდეს, ვიდრე ამავე პოემის რომელიმე არამეცნიერი მკითხველი. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ვერც ერთი ენათმეცნიერის, ფილოსოფოსისა თუ ტექსტოლოგის ნაოკვევში ვერ ვხედავთ ამის კვალს. მეტსაც ვიტყვი, — ზოგიერთი მეცნიერული ნარკვევის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი პოეზიის ნიმუში კი არა. ჩვეულებრივი, განსაზღვრული ინფორმაციის შემცველი ტექსტია, ანუ ისეთი ტექსტი, სადაც პოეზიის ნატამალიც კი არ არის, როგორცაა, ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნის რომელიმე სიგელი. ნუსხა ან წერილი...

რუსთაველოლოგები, საერთოდ, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც უფრო დიდია მეცნიერი, მით უფრო ნამდვილი პოეტია, რამდენადაც პოეზია არის მდგომარეობა სულისა, ის იღუმალი კონტაქტი. შეგარნება სამყაროსი, იმ საიდუმლო ნიშანთა დანახვის, შემჩნევის უნარი, რომელიც ერთმანეთის გვერდით აყენებს შექსპირს, კოლუმბსა და კოპერნიკს. ამიტომაც, ვისაც მეტად შეუძლია განიცადოს პოეზია, ვინც მეტად არის პოეტი, მას უკეთესად შეუძლია ამოხსნას (თუკი ეს, საერთოდ, შესაძლებელია!), ან ეცადოს ვიანც ამოხსნას პოემაში ჩამარხული საიდუმლო, ყოველშეუძებნაში, შეუძლია ჩაწვდეს მისი პოეტური სისტემის ორგანიზაციის თავისებურებას.

იმედია, არავინ იფიქრებს, რომ რუსთაველის პოემის იდეალურ მკვლევარად ის მიმჩნია, ვინც ლექსებს წერს,

ვისაც დღეს ჩვენ პოეტს ვეძახით მისი საკვიანობის გამო. არა — მე ვგულისხმობ უნარს, პოეტურ სმენას, მუღმივ მზადყოფნას პოეზიასთან შესახვედრად. მოკლე, ბედნიერ, თანდაყოლილ თვისებას. ტყუილად როდი ამბობდა ჰეგელი: „ისტორიაზე სერიოზულად ვერ იმსჯელებ თუკი ესთეტიკური გრძობა არა გაქვსო“. სამართლიანი მოსაზრებაა, არა მარტო ისტორიის, არამედ, საერთოდ, მეცნიერებასთან დაკავშირებით.

პოეზიაზე საუბრის დროს, ზოგ შემთხვევაში, გვაეწყობება, რომ ეს სწორედ პოეზიაა ანუ ხელოვნებაა. ზოგჯერ შეგნებულადაც კი ვივიწყებთ, რადგან ჩვენი სწავლულების გარკვეულ, მეტად გავლენიან წრეში პოეზიისადმი ასეთი მიდგომა უკვე დაკანონებულ ნორმად ითვლება და მისგან ოდნავი გადახვევაც კი ამ სწავლულთა რისხვას თუ არა, ირონიულ ღიმილს მაინც უსათუოდ იწვევს.

პოეზიას, რასაკვირველია, მარტო წაკითხვით ვერ გაიგებ. პოეზიას უნდა გრძობდე. ა. ფეტის სიტყვები, რომლებიც ახლა მინდა გავიხსენო, შეიძლება პოეზიის მკვლევართა მისამართით არ იყოს ნათქვამი, მაგრამ აშკარად მათაც ეხება: „თუკი ისევე არ ხედავ და ისევე არ გრძობ, როგორც ხედავდნენ და გრძობდნენ ფირდოუსი, შექსპირი და ბეთჰოვენი, მაშინ დაგვანებთ თავი, მოგვშორდი!“

ვეფხისტყაოსნის შესანიშნავმა მკვლევარმა შალვა ნუცუბიძემ თქვა: „ტექსტს ფილოლოგიური წაკითხვის გარდა, პოეტური წაკითხვაც უნდა“ —ო, რასაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ თვითონაც ივიწყებდა ეს ყველაზე პოეტური ფილოსოფოსი ჩვენს ახალ ფილოსოფოსებს შორის. მაგრამ მან პირველმა თქვა ის ბოლო მსგავსი აზრი მერე სხვა მეცნიერებმაც გამოთქვეს. ისეთიბმაც კი. პოეტურობას ნამდვილად რომ ვერ დავწამებთ.

ახლა დროა, ისევ „საქმის უცოდინარ მკითხველს“ დავუბოუნდეთ. ნუთუ

მართლა, რაც მას ვეფხისტყაოსნის მოსწონს, ტყუილად მოსწონს? ნუთუ, რაც მოსწონს, პოეზიაზეა? ანუ ეს მკითხველი, მხოლოდ და მხოლოდ, არასწორი გაგების, არასწორი გრამატიკული ფორმების, ჩამატებების, გადამწერტა კალმის შეცდომათა მსხვერპლია და რუსთაველის კემშარიტი გენია მისთვის მიუღწეველი რჩება? არა, ასე რომ იყოს, საბოლოო ტექსტის დადგენამდე, პოემა სეიფში უნდა გამოგვეეტა და არავინ მიგვეკარებინა. მაგრამ განა მართლა შესაძლებელია ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს პოემის ტექსტი? პოემის ერთ-ერთი ტექსტოლოგი-მკვლევარი ფიქრობს, ამ მიმართულებით მუშაობა, შეიძლება. „ასეთი წლობით“ გაგრძელდესო. რა შეგვიძლია ამის შემდეგ ვთქვათ? რასაკვირველია, ეს ასე იქნება. მაგრამ, ამავე დროს, ისიც ზომ ფაქტია, რომ პოემა-ჯიუტად განაგრძობს უამრავი და უამრავი ახალი გულისა და გონების მონადირებას, საოცარი ცოცხალი ძალით მოქმედებს ადამიანებზე და ნუთუ ეს ძალისხმევა პოეზიისა, მხოლოდ და მხოლოდ, შეცდომების საფუძველზე დგას? ნუთუ თვით ტექსტის სირთულეს, გადამწერების შეცდომებსა თუ ეპიგონების მცდელობებს ასეთი საბედისწერო როლის შესრულება შეუძლია? ნუთუ, მართლაც, ასეთი გაუგებარია პოემა „საქმის უცოდინარი მკითხველისათვის?“ აკაკი წერეთლისა არ იყოს, „ნუთუ ეს გატაცება და ხალხის აღტაცება უბრალო შემთხვევის ბოლი იყო“ მხოლოდ?.. „ხომ ვკითხულობდიო ცალმხრივ „ვეფხისტყაოსნის“ საუკუნეთა განმავლობაში?“ — წერს შალვა ნუცუბიძე და იქვე დასძენს, — „ამით ბევრი არაფერი დაშავებულა და იგი თავის როლს ასრულებდა ქართული კულტურის ისტორიაშიო“.

მართალია, მკითხველს პოემაში ბევრი რამ არ ესმის. აქ ბევრი გაუგებარე სიტყვა, გამოთქმა ან მეტაფორაა, მაგრამ განა როდისმე ყველაფერი ნათელი გაბდება? განა ეს, საერთოდ, შესაძლ-

ებელია? ან განა აუცილებელია, პოემაში ყველაფერი ნათელი იყოს, როგორც ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოში? და ბოლოს, განა ვეფხისტყაოსნის ტექსტი ფილოლოგიურად დადგენილიც რომ გვექონდეს, პოეზიის მხრივ, ყველაფერი გარკვეული იქნებოდა?

ერთხელ და სამუდამოდ ამოხსნილი ლექსი არ არსებობს და თუკი არსებობს, ნამდვილი ლექსი არ არის. პოეზია ცოცხალი არსებაა იმ თვალსაზრისით, რომ განუწყვეტლევ წარმოშობს თავის წიაღში ახალ, მოულოდნელ თვისებებს. ი. ტინიანოვმა კარგად თქვა, ლექსი, ადამიანისაგან განსხვავებით, ცოცხლდება ხოლმე და თანაც არაერთხელ.

იმ წიგნს, რომელსაც პოეზია ეწოდება, არითმეტიკის სავარჯიშოსავით, პასუხები არა აქვს დართული, არ შეგიძლია შეამოწმო, სწორია თუ არა შენი შთაბეჭდილება. მიხედვრა, აზრი... მაგრამ საქმე ის არის, რომ პოეზიაში ყველაფრის ბოლომდე გარკვევა არც სავალდებულოა და, უფრო მეტიც, — არც სასურველი!

პოემის თავდაპირველი ტექსტის დადგენა, რა თქმა უნდა, შეიძლება, ჩვენი რუსთველოლოგია დიდ წარმატებას აღწევს ამ მხრივ, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება პოემის დედანიც ვიპოვოთ, მაგრამ აი, პოემის პოეტური ტექსტის და, ამდენად, მისი გაგების დადგენა ყოველად შეუძლებელია.

შეცნიერული ტექსტი, მართლაც, ერთი უნდა იყოს (სასურველია!), პოეტური კი იმდენი, რამდენიც მკითხველია (ესეც სასურველია!).

საინტერესოა, მაინც ვინ უნდა ვიგულისხმოთ „საქმის უყოღნარი მკითხველს“ ცნებაში? იქნებ ის, ვინც პოემის კითხვის დროს წინასწარ არ ფიქრობს, რომ ეს პოემა არისტოტელეს, პლატონის თუ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იდეების გავლენითაა შექმნილი: რომელიც ყოველი ტაემის, სტრაფის, სიტყვის მიღმა რაიმე აღ-

გეგორიას, სიმბოლოს ან ენოტეროვლ ნიშანს არ გულისხმობს, ვინც რუსთველის ღვთაებრივ უბრალეობას იმდენად და სულის კარს უხსნის მის მუსიკას, ვისაც სწამს, რომ პოეტი ფილოსოფიურ-მისტიკურ მახეს კი არ უტეგბს, პოეზიისა თუ თეოლოგიის წესების ცოდნით კი არ ზომავს და არჩევს თავის მკითხველს (ასე რომ იყოს, ღმერთი ეკლესიაში მარტო სასულიერო სემინარიის რექტორებს შეუშვებდა!), არამედ ასწავლის ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი განძისკენ, ანუ საკუთარი პიროვნებისაკენ მიმავალ ყველაზე სწორ გზას, ასწავლის შეგობრის სიყვარულს, სუსტის შეგბრალებას, ღირსეულის დაფასებას, სხვა ხალხთა პატივისცემას, ჭირთა თმენას, მოკლედ — ყველაფერ იმას, რაც კი ამქვეყნიური ცხოვრებისთვისაა აუცილებელი, დაიხ. ცხოვრებისთვის და არა მხოლოდ არსებობისთვის!

ვეფხისტყაოსანმა სამყარო კი აი ამოხსნა, არამედ სამყარო დაანახა ჭართველ კაცს, მისსულს შესძინა ახალი თვისება—სამყაროს უსაზღვროების განცდისა; დაანახა ცა, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში და, ამდენად, ჩვენს სინამდვილეში, პირველად გამოჩნდა არა როგორც ღმერთის კუშტი, იღუმელი სამფლობელო, არამედ, როგორც უკიდევანო, ვარსკვლავებით მოკქედილი სივრცე, სადაც თითოეულ პლანეტას, ადამიანივით, თავისი თვისება და ხასიათი გააჩნია. ეს კი რუსთაველის შეუდარებლად დიდი და ნოვატორული ქმედება იყო. შეუდარებლად მნიშვნელოვანი მიღწევა პოეტური სულისა, ვიდრე რომელიმე ასტრონომიული თეორიის ჩამოყალიბება. თუმცა, არ შეიძლება არ ვთქვა, რომ ისინი, ვინც კი ჩვენს პოეტს შეცნიერულ ნიქსა და შრომებსაც კი მიაწერენ, მხოლოდ და მხოლოდ აეთილშობილური განზრახვით იღწვიან და რუსთაველის კიდევ უფრო განდიდება სწადიათ, ისევე როგორც მორწმუნეს — ღმერთისა, თით-

ქოს ღმერთის კიდევ უფრო განდიდება შეიძლებოდეს...

საქართველოში, ამ „პოეტების ქვეყანაში“, როგორც მას უწოდებენ და რასაც სიამოვნებით ვიფერებთ კიდევ ერთი უცნაური რამ შეიძინევა— პოეტის მხოლოდ პოეტობა აშკარად არ გვაკმაყოფილებს და ვცდილობთ რაიმე თანამდებობით „დავაწინაუროთ“ იგი. აი, რუსთაველი ჩვენი მკვლევარების წიგნებში ხან მეჭურჭლეთუხუცესია, ხან მხედართმთავარი, ხან ეპისკოპოსი და ა. შ. და ა. შ. ასეთ „მზოუნველებს“ შორის ხშირად გვხვდებიან, მეტად სერიოზული მკვლევარებიც, რომელთა მსჯელობაც, ალბათ, მკვლევართა პირადი ავტორიტეტის გამო, განსაკუთრებული კატეგორიულობით გამოირჩევა. ჩვენ კი, ანუ „საქმის უცოდინარი მკითხველები“, ცოტათი დაბნეულებიც კი ვართ ჩვენი პოეტის ამდენი პროფესიით. თანამდებობითა და, საერთოდ, მრავალმხრივობით, რაც ვერ დაგვიჭერებია, იმიტომ კი არა, დაჯერება რომ არ გვინდა — ვერ დაგვარწმუნეს. ეს კატეგორიული მსჯელობანი ფოლკლორულ წარმოდგენებზე უფრო სანდო რომაა.

რუსთაველის „ბიოგრაფები“ ამტკიცებენ. პოეტი, უპირველეს ყოვლისა, დიდი კარისკაცი იყო და პოეტობას გასართობად მისდევდაო. ისევე, როგორც შექსპირის ბიოგრაფებს, არც მათ სჯერათ, რომ პოეტს, თანაც უბრალო წრიდან გამოსულს, შეეძლო შეეჭმნა პოეტური აზროვნების ასეთი საოცრება; აშკარად არ აკმაყოფილებთ ამ გენიალური კმნილების ავტორის მხოლოდ პოეტობა; მათ წარმოდგენაში ასეთი პოეტი უსათუოდ დიდი გვარის შვილიც უნდა იყოს, დიდი თანამდებობაც უნდა ეკუროს.

როგორც ვიცით, შექსპირის პიესების ნამდვილ ავტორად ჯერ ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი მიაჩნდათ, მერე გრაფი დერბი, მერე ლორდი რეტლენდი და მალალი წოდების კიდევ

მრავალი სხვა წარმომადგენელი, რომელთაგან ამ ბრწყინვალე ტუჩგდომეზეტოვტორი უბრალო პოეტის მხინდასტარყოფილიყო!

რუსთაველთან დაკავშირებით, ჩვენ შიაც ასე იყო და, საკვირველია, რომ დღესაც ასევე გრძელდება: ძალიან უნდათ, პოემის ავტორი უსათუოდ რომელიმე დიდი კარისკაცი იყოს. ვთქვათ, მეჭურჭლეთუხუცესი, კი მაგამ, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი გამჭრიახი მეფე, როგორც გიორგი III გახლდათ, თავისი ასულის გამეფებასთან დაკავშირებულ და ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობის პოემის დაწერას პროფესიონალ პოეტს კი არ დაავალებდა, არამედ ფინანსთა მინისტრს!

იქნებ ვინმემ თქვას, როგორც ადრეც არაერთხელ უთქვამთ, ხომ შეიძლებოდა ფინანსთა მინისტრი, მხედართმთავარი თუ ეპისკოპოსი, პოეტური ნიჭითაც ყოფილიყო დაჯილდოებულიო, მითუმეტეს, რომ საქართველოში ეს არავის უნდა გაუფიქრდეს, რადგან აქ მეფეებიც კი პოეტები იყვნენო.

რა უნდა ვუპასუხოთ ამ, ერთი შეხედვით, რკინისებური ლოგიკით განმტკიცებულ მოსაზრებას? ჯერ ერთი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი სხვაა და ნამდვილი პოეტი კი სულ სხვა. ეს პოემა აშკარად არ არის დამატებითი გატაცების, ანუ ეგოეთწოდებული „პოზის“ ნაყოფი. მეორეც — ისეთი პოეტი მეფე, რომელიც პოეტური ნიჭით რუსთაველს ოდნავადაც კი შეიძლება შევადაროთ, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიძებნება.

უდავოა, რომ რუსთაველის კარისკაცობის ამბავი ლეგენდაა და, თანაც, აღორძინების ხანაში შეთხზული. ნიკო მარი ფიქრობდა, ლეგენდა რუსთაველის დიდებულობის, კუზირობის, მეჭურჭლეთუხუცესობის შესახებ მაშინ შეიქმნა, როცა მეფეები და დიდებულები პოეტები იყვნენ.

ვფიქრობ, უმჯობესია, ერთხელ და სამუდამოდ შევეურიგდეთ იმ აზრს, რაც უნდა ძნელი იყოს, რომ რუსთაველი პროფესიონალი პოეტი და არა პოეტური ნიჭით დაჯილდოებული კარისკაცო. სხვათაშორის, ზელმწიფის კარზე მოსამსახურე პოეტი კარისკაცზე არანაკლებად ეცოდინებოდა ყველაფერი ის, რაც ამ პოემის დასაწერად იყო საჭირო. მეტსაც ვიტყვი — პოეტი უსათუოდ გაცილებით უკეთესად ეცოდინებოდა, თუნდაც, სარაინდო წესები, მიუხედავად იმისა, თვითონ პირადად იყო თუ არა რაინდი. ბოლოს და ბოლოს, მეფის კარზე მოსამსახურე პოეტი შეიძლებოდა თვითონაც რაინდი ყოფილიყო...

ღიახ, რუსთაველი პროფესიონალი პოეტი, „სპეციალური პოეტური გილდიის“ წევრია, ანუ, როგორც ცნობილი რუსთაველოლოგი ვუკოლ ბერიძე ამბობს, ზელმწიფის კარზე არსებული „მთელი ლიტერატურული დეპარტამენტის“ აქტიური მოღვაწე.

ასეთი „პოეტური გილდიები“ მაშინ ევროპაში მრავლად იქმნებოდა და არა მარტო ზელმწიფისა თუ მთავრის კარზე. გავიხსენოთ, თუნდაც, მინენინგერები გერმანიაში. ასეთი პოეტური ამქრების წევრთა ერთადერთი შემოსავალი, საარსებო წყარო და სახსარი ლიტერატურული საქმიანობა იყო. ასეთი „გილდიები“ უსათუოდ საქართველოშიც არსებობდა, რომლის იმდროინდელი ყოფა ძალიან ჩამოგავს დასავლეთ ევროპის ცხოვრების წესსა და ყოფას. ასეთი „გილდიებიდან“ ალბათ საუკეთესო პოეტებს არჩევდნენ და ზელმწიფის კარის „ლიტერატურულ დეპარტამენტში“ გადაჰყავდათ. შეიძლება ეს ძალიან საინტერესო მოსაზრება აღმოჩნდეს რუსთაველის პროფესიის გარკვევისათვის.

პოეზია საქართველოშიც უსათუოდ ხელობად ითვლებოდა. „მე, რუსთაველი ხელობითა ვიქმ საქმესა“... — მე, რუსთაველი, ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ჩემი ხელობაა. „რაცა ვის რა

ბედმან მისცეს, დასჯერდეს“-ო. ვაეც მისი სიტყვებია. როგორც ჩანს, ჩვენნი ზოგიერთი მკვლევარისაგან განსხვავდებით, თვითონ პოეტი კმაყოფილი იყო თავისი ზედრით.

ამვე დროს სრულებითაც არ არის საკვირველი, რუსთაველისათვის ყველაფერი რომ გვემეტება: მხედართმთავრობაც, მეკურპლეთუხუცესობაც, ეპისკოპოსობაც, ასტრონომობაც, მხატვრობაც, კომპოზიტორობაც... უპირველეს ყოვლისა, ეს არის, როგორც უკვე ვთქვი, პოეტისადმი უღრმესი თაყვანისცემისა და აღტაცების, ანდა, თუ გნებავთ, მადლიერების ერთგვარი გამოხატვა.

რა თქმა უნდა, თაყვანისცემა და მადლიერება კარგია, რუსთაველი ჩვენგან სხვას არაფერს იმსახურებს. მაგრამ ერთიცაა — გენია ხელოვნურად არაფრის მიმატებას. არ საჭიროებს.

ფსიქოლოგიურად იგივე მიზეზი უდევს საფუძვლად ჩვენი ზოგიერთი მკვლევარის მიერ რუსთაველის ფილოსოფოსად წარმოდგენის ცდასაც.

ჩემი აზრით, როცა ვეფხისტყაოსანზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვევიწყდეს, რომ ეს პოეზიის სიბრძნეა და არა რომელიმე ფილოსოფიურ სკოლაში დამუშავებული ტრაქტატი. აკითხავდ რუსთაველმა თქვა: პოეზია „სიბრძნის დაზგია“-ო (დანტესთვისაც ორფეოსი „ბრძენია“! ხოლო მეფე-პოეტი არჩილი წერდა: „რუსთაველი სიბრძნის ტბა არის“-ო).

ზოგი მკვლევარი ცნობილ სტრიქონს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისად ერთი დარგი“ ისე კითხულობს, თითქოს რუსთაველი პოეზიას ფილოსოფიის დარგად თვლიდეს. არადა, როცა რუსთაველი ვინმეზე ამბობს ბრძენაო, სრულებითაც არ გულისხმობს ფილოსოფოსს (ერთი შემთხვევის გადა: „ბრძენი დივნოს გააცხადებს“).

პოემაში ბრძენია დავარი, ნესტანი, მექარავნეთა წინამძღოლი უსამი... რუსთაველისათვის პოეზია სიბრძნის ისეთივე დარგია, როგორც ფილოსოფია.

დიახ. რუსთაველი პოეზიასა და ფილოსოფიას ერთი ძალით წამოიდგენს სიბრძნის დაზგებად.

რუსთაველი პოეტია, ამიტომ ის აზროვნებს პოეზიით ისევე, როგორც ლეონარდო და ვინჩი აზროვნებს ფერებით. ბეთხოვენი კი — მუსიკით. მაგრამ ზოგიერთ მკვლევარს ვეფხისტყაოსანი მაინც წარმოუდგენია, როგორც ფილოსოფიური ციტატების კრებული. ერთგვარი ვალექსილი „ადამიკვირდი“. არადა არც ერთ ფილოსოფიურ აზრს, სენტენციას პოეზიაში მნიშვნელობა არა აქვს. თუკი თვითონაც არ იქცევა პოეზიად. რილკე ერთ-ერთ პირად წერილში წერდა: ჩემს ცხოვრებაში რანაირ ფილოსოფიასაც კი არ შევხვედრებავ, მას ყოველთვის ისე ვეპყრობოდი. როგორც პოეზიას. მაქსიმალური ესთეტიკური მოთხოვნილებით და მინიმალური კეთილსინდისიერებით. ხოლო, რაც შეეხება რუსთაველს, მან უზარმაზარი მემკვიდრეობა („ფილოსოფოსნი წინანი“). ფილოსოფიური ნააზრევი პოეზიად აქცია. ფილოსოფია გადაადნო პოეზიად. აზრს ერთი თვისების. მნიშვნელობის ნაცვლად. მიანიჭა მეორე, განსხვავებული თვისება, მნიშვნელობა. ლოგიკა შეაყენა ოცნების კიბებზე.

რუსთაველი მისთვის ცნობილ ფილოსოფიის ყველაწარმომადგენლობას ერთ ჯადოსნურ ქვაბში აქცევს. პოეზიის ცეცხლზე დგამს და იმ ნექტარს ხდის, რომელსაც შეუძლია უკვდავება მიანიჭოს მთელი ხალხის სულს. ეს არ არის პოეტური აღქმა. ეს ქმედება ბუნებრივობითა და გულწრფელობითაა აღბეჭდილი: მეტაფიზიკური წარმოდგენების მიღმა დღემდე ჩვილი სამყარო სუნთქავს, ყველაფერს ახალგამომცხვარი პურის სუნი ასდის.

რუსთაველის იდეები და აზრები, სიღრმისა და სიღიადის გამო, ზოგჯერ, მართლაც, გვახსენებს ყველაზე ცნობილსა და გახმაურებულ იდეებსა და აზრებს კაცობრიობის ინტელექტუალური სავანტურიდან, მაგრამ ნათესაობა

აქ მხოლოდ სიღიადშია. რასაკვირველია, რუსთაველი კაცობრიობის ინტელექტუალ მემკვიდრეობას აცნობს. უსათუოდ ზოგი რამ აღებულიც აქვს ანტიკური თუ შუა საუკუნეების ფილოსოფოსთა თხზულებებიდან, იცის საფუძვლიანად და ახსენებს კიდევ დიდი მწერლების ნაწარმოებებს, მაგრამ წინამორბედ დიდ მწერალთა თუ ფილოსოფოსთა მიმართ მისი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითია. რუსთაველის პოემის გმირები პატრონები არიან მსოფლიო ფილოსოფიური აზრისა და ისინი ამ აზრს ადამიანისათვის გამოსაყენებელს, ადამიანისათვის სასარგებლოს ხდიან. პოეტურ სიბრძნედ გარდაქმნიან, დანიშნულებისამებრ იყენებენ საუკუნეობით დაგროვილ ცოდნას. ანუ ადამიანს უბრუნებენ იმას, რაც მას ეკუთვნის, სხვათაშორის, ისიც უნდა ითქვას, რომ პოემის გმირების აზროვნების მიხედვით, თავისუფლად შეგვიძლია დავადგინოთ გენიალური პოეტის განათლების დონე. რასაკვირველია, არც ესაა ცოტა, ტრადიციული კატეგორიის მკვლევარებს ამ მიმართულებით მეტად სინტერესო ალმოჩენები მოელით. საერთოდ კი, ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით, არაფერზე არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, ეს ნამდვილად ასეაო. პოემა ოკეანეა, რომელიც თავისი წიაღიდან ახალ-ახალ საიდუმლოებებს ამოისვრის ხოლმე. ამიტომაც, ყოველ ახალ თობას თავისი გამოცანა ხვდება ამ პოემაში და, ალბათ, კიდევ მრავალი მეცნიერი თუ პოეტი დაშვრება პოემის ტექსტის დასადგენად თუ ამოსახსნელად და მათი შრომა არასოდეს ამოი იქმნება.

ედუარდ იუნგს (1683-1765) შექსპირზე უთქვამს: პოეტი თავისი წინამორბედების შვილი კი არა — ძმაო. ეს აზრი რუსთაველის მისამართითაც შეგვიძლია გავიმეოროთ. იუნგს ეკუთვნის ეს მახვილგონივრული ფრაზაც: ქეშმარიტი პოეტი აზროვნებს და ქმნის, სხვები კი კითხულობენ და წერენო.

და ესეც იუნგისაა: „რაც ამალღებს ისტორიკოსს, ის ამდაბღებს პოეტს!“ იქნებ ნახევრად ზუმრობით ჩვენც გვეთქვა — რაც ამალღებს ფილოსოფოსს, ამდაბღებს პოეტსო...

„არც შექსპირი, არც დანტე სეროზული მოაზროვნეები არ იყვნენ“-ო, ეს თომას ელიოტის სიტყვებია, და რადგანაც ციტატებზე მიღვა საქმე, ბარემ ფეტის საყურადღებო აზრიც გავიხსენოთ, ტიუტჩევის ლექსებთან დაკავშირებით რომ გამოთქვა: „შიქღება იყო უდიდესი მხატვარი-პოეტი და არ იყო მოაზროვნე ცხოვრებისეული ან ფილოსოფიური გავებით...“

საინტერესოა, რომ შექსპირის შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი, როდესაც ამ დიდი ინგლისელის ფილოსოფიაზე ლაპარაკობს, სიტყვა ფილოსოფიას ბრჭყალებში სვამს.

იქნებ როგორმე, ერთხელ და სამუდამოდ, შევერიგდეთ იმ აზრსაც, რომ რუსთაველი ფილოსოფოსი კი არა — პოეტია, რომ პოეზიაც „სობრძნისა ერთი დარგი“, რომ არავითარი საფუძველი არ გავგაჩნია, ფილოსოფია პოეტურ სობრძნეზე უმაღლესად მივიჩნიოთ, თანაც ჩვენ, ვისაც პოეტური სობრძნის ისეთი მაგალითი გვაქვს, როგორიც ვეფხისტყაოსანია, ზოლო ისეთივე დონის ქართულ ფილოსოფიურ ნაწარმოებს კი, ჭერჭერობით, ვერ დავასახელებთ.

და მაინც, პოეზია და ფილოსოფია გაცილებით ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე სობრძნის სხვა დარგები. სწორედ რუსთაველი ამტკიცებს, პოეტური აზრი ისევე რომ არ გამორიცხავს ფილოსოფიურს, როგორც ფილოსოფიური აზრი — პოეტურს. მაგრამ ვეფხისტყაოსნიდან ჩვენ კიდევ ერთ, უფრო მნიშვნელოვან კემარიტებასაც ვიგებთ: ფილოსოფოსი კი არ არის ბრძენი, არამედ — ადამიანი!

2.

ნამდვილად საკვირველია და, ამავე დროს, სამწუხაროც, ამ უკვდავი პოე-

მის ავტორის შესახებ თითქმის არავითარი სარწმუნო ცნობა რომ არ გვაქვს. ამ საკითხს დღემდე ოდნავადაც არ მოჰქენია შუქი და, საერთოდ, არც ერთი ლიტერატურული მოვლენა, უფრო აღრიზდელიც კი, ისეთი გაურკვევლობით, იღუმალებით არ არის მოცული, როგორც ეს — ჩვენი ისტორიის ყველაზე განათებულ, გააშუაშებულ ხანაში წარმოშობილ და ქართველი ხალხისთვის ყველაზე საყვარელი ძეგლი.

ეტყობა, რუსთაველთან დაკავშირებით, მართლაც მომხდარა რაღაც დიდი კატასტროფა, ალბათ, პოლიტიკური ხასიათისა, რადგან სხვანაირად ძნელი ასახსნელია მისი სახელის სრული გაქრობა იმდროინდელი დოკუმენტებიდან, სადაც თამარის ორი დესპანი ქალის სახელიც კია შემონახული. თანაც, არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ რუსთაველი იმდროისათვის თავის კოლეგებს შორის გამოჩეულია — პოემის დაწერა ხომ სწორედ მას შეუძვეთეს და არა სხვას! ეს ამბავი ნამდვილად ვიცით, რადგან პოემაში წერია!

თამარის გამეფებას, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა სისხლიანი პერიპეტეები. პოემის დაწერა ბრძანებით კი უბრძანებიათ, მაგრამ რუსთაველს, ეტყობა, თავიდანვე სიხარული არ გამოუთქვამს ამის გამო, ერთგვარი წინააღმდეგობაც კი გაუწევია, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმებულა: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა!“...

აუცილებელი არ არის ეს წინააღმდეგობა პოეტის პოლიტიკური მრწამსით. პოზიციით აიხსნას, თუმცა, ამ თვალსაზრისითაც უსააუოდ საგულისხმოა. შეიძლება, პოეტი თავმდაბლობის გამოც კი ამბობდა უარს ასეთ გრანდიოზულ, საამაყო დაკვეთაზე. შეიძლება, ეს ერთგვარი ლიტერატურული სვლაც კი იყო, იმდროინდელ კარის პოეტებს შორის გავრცელებული.

ასეა თუ ისე, მთავარია და ჩვენთვისაც სწორედ ეს არის საინტერესო, რომ დამკვეთებს უნდოდათ, მაინცადამაინც,

რუსთაველს დაეწერა პოემა. ეს კი, როგორც უკვე ვთქვი, იმას ნიშნავს, რომ რუსთაველი უკვე ცნობილი, გამოჩენილი პოეტია იმდროისათვის, მას უკვე ისეთი რამ აქვს დაწერილი ან თარგმნილი, მისი პოეტური შესაძლებლობანი უკვე ყველასთვის ცნობილია, სახელგანთქმული შემოქმედი. ამასთანავე, ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, დამკვეთის გამოვლენასა და გამპრაიზობაზეც მეტყველებს.

დამკვეთებს ნაწარმოების მიზანი და ხასიათი წინასწარ გაუზღვიათ პოეტისათვის: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. მიაქციეთ ყურადღება — ამ ერთ სტრიქონში თითქმის მთლიანადაა გადმოცემული იმ პროგრამის შინაარსი, რომელიც, სავარაუდებელია, გამზადებული დაუდეს წინ პოეტს. შეიძლება ამხანაც გამოიწვია პოეტის პროტესტი, თუმცა კი, ნაკლებად დასაშვებია, კარის პოეტს ასეთი რამ გააკვირებოდა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ის უფრო საინტერესოა, თუ ვინ არის პოემის დამკვეთი. მე, პირადად, ის შეხედულება უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, რომლის მიხედვითაც, დამკვეთი თამარი კი არ არის, არამედ თამარის მამა, მეფე გიორგი III.

თამარის გამეფება სრულებითაც არ ნიშნავს, ქალის ტახტზე დასმა საქართველოში ჩვეულებრივი ამბავი რომ იყო. პირიქით, თამარის გამეფების მერე დაკანონდა (ოფიციალურად!) ქალის კულტი საქართველოში. სხვანაირად რუსთაველი არ იტყოდა: „თუცა ქალია. ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“-ო. რუსთაველის პოემას ხელი უნდა შეეწყოს საქართველოში ქალის კულტის დამკვიდრებისთვის, რამდენადაც თავდაპირველად ის, ალბათ, ძალით თავსმოხვეული წესი გახლდათ. ამოიგად, თამარის გამეფებასთან დაკავშირებით დაიწყო დიდი, აქტიური პოლიტიკური აქციები ამ კულტის შესაქმნელად, რაც, თავისთავად, იმ დროისათვის უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო: მაშინდელი აღმოსავლ-

ეთისათვის წარმოდგენილი, ევროპისთვის კი — სამაგალითო; სწორედ ამ კულტის შექმნისთვისაა მოწვეული რუსთაველი, პოეტთა პოეტი, საუკეთესო საუკეთესოთა შორის.

გაოკეული თვალსაზრისით, ვეფხისტყაოსანი პროპაგანდისტული ნაწარმოებია. რუსთაველის გენიის წყალობით, ქალის კულტმა შეიძინა რენესანსული იდეის ძღვერა და მნიშვნელობა. მართალია, მე ვთქვი, ქალის კულტი საქართველოში თავდაპირველად იძულებითი აქცია იყო-მეთქი, მაგრამ არც იმის უგულვებლყოფა შეიძლება, რომ ამ კულტის დასაწარმოებლად საქართველოში მაშინ, ალბათ, უკვე არსებობდა სათანადო ნიადაგი და განწყობილებაც, რა თქმა უნდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ მრავალ ლეგენდას შორის, ჩემი აზრით, არის ერთი, განსაკუთრებით საინტერესო, პოეტის სამშობლოდან განდევნის ამბავს რომ მოგვითხრობს. აქვე უნდა ითქვას, ამ ლეგენდების სათავეები, ფოლკლორის ცხოველყოფელი წიაღის გარდა, რაც უნდა საკვირველი და მოულოდნელი იყოს, ჩვენი მეცნიერების ბიოგრაფიული ხასიათის შრომებშიც უნდა ვეძებოთ.

პირველად აკადემიკოსმა მარი ბროსემ სცადა ვეფხისტყაოსნის შინაარსში იმდროინდელი ისტორიული სინამდვილე აღმოეჩინა. ამ დიდად ღვაწლმოსილმა სწავლულმა პოემა ალგორითულ ნაწარმოებად წარმოიღვინა. მარი ბროსეს მეთოდი ბევრი ჩვენი მკვლევარისთვისაც მომხიბლავი და მაცდური აღმოჩნდა. ბევრი გაჰყვა მის გზას და რუსთველოლოგია შეუდგა განძის მძიებლის ძიძვე. გამაწამებელ შრომას — დაიწყო პოემაში მისი ავტორის ბიოგრაფიისა და იმდროინდელი ცხოვრების ანალოგიების ძიება.

ბიოგრაფიული მეთოდით ნაწარმოების განხილვა, როგორც ვიცით, მაინც და მაინც, სანდო არ არის, მაშინაც კი,

როცა ავტორის ბიოგრაფია თითქმის ზუსტადაა ცნობილი. ჩვენ კი ამ მეთოდს ვიყენებთ ვეფხისტყაოსნის მიმართ, როცა მისი ავტორის შესახებ ხალხური თქმულებების მეტი არაფერი ვეპოვნე ხელთ. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მეტად უცნაურ დასკვნებამდე მივდივართ ხოლმე, როგორცაა, მაგალითად, ერთ-ერთი რუსთველოლოგის შემდეგი განცხადება: „და თვით შოთა, როდესაც იგი უფრო გვიან წერდა თავის ლეოთებრივ პოემას ვეფხისტყაოსანს, უკვე არის სხვა შოთა. შოთა ამ დროს არ არის ოვეული ტარიელისა. შოთა არის ბრძენი აეთანდილი!“ ასეთი უცნაური მოსაზრება კი მკვლევარმა, ეტყობა, იმიტომ გამოთქვა, ძალიან რომ უნდოდა შოთა, მისი აზრით, ჰერეთის ერისთავი, პოემაში ეპოვნა როგორმე და იპოვა კიდევ ტარიელის სახით. შოთა და ტარიელი, ამ შემთხვევაში, ორივე „მეშვიდე სამეფოს“ (რუსთველოლოგის აზრით, პირველი, ანუ შოთა — საქართველოს „მეშვიდე სამეფოს“ — ჰერეთის, მეორე კი, ანუ ტარიელი — ინდოეთის მეშვიდედის) მფლობელია. ამ აღმოჩენამ ისე გაიტაცა მკვლევარი, თამარიც იპოვა პოემაში, რასაკვირველია, ნესტან-დარეჯანის სახით!

დღემდე ცნობილი ერთადერთი წყარო, თამარისა და შოთას სამიჯნურო ამბავზე რომ მიუთითებს, ფოლკლორია! სხვა ათავითარი ცნობა არ გავაჩნია. ეს არის ჩვენი ხალხის კეთილშობილური სტრეგილი თავისი ორი საუკეთესო, დიდებული პიროვნება. ერთსა და იმავე დროს რომ ცხოვრობდნენ, როგორმე დაუყავიროს ერთმანეთს.

ზემოთ მოყვანილი განცხადების ავტორმა (და არა მარტო მან) ხალხურ მთქმელზე მეტი სითამამე გამოიჩინა და ლამაზი, სენტრინენტალური ლეგენდის საფუძველზე შექმნა ბელეტრისტული გამოკვლევა, რომელშიაც შოთა რუსთაველი თავდაპირველად, ანუ სანამ პოემა დაიწერებოდა, ტარიელია, თამარი კი — ნესტანი; ხოლო პოემის

დაწერის შემდეგ „თვით შოთა... უკვე არის სხვა შოთა“, შესაბამისად, თამარიც... არის სხვა თამარი... მას ნესტან-დარეჯანი კი არ ასახიერებს, არამედ თინათინი...“

უნებურად გვახსენდება ბრძენი აკაკი წერეთლის სიტყვები: „... ეს თხზულება არც ზნეობითი ალეგორიაა, როგორც გვიმტკიცებს ვახტანგ მეფე, არც ამოა რამ საეზნეო ზღაპარი, როგორც ამბობს ანტონ კათალიკოსი და არც საკუთრივ თამარის ქება და რუსთაველის პირადი გრძნობები, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ!“

...საფუძველი არ არსებობს ვიფიქროთ, რომ ჩახრუხაძე და რუსთაველი სპეციფიკურად და ნამდვილად იყვნენ გამიჯნურებულნი თამართან. სინამდვილეში ეს იყო კარის პოეტების მიერ მეფის ტრადიციული გაღმერთება“-ო, წერდა აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე. ვეფხისტყაოსანი უმაღლესი პოეზიაა, „იდეალისათვის გადაკეთებული, გადააზრებული ხელოვნება“ და არა ავტობიოგრაფიული ფაქტების მხატვრული ხორცშესხმა, როგორც ზოგიერთს შეცდომით წარმოუდგენია. ამ შეცდომის თავი და თავი კი იქ მარხია, საიდანაც ამოზრდილია და ხალხურ წარმოდგენაში ლაღადაა გაფურჩქენილი თამარისა და შოთას მიჯნურობის ლეგენდა. სწორად არის ნათქვამი, ნაწარმოები ავტორის ბიოგრაფიის საბუთად არ გამოდგებაო, ამიტომ, ჩემი აზრით, ამ პოემაში ფანტაზიას, ოცნებას, ბილვას, გამომგონებლობას გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ, ვიდრე ავტობიოგრაფიულ მოტივებსა თუ აღსარებას. რისი არსებობაც, მართლაც რომ, ძნელი წარმოსადგენია ამ პოემაში.

პოემის შინაარსში პოეტის ბიოგრაფიის ძებნა რუსთველოლოგისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ბელეტრისტულმა გზნებამ თითქმის სრულიად დაიპყრო მრავალი მეტად მნიშვნელოვანი მკვლევარის ყურადღება, როდესაც ცხადზე უცხადესია, რომ ის, რაც ჩვენ

სიყვარულის გამოხატვად მიგვაჩნია, მიძღვნის სტანდარტული ფორმაა და მეტი არაფერი: მასთან დაკავშირებული ყველა ეპითეტი თუ მეტაფორა სტანდარტია, კლიშეა, ოფიციალური ცენზორის მიერ ნებადართული და, უფრო მეტიც — დაკანონებული! კარის ყველა პოეტი, რომელთა რიცხვს შოთა რუსთაველიც ეკუთვნოდა, ალბათ ასე მიმართავდა თამარს თავის ნაწარმოებებში. ამას ამტკიცებს თუნდაც ჩახრუხაძის პოემა.

სხვაც ბევრი რამეა ვეფხისტყაოსანში სტანდარტული, ტრადიციული, დაკანონებული. რუსთაველის სიღიაღე ისიცაა, რომ გაქვავებულ პოეტურ კლიშეს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს, ახალ აზრს, ახალ მნიშვნელობას აძლევს, ქმნის ახალ სახეს, ახალ სიტყვას რომელსაც რუსთაველის სახე, რუსთაველის მეტაფორა, რუსთაველის სიტყვა ეწოდება.

ფოლკლორული წარმოდგენები, ზოგჯერ ჩვენდა შეუმჩნეველად, ღრმად იღვამენ ფესვებს ჩვენს არსებაში და უსათუოდ ზეგავლენას ახდენენ ჩვენს აზროვნებაზე. თუნდაც ის ფაქტი, რომ მეცნიერები რუსთაველის საფლავს მისი სამშობლოს გარეთ ეძებენ („სად არის შოთას საფლავი?“ — აი, ქართველი კაცის მარადიული საფიქრალი!), უკვე იმაზე მეტყველებს, თითქმის მთლიანად რომ მივენდეთ ერთადერთ გზის მაჩვენებელს, რომელსაც, არსებითად, ფოლკლორის წალკოტში შევყავართ და არა რუსთაველის ნამდვილ ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ გარემოში.

რუსთაველის სამშობლოდან განდევნის ამბავი, რა თქმა უნდა, დასაშვებია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს ამბავი, ჭერჭერობით, ფოლკლორულ ვერსიას არ შორდება. ამავე დროს, არ არსებობს ლეგენდა, ზღაპარი, მითი, რომლის წარმომქმნელი, სულის ჩამდგმელი ბიძგი რომელიმე ცხოვრებისეული მოვლენა არ იყოს, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველა ზღაპრის სა-

ფუძველი სიმართლეა. ზემოთ აღნიშნული ლეგენდაც ალბათ *ქართულად* ამბიდან იღებს სათავეს, *არღონტქმეტრე* და მერე სახეს იცვლის და სულ სხვა გზით ვითარდება.

პოეტს ნამდვილად განუცდია დევნათავისი პოემის გამო და ამის ორი უტყუარი საბუთი გვაქვს: ვახტანგ VI „კომენტარი“ და თვით პოემის პროლოგი!

პოეტის დევნა, ნაწარმოების გამო, სრულებითაც არ არის გასაკვირი და არც იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მაინც საინტერესოა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ, როგორც უკვე ვთქვი, რუსთაველის სახელი სრულიად გამქრალიყო ჩვენი ისტორიის ფურცლებიდან?

არ უნდა დაგვაფიწყედეს, რომ ვახტანგ VI უფრო შორსა დგას რუსთაველისაგან, ვიდრე ჩვენ, ის რუსთაველოლოგიის დამწყებია, მას მერე ეს მეცნიერება განუზომლად გაიზარდა და გამდიდრდა. ამიტომაც, დღეს გაცილებით მეტი ვიცით რუსთაველის ეპოქის, პოემის ტექსტების თაობაზე, ვიდრე ვახტანგმა იცოდა, და მაინც უზარმაზარია ვახტანგის დამსახურება ქართული კულტურის, კერძოდ, რუსთაველის პოემის შესწავლის საქმეში.

პირველი საერო ხასიათის წიგნი, რომელიც ქართულ სტამბაში დაიბეჭდა, ვეფხისტყაოსანი იყო და ეს ვახტანგის თავდადებული გარჯის წყალობით მოხდა. თვითონ მშვენიერმა პოეტმა, უაღრესად განსწავლულმა პიროვნებამ. არაჩვეულებრივი პოეტური სწენის პატრონმა, რასაკვირველია, ვარგად იცოდა ვეფხისტყაოსნის ქმნიარტი ფასი ამიტომაც, პოემისათვის მის მიერ დართული კომენტარები უაღრესად საინტერესოა ჩვენთვის.

პირველი, ყველაზე მკაფიო გრძობა, „კომენტარის“ წაკითხვის შემდეგ რომ გვეუფლება, სიფრთხილის გრძობაა, ვახტანგმა გაცილებით მეტი იცის რუსთაველის შესახებ, ვიდრე წერს, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ

მას არ შეეძლო ყველაფრის დაწერა. საერთოდ, „კომენტარის“ კითხვისას, ისეთი განწყობილება იქმნება, თითქოს შოთა რუსთაველის რეაბილიტაცია ხდებოდეს!

„რუსთველისა წიგნი სულ სასწავლებელი არის“-ო, ამბობს ვახტანგი. „კომენტარის“ მიხედვით, შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ რუსთაველის დევნა დიდხანია გრძელდება. დღეს არ დაწყებულა და გუშინ, ვახტანგი, არსებითად, იგერიებს, აშოშინებს რუსთაველის მტრებს, ამავ დროს, „კომენტარი“ განსაზღვრული პოლიტიკური ტენდენციის აშკარა ანაბეჭდსაც ატარებს — რედაქტორი ხაზს უსვამს პოეტის ეროვნულობას, ქრისტიანულ ხასიათს და მის ანტიალმოსავლურ, კერძოდ, ანტისპარსულ სულისკვეთებას.

თითქოს დამდგარა დრო, მზეზე რომ ამოიტანონ და პოლიტიკური ბრძოლისათვის გამოიყენონ ყველაზე ანტიალმოსავლური, ყველაზე ძლიერი ნაწარმოებები, რაც კი ქართულად შექმნილა — ვეფხისტყაოსანი! და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თითქოს დამდგარა ხელსაყრელი ეამი იმისათვის, პოემის პოლიტიკური დევნა რომ შეწყდეს. ამჟამად ეს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა: ვახტანგმა აშკარად იცის, თუ რისთვის იდევნებოდა ვეფხისტყაოსანი, მართალია, ამის შესახებ „კომენტარში“ დუმს, მაგრამ მის მიერ საგანგებოდ აღნიშნული პოემის ანტისპარსულობა დევნის ნამდვილ მიზეზზე ერთგვარ მინიშნებად გაისმის.

ვახტანგის ასეთი გონივრული კმედების შედეგ, ანუ ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის შემდეგ, ერთი რომ ისეცხადი გახდა: ჩვენი ხალხის ერთადერთი ჭეშმარიტი იარაღი, რომელმაც ის ბედნიერ ხანაში საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა, ხოლო ძნელბედობის ეამს დაღუპვას გადაარჩინა, იყო ქართული წიგნი!

ამ „კომენტარის“ მიხედვით, შეიძლება, იმდროინდელი საქართველოს ძალზე მძიმე პოლიტიკურ მდგომარეო-

ბაზეც ვილაპარაკოთ, მდგომარეობაზე, რომელიც არა მარტო გარეშე მტრების მიერ დატრიალებულ ტყვედ გამოიხატებოდა, არამედ შინაგან განხეთქილებებსა და მტრობაშიც. ამ თვალსაზრისით, „კომენტარი“ დაქვეითების ეპოქის ერთ-ერთი ტიპური დოკუმენტია.

მართლაც რომ, მძიმე ეპოქა იყო! არასოდეს არ ყოფილა იმდენი ლაპარაკი, იმდენი შეგონება, ქადაგება, მსჯელობა, იმდენი დიდაქტიკური დამოძღვრა საკირო სწავლა-აღზრდისათუ ზნეობის საკითხებზე, როგორც იმ დროს. გაეიხსენოთ საბა, არჩილი, გურამიშვილი....

რუსთაველის ქვეყანაში აუცილებელი გახდა სწავლის, სიკეთის, უფრო მეტიც — საერთოდ, ადამიანობის აგოტიცია! ქვეყანაში, რომელსაც მათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე საუუენებების მანძილზე ევროპაში ექსპორტად გაქჷონდა თავისი კულტურა! ქვეყანაში, სადაც თითოეული მონასტერი აკადემიის სიმაღლეზე იდგა! ასე რომ, გურამიშვილის ფრაზა: „ისწავლე, სწავლის მძებნელო“ — უფრო ტრაგიკულად ეღერს, ვიდრე დიდაქტიკურად.

ერთი კია, ამ დროს საქართველოში, უკვე შეიმჩნევა აღმოსავლური ბანგი-საგან მისი საუცეთესო შვილების გამოფხიზლება. იწყება საკუთარი ეროვნული ფესვების ძიება, ვეფხისტყაოსნის წიგნად გამოცემა და საბას ევროპაში გამგზავრება, ამ მხრივ, ერთი კატეგორის მოვლენებია.

მაგონ ამჟამად ის გვიანტერესებს, რაც ვახტანგის „კომენტარიდან“ აშკარად ჩანს — საქართველოში რუსთაველი იდევნებოდა და, თანაც, ეს დევნა დიდხანის წინ იყო დაწყებული!

რუსთაველის დევნის მეორე საბუთით მის პოემაშია, პოემის პროლოგში, მაგრამ ვიდრე ამის შესახებ სიტყვას გავაგრძელებდე, „პროლოგზე“ მინდა ჩემი აზრი მოკლედ მოგახსენოთ. მკვლევარი მანანა გიგინეიშვილი

სტატიაში „ჩვენი ქვეყნის სიყვარულით“, ინგლისელი მწერალი ჯალის ქეთრინ ვივიანის მიერ ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე თარგმნის ფაქტს რომ ეძღვნება, წერს: „პოემის ქეთრინ ვივიანისეული ახალი თარგმანი პროზაულია და ე. წ. თავისუფალი თარგმანია. პოემის მხოლოდ პროლოგი და ეპილოგია თარგმნილი ლექსად. ვივიანის აზრით, პოემის პროლოგის ლექსად თარგმნა აუცილებელია, რადგან მას რუსთაველის პოეტურ სამყაროში შეჰყავს მკითხველი, მასში გადმოცემულია ესთეტიკური იდეალები. ლექსად თარგმნილმა პროლოგმა მკითხველს უნდა აგრძნობინოს რუსთაველის პოეტური სიტყვის ძალა და გარკვეული შთაბეჭდილება შეუქმნას პოემის ლექსთწყობაზე“.


თუმცა, პროლოგი, ეპილოგთან ერთად, დღემდე ითვლება პოემის ყველაზე გაურკვეველ, ყველაზე დაუდგენელ ნაწილად. მაინც აშკარაა მისი დიდი მსგავსება ევროპული სარაინდო კოდექსისა თუ ლექსთწყობის ტრაქტატებთან. სწორედ ამ გარემოებამ მისცა ჩვენს მკვლევარებს საშუალება, ყოფილიყვნენ კატეგორიული დასავლეთ-ევროპული და ქართული სარაინდო ინსტიტუტების ხასიათისა თუ რაობის იდენტურობის საკითხში. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მართლ ჩვენი მთარგმნელი არ არის ასეთი მაღალი შეხედულებისა პროლოგზე. მაგალითად, ნიკო მაიო ფიქრობდა, რომ პროლოგში შოთა რუსთაველის ყველაზე საუკეთესო სტროფებიაო. ყოველ შემთხვევისათვის, დავიხსოვოთ, რომ ნიკო მარი მთლიანად პროლოგს კი არ აძლევდა მაღალ შეფასებას. არამედ მისგან რამდენიმე სტროფს გამოჰყოფდა მხოლოდ! პროფესორი სარგის ცაიშვილი წერს: „რუსთაველისეული პროლოგი „ვეფხისტყაოსნის“ მშვენებაა. აქ პოეტის მიერ დასმული ბევრი ისეთი საკითხი, რაც შემდეგ მხატვრულად ხორცშესხმულია. პოემაში“-ო. ამასთანავე, ს. ცაიშვილსაც

მიაჩნია, რომ „პროლოგის იმ ტრესტში, რომელიც ახლა საყოველთაოდ... არის გაერცლებული, რამდენიმე... ჩინური უეჭველად შეინიშნება“.

ჩემი აზრით, არც ერთი ნაწილი პოემისა არ არის ისე არაპოეტური, როგორც პროლოგი, თუკი, რასაკვირველია, რუსთაველის ქმნილების მიმართ ამ სიტყვის ხმაარება საერთოდ დასაშვებია! „რუსთაველის პოეტური სიტყვის ძალას“ პროლოგის საშუალებით ვერ იგრძნობს უცხო მკითხველი. პროლოგი წარმოადგენს პოემისთვის თვით რუსთაველის მიერ შემდგომში დართულ ერთგვარ თეორიულ ტრაქტატს. აი, თუნდაც, ნესტაინის წერილი რომ ეთარგმნა ქეთრინ ვივიანს ლექსად, დარწმუნებული ვარ, უსათუოდ აგრძნობინებდა ინგლისელ მკითხველს „რუსთაველის პოეტური სიტყვის ძალას“.

ეს არ არის უბრალო საკითხი. არიან მკვლევარები, რომლებიც რუსთაველის პოეტურ ძალას ხედავენ პოემის ეგრეთწოდებულ თეორიულ-ფილოსოფიურ მხარეში, თითქოს რუსთაველის ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში იმით განისაზღვრებოდეს, რომ იგი მტკიცედ დგას, დავუშვათ, აეოპაგიტის საფუძველზე. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, საყურადღებო მოსაზრება კი, რა თქმა უნდა, არავითარ ღრსებას არ წარმოადგენს პოეტისათვის. ჩვენთვის ცნობილია საკმაოდ მრავალი ქართველი ფილოსოფოსის სახელი, რომლებმაც თავიანთ შოკებში, გულწრფელად რომ ვთქვა, რუსთაველზე უკეთესად გადმოგვცეს არეოპაგიტის არსი, მაგრამ მათზე არავის უთქვამს — პოეტები არიანო. რაც, ამავე დროს, სრულებითაც არ ამცირებს მათ, როგორც ფილოსოფოსებს.

ამასთანავე, უსათუოდ დიდი მაღლობით უნდა მოვიხსენიოთ ინგლისელი მთარგმნელის მიერ გაწეული შრომა. ყოველი ახალი თარგმანი, თუნდაც პროზაული (თუმცა, შეიძლება, სწორედ პროზაულმა თარგმანმა ყველაზე მეტად გაამართლოს ამ შემთხვევაში!)



უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. ხოლო, რაც შეეხება ინგლისელი მთარგმნელის შეხედულებას, თითქმის პროლოგს „რუსთაველის პოეტურ სამყაროში შექყავდეს მკითხველი“, იგი უსათუოდ შემუშავებულია და ჩამოყალიბებულია ქართველ მეცნიერთა კონსულტაციების შედეგად. რადგან ეს აზრი თითქმის საყრდენ თეზისად არის უკვე ქცეული ქართულ რუსთაველოლოგიაში: „პროლოგი უდავოდ არის ვეფხისტყაოსნის იდეათა სამყაროს შესავალი კარი“, „კლიტე-გასაღები“, რომ „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მხატვრული რაობა განხილულ და შეფასებულ უნდა იქნას პროლოგის მოთხოვნისგანთა პოზიციებიდან“.

პროლოგი მრავალი მკვლევარისათვის პოემის კომპასად არის ქცეული. მაგრამ არაფერ შეეკვებულა, ის, მართლაც, კომპასად ჩაიფიქრა პოეტმა თუ არა. უდავოა, პროლოგში პოეტი იდეალური სახით წარმოგვიდგენს ყველაფერს, განსაკუთრებით, რაც პოლიტიკურ მხარეს შეეხება, ასევე იდეალური სახითა აქვს წარმოდგენილი სარაინდო ყოფის ნორმებიც. ამიტომაცაა სწორედ, რომ ვინც პროლოგს პოემის სახითა და იდეათა „გასაღებად“ აღიარებს, ის აიდეალებს კიდევ პოემის გმირებს, აცლის მათ ადამიანურ თვისებებს და გაყინულ სქემებად და სიმბოლოებად გარდაქმნის, ცოცხალი ადამიანის ნაცვლად, გვაწვდის მის ქანდაკებას.

ახლავე უნდა ვთქვა, რომ თუკი პროლოგი, მართლაც, რაიმეს „გასაღებია“, აშკარად იქ კარის არა, რომელსაც ვეფხისტყაოსნის სამყაროში შევყავით. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის სტროფები პროლოგში აქა-იქ მართლაც ვარსკვლავებივით ბრწყინავენ, არსად, მთელი პოემის მანძილზე ისე მკაფიოდ არ ჩანს ინტერპოლატორების, ნანუჩისა და მისი ძმობილების, ხელი, როგორც იქ. პროლოგში ისინი გაცილებით უფრო თამამები არიან, იმდენად თამამები, რომ არა მარტო ერ-

თმანეთს — თვით რუსთაველსაც კი ამათებინან, როგორც საწარფფუნად ფიჭობს პავლე ინგოროვედს. სწორედ, საერთოდ, პროლოგის სტროფები ჭადრაკის ფიგურებას ჰგავს, რომლებითაც ყველა მკვლევარი მისთვის ხელსაყრელ პარტიას თამაშობს.

პროლოგში უსათუოდ დარჩენილია რუსთაველის „საუკეთესო სტროფები“, რომელთა მიხედვითაც, ერთი, ამჟამად ჩვენთვის პეტად საინტერესო ვითარება იკვეთება: პროლოგი პოემის ნაწილი კი არ არის, არამედ, პროლოგი და პოემა ორი, ერთმანეთისაგან ხრულიად განსხვავებული, სხვადასხვა პოეტური თუ ფილოსოფიური და, რაც მთავარია, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის გამოხატველი ნაწარმოებია!

აი, მივადევით კიდევ რუსთაველის დენის მეორე საბუთს, ანუ დაუბრუნდით მთავარ სათქმელს!

ნოდარ დუმბაძე, საერთოდ, პროლოგს პოემის შემდეგ დაწერილ „ახსნა-განმარტებად“ თვლის, რაც, პირადად მე, საყურადღებო მოსაზრებად მიმაჩნია.

პროლოგი რომ მერეა დაწერილი, ანუ პოემის ძირითადი ტექსტის შემდეგ, რუსთაველოლოგიაში ცნობილი მოსაზრებაა, ამჟამად გაცილებით საინტერესოა ის ფაქტი, პროლოგი „ახსნა-განმარტებად“ რომაა წარმოდგენილი.

რატომ დასკორდა „ახსნა-განმარტების“ დაწერა პოეტს, რომელსაც პოემა შეუკვეთეს, გამოარჩიეს სხვა პოეტებს შორის? რა უნდა დაებრალებინათ ასეთი დიდებული ქმნილების ავტორისათვის? ახსნა-განმარტებას ხომ ის წერს, ვინც დამნაშავეა, ვისაც ბრალს სდებენ, ვინც იძულებულია, თავი იმართლოს?

ნოდარ დუმბაძეს მიაჩნია, რომ „მბრალმდებლებმა“ პოემაში ვერ შენიშნეს ის, რისთვისაც, საერთოდ, შეუკვეთეს რუსთაველს პოემის დაწერა, ანუ ვერ შენიშნეს ქებათა-ჭება თამარისა, რაც, დუმბაძის აზრით, მათი, ანუ „მბრა-

ლმდებლებს" სიბეცის, ტექსტის არასწორი წაკითხვის გამო მოხდა. რამდენადაც პოემა აშკარად თამარის ქებაა, პოემის თამარს განასახიერებს როგორც ნესტან დარეჯანი, ასევე თინათინიც...

მე კი მგონია, „მბრალმდებლები“ ნამდვილად არ ცდებოდნენ, რადგან ეს პოემა მართლა არ იყო თამარის ქება, ანუ პოემა არ გამოვიდა ისეთი ნაწარმოები, როგორსაც რუსთაველისაგან მოელოდნენ. მესმის, ძნელია ამის თქმა, მაგრამ მინც ვამბობ, რადგან ისეთი ავტორიტეტები მიმაგრებენ ზურგს, როგორიც ვახტანგ VI და იუსტინე აბულაძეა. უანასკნელი ამ პოემას ანა თუ „ვისიმე საქებრად დაწერილად“, არამედ საერთოდ არ თვლის ზოტბად.

ამავე დროს, უსათუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, საწინააღმდეგო მოსაზრებას რიცხვობრივად შეუდარებლად მეტი და ასევე სერიოზული მკვლევარი რომ იყავს.

ცნობილია, რომ პირველი რუსთველოლოგი ვახტანგ VI ამ პოემას თამარის ქებად არ აღიქვამდა.

ვახტანგ VI ძალიან დაევირეებულ კომენტატორია პოემისა. ალბათ, სწორედ ამიტომაც ვერ ამბობს იმას, რაც იქ არ სწერია და არც იგულისხმება. არც ის უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ვახტანგი, თუკი პოემის თამარის ქებას ამოიკითხავდა, ეს მხოლოდ გააძლიერებდა მის შეხედულებას პოემის ქვეტექსტში საღვთო აზრის არსებობის შესახებ, როგორც ცნობილია, ჩვენი ძველი ლიტერატურა თამარს ღვთაებრივად მიიჩნევდა. ჩახრუხამეც და „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორიც თამარს წმინდა სამების მეოთხე ჰიპოსტასის სიმბოლოდ თვლიდნენ. ამდენად, თითქმის ყველაფერი ხელს უწყობდა ვახტანგს ეს პოემა თამარის ქებად გამოეცხადებინა, რაც, ვიმეორებ, თავისთავად, პოემის ქვეტექსტში საღვთო აზრის არსებობის დამტკიცებაც იქნებოდა. ეს ხომ ნამდვილად დაეხმარებოდა ვახტანგს, პოეტი მოწინააღმდეგეთა შემოტყვებისაგან დაეცვა, რაც ალბათ,

გულითაც ეწადა! მაგრამ ვახტანგმა ამ პოემის თამარის ქებად დაეცხადებინა, საერთოდ, თამარის ქებად დაეცხადებინა! სწორედ ამის ბრალია, მეტად ხელოვნური ვერსია რომ გამოიგონა — ტექსტის ამოკითხვა „მისტიკური ალეგორიზმის“ საშუალებით სცადა, რაც იძულებითი გზა იყო და არა პოეტი-მეფის პირადი პოზიციაც.

მკვლევარები ფიქრობენ, ვახტანგი ასე იმიტომ იქცეოდა, რუსთაველის პოემა „კლერიკალური წრეების თავდასხმისაგან“ რომ დაეცვაო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზნორად „კლერიკალური წრეებზე“ მეტად ჩვეულებრივი, რიგითი ობიექტელია თავგამოდებული დამცველი ორთოდოქსული შეხედულებისა, შეუდარებლად ირმა და დაუნდობელი, ვიდრე სამღვდულოება. აკი თქვა იუსტინე აბულაძემ, სამღვდელოებას ამ ნაწარმოებისათვის ხელიც კი არ უხლია!

ქართულ ეკლესიას საერო ხასიათის ნაწარმოების მისამართით, საერთოდ, არ გამოუთქვამს ისეთი ქათინაური, ანტონ კათალიკოსისაგან რომ მოვისმინეთ: „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

სინანული ხომ მხოლოდ იმის გამო შეიძლება, რასაც აღიარებ! კათალიკოსს სხვანაირად თქმა არ შეეძლო...

იერუსალამის ეგრის მონასტრის კედელზე შოთა რუსთაველის სტოათის პოვნა, თავისთავად, იმ მეტად საგულისხმოდ ფაქტს ამტკიცებს, რომ ოქსთაველი ეკლესიას არც არასოდეს მოუკვეთია და არც ერეტოსსად შეურაცხავს. იმავე კედელზე, რომელზედაც რუსთაველი ხატია, ქრისტიანული ეკლესიის ორი ვარსკვლავის სტრათიკაა — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლისა...

რა თქმა უნდა, პოემის დამკვეთისთვის არ უნდა ყოფილიყო სასიამოვნო, ნაწარმოებში თამარი რომ არ იყო შექტებული, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა პოლიტიკურ ბრალდებად წაეყენებინათ პოეტისათვის. წყენა წყენად დარჩებოდა, სამავიეროდ კი ეთი მალაღ-

მხატვრული, თუნდაც, აპოლიტიკური, ნაწარმოები შეემატებოდა კარის მწერლობას, მაგრამ საქმე ის არაა, რომ „მბრალმდებლებმა“ ზუსტად იგრძნეს, ეს ნაწარმოები აპოლიტიკური რომ არ იყო და არც იმაში შემცდარან, იგი ქებად რომ მიიჩნიეს, ოლონდ, თამარის კი არა, არამედ სხვა პიროვნებისა. ოლონდ, ახლავე ვიტყვი, რომ რუსთაველის ცნობილ თქმას: „მას ვაქებ, ვინცა მიჭია“ — კიდევ ერთი ნიუანსი აქვს: ვაქებ მას, ვინც ქების ღირსია! აქედანაა აღმართული გურამიშვილის: „ვინც არა ჰგავს კახაბერსა...“

თავიდანვე უნდა დავახუსტოთ, რომ ტერმინი „დამკვეთლები“ იდენტური არ არის ტერმინ „მბრალმდებლებისა“, რომ ამ პოემის „დამკვეთლები“ სხვები იყვნენ, ხოლო, მიმღებები, ანუ „მბრალმდებლები“ კი სულ სხვა.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ გიორგი III თავისი ქალიშვილის — თამარის გამეფება უცებ, მოულოდნელად არ გადაუწყვეტია. ეს იდეა მას თამარის გამეფებამდე დიდხინით ადრე დაეხდა. იმდროისათვის ეს გრანდიოზული იდეაა. მის განხორციელებას დიდი ძალა, დრო და სახსარი სჭირდება. ამიტომაც დაიბარეს სასახლეში რუსთაველი აღბათ ჭერ კიდევ მაშინ, როცა ძლევამოსილი გიორგი III მემკვიდრეზე საუბარი უგუნურებადაც კი მიაჩნდათ კარისკაცებს. მაგრამ გიორგი III არა მარტო ძლევამოსილი, არამედ წინდახედული და გამჭრიახი მეფეც იყო. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ამ დიდი პოლიტიკური, იმდროისათვის მეტად მოულოდნელი აქციის განხორციელების მთელი სიმძიმე. ამავე დროს, მეფემ აღბათ ისიც იცოდა, მხოლოდ საკუთარი სიძლიერის წყალობით რომ მიღწევდა მიზანს, ანუ მიზნის განხორციელებაზე მაშინ უნდა ეფიქრა, სანამ ჭერ კიდევ ძალა შესწევდა.

ამდენად, სავარაუდებელია, რომ ვეფხისტყაოსანი თუ დაწერილი არა, დაწყებული მიანცაა თამარის გამეფება-

მდე, როგორც ამ აქტის მომამზადებელი ნაწარმოები და თუნდაც ამიტომ, პოემის თავდაპირველ ტექსტში მოუდგენელია ყოფილიყო „თამარს ვაქებდეთ მეფესა!“ — ამას გიორგი III არ დაუშვებდა: მას პოემა სჭირებოდა ქალის კულტის პროპაგანდის მიზნით და არა კონკრეტული ფაქტის გაიამჟღავნებლად. პოემის თავდაპირველ ტექსტში სახელი „თამარი“ არ უნდა ყოფილიყო ნაწესნები, თუნდაც, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოემის თავდაპირველ ტექსტს არ ჰქონდა პროლოგი...

თამარი გამეფდა გიორგი III სიცოცხლეში, 1178 წელს. გიორგი III გარდაიცვალა 1184 წელს. ამ ექვსი წლის განმავლობაში, რასაკვირველია, ისევ გიორგი განაგებდა სახელმწიფოს, მაგრამ, როგორც ჩანს, არც თამარი მჭდარა გულხელდაკრეფილი. მომავალი ნამდვილი ხელმწიფობისთვის ემზადებოდა. სავარაუდებელია, რომ სწორედ იმ ექვსი წლის „არაღუგალური“ მეფობის დროს, იქმნებოდა თამართან დაახლოებულ პირთა წრეში ის ახალი პოლიტიკური პოზიცია, რომელიც თამარს თავისი მეფობის საყრდენად უნდა გამოეყენებინა. როდესაც 1184 წელს თამარი ნამდვილად გამეფდა, მზად იყო კიდევ ახლებურად ემართა სახელმწიფო. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იმას ამტკიცებს, თუ რა გონიერი პიროვნება იყო თამარი, მაგრამ, ამავე დროს, გიორგი III ალღოსა და ჭკუის დამადასტურებელიცაა.

თავიდანვე იმასაც ვიტყვი, რომ თამარის პოლიტიკური კურსი სრულიად მოულოდნელ. მეტად ორიგინალურ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც უპირისპირდებოდა მამა-პაპათა პოლიტიკურ ორიენტაციას — თამარის სახელმწიფომ გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო, დაუპირისპირდა დიდი დავით აღმაშენებლის კურსს, ევროპისკენ რომ იყო მიმართული. ეს თითქოს ძნელი წარმო-

სადგენი და დასაჯერებელია, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა.

ვიმეორებ, რუსთაველს პოემის დაწერა შეუკვეთა თამარის მამამ, გიორგი III, პოემის წერა კი დასრულდა მაშინ, როცა საქართველოს სამეფოს ტახტზე უკვე თამარი იჯდა და ერთ პოლიტიკურ მორწამსს, ერთ პოლიტიკურ პოზიციას უკვე დაპირისპირებოდა მეორე პოლიტიკური მორწამსი, მეორე პოლიტიკური პოზიცია.

ღიბს, მამა-შვილი სხვადასხვა ორიენტაციის ხელშეწყობები იყვნენ.

### 3.

საქმარისია, თვალი გავადევნოთ XI-XII საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აზრის მოძრაობას, რომ მაშინვე ნათელი გახდეს, რამდენად ორგანული, ღვიძლი მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული სინამდვილისათვის რუსთაველი, რამდენად აშკარაა კავშირი ორ ბუმბერაზ პიროვნებას — დავით აღმაშენებელსა და შოთა რუსთაველს შორის. რუსთაველის, ღიად პოეტურ იდეად გარდაქმნილი, მოქალაქეობრივი მრწამსი დავით აღმაშენებლის პოლიტიკური პოზიციიდან იღებს ბიძგს. დავით აღმაშენებლის ბრძოლა მაღალზნობრივი, ღირსეული პიროვნების, როგორც საზოგადოების საფუძვლისათვის, რუსთაველის პოემაში იქცა მთავარ მამოძრავებელ იდეად, ძირითად პოეტურ მელოდიად, ამავე დროს, ერთგვარ ეოგტიკულ აზრადაც, რამდენადაც თამარის დროს უკვე საწინააღმდეგო შეხედულება იყო დაკანონებული.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) მასალებში ჩაწერილია, კემმარიტად რენესანსული ფრაზა — **აღამიანის ღირსებაზე**: „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისამის მწყემსმთავრისანი განვკუთვინით

და უცხო ვყვენით მღვდელმთავრებას“ — ეს გახლავთ რუის-ურბნისის მსაჯულთა იო კრების „მეგლისწერის“ მიხედვით პარაგრაფი!

რუის-ურბნისის კრების მომზადება, ფაქტიურად, გიორგი მთაწმინდელმა დაიწყო, როცა ის ბაგრატ IV მოწვევით 1060 წელს საქართველოში ჩამოვიდა. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტი. გიორგი მთაწმინდელის ეს იდეა, ეს ისტორიული გამოცდილება შეუმჩნეველი არ დარჩა დავითს — პრაქტიკულად გამოიყენა და ბრწყინვალედ განახორციელა კიდევ. გიორგი მთაწმინდელის იდეა გულისხმობდა აღამიანის კემმარიტ ღირსებას, რომელთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ჩამომავლობასა და არც სოციალურ რაიმე უპირატესობას.

ზემოთ მოყვანილი „მეგლისწერის“ ფრაზა, საეკლესიო დოკუმენტში, რომელიც ქართული ეკლესიის ზნობრივი თუ პოლიტიკური ორიენტაციისათვის ბრძოლის ქვაკუთხედად იქცა. უნდა ვიფიქროთ, ჩაწერილი იყო საეპოპიროვნების — მეფის ხელით, ისეთი მეფისა, როგორც დავით აღმაშენებელი გახლდათ.

ვეფხვისტყაოსანი ლოგიკური გაგრძელებაა იმ ძალისხმევისა, რომლითაც, ბაგრატიისა და დავითის წყალობით, ქართველმა ხალხმა ერთიანი გულისტქმა, ერთიანი აზრი და, რაც მთავარია, ერთიანობის განცდა, შეიძინა.

ჩვენი ხალხის მახსოვრობაში სამუდამოდ ჩარჩა დავით აღმაშენებლის ცოცხალი ხატი. აი, ის, რუის-ურბნისის კრებაზე ბოლო რიგში დგას, „ვითარცა მონა“, აი, ქსენონში ავადმყოფებს ესაუბრება და სათითაოდ კოცნის კიდევ: „მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითოეულსა“ — ამბობს მემეტაიანე. სხვათაშორის, თამარის მიერ საეკლესიო ნახელავის გაყიდვის ამბავიც ასეთივე ხასიათისაა. უდავოა, რომ პაპამაცა და შვილიშვილმაც ორივემ იცის მეფობა...

დიდგორის ბრძოლაში გაიმარჯვა

თაობამ, რომელიც აღიზარდა რუს-ურბნისის კრების, საერთოდ, დავითის სახელმწიფოებრივი პოლიტიკური სულისკვეთებით. თურქ-სელჩუკთა ურდოს შეეჯახა, დაუპირისპირდა ლაშქარი, რომელიც თავისუფლების, პირადი ღირსების, უკეთესი მომავლის რწმენით იყო შეკრული, გაადა ამისა, შთაგონებულიც და აღფრთოვანებულიც იმ მესიანისტური იდეით, რაც იმდროინდელი საქართველოსათვის პროგრესულია, რამდენადაც დამოუკიდებლობისაკენ, კულტურული საქმიანობის გაშლისკენ მოუწოდებს.

შეიძლება ითქვას, დიდგორის ველზე დავითმა გამოიყვანა ღირსეულთა ლაშქარი, გაცილებით უფრო პროგრესული იდეით შეიარაღებული, ვიდრე თურქები იყვნენ. აი, ამას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა და არა ყოფიანთა დაქირავებულ ჯარს. ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების ცნობით, ამ გრანდიოზულ ბრძოლაში დავითმა გამოიყვანა მხოლოდ თხუთმეტი ათასი ყოფიანი იმ ოროცი ათასიდან, რომელიც საქართველოში, საერთოდ, ჩამოსახლა...

მგონია, ვეფხისტყაოსნის ერთი სტრიქონი: „ალაფობდეს საქურტლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“, ხალხის მახსოვრობაში ჯერ კიდევ ცოცხალი, დიდგორის გამარჯვების შედეგად მოპოვებულ ნადავლს გულისხმობს...

დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობდნენ „ფრანგებიც“, ანუ ევროპელი ჯვაროსნები. მართალია, ისინი ამ ბრძოლაში ძალიან ცოტანი იყვნენ, სულ ორასი კაცი. მაგრამ ეს მაინც საკმარისი იყო იმისათვის, მტერსაც და მოყვარესაც დავითი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილედ რომ ჩაეთვალა, ანუ ევროპული ინტერესების პოლიტიკოსად.

ჯვაროსნულ ლაშქრობებში საქართველომ მონაწილეობის იდეა დავით აღმაშენებელს ეკუთვნოდა და, როგორც ვიცით, ბრწყინვალედ ახორციელებდა კიდევ. ამ იდეამ საქართველოში, დავითის სიკვდილის შემდეგაც, დიდხნის

განმავლობაში შეინარჩუნა აქტუალობა, თვით XIV საუკუნის შემდეგაც ხევრამდეც კი...

ასე რომ, ამ ხნის განმავლობაში ეს იდეა ერთგვარი დროშა იყო, რომელსაც ყველა ქართველი მეფე, მცირედი გამოჩინების გარდა, ერთგულად ემსახურებოდა (როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიტყვა „მცირედი“ დავითის მომდევნო მეფეთა შორის ყველაზე ბრწყინვალე ხელმწიფის მისამართითაა ნათქვამი...).

ჯვაროსნული ომის დაწყებისთანავე (1095 წ.) და განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ერთი დროში გაერთიანებულმა ევროპელმა რაინდებმა ზედინზედ აიღეს ქალაქები — ელესა, ანტიოქია (1098 წ.), იერუსალიმი (1099 წ.), ნათელი გახდა საქართველოს პოზიციაც. დავითმა ზუსტად გააანალიზა შექმნილი პოლიტიკური ვითარება, 1097 წელს სულთანს ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალა და ამით, რასაკვირველია, ჩაღა ჯვაროსანთა რიგებში. დავითის ჰკვიანი ისტორიკოსი ჯვაროსნულ ლაშქრობასა და საქართველოს ბედს ასე უკავშირებს ერთმანეთს: „ამას ეამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღილეს იერუსალიმი და ანტიოქია. და შეწყვენითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა“.

დავითის ასეთი პოლიტიკა იყო გზა, რომლითაც საქართველო ევროპას უერთდებოდა. უფრო ზუსტად — კიდევ უფრო ამტკიცებდა კავშირს თავის მშობლიურ სამყაროსთან. ეს ხელოვნური, იძულებითი აქცია კი არა, კონკრეტული პოლიტიკური ვითარებისა და, რაც მთავარია, მომავლის სწორი განკვეთა იყო. ამდენად, ჯვაროსანთა გუნდი დიდგორის ომში დავითის პოზიციის დემონსტრაცია უფროა, ვიდრე სამხედრო ძალა...

ასი წლის მერე თამარი შაპის საპირისპირო ნაბიჯს გადადგამს და, მართალია, არაპირდაპირი გზით, მაგრამ მაინც აშკარად გაილაშქრებს ჯვაროსნების წინააღმდეგ სულთან სალადინის სა-

სარგებლოდ, რომელიც არც თავის მხრივ დააყოვნებს და სასტიკად დაამარცხებს კიდევ ჭვაროსნებს. საქართველოს მხარდაჭერა მაშინ გამარჯვების გარანტიას უდრიდა...

დავითის ეპოქა ეს არის ბრძოლის, შემართების, ჭმედების, შენების, სიფხიზლის ეპოქა, თამარისა კი — დამშვიდების, კმაყოფილების, ტკობის. ერთგვარი პოლიტიკური პასიურობისა, რაც მოსალოდნელი იყო!

ივანე ჯავახიშვილს ჩვეული გამჭრიახობითა აქვს შემჩნეული თამარის ეპოქის მეორეული, დამოკიდებული, შედეგობრივი ხასიათი დავითის ეპოქასთან შედარებით (თუმცა, ეს ხაზგასმულად არა აქვს აღნიშნული), თამარის ყველა სამხედრო გამარჯვებას ის დავითს მიაწერს და სამართლიანადაც: „ეს უფრო დავით აღმაშენებლისა და გიორგი III სამხედრო მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგი იყო, ვიდრე თვით თამარ მეფის პირადი ღვაწლი“-ო. წერს დიდი ისტორიკოსი.

სწორედ მეთორმეტე საუკუნის ბოლოს გამოიღო ბრწყინვალე ნაყოფი დავითის მიერ დაწყებულმა ბევრმა საქმემ, იქნებოდა ეს რეგულარული ჭარის შექმნა თუ კულტურის ეროვნული სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება.

თამარის მეფობის დროს საქმე იქამდე მივიდა, რომ დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა გააქრიტიკეს კიდევ. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდგვარი დავითის საგარეო პოლიტიკას „წურბლისა მსგავს ვერ მაძღროსობას“ უწოდებს. თამარის პოლიტიკური კულისი დაუპირისპირდა დავითის პოლიტიკურ კურსს და ეს იყო პირველი დიდი მარცხი. რომელმაც განაპირობა კიდევ ჭვეყნის მომავალი დაცემა და დაჭვევითება. რასაკვირველია, ამისათვის პირადად თამარისთვის ბრალის დადება (მოლიანად მაინც!) არ იქნება სწორი. ამის მიზეზი თამარის პირად სურვილებსა და გუნება-განწყობილებაში არ უნდა ვეძებოთ.

„ბოროტად გარდაცხედ საზღვართა და შევპრთე სახლი სახლსა და აგარაკსა აგარაკსა, და უუძღურესთა მრევს შევექნაწილი მათი, და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოი ვმკვიდრობდი ჭვეყანასა ზედა“. აი, დავითის ლექსის ამ სტრიქონს შეეკამათება თამარის ისტორიკოსი ბასილი, დაუპირისპირებს მას თამარის პოლიტიკას, არ მოერიდება, რომ ეს დიდი დავით აღმაშენებლის სიტყვებია. ეს კი იმას ამტკიცებს. რომ თამარის კარი ოფიციალურად უარყოფდა დავითის პოლიტიკას.

ბასილის სიტყვით: თამარი „არ იღუწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოთა, არამედ თვისი მამული კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მომხუეველად... შორს განიოტა წურბლისა მსგავსი ვერ მაძღროსობა... ბჭედ ჭდა შორის თავისა და მუზობელთა მეფეთა“. როგორც ხედავთ. „გალობანი სინანულისანი“ უღვევს წინ და დავითის მოღვაწეობას დავითისავე სიტყვებით აკრიტიკებს.

სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ჯამოცემულ ბასილი ეზოსმოდგვარის მათიანეშო — „ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“ — ფრაზა: „არ შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოთა“ — ბრჭყალებშია ჩასმული, როგორც ციტატი და სქოლიოში მითითებულია მის წარმომავლობაზეც: „იხ. ესაია 5,8: „ვარო მელნი შეაყოფენ სახლსა სახლსა მიმართ, და აგარაკსა აგარაკისა მიმართ შეაახლებენ“.

ჩემი აზრით, ღვაწლმოსილი მეცნიერისა და რედაქტორის მიერ წყარო, ამ შემთხვევაში, სწორად არ არის მითითებული, რადგან ბასილს ესაიას ციტატი კი არ მოჰყავს. არამედ ფრაზა დავით აღმაშენებლის „გალობანიდან“. სადაც ეს ბიბლიური სტრიქონი ძლიერი ლოიკოსი პოეტის მიერ სრულიად ახალი თვისებით გამობრწყინდა და სრულიად ახლებურად აედურდა.

თამარის საგარეო პოლიტიკა დავით

აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგო რომ იყო, ამის შესანიშნავი მაგალითია თამარის ერთ-ერთი წერილი „ფიცი“, რომელიც ქართულად გამოაქვეყნა და ადრესატის ვინაობაც გამოიკვლია პროფესორმა მაგალითოდ. ეს ადრესატი გახლავთ, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები სალა-ად-დინი, იგივე სალადინი, ჯვაროსნებისაგან უკიდურესად შევიწროებული ეგვიპტის სულთანს.

სალადინი კვიციანი დიპლომატია, ხვდება, რომ საქართველოში რაღაც შეიცვალა. დღეს თითქოს წარმოუდგენლად გვეჩვენება და მაშინ ალბათ დაუჩუბებელიც კი იყო, რომ თამარი დაივიწყებდა პაპამისის პოლიტიკას, მის მეგობრობას ჯვაროსნებთან. მონაწილეობას ჯვაროსნულ ლაშქრობებში, თუნდაც დიდგორის ბრძოლას — და ზურგიდან არ დაარტყამდა ჯვაროსნებისაგან კუთხეში მიმწყვდეულ სულთანს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა მიწასთან ჯვაროსნებისა და საქართველოს (რამდენადაც საქართველო ჯვაროსნული ლაშქრობების მონაწილე ქვეყანა იყო!) ყველაზე დიდი მტერი — იშვიათად თუ შეიძლება შექმნილიყო ასეთი ხელსაყრელი მომენტი!

მაგრამ ამის ნაცვლად სულ სხვა, თითქოსდა მოულოდნელი რამ მოხდა — თამარმა ჯვარზე შეჰფიცა ჯვაროსნების მტერს, შენზე ხელს არ აღემართავო! ეს იყო 1185 წელს! მალე სალადინს ჯვაროსნებისაგან განთავისუფლებულ იერუსალიმში ვიზილავთ (1187 წ.) რაც ამ საინტერესო ამბის ლოგიკურ დასასრულად წარმოგვიდგება. ჩვენი მემატრიანეებისა თუ სხვათა წიგნების ფურცლებზე ერთ-ორ ადგილას ვაკრთება თავის მართლების მაგვარი რაღაც: ჯვაროსნები იერუსალიმში ჩვენს მონასტრებს ავიწროებდნენო.

ჯვაროსნები, მართალია, ბერძნულ ეკლესიას ებრძოდნენ. მაგრამ ქართველთა მიმართ თავი მოოიძებულად ეჭირათ და პატივისცემის მეტს არაფერს

ამჟღავნებდნენ: „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომის წინათხულობთ: „იერუსალიმში ჯვაროსნების ბატონობის ხანაში ჯვრის მონასტერი კვლავ ქართველთა ხელში იყო და ლათინთა დიდი პატივისცემით სარგებლობდა“-ო. ეს 1099-1187 წლებში, თითქმის მთელი საუკუნე სალადინის მიერ იერუსალიმის აღებამდე.

ამრიგად, მართალია, თამარის წერილი — ფიცი საქართველოს სამხედრო ძლიერების უდავო დაამტკიცებელია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქრისტიანთა „წინაბურჯი“ თავის ისტორიულ მოწინააღმდეგეს დაუმეგობრდა, თუ რად დაუჭდა ეს დამეგობრება საქართველოს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია...

კი მაგრამ, რა მოხდა მინც ამისთანა? ნუთუ თამარს, თვითონ ბრწყინვალეობით მოსილ ხელმწიფეს, პაპის სახელი შეშურდა? გულუბრყვილონი ვიქნებოდით, ასე რომ გვეფიქრა. ან იქნებ მართლა ისეთი გულნაზი იყო თამარი, რომ სხვა ქვეყნების დაპყრობას ვერ იტანდა? იქნებ ბედნიერი გამოჩაყლისი იყო ყველა დროის სახელმწიფო მართველთა შორის? მაგრამ, განა სწორედ მის დროს არ შემოიერთა საქართველომ ანისი, ამბერდი, ბიჭინი, დვინი, კარი? ან ქნებ თამარმა თავის დიდსა და მრისხანე პაპას სისასტიკე ვერ აბატია? მართალია, მემატრიანეს სურს, თამარი მეტისმეტად სათნოდ წარმოგვიდგინოს — თამარის მეფობაში მართახი არ დაუკრავთ არავისთვისო, მაგრამ განა, თუნდაც, მთიელების აჯანყების სისხლში ჩაზოზა საპირისპიროს არ მეტყველებს? ისიც გავიხსენოთ, ამ ეგზეკუციას ივანე მხარგრძელი რომ მეთაურობდა. წარმოდგენაც კი გვზარავს, რა დღეს დააყრიდა აჯანყებულ მთიელებს თავისი შეუპოვრობით სახელგანთქმული ეს მხედართმთავარი...

ზოგჯერ თვითონ მემატრიანესაც გაეპარება ხოლმე თავისივე ნათქვამის საწინააღმდეგო აზრი. ბასილი ეზოსმოდ-

ვარი წერს: თამარი „მზოგაღელთა თუ-  
ალ-უხუაგად მგუემელ“-ი იყო...

თამარის დროს აშკარად გამოიკვეთა პოლიტიკური პრეტენზია — ქრისტიანულ სამყაროში საქართველოს დაეჭირა ბიზანტიის ადგილი. ამ დროს საქართველოს დროშაზე „გორგასლიანისა“ და „დავითიანის“ გვერდით, „ალექსანდრიანის“ და „აველუსტიანეს“ გაჩნდა (ს. ჯანაშია).

ნათელი გახდა ისიც, რომ საქართველო უპირისპირდებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა იდეას. ესეც მოსალოდნელი იყო: აღმოსავლეთისა და დასავლეთის, კონსტანტინეპოლისა და რომის ბრძოლას უსათუოდ აქამდე უნდა მივეყვანეთ.

პიერ ბელიის შესანიშნავ წიგნში „ისტორიულ და კრიტიკულ ლექსიკონში“ წერია: აზიაში, სარკინოზებისა და თურქების ნაცვლად, დასავლეთელ ქრისტიანებს რომ ებატონათ, დღეს იქ ბერძნული ეკლესიის კვალიც კი აღარ იქნებოდაო...

ქართული ეკლესია ბიზანტიურს უჭერდა მხარს, არა მარტო იმიტომ, რომის კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით, თვითონაც რომ მართლმადიდებლური იყო, არამედ იმიტომაც, განზრახული რომ ჰქონდა (და ამ განზრახვას სრულებითაც არ მალავდა!), ახლო მომავალში თავად დაეჭირა ბერძნული ეკლესიის ადგილი! რომის მსგავსად, მახაც ეწადა ერთგვარი რელიგიური იმპერიის ჩამოყალიბება!

აი, ეს იდეა, სამოქმედო პროგრამის სახით. გამოიტანა თამარმა ექვსი წლის „არალეგალური“ მეფობიდან და ამ იდეას მომავალშიც ისეთი მონდობებით უჭერდა მხარს. არავითარი ევროპულის გაგონებაც კი არ სურდა. მისი ყოველი ნაბიჯი ამ თვალსაზრისით, უაღრესად მაქსიმალისტური იყო. თამარმა შეიფარა და ტრაპიზონის სამეფოში გაამეფა თავისი ანტიევროპულობით ცნობილი ბიზანტიელი კეისრის ანდრონიკი კომნენოსის ვაჟი — ალექსი.

ქართული ეკლესიის ასეთი აღზევებ-

ის იდეა თამარის ყველაზე გაბედულ, ყველაზე აქტიურ და, ამჯერად მხოლოდ ყველაზე მასშტაბურ პოლიტიკურ მანქანად უნდა მივიჩნიოთ.

ამ მიზნამდე საქართველო არც ისე შორს იყო, მაგრამ მიზნის სიღიადე და სიახლოვე ერთგვარ თავბრუსხვევასაც იწვევდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობაში, ანდა უფრო სწორად — საკუთარი მძლავრი შესაძლებლობების არასწორი კალაპოტით წარმართვაში..

ზემოთ გახედულება ვახსენე. მართლაც, ასეთი იდეის განხორციელებას დიდი გაბედულება სჭირდება. გაბედულება თამარს არ აკლდა, გონიერი მმართველიც იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარად გაუთვალისწინებელი დარჩა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: ეს იდეა სიახლით არ გამოირჩეოდა! საქართველოს ფაქტიურად უნდა გაემეორებინა ბიზანტიის სვლა, რამაც ევროპული სამყარო ერთმანეთთან სამკედრო-სასიციოცხლოდ დაპირისპირებულ, ქვის ყრუ კედლით გაყოფილ ორ ნაწილად აქცია.

როდესაც ასეთი გრანდიოზული მიზანი გაქვს, რასაკვირველია, არ შეიძლება ჯვაროსნებთან იმეგობრო, უფრო მეტიც, არ შეიძლება არ გეშინოდეს ჯვაროსნებისა. რომლებმაც თავიანთი დაუნდობლობა მთელი სისრულით არაერთხელ გამოავლინეს: მათ ზომ კონსტანტინეპოლი ისევე აიღეს და დააქციეს, როგორც ნებისმიერი, მტრული, მაჰმადიანური ქალაქი! სწორედ ამ უქრისტიანესი ქალაქის ნანგრევების ფონზე ბუნებრივად გვეჩვენება სხვა სიტუაციაში ლათინების წარმოდგენილი რამ — თამარის მიერ მუსლიმან მართველებთან მეგობრული ურთიერთობის ძიება! თამარის ჩანაფიქრით, ეს მეგობრობა საიპედლო ჯებორად უნდა ქცეულიყო ჯვაროსნების ძლევაშისილი მსვლელობის გზაზე და ეს ჩანაფიქრი, შეიძლება, მართლაც სიციოცხლისუნარიანი აღმოჩენილიყო, თუკი

ჯვაროსნებისაგან შევიწროებული და დამფრთხალი სულთნები სულ ისეთ უცოდველ ბატონებად დარჩებოდნენ, როგორაც თამარს აჩვენებდნენ თავს.

მუსლიმანურ სამყაროსთან თავისი მეგობრობის ამბავს თამარი, რა თქმა უნდა, საქვეყნოდ დროშასავით ვერ აფრიალებდა: ჯვაროსანთა მსგავსად, მის დროშაზეც ჯვარი იყო გამოსახული. ამიტომ მან ერთგვარი სეპარატიული სვლა აირჩია — საქართველო შეიშალა ევრაზიულ მსოფლიო „ჩაურევლობის“ ნიჟარაში, მაგრამ დაუსაბუთებელი, ყოველმხრივ გაუმართლებელი იმედი და რწმენა მუზობელი მამადიანური სახელმწიფოების ერთგულებისა მას მალე გადააცდენს სწორი გზიდან. საკვირველი და სამწუხაროა ისიც, რომ „ჩაურევლობის“ პოლიტიკისკენ საქართველოს უბიძგა სისუსტემ კი არა, სიძლიერემ, რომელსაც ის ზედმეტი თვითდაჯერებით მიენდო. მას ეს სიძლიერე მარადიული ეგონა, ხოლო პოლიტიკურმა სიბეცემ და ინფორმაციითა სილატაემ მოულოდნელად დააყენა იმ საფრთხის წინაშე, რომელზე დიდი საფრთხეც იმდროინდელ სამყაროში არ არსებობდა და რომელსაც ბორბტების აღმნიშვნელი ზოგადსახელი „მონღოლები“ ჰქვია. ცნობილია, რომ მათი არსებობა საქართველომ იქამდე არც კი იცოდა, სანამ უშუალოდ არ შეეჯახა. მონღოლებს კი იმდროისათვის უკვე თითქმის ნახევარი მსოფლიო ჰქონდათ დაპყრობილი.

თამარი ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის ქალი გახლდათ. სხვათა დარწმუნების საკვირველი უნარით იყო დაჯილდოებული. ადვილად ერკვეოდა ადამიანის ფსიქიკის ურთულეს თავისებურებებში. იცოდა, რა მოქმედებდა ყველაზე უფრო ადამიანის სულზე, რა ახდენდა მასზე ყველაზე უფრო კმედიტ, წარუშლელ შთაბეჭდილებას. სხვა პრავალ მის გამონათქვამსა თუ ნამოქმედარს შორის. სამუდამოდ დაგვამახსოვრდა ქალური სინაზითა და, ამავე დროს, რკინისებური სიმტკიცით აღ-

სავსე ფრაზა, რითაც რუქნ-ად-დინისადმი გაგზავნილი წერილი დასრულდა: „იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სხვა რათალი მისი, ნუ შენი!“

თვით უღრეკმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმაც კი, რომელმაც არსებითად ობიექტურად შეაფასა თამარის პოლიტიკური მოღვაწეობა, ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო თამარის მომაჯადოებელ მომზიბველლობას და თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა მემატიანის სიტყვები, როცა თამარის „უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული“ ახსენა.

და მართლაც, რაც უნდა კრიტიკულად იყო განწყობილი თამარის მეფობის ხასიათის თავისებურების მიმართ, მაინც არ შეიძლება არ ერწმუნო მისი მემატიანის სიტყვებს: „სამეფო განუხეთქლად დაიცვა“-ო. ეს კი, დამეთანხმებით, არც ისე ადვილი იყო და ვერც ყველა ქართველმა მეფემ შესძლო...

ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ თამარის მიერ უკვე ტრადიციად ქცეული პოლიტიკის შეცვლა, რა თქმა უნდა, მისი ბუნებით, ან პირადი სურვილით არ იყო გამოწვეული, იგი პოლიტიკურ-სოციალური ხასიათისა და ჩვენს დღევანდელ ისტორიკოსებს ზუსტადაა აქვთ შემჩნეული. აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი: „თამარის მეფობის დროს საქართველოში დამყარდა შეზღუდული მონარქია“-ო. დავითის მიერ დამზობილმა დიდგვაროვან ფეოდალთა ოჯახებმა ისევე დაიბრუნეს ძალაუფლება. საერთოდ, ძალიან გაიზარდა „დიდგვარ თავადთა“ გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის აპარატზე. ამირსპასალარი ზაქარია რუქნ-ად-დინის თავზედ დესპანს სილას რომ გააწნავს, ეს, ცხადია, მის პატრიოტულ გრძნობაზე ლაპარაკობს. მაგრამ იმაზეც ხომ ნათლად მეტყველებს, თუ რა დიდ უფლებას აძლევდა საკუთარ თავს მეფის თანდასწრებით!

თამარის დროს გიორგი მთაწმინდელისა და დავით აღმაშენებლის სახელ-

მწიფობებრივმა იდეამ ღირსეული ადამიანის შესახებ დაკარგა თავისი აქტუალობა, თავისი განმსაზღვრებითი მნიშვნელობა.

ამიტომაცაა, რომ სწორედ დავით აღმაშენებლის იდეებისა და სახელმწიფობრივი კმედების ფონზე ხდება აშკარა რუსთაველის კავშირი მშობლიურ ნიდაგთან, როგორც ნ. მარი იტყობდა: „არა მხოლოდ ფორმალური ან ენობრივი, არამედ იდეურის!“

შეიძლება ვთქვათ, რუსთაველი იწყება დავით აღმაშენებლით და დავით აღმაშენებელი გრძელდება რუსთაველით.

მართლაც, იშვიათია ისე ჰგავდეს ერთი პიროვნება — მეორეს, როგორც რუსთაველი ჰგავს დავით აღმაშენებელს. ორივე აღმაშენებელია, შემოქმედი! ერთი — ქართველი ადამიანის სულია, მეორე — ქართველთა ქვეყნისა...

შეიძლება თამამად ითქვას, რუსთაველის პოემა თამარის კი არა, დავით აღმაშენებლის ეპოქის გენიალური ფინალური აქორდია, რომელიც ამოთეოზური დიდებულებით გადმოგვცემს მომავლის რწმენასაც, მომავლისაკენ დაუოკებელ ლტოლვასაც, ანუ უფრო ზუსტად — **უკვდავების განცდას!**

## 4.

პოემის პირველი მკვლევარი, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა მისი ევროპული ბუნება, ალიარა როგორც ანტიალმოსავლური მოვლენა, იყო ვახტანგ VI. ეს აზრი მან მკაფიოდ და სხარტად ჩამოაყალიბა თავის „კომენტარში“ (ვახტანგზე ადრე კი მეორე მეფე პოეტმა შეამჩნია იგივე, უფრო სწორად — საკუთარ თავზე იწვნია რუსთაველის კემშარიტი ბუნება, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებ). ქართული ლიტერატურა თავიდანვე მკვეთრად გამოკვეთილი ევროპული ხასიათისაა. ამას განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამ ხაზს და, ერთი შეხედვით, ლა კარს იმიტომ ვამტკიცებ, რომ ჩვენს მკვლევარებს შორის არიან ის-


ეთებიც, რომლებიც პოლარულად საპირისპირო პოზიციაზე დგანან, ანუ ქართულ კულტურას წარმოადგენენ ევროპულ გოც ალმოსავლური კულტურის შემადგენელ ნაწილს.

კარგი იქნება, სწორედ ახლა თუ გავიხსენებთ ვეფხისტყაოსნის იტალიურ ენაზე მთარგმნელის, მარიო პიკის სიტყვებს: საქართველოს „მუდამ თვალი ჰქონდა მიპყრობილი დასავლეთისაკენ, რომლის თითქმის უკიდურეს განშტოებას წარმოადგენდა ირანსა და თურქეთს შორის“.

მართალია მარიო პიკი, საქართველო „უკიდურესი განშტოებაა“ ევროპისა, მაგრამ აქაც, ისევე როგორც ყველა მალაკულტურულ ქვეყანაში, ხდებოდა მოვლენები, რომლებიც არამარტო საერთო ალმოსავლურ ნორმებს უპირისპირდებოდა, არამედ საერთო ევროპულსაც, ოღონდ, ეს ღრმად ეროვნული მოვლენები კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებდნენ საქართველოს ეპოქობრიობის საერთო ინტელექტუალურ ცხოვრებასთან.

ისიც უნდა ითქვას, რომ ალმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა დაპირისპირების დროს, რასაკვირველია, მთლიანად გამოირიცხულია რომელიმე მათგანის რაიმე უპირატესობის აღიარება. ეს დაპირისპირება, იმდროინდელი თვალსაზრისით, შეიძლება ერთგვარად პირობითადაც კი წარმოვიდგინოთ, რადგან მაშინ უფრო ნაკლებად იგრძნობოდა განსხვავება, ვიდრე დღეს. თანაც, ალმოსავლური კულტურა გაცილებით თვითმყოფადი მოჩანს, ვიდრე ევროპული, რომელმაც უსათუოდ ბევრი რამ შეიძინა. ალმოსავლური, კერძოდ, არაბული ხელოვნებისა თუ მეცნიერებისაგან.

„ესე ამბავი სპარსული“-ო, თქვა რუსთაველმა და ამით მიგვანიშნა. მოთხრობილი ამბავი არარეალურია, ზღაპრულიაო. რადგან მისთვის სპარსეთი ისეთივე გამოგონილი ქვეყანაა, როგორც არაბეთი, ინდოეთი, მულღაზნაზარი ან გულანშაოო. „ესე ამ-



ბავი სპარსული“ პოეტისათვის ნიშნავს უცხო, ზღაპრულ, იდუმალებით მოცულ ამბავს — აღმოსავლურ, აზიურ ამბავს და არა პოემის წყაროს მითითებას, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია და დღესაც სპარსეთში დაეძებებს პოემის დედანს. ეს იგივეა, რომ დღევანდელ არაბეთში ვეძებოთ როსტევისის საფლავი, ანდა გულანშაროში (ზოგმა კიდევ დაადგინა, სად მდებარეობდა ეს ქალაქი!) — ავთანდილის ბუშები!

ვახტანგ VI სიტყვებია: „სპარშიდ ეს ამბავი არსად იპოვება“... რუსთაველისათვის დამახასიათებელია რეალურად არსებული ქვეყნებისათვის ზღაპრული ამბების მიწერა: არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი.. ასეთივე კატეგორიაა მისთვის სპარსეთიც, რომელიც ამ შემთხვევაში ისევე ისმის, როგორც, ვთქვათ, გულანშარო. რუსთაველისათვის კონკრეტული გეოგრაფიული გარემო არ არსებობს, რუსი და სპარსი, ფრანგი და ეგვიპტელი — ერთად გამორბიან ავთანდილის სიმღერის მოსასმენად.

„ვეფხისტყაოსანში“ არაბეთს პირობითი ხასიათი აქვს და იგი არ შეესაბამება არაბეთს არც რეალურად და არც კოლორიტით“-ო, — წერს აღმოსავლეთმცოდნე კ. წერეთელი. ვეფხისტყაოსნის „სპარსეთსაც“ ასევე პირობითი ხასიათი აქვს. შეიძლება, ამ შემთხვევაში, ისიც გავიხსენოთ. რომ პოემაში არ არის უდაბნო. ზღვით. მდინარეებით, დაბურული ტყეებითა თუ მწვანე მინდვრებით სავსე ამ სამყაროში უდაბნოს სურათს, ისიც ფიქრში, შექარავენთა ხსენება თუ წარმოქმნის შხოლოდ.

სივრცეს, რომელშიაც გაშლილია რუსთაველის ზღაპრული სამყარო, შეიძლება ფანტასტიკური გეოგრაფია ვუწოდოთ. აპასთანავე, ამ ზღაპრულ სამყაროს ის უცნაურობა ახასიათებს, რომ მასში არაფერია ზღაპრული, აქ ყოველი უმცირესი დეტალიც კი იშვიათი დამაჩერებლობით, თუ შეიძლ-

ება ასე ითქვას, იშვიათი ნამდვილობით გამოირჩევა.

ცნობილი მეცნიერის ა. მიხაილოვის აზრს თუ გავიზიარებთ, აუცილებელი არ არის, სარაინდო რომანის გმირები რეალურ ცხოვრებისეულ გარემოში მოქმედებდნენ, მათ შეუძლიათ იმოქმედონ ფსევდოისტორიულ, ფანტასტიკურ, თუ პირობით ორიენტალურ გარემოში. ეს მეტად საგულისხმო აზრია! სწორედ რომ, ფანტასტიკურ ან პირობით ორიენტალურ გარემოში მოქმედებენ ვეფხისტყაოსნის გმირები ისევე, როგორც დასავლეთ ევროპული სარაინდო რომანის გმირები. სხვათაშორის, ის შეხედულება, რომელიც ჰქონდათ შუა საუკუნეებში საფრანგეთის მცხოვრებლებს. აღმოსავლეთზე და რომელზედაც ა. მიხაილოვი მოგვითხრობს, ძალიან მოგვგავონებს ვეფხისტყაოსანში გადაშლილ ნახევრად ზღაპრულ მხარეს. მართალია, საქართველოში აღმოსავლეთს ძალიან კარგად იცნობდნენ, მაგრამ მასთან ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორც ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მცხოვრებლებს.

ფრანგული პროზაული ნაწარმოების „ტრისტანის რომანის“ ავტორად დასახელებულია ვინმე ლიუს დელ გატი. წიგნი დაამთავრა სხვა მწერალმა, ვინმე ელი დე ბორონმა. ორივე მწერალი დაბეჯითებით აცხადებს, წიგნი ლათინურიდან ვთარგმნეთო. მაგრამ მკვლევარები არ უჭერებენ, ასეთი წიგნი ლათინურად არ არსებობდაო. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვეფხისტყაოსნის „სპარსულობაც“ ასეთივე ტიპის მოვლენაა? საგულისხმოა ვაფა-ფშაველას სიტყვები: „... ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შევქმენ და იოტი-სოდენა იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი: „ძველისძველი ამბავიო“, „ზღაპარიო“. „თქმულებაო“...

ქართული კულტურა ევროპული რომ იყო, ეს აზრი XII საუკუნეში უფრო ბუნებრივად შეიძლება ითქვას. აქსიომად აღიქმებოდა, ვიდრე, ვთქვათ,

XVII საუკუნეში, ანდა, თუნდაც, დღეს.

სტატიაში „ჩვენი ქვეყნის სიყვარული“, რომელიც ზემოთ ვახსენე და რომელიც ეძღვნება ჩვენგან უადრესად პატივსაცემი ბიროვნების, ინგლისელი მწერალი ჯალის — ქეთრინ ვივიანის მიერ ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე თარგმნის მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, მანანა გიგინეშვილი წერს: „ტარიელის მრავალგზისი დაბნედილი სცენები და ცრემლთა ღერა — აღმოსავლური მწერლობისათვის ესოდენ ბუნებრივი და შესაფერი, ხოლო ევროპული მკითხველისათვის უჩვეულო ეს ეპიზოდები, მთარგმნელს შეუქვეცდავს“-ო.

საერთოდ, როგორც ცნობილია, მთარგმნელები, თუკი შეეცეცა, რაც თავისთავად მისასაღმებელი ამბავი არ არის, ტექსტში ამცირებენ მკითხველისათვის ჩვეულებრივ, ნაცნობ და არა „უჩვეულო“ ეპიზოდებს, ამავე დროს, იმ ეპოქის ევროპული მწერლობისათვის, რომელსაც, მიახლოებით მაინც, ვეფხისტყაოსანი ეკუთვნის, აღმოსავლურზე არააქლებადია დამახასიათებელი „ცრემლთა ღერა“. ასე რომ, უფრო სავარაუდებელია, ჩვენი პატივცემული მთარგმნელი პოემაში ამცირებდა ევროპელი მკითხველისათვის ნაცნობ მოტყვებს.

სამწუხაროდ, ამ თარგმანის წაკითხვა მე არ შემძლია, მაგრამ თუკი ამ თარგმანში მართლაც შემცირებულია „აღმოსავლური მწერლობისათვის ესოდენ ბუნებრივი და შესაფერი“ ანუ „დაბნედილი სცენებისა და ცრემლთა ღერის“ ეპიზოდები, მაშინ ჰაერში გამოკიდებული დარჩენილა ის დიდებული და იმდროისათვის სრულიად ახალი, ამ ეპიზოდების ფონზე და მათი საშუალებით მკაფიოდ გამოკვეთილი აზრი, რომელიც ერთ-ერთ დიდ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს მაშინდელი ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროში:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მტყურობა  
ერქვევდოქ?  
სჯობს, საყვარელსა უჩვეულსა მტყურობასა  
საგმირონისა!“

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გასაოცარი ფრაზა იმ დროისათვის, როცა სწორედ „ბედითი ბნედა“ იყო აღმოსავლური თუ ევროპული კურტუზაზიულობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი. ვეფხისტყაოსანში კი, ცრემლის ღერასა“ და „დაბნედას“ ებრძვიან! ეს არაჩვეულებრივი ფაქტია იმდროინდელი ევროპული მწერლობისათვის!

ასე რომ, თუკი პოემის თარგმნის დროს „ცრემლთა ღერის“ სცენებს გამოეტოვებთ, ქართველი პოეტის ამ შეზანიშნავ, მთელს ევროპულ ლიტერატურაში თვისობრივად ახალ აზრს ვეღარ ჩაეწვდებით. პოემაში ხომ ამდენი ცრემლი მხოლოდ იმიტომ იღვრება, ნესტანისა და ავთანდილის გონიერი ქმედება, ახალი სულისკვეთება რომ შევამჩნიოთ! აქ ავტორის მიერ პედალიზებულ კონტრასტთანა გვაქვს საქმე, რომელიც ძალიან დიდ დაკვირვებასა და სიფრთხილეს თხოულობს სწორედ მისი სხვა ენაზე გადატანის დროს.

ჩვენი ისტორიის შავბნელი პერიოდის სპარსული ორიენტაციის, „სპარსული ენის მუსკოპის“ მოტრფივალე გადამწერებს (ან პოეტებს!) ალბათ ძალიან უევირდათ, „სპარსულ ამბავში“ (როგორც რუსთაველს უწერია) არაფერი არ იყო სპარსული და რაკი მათ მართლაც „ესე ამბავი სპარსული“ ეგონათ (ისინი ხომ ლიტერატურული განათლებით, აზროვნების მასშტაბით და გემოვნებით გაცილებით დაბლა იდგნენ, ვიდრე პოემის შემდგენლობის მკვლევარები!), ცდილობდნენ თვითონ გაესპარსულებინათ პოემა, ჩაემატებინათ ტექსტში სპარსული ტერმინები, რომელთა არარსებობა უნაა გადამწერთა შეცდომად მიაჩნდათ. ამავე დროს, და მთავარიც სწორედ ეს არის, ღრმად იყვნენ დარწმუნებული, კარგ საქმეს რომ აკეთებდნენ, პოემის სასიკეთოდ

რომ ეწეოდნენ ასეთ საქმიანობას. მათთვის ხომ ცნება „სპარსული“ უმალესი ხარისხის ნიშანს უდრდა!

შეიძლება, პოემამ ჩვენამდე იმიტომაც მოაღწია, იმიტომაც გადაურჩა სრულ განადგურებას იმ უსასტიკეს ხანაში, რომლის დაკანონებული სახელწოდება — „აღორძინება“, სხვა თუ არაფერი, ირონიულად ელერს, მართლა სპარსული ამბავი რომ ეგონათ, ან ასე რომ ნიღბავდა ვიღაც ღვთისწიერი, ვინც სიტუაციის ტრაგიკულობას გრძნობდა და გულისტკივილით ამბობდა ტექსტში, თუნდაც, სიტყვა „მიზგიოას“, მხოლოდ და მხოლოდ, რჯულგამოცვლილი მეფის გულის მოსაგებად, იმ გაპირუტყვებულ მბრძანებელს პოემის დაწვა რომ არ ებრძანებინა. ნამდვილად იყვნენ ასეთი გადაწყვერებიც და ასეთი შეფეხებიც. წარმოიდგინეთ, რა შვევა იქნებოდა რჯულგამოცვლილი მბრძანებლისათვის ის ამბავი, ავთანდილიც, მისავით, მიზგიოთაში რომ შედიოდა!

ვაჟა-ფშაველა ამბობდა, ამ პოემაში „... ერთ მოქმედ პირზედაც ვერ იტყვი, ქართველი არ არისო“. „ჰამლეტის“ მოქმედება დანიაში ხდება, პიესის მიხედვით, ჰამლეტი დანიის პრინცია, მაგრამ არავის უთქვამს, თვით დანიელსაც კი, ჰამლეტი დანიელიაო, თუმცა დანიელი უფრო გავს ინგლისელს, ვიდრე ქართველი — არაბს! მიხეილ შოროზოვი, შექსპირის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი, წერს: „მაყურებლისთვის, ბოლოს და ბოლოს, სულერთი იყო, სად მიმდინარეობდა მოქმედება, რადგან, არსებითად, ის მიმდინარეობდა ინგლისში“-ო. ენგელსმა შექსპირზე თქვა: „აქ ყველაფერი, მხოლოდ და მხოლოდ, ინგლისის ცის ქვეშ ხდებაო“-ო. ვეფხისტყაოსანში, მიუხედავად ავტორის ცდისა, ვაჟა-ფშაველას თქმით, „მოქმედ პირთა ქართველობა, მოპარულს მამალივით მაინც ბოლოს აჩენს“. მაგალითად, მართლაც, ნამდვილ მამადიანებს — ბაღდადელ ვაჟრებს — მაინც და

მაინც ავთანდილთან საუბრის დროს ახსენდებათ მაჰარაი

„ცნება ვეფხის-ტყაოსნის“ ხეყვეტის „სპარსულობაზე“ არ შეეფერება სინამდვილეს“-ო, წერს პავლე ინგოროვა და დასძენს: „...ყველა ის ადგილი ვეფხის-ტყაოსნისა, რომლებიც ეხება ვეფხის-ტყაოსნის „ამბავის“ საკითხს და რომლებიც მოიბოვება ვეფხის-ტყაოსნის ნაგვიანებ ხელნაწერებში, არ ეკუთვნის თვით ავტორს, არამედ წარმოადგენს ინტერპოლაციას, გვიანი დროის ჩამატებას“.

ამასთან დაკავშირებით, დასაშვებია ასეთი ვერსია: გვიანდელი დროის (ანუ დაქვეითების ხანის!) ინტერპოლატორი იმდენადაა აღფრთოვანებული სპარსული პოეზიით, რომ ვეფხისტყაოსანზე ამბობს, ისეთივე მღალი, ნამდვილი პოეზიაა, როგორც სპარსულიო. დარწმუნებულია, ქართულ პოემაში დიდი ქათინაურით ამკობს.

ზემოთ ვთქვით, ვახტანგ VI-ზე ადრე მეორე მეფე-პოეტმა შეამჩნია ვეფხისტყაოსნის ანტიადმოსავლური ბუნება, უფრო სწორად, საკუთარ თავზე იწვინა რუსთაველის ევროპულობა-მეთქი. ეს მეორე მეფე-პოეტი თეიმურაზი იყო!

რუსთაველისაგან განსხვავებით, თეიმურაზისათვის ცნება „სპარსული“ კონკრეტული შინაარსის შემცველია. თეიმურაზმა შეამჩნია, იგრძნო, თუ რა გამანადგურებელი ძალისაა გენია, თუ რა მხურვალე და დამლუბველია მზე, რომლის გარშემოც ეპიგონი ტრიალებს. ამიტომ სცადა გაებრძოლა საკუთარი თავის, საკუთარი პოეტური მეს-დასაარჩენად, მას უნდა მოეძებნა ისეთი წებირი, რომელიც ოდნავ მაინც შეანელებდა რუსთაველის ცეცხლოვანი ზვირთის მოწოლას და იპოვა კიდევ: სრულიად სხვა, უცხო პოეზიის სამყარო — დიდი სპარსული პოეზია!

არსებითად, ეს არის ფსიქოლოგიურად ყველაზე დამაჩერებელი საბუთი იმისა, რომ რუსთაველის პოემა ანტისპარსული მოვლენაა. „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი!“ —

გამწარებელი, წონასწორობადაკარგული პოეტის ნათქვამია. ოღონდ, აქ „ენა უნდა გავიგოთ, როგორც პოეზია, იგივე „მუსიკა“! ეს არის აღმოსავლური პოეტური აზროვნების ალიარება ევროპულის საწინააღმდეგოდ.

სხვათაშორის, მარტო თეიმურაზი არ წასულა ამ გზით. პატარ-პატარა უმნიშვნელო პოეტებს რომ თავი დაეანებოთ, უკვე ჩახრუხადის პოემაში შეინიშნებოდა აღმოსავლური პოეტური სამყაროს მძლავრი გამოსხივება, ხოლო ქართული სადევგმირო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ სპარსულ ქარგაზე მოკრილი ნაწარმოებია. ერთი კია, ლიტერატურული გავლენა პოეტის მსოფლმხედველობით პრობლემებს არ უნდა დაუკავშირდეს, ის ფორმალური. მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების პარალელურად უნდა განიხილებოდეს. ამას ყველაზე ნათლად თვით თეიმურაზის მაგალითი ასახულებს: ის, როგორც მეფე, დაეანებოთ თავი მის მეფობას, როგორც ადამიანი — მტერი იყო სპარსეთისა, მაგრამ როგორც პოეტი, სპარსული პოეზიით იყო მონუსხული. ამდენად, თეიმურაზის გაბრძოლება რუსთაველის გავლენის წინააღმდეგ, ტრაგიკული იყო და ტრაგიკულად დასრულდა კიდევ; სპარსული პოეზია მისთვის ხუნდად იქცა — ერთის ეპიგონობა მეორის ეპიგონობამ შესცვალა, ეს იყო და ეს. ამას სინანულით ვამბობ, თუნდაც იმიტომ, რომ თეიმურაზი ნამდვილად დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო, ამას ამტკიცებს ის მარგალიტები, მის შემოქმედებაში აქა-იქ რომ გამოანათებს ზოლზე: „რად სოფელო, სხვა არ დასწვი...“

თეიმურაზი მაინც საგრძნობლად განსხვავდება იმ პოეტებისაგან, რომელთაც არც კი გაუბრძოლიათ, არც კი უცდიათ თავის დაღწევა რუსთაველის ცეცხლოვანი სამყაროდან, შეგნებულად დარჩნენ იქ, სრულიად დაკარგეს თავიანთი სახე და დღემდე ქართული ლიტერატურის ისტორიაში რუსთაველის ეპიგონებად იწოდებიან (არ არსებობს

პოეტისათვის ეპიგონზე უფრო დამამცირებელი ეპითეტი!). უმსუქეს პოეტები რუსთაველის პოემაში უმთავრესად სხუეტეტის ვირტუოზულმა არტიტექტონიკამ მოხიბლა. პოემის ქსოვილიდან ერთი ძაფის ბოლო გამოარღვიეს და იმ ძაფით დაიწყეს საკუთარი პერანგის ქსოვა. ქართული ლიტერატურის ისტორიის ფურცლებზე დღემდე მშვიდად განისვენებს ბევრი ერთნაირპერანგისანი პოეტი...

შეიძლება ითქვას, რუსთაველი პირველად მთელი სიღრმით წაიკითხა ვახტანგ VI თაობამ და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, დავით გურამიშვილმა, ალბათ უფრო ღრმად, ვიდრე რუსთაველის რომელიმე თანამედროვე მკითხველმა.

გურამიშვილის შემდეგ კი, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ უკვდავ პოემაში მრავალი ახალი, მანამდე შეუქმნეველი მაცოცხლებელი წყარო აღმოაჩინა. ბარათაშვილის ლირიკა ვეფხისტყაოსნის წიაღიდანაა ამოზრდილი. ბარათაშვილის ვეფხისტყაოსნის ფარული მელოდიები თუ სახეები მზუზე ამოაქვს და ამით ერთგვარ ლირიკულ კომენტარს უკეთებს პოემას.

რუსთაველის ნამდვილმა მიმდევრებმა (გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი...) ვეფხისტყაოსანი განიცადეს, როგორც მუსიკა, „მუსიკა ჩვენი სულისა“! გაიარა რა, საუკუნეების მანძილზე, უამრავი თაობის გონებისა და გულის ცხრაკლიტულეები, რუსთაველის სახელი თანდათანობით გაიზარდა და ჩვენთვის დღესდღეობით ღმერთის სინონიმად იქცა. მაგრამ იყო დრო, როცა ის, მართალია, ასევე დიდ პოეტად მიაჩნდათ, მაგრამ მასთან პაექრობას, გაბაასებას, კამათს, შევიბრსაც კი ბედავდნენ. ძალიან ღმობიერად რომ ვთქვა, ეს სითამამე, უფრო სწორად — გამწარებელი სიმამაცე, როგორც წესი, ისევ და ისევ რუსთაველის ეპიგონებს ახასიათებდათ და, ამიტომაც, დღეს სევდიან ღიმილს თულა იწვევს მათ მიმართ.

საერთოდ, რუსთაველისადმი ქართველი პოეტების დამოკიდებულების ევოლუცია ძალიან საინტერესო და მრავლის მთქმელი საკითხია ქართულ ლიტერატურაში. რუსთაველი თანდათანობით იზრდებოდა, მადლდებოდა, მაგრამ ამავ დროს, კი არ გვზორდებოდა არამედ, პირიქით, უფრო მახლობელი ხდებოდა ჩვენთვის. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე საუკუნის მერე ქართველი ადამიანისათვის რუსთაველი კიდევ უფრო მახლობელი იქნება...

ქართული მწერლობა თავიდანვე გენეტიკურად იყო დაკავშირებული ევროპულ მწერლობასთან — ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი — ბრწყინვალე აგოგრაფია და ჰიმნოგრაფია, ამ შემთხვევაში, ბიზანტიურ ლიტერატურას არ გამოვეყოფთ დასავლეთევროპული მწერლობიდან, როგორც ეს მიღებული ბიზანტოლოგთა შრომებში, რასაც დ. ლიხაჩოვი „გაუგებრობას“ უწოდებს და სამართლიანადაც. ქართულ ლიტერატურას განვითარების თითქმის ისეთივე კანონზომიერება ახასიათებს, როგორც საერთოდ ევროპულ ლიტერატურას, რასაკვირველია, მეტნაკლება ფორმითა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

ფიქრობ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის ვაგებით, ევროპეიზმი ქართულ მწერლობაში ეროვნულ ფესვებთან დაბრუნებას ნიშნავს და იგი ქართული მწერლობის კეშმარიტი ბუნების აღდგენა და გამოვლენაა.

5.

იმდროინდელ საქართველოში დიდი კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა მიმდინარეობდა, რომელიც დაიწყო რა დავითის დროს, წარმატებით გაგრძელდა თამარის მეფობის ხანაშიც. აშენებდნენ ციხე-დარბაზებს, ეკლესიებს, მონასტრებს, საავადმყოფოებს, ხანაგებს, ხიდებს... გააყვანათ გზები; კლდეში იკვეთებოდა მთელი ქალაქები. კედლებსა და თაღებს ფრესკებით ამკო-

ბდნენ კეშმარიტად დიდი მხატვრები. ხატებს ბეჭა ოპიზარი კედელქდუჭს; თან ერთად, მრავალი დაზმრქუჭქუჩს მშაქაძალნიჭიერი ოსტატი, თუნდაც „მეფის მხატვარი თევდორე“.

მართლაც, განსაკუთრებით აღსანიშნავია კულტურული ძეგები, რომლითაც ასე მდიდარია დავითისა და თამარის ეპოქები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ძლიერების საფუძველს ივანე ჯავახიშვილი სწორედ კულტურულ საქმიანობაში ხედავს, რომელიც წინ უძღოდა ამ ეპოქას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფილოლოგიის აღზევება. ეს არის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როცა ფილოლოგიური მეცნიერება სახელმწიფოს პოლიტიკურ ინსტიტუტადაა გადაქცეული, მისი მიზანია დიდი თურქობის შედეგად ევროპასთან შერყეული კავშირის აღდგენა და თავის მოწოდებას დიდი წარმატებითაც ახორციელებს. ამის წყალობაა ის ამბავიც, რომ ქართული ენა აღიჭმება, როგორც ერის გამაერთიანებელი იარაღი. გიორგი მერჩულეს ცნობილი თქმა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელთა შინა ქართულითა ენითა ფაი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ — იდეოლოგიურ მნიშვნელობას იძენს.

მეცნიერების სხვადასხვა დარგების ორგანიზებულობისა და მიზანდასახულობის საკვირველი მაგალითია გელათის აკადემიის დაარსება დავით აღმაშენებლის მიერ. ეს აკადემია, თავისი საქმიანობის მასშტაბურობისა და ხასიათის გამო, ფაქტიურად, პირველი ქართული უნივერსიტეტია, ხოლო იოანე პეტრიწი ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი — „მოძღუარა-მოძღუარა“.

პეტრიწი ლომონოსოვს „დიდი პეტრეს დიდ თანამებრძოლს“ უწოდებდა. იოანე პეტრიწი დიდი დავით აღმაშენებლის დიდი თანამებრძოლია, „თანაგანმკაფველი“.

გელათის უნივერსიტეტში თავმოყრილია ჩვენი იმდროინდელი მეცნიერე-

ბის ყველა საუკეთესო წარმომადგენელი. ჯერ კიდევ დიდმა ხანმა უნდა გაიაროს, ვიდრე რიშელიე, მის მიერ დაარსებული საფრანგეთის აკადემიის წევრებს ეტყოდეს, დროა, სახელმწიფოებრივად აზროვნება ისწავლოთ.

ზემოთ ვთქვი, საქართველო კულტურულ სამყაროში ბიზანტიის ადგილის დასაკავებლად ემზადებოდა-მეთქი. ხოლო ქვეყანა, რომელიც აპირებს გახდეს დიდი სახელმწიფო, სხვა ქვეყნებს საკუთარი ნება მოახვიოს თავს, რასაკვირველია, მიზანს ვერ მიაღწევს, თუკი, უპირველეს ყოვლისა, კულტურას არ განავითარებს, არ დადგება იმდროინდელი აზროვნების ყველაზე მაღალ საფეხურზე. მან შეიძლება შეაკოწიწოს იმპერიის მსგავსი რამ, მაგრამ ეს უსათუოდ დროებითი მოვლენა იქნება...

იმდროინდელ საქართველოში ლამის სახელმწიფო პრინციპად იყო ქცეული ტოლერანტული ანუ შემწყნარებლური დამოკიდებულება განსხვავებული მრწამსისა თუ რწმენის მიმართ, რაც თავისთავად უკვე მაღალი კულტურისა და ამასთანავე, პოლიტიკური სიძლიერის უტყუარი ნიშანია.

იმდროინდელი ცხოვრება გამოირჩევა კეთილშობილებით, ღირსეული მოწინააღმდეგის გულწრფელი პატივისცემით, ადამიანთა ურთიერთობა დამყარებულია გაგებაზე, მოთმინებაზე, საქმის ცოდნაზე. „ეკლესიასტეში“ ნათქვამია: „და რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ღმობა“-ო.

მეცნიერები გადმოგვცემენ, თურმე, იოანე პეტრიწი გელათის აკადემიის მსმენელებს ეკითხებოდა, არსებობს თუ არა ღმერთიო, და ვინც ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებდა, მას ჭოჯხეთით კი არ ეშუქრებოდა, არამედ უმტკიცებდა, „უჭერობამდე“ ანუ ლოგიკურ წინააღმდეგობამდე მიდიხარო. როგორც ხედავთ, იოანე პეტრიწის დამოკიდებულება ურწმუნოებისადმი ძალიან განსხვავდება დასავლეთევროპულ სქოლასტიკოსთა დამოკიდებულებიდან, საკუთარ შეხედულებებს ცეცხ-

ლითა და მახვილით რომ აკანონებდნენ.

გელათის უნივერსიტეტში ვეტყობა, სწავლობდნენ ან მოღვაწეობდნენ სსსრ-ის პირებიც, რომელთაც ღმერთის არსებობაში ეჭვი ეპარებოდათ! ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტია. აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინდელ საქართველოში წარმოდგენილია ისეთი საშინელი რელიგიური ხოცვა-ყლეტა, როგორც ევროპის შუაგულში — საფრანგეთში მოხდა.

ქართულ საზოგადოებაში კარგ ტონად ითვლებოდა და მისი ყველა წევრისთვის (რა თქმა უნდა, იგულისხმება საზოგადოების ყველაზე მაღალი ფენა!) თითქმის სავალდებულო იყო, ნატიფ ხელოვნებასთან ერთად, ფილოსოფიის, ასტრონომიისა თუ მათემატიკის ცოდნა. ითარგმნებოდა და კომენტარი უკეთდებოდა მრავალი სახელგანთქმული ფილოსოფოსის, თეოლოგისა თუ სქოლასტიკოსის ნაშრომს. ქართული ფილოსოფიური აზრი ნახიარები იყო იმდროისათვის ასე თუ ისე საინტერესო ყველა მოძღვრებას.

იმ მრავალ თეოლოგსა თუ სქოლასტიკოსს შორის, რომელთა წიგნებიც ქართულ ენაზე ითარგმნა, როგორც უმნიშვნელოვანესი შრომები, ჩვენმა დღევანდელმა რუსთველოლოგმა მკვლევარებმა გამოარჩიეს ფსევდო-დიონისე არეობაველი, ქრისტიანული ეკლესიის მართლაც რომ ვარსკვლავი. ერთი შეხედვით, მან ეს პატივი იმიტომაც დაიმსახურა, თვით რუსთაველი რომ იხსენიებს პოემაში („ზრძენი დივოს“). ეს — ერთადერთი მისი ხსენება — თუ რა ძვირად დაუსვეს ჩვენმა მკვლევარებმა რუსთაველს, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებ.

მტკიცება, რენესანსი მხოლოდ ის არის, რაც დაიწყო იტალიაში XIV საუკუნეშიო, მეცნიერების მიერ მთლად ერთსულოვნად არ არის გაზიარებული, მას საკმაოდ გავლენიანი მოწინააღმდეგებიც ჰყავს. „ორი რენესანსის“ კონცეფცია, როგორც ჩანს, ძალიან მკვეთრადაა გამოსახული მედიევისტური

და რენესანსული ძიებების ფონზე. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა XII საუკუნის განსაკუთრებულობის აღიარება ამ თვალსაზრისით. „XII საუკუნის რენესანსის“ იდეა დღემდე ინარჩუნებს აქტუალური პრობლემის ხასიათს. რაც შეეხება რენესანსის „მედიევიზაციის“ მომხრეთა ამ შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც ერთმანეთს უკავშირდებიან თომა აქვინელი და დეკარტი, უსათუოდ მოგვაგონებს ჩვენი ზოგიერთი რუსთველოლოგის ცდას, რენესანსულ იდეებად, უფრო მეტიც—რენესანსის ფუძემდებლურ იდეებად გამოაცხადონ შუა საუკუნეების თეოლოგის, სკოლასტიკოსისა და მისტიკოსის ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მთავარი მუშაობები და ამით ერთგვარად გაავლონ „პირდაპირი ხაზი“ ფსევდო-დიონისე არეოპაგელსა და რუსთაველს შორის. თითქოს განგებ იფიქსებენ იმ ფაქტს, რომ რენესანსი კულტურულ-ლიტერატურული მოვლენა იყო და არა ფილოსოფიური, უფრო ზუსტად — არა თეოლოგიური!

შუა საუკუნეების თეოლოგიის გავლენა აღორძინებაზე, თავისთავად, რასაკვირველია, მეტად ძლიერია და საყურადღებო, მაგრამ ფაქტია, რომ აღორძინების მთავარი, ფუძემდებლური ფილოსოფიური თეორია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება არ ყოფილა. რენესანსის დიდი მხატვრებისა და მოაზროვნეების დაინტერესება არეოპაგეტიკული მოძღვრებით, მართლაც, დიდი იყო და საკმაოდ დიდხანსაც გრძელდებოდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მათ მიერ ამ მოძღვრების აღიარებასა და მიღებას. წარმოდგენილიც კი იქნებოდა, ისეთ მოაზროვნეებს, როგორიც რენესანსული პიროვნებები იყვნენ, ინტერესი არ გამოეჩინათ არეოპაგეტიკისადმი, რაც, ამავდროს, არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ვიფიქროთ, ისინიც ამ მოძღვრების მიმდევრები იყვნენო.

მაგრამ, რასაკვირველია, არც არეო-

პაგეტიკის როლისა და მნიშვნელობის აღმსივრება შეიძლება.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სკოლასტიკოსია, რომელიც თავის მოძღვრებაში აერთიანებდა ქრისტიანობასა და ნეოპლატონიზმს. ის, რა თქმა უნდა, ამ საქმეში არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ისტორიამ მასზე მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არანაკლები თეოლოგების სახელები იცის, იმავე მიზნით რომ იღვწოდნენ და მეტად მნიშვნელოვან შედეგსაც აღწევდნენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენმა მკვლევარებმა ფსევდო-დიონისე არეოპაგელი სხვა ნიშნით აირჩიეს არა იმიტომ, მართლაც რომ შემაჩინეს, მაინცდამაინც. მისი გავლენის კვალი ვეფხისტყაოსანში-ეს ნიშანი გახლდათ მისი, ანუ ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის ამბავი. რომელსაც ასე მხურვალედ დაუჭირა მხარი ზოგიერთმა ქართველმა ფილოსოფოს-რუსთველოლოგმა. ასე შეიქმნა რუსთველოლოგიაში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის კულტი! ყველა, ვინც კი ამ კულტს აღიარებს, იძულებული გახდება, ანდა, ბოლოს და ბოლოს, უეჭველად მივა იქამდე, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელზე ილაპარაკოს, როგორც რენესანსული იდეების შემოქმედზე.

შალვა ნუსუბიძე, რომელსაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება თუნდაც, მისეული გაგება „სილამაზის პლატონური იდეისა“, რენესანსის ამოსავალ წერტილად მიაჩნია, იმდენად გატაცებულია ამ აზრით, ვერც კი გრძნობს, წინააღმდეგობაში რომ ვარდება, როცა ამტკიცებს: არც პეტრე არკას, არც ფლორენციის აკადემიის მოღვაწეებს და არა მარტო მათ, არამედ ყველას „მარსილიო ფიჩინოდან პიკო დელა მიჩიანდოლამდე“, აგრეთვე კრისტიფორო ლანდინოსაც, რომელიც დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ კომენტატორი იყო — ეს დიონისესეული გაგება პლატონის სილამაზის იდეისა არ ჰქონდათ, მარტო ქართველებს, კერძოდ. ჩაბ.

რუხადეს ჰქონდაო. აქედან ერთი ნაბიჯიღა და რჩენილი ასეთ გამონათქვამებამდე: „არათანაბრად მიმდინარეობდა რენესანსის განვითარება იტალიაში“. ხოლო „გარემოებათა ბედნიერი დამთხვევის გამო საქართველოში რენესანსის განვითარება სრულიად კანონზომიერად მიმდინარეობდა“. ასე შეიძლება, იტალიური რენესანსი, საერთოდ, ზედმეტი აღმოჩნდეს...

ზემოთ ჩამოთვლილი იტალიელები რენესანსის ნამდვილად დიდი, შეიძლება ითქვას, ქრესტომათიული წარმომადგენლები არიან, ჩაბრუხადის რენესანსულობას კი, ჭერჭერობით, აშკარად უფრო საფუძვლიანი დამტკიცება სჭირდება. ხოლო — თუკი ისეთ უდავოდ რენესანსულ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ პეტრარკა, მარსილიო ფიჩინო, პიკო დელა მირანდოლა, კრისტიფორო ლანდინო; „არ ჰქონდათ სილამაზის პლატონური იდეის არეოპაგიტული გაგება, რაც საშუალებას მისცემდა მათ ზეციური და ამქვეყნიური ერთმანეთთან დაკავშირებითა“ და მაინც, ანუ უამიდეოდ რენესანსული მოღვაწეები იყვნენ — ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება, მისი გაგება სილამაზის პლატონური იდეისა რენესანსული არ ყოფილა!


შ. ნუცუბიძე ფიქრობდა, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელს პეტრე იბერი ეფარებოდა. როგორც ცნობილია, ამ თეორიას მრავალმა მეცნიერმა დაუპირა მხარი, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთაც. ამ ბოლო დროს კი ა. ლოსევმაც მის სასარგებლოდ გამოთქვა აზრი. პირადად მე შ. ნუცუბიძის ეს მეტად მნიშვნელოვანი შეხედულება სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია, მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, თავისთავად, მეტად საყურადღებო. ბოლოს და ბოლოს, როგორმე უნდა შევუბრუნდეთ იმ ამბავს, რომ პეტრე იბერიმა, ნებსით თუ უნებლიეთ, სხვა ენა, სხვა სამშობლო აირჩია და იმ სხვა ენამ, სხვა სამშობლომ მისცა მას ყველაფერი, რითაც ის საქვეყნოდ ცნობილი პიროვ-

ნება გახდა. ამ შეხედულებას კატეგორიულად იცავდა კ. კაქელაძე.

შ. ნუცუბიძის „ფილანთროპიული რიაში“ წერია: ი. პეტრიწს უთქვამს თურმე პეტრე იბერის შესახებ: „ქართველებს არ გამოადგაო!“ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არ ვერწმუნოთ იოანე პეტრიწს, რომელიც უცხოეთიდან იმიტომ ჩამოვიდა, მთელი თავისი ცოდნა და უნარი საქართველოსთვის რომ მოეხმარებინა, მხარში ამოსდგომოდა დავით აღმაშენებელს, გამხდარიყო მისი „თანაგანმკაფველი“ — ასე უწოდებს დავითის ისტორიკოსი გიორგი ჭყონდიდელს, ეს ეპითეტი, სრული ძალით, შეიძლება იოანე პეტრიწზეც გადავარცხოთ.

უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ნიუანსიც: ყველა ხალხს, რომელსაც შუა საუკუნეებში სამშობლოდან გადახვეწილი თეოლოგი ჰყავდა, შეუძლია მისი სახელი თამამად დაუკავშიროს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელს, რადგან არ არსებობს უფრო კოსმოპოლიტურ მოძღვრება, ვიდრე ამ ბერძენი სქოლასტიკოსის სწავლება გახლავთ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თავისი პროპაგანდისტული ხასიათისა და დანიშნულების გამო: „ამას თავად ქრისტიანული რელიგიის სპეციფიკა განაპირობებდა“-ო. აღნიშნავს ამ საკითხის ერთ-ერთი ქართველი მკვლევარი.

როგორც ცნობილია, ფსევდო-დიონისე არეოპაგელს მხოლოდ სიკეთის არსებობა სწამს, ბოროტება მისთვის არ არსებობს. „ბოროტება არცა არსთა შორის არს, არცა არა არსთა“. — ეს მისი სიტყვებია. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ეს აზრი ზუსტად გამოთქვა რუსთაველმა: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს კაცხადღებს: ღმერთი კარგსა მოაღლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ რუსთაველი კატეგორიულად არ იზიარებს ამ აზრს, რაც, თუნდაც, მისი ცნობილი აფორიზმიდან ჩანს „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ ეს, თავისთავად, უკვე ბოროტების არსებო-



ბის აღიარებაა, რადგან მხოლოდ მისი დამტყვევებელი, რაც არსებობს. ამდენად, ეს არის აშკარა, შეუნიღბავი კამათი ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი და რუსთაველი ამ საკითხთან დაკავშირებით (რაც, სხვათაშორის, არეოპაგეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლური საკითხია!) უდავოდ სხვადასხვა პოზიციებზე დგანან. ამ საკითხით დინტერესებული ფილოსოფოსი — მკვლევარები რასაკვირველია, ამას ჩემზე უკეთესად ზედავენ, ამიტომაცაა, გამოსავალს რომ ეძებენ ჩიხიდან და, როგორც ყოველ შემთხვევაში, მიაჩნიათ, რომ გამოსავალს უსათუოდ იპოვიან, თუკი წამოჭრიან პრობლემას რუსთაველის მიერ არეოპაგეტიკისათვის „რალაც დამატებაზე“. ეს პრობლემა კი, თავისთავად, საოკრად თამაშა, რადგან „რალაც“ სხვა არაფერია, თუ არა ბოროტების არსებობის დაშვება.

მაგრამ, თუკი ამ თეორიას ბოლომდე თანმიმდევრულად გავყვებით, ისევ ჩიხში ამოვყოფთ თავს, დავიანახავთ, დავრწმუნდებით, რომ „ახლის“ დართვა არეოპაგეტიკისათვის არ შეიძლება, რადგან თეოლოგიურ-მისტიკური სისტემისათვის, რომლის მიხედვითაც, ვიმეორებ, ბოროტება საერთოდ არ არსებობს, ასეთი ხელოვნური ჩარევა ახლის დართვა კი არ იქნებოდა, არამედ მის საძირკველში ნაღმის ჩადება, რომელიც შიგნიდან ააფეთქებდა კეშმარტად დიდი სქოლასტიკოსის მთელ მოძღვრებას.

აი, ეს გახლავთ ახალი ჩიხი, საიდანაც არც ისე ადვილია გამოსვლა, რამდენადაც აღნიშნულ მკვლევარებს თავიანთი თეორია უშლით ხელს. მათ არ შეუძლიათ, ერთი წამითაც კი დაუშვან ის ამბავი, რომ რუსთაველი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას უპირისპირდება, მათ ხომ მთელი თავიანთი კონცეფცია იმაზე აქვთ დამყარებული, რომ ვეფხისტყაოსანი „...ფსევდო-დიონისეს მსოფლგაგების პოეტური განსა-

ხიერება იყო“! ეს არის და ეს, მტრ არაფერი. სიმართლე რომ ვეფხვეფხვეფთუ ისე დიდი ქათინაურია მტრისათვის, როგორც რუსთაველია...

გარდა ამისა, ამ მკვლევარების შეხედულებით, არსებობს მზამზარეული „ნაზრევი“, ანდა „საკირო მსოფლგაგების“ ნახევარფაბრიკატები. პოეტმა უნდა აიღოს ეს გამზადებული „მსოფლშეგრძნება“ და მისი საქმე, ფილოსოფიური აზროვნების მხრივ, დამთავრებულია. გულდასაწყვეტია, ასე თუა. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ არის. ასე შეიძლება კალატოზზე ვილაპარაკოთ, რომელიც სხვისი დამზადებული, მზამზარეული აგურით აშენებს კედელს. პოეტი თავის „კედელს“ ისე ვერ ააშენებს, თუ „აგურიც“ მისი დამზადებული არ იქნება.

„პოეტი... ფილოსოფოსი არაა!“ — ეს კეშმარტება შ. ნუცუბიძეს ეკუთვნის. შეიძლება ითქვას, ყველა ფილოსოფოსი მკვლევარი, ანდა უმრავლესობა მაინც, ასე იწყებს ვეფხისტყაოსანზე საუბარს, მაგრამ ყველა ასევე... მაღე იგიწყებს ამ კეშმარტებას. მათი თეორიის მიხედვით რუსთაველს აუღია უკვე არსებული „საკირო მსოფლგაგება“, ანუ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (ნუცუბიძის თეორიის მიხედვით — პეტრე იბერის) ფილოსოფიური თუ თეოლოგიური მოძღვრება და მისი საშუალებით აუგია ის „წარმოსახული სინამდვილე“, რომელსაც ჩვენ „საქმის უცოდინარი მკითხველები“ — პოეზიის სამყაროს მივაკუთვნივლით. უნებლიეთ გვახსენდება ისევ შალვა ნუცუბიძის მიერ, მართლაც, ბრძნულად ნათქვამი ფრაზა: „სადაც მხატვრული შემოქმედების დონე ფილოსოფიით გამაგრებას საჭიროებს, იქ საქმე უკვე ცუდადაა“!

ჩვენმა ფილოსოფოსმა მკვლევარებმა შესაძლებლად მიიჩნიეს რა არეოპაგეტიკისათვის „რალაც ახლის“ დართვა, ანუ არეოპაგეტიკის მიერ ბოროტების არსებობის დაშვება, დაიწყეს კიდევ პოემაში ბოროტების ძებნა და რადგან მხოლოდ საკუთარი თეორიის

თვითნაკეთებ ლოკატორებს იყვნენ მი-  
ნდობილნი, ბოროტებად გამოაცხადეს  
ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო  
წარმოდგენილი რამ — „სავაჭრო კა-  
პიტალის“ გარემო და ავთანდილისა და  
ფაქტმანის რომანი, რომელიც, საგანგე-  
ზოდ ამისთვის, ფილოსოფიური კატე-  
გორიის სიმალდემდე აიყვანეს.

ვეფხისტყაოსანში ვაჭართა სოცია-  
ლური ჩგუფისადმი დამოკიდებულება  
აშკარად განსხვავდება დასავლეთერო-  
პულ სარაინდო რომანებში გამჟღავნე-  
ბული, დაკანონებული დამოკიდებულ-  
ებისაგან, თუნდაც იმით, რომ აქ ავტო-  
რის პოზიცია არა მარტო უარყოფითია,  
არამედ დადებითიც. ეს კი, გარკვეული  
თვალსაზრისით, უკვე პროგრესული ნა-  
ბიჯია და ამ სოციალური ჩგუფის მიერ  
საქართველოში ერთგვარი გავლენის  
მოპოვებაზე მიგვანიშნებს.

ავთანდილი რომ ვაჭრად გადაიკვამს,  
ეს იმის დამამტკიცებლადაც გამოდგე-  
ბა, რომ ავთანდილი ამ შემთხვევაში  
მიმართავს არისტოკრატიისათვის ყვე-  
ლაზე უფრო შეუფერებელ, მოულო-  
დნელ ნიღაბს, რათა უკეთესად დაფა-  
როს თავისი ნამდვილი ვინაობა, მაგრამ  
ამავე დროს, იმ ფაქტსაც ამტკიცებს,  
რომ არისტოკრატთა და ვაჭართა შო-  
რის არსებული ჭებირი დადაბლებუ-  
ლია. თანაც ამ შემთხვევაში, ვაჭრად  
კეთილი „ძალა“ წარმოგვიდგება და  
არა ბოროტი, როგორც ეს დასავლურ  
რომანშია მიღებული, რამდენადაც  
ავთანდილია ვაჭრად გადაცმული! ეს  
ამბავი, თავისთავად, უკვე ვაჭრის ცნე-  
ბისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე  
მეტყველებს. ვეფხისტყაოსანში ვაჭრები  
საქმიანი, უწყინარი (თუ არ ჩაეთვლით  
უსენს, რომლის უარყოფითი თვისებე-  
ბი, რა თქმა უნდა, სოციალური მიზე-  
ზით არ უნდა აიხსნას) ხალხია, ხოლო  
მეჭარაენეთა წინამძღოლი უსამი რუს-  
თაველისათვის ბრძენია: „უსამ იყო  
ქარაენისა უხუცესი, კაცი ბრძენი“.

რუსთაველს არც სძულს და არც  
უყვარს ვაჭრები. მათი დადებითი მზა-  
რეც იცის და უარყოფითიც. თუკი

ვაჭრების მისამართით პოემაში გავა-  
გონებთ სიტყვა „ვაჭრები“ მრავ-  
ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვაჭ-  
რებისადმი ზიზღით ავსხნათ. ავთანდი-  
ლი, რომელიც ამ სიტყვას წარმოსთქ-  
ვამს, მხოლოდ ფაქტს აღნიშნავს, მას  
ფიქრადაც კი არ გაუფლვია დასცინოს.  
დაამციროს ვაჭრები, რაც სხვათა შო-  
რის, უმალ თავად დაამცირებდა ჩვენს  
თვალში ამ ბრწყინვალე პიროვნებას.  
ამ სიტყვას („ვაჭრები“) მაშინვე მოსდევს  
კიდევ სიტყვები: „ომისაცა უმეცარნი“,  
ე. ი. ვაჭრების სიჭაბანე აიხსნება მხო-  
ლოდ და მხოლოდ სამხედრო საქმის  
უტოდინარობით. ამის გულისთვის კი  
ავთანდილი არავის დასცინებს, ჭერ-  
ერთი, იმიტომ, რომ მან თვითონ ძა-  
ლიან კარგად იცის სამხედრო საქმე.  
მეორეც — მან ისიც კარგად იცის,  
რომ ყველას თავისი საქმე აბარია,  
ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და  
მას „დასჯერდეს“ კიდევ, და რადგან  
ეს იცის, არ შეუძლია სხვა საქმიანო-  
ბის, სხვა ხელობის ადამიანს დასცინოს.

ჩვენი გმირები დევების აბჯარს რომ  
იპოვიან, რუსთაველი იტყვის, ამ თვა-  
ლსაზრისით, მეტად საინტერესო ფრა-  
ზას: „შევატყვე, არ გაჰყიდიან“-ო.  
აბჯარი ისე მოეწონათ, თავისთვის და-  
იტოვებენ, არ გაჰყიდიანო. ეს კი  
იმის მაუწყებელია, რომ იმ დროს რა-  
ინდებისათვის ვაჭრობა სრულებითაც  
არ ითვლებოდა სამარცხვინო საქმედ.  
პირიქით, მიღებულიც და გავრცელე-  
ბულიც იყო რაინდების მიერ აბჯრის  
ყიდვა-გაყიდვა. ისტორიიდან ცნობი-  
ლია, დასავლეთეგროპელი რაინდები  
ქალაქების პატრიციატებთან ვაჭრობდ-  
ნენ და, საერთოდ, საქმიანი ურთიერ-  
ობა ჰქონდათ მათთან.

ავთანდილი რომ ბაღდადელ ვაჭრებს  
ბაღრაგად მიჰყვება, ესეც, ეტყობა, სი-  
ნამდვილიდან აქვს აღებული პოეტს:  
ქართველი რაინდები ალბათ იცადნენ  
კიდევ მათთვის ხელსაყრელი ქარაენე-  
ბის უსაფრთხოებას.

ამავე დროს, დაუშვებელია ვეფხისტყა-  
ოსანში ვაჭრებსა და რაინდებს შორის

სრული თანხმობისა და სიმტკიცეობის ძიება. ვაჭრები რომ „სხვები“ არიან და რაინდები კი სრულიად „სხვანი“, ამას ფატმანიც არჩევს — მისი კავშინი მიზეზი, გარკვეული თვალსაზრისით, ისიცაა, ვაჭრის ცოლი რომ არის, რაინდი: რომ არ უწევს გვერდით. ავთანდილს რომ უამრავ ტანსაცმელს გადმოუღებს და წინ დაუწყობს, გამოტეხვა კი არ უნდა მისი, ძალიან სურს გამართლდეს მისი ოცნება — ავთანდილი ნამდვილად რაინდი აღმოჩნდეს და არა ვაჭარი, როგორც მისი კანონიერი ქმარია.

ჩვენი მკვლევარების უმრავლესობა ფატმანს ამორალურ პიროვნებად თვლის, თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, ფატმანი ამორალურად მხოლოდ მის დედამთილს ან მულს თუ შეიძლება მოეჩვენოს, ანუ ისეთ ადამიანს, ვისაც უსენი ნათესაურად უყვარს და ამის გამო ეს სიტყვის გამტეხი, ფლიდი, ვერაგი კაცი ანგელოზი ჰგონია. ზოგიერთ ჩვენს მკვლევარს ღღემდე ვერ უპატივბია ფატმანისათვის ქმრის ღალატი (თუკი შეიძლება ამას ღალატი ვუწოდოთ!), თუმცა, ამ ღალატის ფსიქოლოგიური ან, ღუნდაც, სოციალური საფუძველი შეუსწავლელი დარჩათ.

ფატმანის გამომწვევი უღარდებლობა კი მოჩვენებითია! სინამდვილეში ფატმანი უსიყვარულობითაა („უგულობით“ — როგორც თვითონ ამბობს!) დაჭრილი, ფართქალებს, იბრძვის, გამუდმებით სინათლისაკენ მიილტვის, რადგან აქამდე, მიუხედავად მის ოჯახში გამეფებული მორალური თუ ეთიკური ნიპილიზმისა, შენარჩუნებული აქვს საუკეთესო ადამიანური თვისებები: სიკეთე, გაჭირვებულის დახმარების სურვილი...

ყველაზე მეტად ფატმანმა იცის, რომ ამქვეყნიური ბედნიერება ერთის სიყვარულია და პოემაში, რომელიც ერთი არსებისადმი უწმინდესი, დიადი ადამიანური ერთგულებითა და სიყვარულითაა გაკეთებული, ფატმანი, რასაკვირველია, მსხვერპლია, თითქოს ავტორის მიერ იმის საჩვენებლად განწი-

რული, თუ რა საშინელია უსიყვარულოდ ცხოვრება. განა ის ირონიკულად მი, ფატმანი საკუთარ თავზე, უსიყვარულოდ ბედზე რომ ლაპარაკობს, არ ამტკიცებს, თუ რა მწარედაა დაჭრილი ბედისაგან? არ ამტკიცებს სულის იმ კეთილშობილასაც, რომელიც სრულიად უმაქნისი და ზედმეტია იქ, სადაც თავად ცხოვრობს?

როგორი თავდავიწყებით მიეკვრება. მიეწეება, შეესისხლხორცება ფატმანი ავთანდილს, როგორც სინათლის სხივს რომელიც თითქოს სულიერი სამშობლოდანაა გამოტყორცნილი. სინათლემ დააბრმავა, რადგან სწორედ მას შეეძლო ამ სინათლის შემჩნევა, დანახვა, მიღება, გაათვისება. ეს სინათლე მისთვის უცხო არ იყო! ფატმანი და ავთანდილი ისე ზედებიან ერთმანეთს, როგორც საერთო სულიერი ბიოგრაფიის ადამიანები. ვაჭრად გადაცმულ ავთანდილმა სწორედ ფატმანი დაინახავს იმას, რასაც მთელი არსებით ელოდება, რისა ნოსტალგიაც ახრჩობს, რის შესახებდრადაც გამუდმებით არის მზად გულით, გონებით, სხეულით... მან იცის, რომ არსებობს სხვა, უკეთესი ქვეყანა, რომ იმ ადამიანების გარდა, გარს რომ ახვევია, არსებობენ სხვა, უკეთესი ადამიანები და თვითონაც ამ ქვეყნის კი არა — მეორის, სხვის, ოცნებაში წარმოდგენილი, ღამით დასიზმრებული, დღისით მოღანდებული ქვეყნის შვილია. იმათი მეგობარია, ვისი სახელიც არ იცის, მაგრამ არსებობას კი გრძნობს გულთან, როგორც ფეხშიძემ ქალი — ნაყოფს. გაიხსენეთ, როგორ გამოეთიშება ხოლმე საერთო მხიარულებას, როგორ სტოვებს სტუმრებს და, თვითონაც რომ არ იცის — სად, ალაღებდზე, ოცნების ამარა, ოცნებით შეპყრობილი, იგივე ოცნება შარავანდელით რომ დასდგომია თავს, მიჰყვება, მისდევს უხილავ ძალას.

ფატმანი ნესტანის, თინათინის, ტარიელისა და ავთანდილის „ცალია“, მეგობარია, მეორე ქაჩეთის ციხეში — გულანშაროში — სამუდამოდ ჩარჩენილი

სხივი. ვინ გამოიხსნის ფატმანს?—აი, ეს კითხვა დღემდე მისდევს და მოკყვება პოემის მკითხველს, როგორც „ტიკვილი სამარადისო“.

ჩენის ზოგიერთ მკვლევარზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია XIX საუკუნის ქართველ დრამატურგებისათვის მწერლების მიერ დახატულ ვაქართა ტიპებს. ამიტომაც, რომ რუსთაველის ეპოქის სოციალურებას იმავე კუთხიდან უყურებს, შეიძლება ითქვას — იმავე ადლით ზომავს, არადა XIX საუკუნის საქართველოსთვის (ჩენი მწერლობის მიხედვით) ფსიქოლოგიურად გაცილებით უცხოა ვაქართა სოციალური ჯგუფი, ვიდრე XII საუკუნის საქართველოსთვის. ვეფხისტყაოსნის დიდვაქართა გვერდით XIX საუკუნის ვაქრები დუქნის ბიჭებივით მოჩანან.

როდესაც ფატმანს „ველგარულს“ ვუწოდებთ, ჩემი აზრით, სრულიად დაუსაბუთებლად ვამყარებთ ამ შესანიშნავ ქალს, მით უფრო, რომ ფატმანი-სადმი ჩენი ამდაგვარი დამოკიდებულება განპირობებულია, როგორც უკვე ვთქვი, მხოლოდ და მხოლოდ XIX საუკუნის ვაქრებსა და მათ ცოლებზე ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ შეხედულებათა ინერციით.

რუსთაველმა პოემაში ახალი სოციალური ხასიათების მოძრაობა, მისწრაფება და სულისკვეთება აღნიშნა, დიდსულოვნება და კეთილშობილება აღმოაჩინა იქ, სადაც ამას თითქოს არავინ ელოდა. რაც შეეხება პერსონაჟთა მიმართ სიმპათია-ანტიპათიის საკითხს, ის ყოველთვის უსათუოდ ისტორიზმის თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსთაველი ფეოდალური, ანუ ტრადიციული კი არა, არამედ, უკვე სხვა სიმალიდან უყურებს ახალი სამყაროს დაბადებას.


ფატმანისა და ავთანდილის ამბავი. რაც უნდა მწელი დასაჯერებელი იყოს ზოგიერთი მკვლევარისათვის (ასეთები კი არც ისე ცოტანი არიან!) სწორედ

რომ გულიანი სიყვარულია მათი ურთიერთობის დასახასიათებელი. ფატმანს შ. ნუცუბიძეს უკვე შეეხებოდა ვი გამოთქმა: „მოულოდნელი სიყვარული“! რა ზუსტად არის გამოხატული ამ ფრაზით ეს დღემდე ამოუხსნელი ურთიერთტოლვა ორი მშვენიერი არსებისა — ფატმანისა და ავთანდილისა.

ფატმანი ვეფხისტყაოსანში სიკეთეს ასახიერებს! განა ფატმანი არ მფარველობს ნესტანს, განა ფატმანის დახმარებით არ იგებს ავთანდილი ნესტანის ამბავს, და, საერთოდ, განა ფატმანის დახმარებით არ ეწევიან გმირები საწადელს?

ფატმანი მეტად საინტერესო ადამიანური ხასიათია, რომელიც შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, მშვენიერაა რუსთაველის პოემისა. რუსთაველოლოგიამ, რატომღაც, ფატმანს თავიდანვე ცუდთვლით შეხედა, თუმცა რა თქმა უნდა, — ამ აზრის ყველა რუსთაველოლოგზე გავრცელება არ შეიძლება, არსებობს მკვლევართა შეხედულებებიც, რომლებიც ძალიან ამაღლებს ფატმანს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ ავტორი წერს: „არსებითად ვეფხისტყაოსანში ორი რომანი გვაქვს: 1/ ნესტანისა და ტარიელისა, 2/ ფატმანისა და ავთანდილისა“—ო. საერთოდ კი, ჩენი ზოგიერთი მკვლევარისაგან სასტიკად გაკიცხულ ამ ქალს თავისი ცხოვრების პრინციპად უქცევია სხვისი დახმარება, სიკეთე. შეიძლება ითქვას, ფატმანი იმ ჰუმანურობის განსახიერებაა, რომელსაც, როგორც რენესანსის ათინათს, სხვა ხასიათებში ეძებენ ჩენი ფილოსოფოსი მკვლევარები, როდესაც მდიდარი სოციალისტური ცოლი ამ სხივებითაა სავსე და ვაბრწყინებული.

რუსთაველი თავის პერსონაჟებს, საერთოდ, არ ყოფს მორალურ და ამორალურ პირთა ბანაკად, როგორც ზოგიერთს მიაჩნია. რუსთაველისათვის უცხოა მორალური გეტო, რადგან მისთვის უცხოა ყველაფერი, რაც ნამდვილ



ადამიანურ ვნებას ზღუდავს. ამ პოემაში არაფერია ისეთი, რაც ნორმალურ ადამიანურ ვნებათაღელვის ფარგლებს შორდებოდეს და ჩვენს გაკიცხვას იმსახურებდეს.

ვეფხისტყაოსნის გმირები — ავთანდილი, თინათინი, ნესტანი, ტარიელ, ფატმანი თუ ასმათი — გაცილებით მაღალ წოდებას ეკუთვნიან, ვიდრე „იდეალიზებული გმირის“ წოდებაა — ისინი ადამიანები არიან. ნურავის მოეჩვენება ეს პათეტკურ განცხადებად, ამის თქმის აუცილებლობა გამოიწვია ზოგიერთი მკვლევარის მიერ რუსთაველის სიყვარულის სქემატურმა გაგებად.

პოემა ადამიანური სიყვარულის პიშია, ამიტომაცაა ყურს რომ გვეკრია რუსთაველოლოგიაში ხელოვნურად შექმნილი, სრულიად გაუგებარი ტერმინი — „ლიაცური სიყვარული“ ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით, ისეთივე უადგილო, როგორც „პლატონური“, „მხეცური“, „ანგელოზური“ სიყვარული. რასაკვირველია, მართალია ა. ბარამიძე, როცა ეკამათება „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ ავტორს, რომელსაც ფატმანის საქციელი ახსნილი აქვს „სქესობრივი დაუკმაყოფილებლობით“ და ამისთვის იშველიებს ფატმანისავე ნათქვამს: „მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა მჴლე არის და თვალად ნასი“-ო. ფატმანის ეს ნათქვამი საერთოდ გაუგებარი დარჩება, ამავე დროს, შეიძლება ცინიკურადაც კი გაიმას, თუკი დავივიწყებთ ფატმანის ლაპარაკის მანერას. ფატმანის ზმას, მისი მეტყველების თავისებურებას პოემაში: ფატმანისათვის ზომ დამახასიათებელია საკუთარ თავზე დაუნდობელი, დამცინავი კილოთი საუბარი!

ყველა საღანძღავი ეპითეტი, რაც მკვლევარებს საშუალებას აძლევს ფატმანის „მხუბუქ ყოფაქცევაზე“ ილაპარაკონ — თვითონ ფატმანის ნათქვამია! ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ფატმანს იუმორის გრძობა აქვს, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფა-

ტმანი ფიქრობს, სევდიანია... საერთოდ, ვეფხისტყაოსნის გმირებს ეუმორისტული, ოცარი გრძობა აქვთ. იუმორული იუმორული საკუთარი თავის მიმართ პოემის გმირებს კიდევ უფრო ამაღლებს, ამდიდრებს, ამშვენიერებს. ამ თვალსაზრისით, მათ შორის პირველი ფატმანია, რომლის, მართლაც, „ქარნავალური“ გამოთქმები ძალზე შთამბეჭდავად მოქმედებს მკითხველზე.

ფატმანის პირდაპირობასა და სიტყვიერ უხეშობაში არის რალაც არისტოკრატიული, ეს არის მომხიბლავი სულიერი სილადე, თავისუფლება, ამავე დროს, გასაოცარი ნდობა, რწმენა, მეორე ადამიანის სულიერი წესიერებისა, კეთილშობილებისა. სულიერი არისტოკრატიზმი ღირსეულთა პარტნიორობას გულისხმობს და ეს არ არის დამახასიათებელი მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენლებისათვის.

პოემის 1081-ე სტროფი, როგორც გახსოვთ, ასე იკითხება:

„სჯობს სიშორე ღიაქისა, ვისგან ვითა  
დათობობს:  
გაიზღებს და შეგაკეთებს, მიგანდობს  
და მოგენდობს.  
მართ ანაზღად გიღალატებს, — გააკეთოს,  
რასცა დაესობს,  
მით ღიაქსა სამალავი არასთანა არ  
გთხრობს“.

მკვლევარებმა ეჭვი გამოთქვეს, ეს სტროფი თავის ადგილას არ ზისო, მაგრამ ამის იქით არავინ წასულა. არადა, ამ სტროფმა, შეიძლება ითქვას, საბედისწერო როლი შეასრულა ფატმანის ხასიათის განსაზღვრისას — ფატმანის საწინააღმდეგოდ!

ჩემი აზრით, კი, ეს სტროფი იმ გზისნიშანს ჰგავს, რომელიც განგებთ თუ შემთხვევით სხვა ადგილას გადაუტანიათ, ადგილი შეუცვლიათ და ამით ბევრისთვის გზაკვლიც აურევიათ.

რამდენადაც პოემას ვიცნობთ, აშკარაა, რომ ზემოთ მოყვანილ სტროფში გამოთქმული აზრი არ არის ავტორის შეხედულება საერთოდ ქალზე. ეს

პერსონაჟის სიტყვები უნდა იყოს, თანაც, თავის თავზე ნათქვამი. ასეთი პერსონაჟი პოემაში ფატმანია, სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი საკუთარი თავის მიმართ დაუნდობელი, ბილწი სიტყვების ხმარება. ამ შემთხვევაში კი ნამდვილად თავის თავზე გაბრაზებული, არა, გაბრაზება ცოტაა — გაცოფებული ქალი ლაპარაკობს, რომელმაც ვერ შეინახა ნესტანის საიდუმლო, ქმარს გაანდო, თუმცა, „შესმენისა ჰქონდა რიდი“, მაინც უთხრა „ყველაკაი უსენს“. ასე რომ, ეს სტროფი აზრობრივადაც და მხატვრული ლოგიკის მიხედვითაც, სულ სხვა ადგილას უნდა იჯდეს, ჩემი აზრით, იმ ეპიზოდს უნდა უძლოდეს წინ, სადაც მოთხრობლია, როგორ ანდობს ფატმანი უსენს ნესტანის საიდუმლოს, ანუ სტროფის ნუმერაცია უნდა იყოს 1149 და არა 1081!

თუკი ამ სტროფს ისე არ წავეკითხავთ, როგორც სინანულს, რატომ გავანდე ჩემს ქმარს საიდუმლო მე ასეთმა და ასეთმაო, მაშინ რასაკვირველია, ეს სტროფი სრულიად ზედმეტადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, რომელიმე ქალების მოძულე ინტერპოლატორის ჩანართადაც, რადგან თავის ადგილას ნამდვილად არ ზის. როგორც გახსოვთ, ამ სტროფით იწყება თავი „ფატმანისაგან ავთანდილის გამიჭნურება“ და ისიც გახსოვთ, რომ ვის არ უღალატა ფატმანმა და სწორედ ავთანდილს!

როდესაც პოემის ამ ნაწილს კითხულობ, შეიძლება გავახსენდეს სტენდალის, ფლობერის, ბალზაკის, ტოლსტოის კლასიკურად ქცეული სასიყვარულო სამკუთხედები, სწორედ ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ რომ წარმოშვა (ნ. მარი ფატმანს „ბურჟუა ქალს“ უწოდებდა), თორემ ადიულტერი არც ფეოდალური საზოგადოებისათვისაა უცხო და არც მონათმფლობელურისათვის. ფატმანის ღალატი რა არის იმასთან შედარებით, რასაც რომელიმე კენისრებიც ცოლები ჩადიოდნენ, ანდა გაიხსენებთ სახელგანთქმული რაინდი მე-

ფის — არტურის ცოლს განიევრა ანდა ვისი, ჩვენი ვისი ვინაობა? — ოლდა! ფატმანი მათ გვერდით უმჯობეს ვლო გოგონასავით გამოიყურება.

ფატმანის მიერ „ოჯახური სიწმინდის“, „ოჯახური საფუძვლების რღვევაზე“ საუბარი ცოტათი კომიურადაც კი ელერს. განა უსენის ოჯახის „სიწმინდეზე“ სერიოზულად შეიძლება ილაპარაკო? ეს ხომ გარიგებაზე, ურთიერთუნდობლობაზე, სიძულვილზე დაფუძნებული ოჯახია? ის, აი, ახლა, ამ წუთის ჩვენს თვალწინ წარმოიშვა, მთლად ახალია, სოცოცხლითაა დატენილი, მას ჭერ კიდევ დიდი გზა უდევს წინ. რუსთაველის სიდიადის კიდევ ერთი ნიშანი ის არის, ეს ახალი ოჯახი რომ დაინახა, შეამჩნია მისი ახალი ხასიათი, ახალი თავისებურება. ამავე დროს, დაინახა ისიც, რომ ფატმანი ტრაგიკული პიროვნებაა, მახეში გაბმული ღამაში ჩიტია, რომელსაც ფრთები კი აქვს, მაგრამ გასაფრენი არა აქვს არსად. ამით ძალიან ჩამოგავს იგი თავის მომავალ დებს მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთი ქალები რამდენიმე საუკუნის მერე (დიახ, ფატმანი პირველი მერცხალია, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რა ბუმბერაზ პოეტთანა გვაქვს საქმე!) თავიანთი დრამატული ცხოვრებით შეაშფოთებენ და შესძრავენ ევროპელი და არა მარტო ევროპელი მკითხველის გულსა და გონებას. დიდი მწერლების წიგნებიდან ცეცხლივით ამოენტებიან სახეები უსიყვარულობით გატანჯული, გულგრილობის საკანში გამოკეტილი ქალებისა. ათასნაირ მიზეზს გამოუჩნდრევენ მკვლევარები მათ საქციელს, ათასნაირ სამსჯავროზე გამოიტანენ მათ ვნებას (ლიტერატურულ სასამართლოზე ზოგს სიკვდილსაც კი მიუსჯიან!), მაგრამ არც ერთი მკვლევარი, თვით კეთილშობილ ქალთა პანსიონის ინსპექტორიც კი, არ იხმარს ამ ქალების მიმართ ისეთ ტერმინებს, მკვლევარებმა ფატმანი რომ „შეამკეს“, აი, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ ფატმანს „ბუბერი მეძაივი“ უწოდა, რაც ნამდვილად

მოულოდნელია ამ შესანიშნავი პოეტი-საგან.

არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ამბავიც, რომ პოემის გმირი ქალის სახელს — ფატმანს ჩვენს შეილებს არქმევდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, ჩვენი ხალხი ამ სახელში უფრო მეტსა და სამაგალითოს ხედავდა, ვიდრე ზოგიერთი მკვლევარი.

მკვლევარებმა შეამჩნიეს, ფატმანი სევდიანიყო, ერთმა ასეთი საინტერესო აზრიც კი გამოთქვა, ფატმანი მოტაცებული ხომ არ არის, სხვა ქვეყნიდან გულანშაროში ჩამოყვანილიო. ამით უნდოდა ფატმანის უცხოობისათვის გაესვა ხაზი. მაგრამ ფატმანის სევდა, ასე ზუსტად შემჩნეული, მაინც სხვა ხასიათის სევდაა, ეს სიყვარულის კავშირია, სიყვარულის მონატრებაა, სიყვარულის ნოსტალგიაა; ეს არის უგულობით, უსულგულობით გამოწვეული სევდა. გულანშაროში — ყვავილების უბრუნველ ქალაქში — მართლაც ყველაფერია, სიყვარულის გარდა. გავიხსენოთ რას ამბობს ფატმანი:

„კაცა დასვრის უგულობა  
და ღაცა ბოზი ნაცი“-ო.

ამ სტრიქონის მეორე ნაწილი — „ღაცა დასვრის უგულობა“ — ყველას ახსოვს (უფრო მეტიც, ფატმანის საწინააღმდეგო ბრალდებად იქცა მკვლევარების ხელში!), პირველი კი — „კაცა დასვრის უგულობა“ — ძალიან ცოტას! მაგრამ პირველი სტრიქონი გაცილებით მნიშვნელოვანია მეორეზე, რადგან ნამდვილი პოეტური აღმოჩენაა სამყაროსადმი ახალი დამოკიდებულებისა, ახალი სევდის ძირისა, ახალი საშინელი სენის — სიმარტოვის პირველი სიბტომების აღიქვანა.

საყურადღებოა, რომ ამ „გულით“ გაქმევილ პოემაში მხოლოდ ფატმანი უჩივის უგულობას! ორი ცნება: „უგულობა“ და „სიძვა“ ამ პატარა ლექსში რაღაც ფატალური დრამატულობით უკავშირდება ერთიმეორეს. ამდენად, ფატმანის სევდა პირველი ტალღაა გულგრილობის იმ ზღვისა,

რომელშიაც დაღუპვა მოუწევთ მის მრავალ დობილებს...

ამავე დროს, ეს უსიყვარულო მონთე-გულანშარო — პოეტს კონტრასტისთვის სჭირდება, ანუ იმ „გარდარეული სიყვარულის“ წარმოსადგენად, რომლითაც შეპყრობილი არიან მისი სხვა გმირები. გამუდმები რომ იწვიან „ცეცხლითა ცხელითა“ (მარსილიო ფიჩინო სიყვარულს „ღვთაებრივ სიგივეს“ უწოდებდა!). თუკი რაიმე აახლოებს ფატმანს პოემის სხვა გმირებთან, უპირველეს ყოვლისა, სეკუნდაა, ანუ ლტოლვა სიყვარულისაკენ და არა მარტო აახლოებს, ანათესავებს კიდევ!

დააკვირდით ფატმანს, როცა მას ნამდვილად უყვარს — ეს არის სინაზის, კეთილშობილების განსახიერება. მას, შეყვარებულს, სიყვარულის დიდებულ, რუსთაველის რწმენით — გამაადამიანებელ გრძნობას ნაზიარებს, შეუძლია გაუგოს ავთანდილს, დაუჭეროს, რომ ის სხვისი სიყვარულის გადასარჩენად იბრძვის და წვალობს. ფატმანს ავთანდილი უყვარს, მაგრამ ეხმარება მოქმედებს ნესტანი, რათა დაუბრუნდეს თინათინს (ასევეა ასმათიც, რომელსაც „ჩუმიად, გულში უყვარდა ტარიელი“, როგორც გოლცევა თქვა, მაგრამ ეხმარებოდა მას ნესტანის ძებნაში!).

რუსთველოლოგიაში ხშირად გაიგონებთ, ფატმანი დაუნდობელიყო, მართლაც, ხშირად გაიძახის ფატმანი ამ სიტყვას: „დახოცეთ“-ო! ნესტანის მხლებელი ქალები ხომ მისი ბრძანებით დახოცეს! ფატმანი ჭაშვილისა მოჰკლავს ავთანდილის ხელით, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამას, მხოლოდ, და მხოლოდ, თავდაცვის მიზნით გაეკეთებ. და არა მარტო ფატმანი, ფაქტიურად, ავთანდილიც თავს იცავს ჭაშვილისგან. გავიხსენოთ ფატმანის სიტყვები, ავთანდილს რომ ეუბნება: „ვექვ, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჰირითა“, თუ ჭაშვილის არ მოჰკლავს, გირჩევნია, ამდამევი გაიბარო აქედანო: „თვარა ღამითვე ტვირთები

შენი წაიღე ვირითა“. ფატმანის დაუნდობლობა მოჩვენებითია და იგი სრულიად სხვანაირად იკითხება იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების ფონზე, იმდროინდელ ურთიერთობათა გაანალიზების შემდეგ. და ბოლოს, თუკი, მართლაც, ასეთი დაუნდობელია ფატმანი, რატომ ავთანდილს არ ჰკლავს, რომელიც, შეიძლება ითქვას, მას შერე, რაც საიდუმლო გაანდო — სხვა მიყვარსო, ჰაშნაგირზე მეტად იმსახურებს მისი ხელით სიკვდილს! მაგრამ საქმე ის არის, რომ ფატმანს ჰაშნაგირი არ უყვარდა, ავთანდილი კი უყვარს და, რაც მთავარია, იცის, რომ მისი **საყვარული ცალმხრივი არ არის!**

ავთანდილს, რასაკვირველია, შეეძლო ფატმანისათვის დაეშალა თინათინის ამბავი, მაგრამ ფატმანს ვერ აკადრა ტყუილი. ამ ფაქტს შეიძლება კეთილშობილური სულის კიდევ ერთი მძლავრი გამოხატება ვუწოდოთ, რომელიც ასევე კეთილშობილურად იქნა გაგებული. ასე გადაიჭყვევა ფატმანი სოცდაგარის ცოლიდან ერთ-ერთ იმ გმირ ქალად, რომელიც არა მარტო საკუთარ, არამედ, საერთოდ, ადამიანის ღირსებას სწევს მალა. **ორივენი — ფატმანიცა და ავთანდილიც — როცა ერთიმეორეს შორდებიან, აშკარად ისინი აღარ არიან, ვინც შეხვედრამდე იყვნენ, ორივეს შინაგანი ბუნება გამდიდრებულია, გაზრდილია, შეტრიალებულია უკეთესისაკენ. მათ ერთმანეთს ბევრი რამ ასწავლეს, ბევრი რამ გადასცეს, დაეხმარნენ ერთმანეთს — აღმოჩინათ საკუთარი თავი!**

უსათუოდ უნდა გავიხსენო ფატმანისა და ავთანდილის საყვარულის ერთი, მართლაც რომ ბრწყინვალე ეპიზოდი; როცა ავთანდილი ჰაშნაგირს მოჰკლავს და ფატმანთან დაბრუნდება, ფატმანი ნესტანის ამბავს მოუყვება. ავთანდილი ცას ეწევა სიხარულით — გათავდა! იპოვნა! შეასრულა ძმისთვის მიცემული სიტყვა! „მის ამბისა ცნობისათვის ცრემლით ღმერთსა აღიდებდა“...

ფატმანი ავთანდილს გაკვირვებულ

შესცქერის, ავთანდილი კი ტირის, ცრემლით უხდის მადლობას ღმერთს! აი, ამ ცრემლმა გაამართლა! **ფატმანსა და ავთანდილი ვაჰარი კი არა, რაინდია! ფატმანმა აღრევე შეატყო ეს — „ფატმან ეკვდა თავისათვის...“**

ღლით ფატმანი ერთგვარ გამოცდას მოუწყობს ავთანდილს, შეიძლება ითქვას, ხაფანგს დაუგებს, რომელშიაც ეშმაკი ავთანდილი ადვილად გაებმება. თუნდაც, იმიტომ, რომ მისმა ნიღაბმა უკვე აზრი დაკარგა, ავთანდილმა თავისი მოვალეობა უკვე შეასრულა, ახლა უკვე დროა, აქედან წავიდეს, ერთი წელია, რაც გულანშაროშია, „დრო მოსრულა შარშანდელი“! ახლა თინათინიც კი გაახსენდა ჩვენს რაინდს. ფატმანის გვერდით წევს და ჰკლავს „თინათინის გონება“ და უფრო მეტიც — ხვდება, თითქოს ახლა ეხილება თვალი, რომ თურმე თინათინს **ღალატობდა** („ძრწის იღუმლითა ძრწოლითა“). ავთანდილის ასეთი „ძრწოლა“ კი იმაზე მეტყველებს, რომ მას ფატმანი თინათინის სიმაღლეზე ჰყავს აყვანილი: შემთხვევით ქალთან კი არ წოლილა, არამედ — **საყვარელთან!**

და აი, ერთდროულად ბედნიერიცა და შეძრწუნებულებიც (შეიძლება, თავისი ახალი „გულიანი საყვარულის“ აღმოჩენის გამო!), ავთანდილი ფატმანის საწოლში ტირის: „მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალობნია“.

ფატმანიც ბედნიერია („იხარებს“), ოღონდ, მის ბედნიერებას სხვა მიზეზი აქვს: ავთანდილი ვაჰარი არ არის, **სხვაა, რაინდია, „ქაბუჯია“!** ამიტომაც ეჩურჩულება ავთანდილს თვითონაც ნეტარების ცრემლმორეული: „თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“-ო. კი მაგრამ, ეს ხომ სწორედ ის სიტყვებია, ფატმანის პირველი სამიჯნურო ბარათით გაკვირებულმა ავთანდილმა, რომელიც ჭერ არ იყო შეჩვეული თავის ახალ მდგომარეობას, ის-ის იყო იწყებდა ვაჰარის როლის თამაშს და ამიტომაც იუკადრისა სოცდაგარის ცოლის ბარათი — დაუფიქრე-

ბლად წამოიძახა (თუ წამოცდა!): „...ყვე-  
ვი ვარდას რას აქნევს, ანუ რა მისი ფე-  
რია?“ დიახ. ეს სწორედ ის სიტყვებია.  
რომლებიც, ეტყობა, წერილის მომტანმა  
შეიკრიშა მაშინვე მიურბენინა ფატმანს.  
აი, მაშინ დაექვდა პირველად ფატმანი.  
მართლაც, რატომ უნდა აღშფოთებუ-  
ლიყო ასე ავთანდილი, თუკი ის მართ-  
ლა ვაჰარი იყო, ვაჰართა უხუცესის-  
ცილის სატრფიალო წერილზე? შეიძ-  
ლება აქვე ისიც თქმულიყო, რომ ფა-  
ტმანის ეს წერილი ყურადღებას იპყ-  
რობს გულწრფელობით და იმ „ქრელი“  
ლაპარაკის ფონზე, რომელსაც ყური  
შევაჩვიეთ არაბეთისა თუ ინდოეთის  
სასახლეებში, აშკარად გამოირჩევა.  
ტყუილად კი არ ამბობს რუსთაველ-  
ამ წერილის შესახებ: „უსტარი შესანა-  
ხავი, არ ცუდად დასაჩვეელი“-ო. აქ  
გული მოუხმობს გულს ისეთივე მარ-  
ტივი და მეტყველი ვნით, თითქოს გემ-  
მეორე გემს საშველად ეძახისო. სხვა-  
თაშორის, ავთანდილი ფატმანს პასუ-  
ხად, როგორც მოსალოდნელი იყო, სწ-  
ორედ „ქრელ“ წერილს გაუგზავნის.

„შენ ვარდი ხარ, მე კი, საცოდავ  
ყვავს, თავი ბულბული მგონიაო“, —ეჩუ-  
რჩულება ფატმანი ავთანდილს. ნახეთ,  
როგორ დაუმახსოვრებია, როგორ ჩარ-  
ჩენია გულში ავთანდილის პირველი  
დაუფიქრებელი წამოძახილი: „ყვავი“!  
ბოლოს, გათენდა ის ღამეც, მართლაც  
რომ დიდებული ფათერაკებით, აღმო-  
ჩენებით, ვნებითა თუ სიხარულის ცრე-  
მლებით...

დილით ფატმანმა უამრავი ტანსაცმე-  
ლი „უძღვნა“ სასურველ სტუმარს და  
მათ შორის, ერთი ხელი „საკაბუჯოც“  
ანუ რაინდის ტანსაცმელი.

ახლა ეს უამრავი სამოსი ავთანდილის  
წინაა გაშლილი, ფატმანი მეორე ოთახში  
საუზმის სუფრას დასტრიალებს, თან  
ცალი თვალი, უფრო სწორად — გულის  
თვალი აქეთა აქვს: აი, ახლა ავთანდი-  
ლი თვითონ გათქვამს თავის საიდუმ-  
ლოს, გაამჟღავნებს ვინაობას და... ფა-  
ტმანის ევეიც გამართლდება!

ცოტა ხნის მერე ავთანდილი, მართ-

ლაც, „საკაბუჯო“ ტანსაცმელს ააოხრეს  
— „ყოველი საკაბუჯო შეიჭრეს ტანსა-  
მხნესა... დაემსგავსა ლომი მტკნარს მტკნარს“  
„მოკაზმული“ ავთანდილი, რომელიც  
წინასწარ გულში ილიმება ფატმანის  
გაოცებული სახის წარმოდგენაზე, მე-  
ორე ოთახში გავა. ფატმანიც არ გაუწ-  
ბილებს მოლოდინს, თუმცა, მისთვის  
ეს უკვე მოულოდნელი არაა — „გაუ-  
კვირდა“-ო, იტყვის რუსთაველი, ანუ  
ქალმა ისეთი სახე მიიღო, როგორსაც  
ავთანდილი ელოდა და უთხრა, ასეთი  
მირჩენიხარო: „შემოსცინა: „აგრე  
სჯობსო, შენთვის ხელთა სასურველად“.

ავთანდილი სარკის წინ ტრიალებს,  
თავს აკვირდება, უფრო სწორად — თავის  
თავს იხსენებს, ფიქრებშია ჩაფლული.  
ტანსაცმელმა ძველი ცხოვრება მოაგო-  
ნა, მთელი წელი ასე რომ მაღავედ:  
(„მან პასუხი არა გასცა, თავის წინა-  
ლიმდებოდა“). ავთანდილს უკვე გადა-  
წყვეტილი აქვს, გაამხილოს თავისი ნა-  
მდვილი ვინაობა, წარმოუდგენია კიდეც-  
რა დაემართება ფატმანს, როცა ვაიგ-  
ებს, რომ ის ვაჰარი კი არა, არაბეთის  
სპასპეტია! შეიძლება იმიტომაც გადა-  
წყვიტა ვინაობის გამხელა, რომ მიხვდა  
ფატმანს ვეღარ დაუმალავდა სიმართ-  
ლეს: „თუმცა რასმე იფერებდა, მეტი  
არა გაპვიდოდა“.

დასხდნენ, ისაუზმეს, ღვინოც დალი-  
ეს. ავთანდილი ძალიან კარგ გუნებაზეა  
საიდუმლოს გამხელას არ ჩქარობს.  
რაც უფრო დაძაბავს, გაკვიმავს მოლო-  
დინს, ეფექტი მით უფრო მეტი იქნე-  
ბა.

საუზმის შემდეგ შინ წამოვა, და-  
წევბა და მაშინვე ტკბილად დაიძინებს  
(„ამოდ დაეძინა“), მას ხომ ღამე  
თეთრადა აქვს გათენებული!

მთელი დღე ეძინა. „საღამო-ჟამ გაი-  
ღვიძა“ და ფატმანთან მსახური გაგზავ-  
ნა, ჩემთან მოდიო („ფატმანს უხმო“)  
პოემის ტექსტის ბევრ გამოცემელს,  
მათ შორის ისეთებს, როგორიცაა ვახ-  
ტანგი, ჩუბინაშვილი, ქართველიშვილი,  
კარიჭაშვილი, აბულაძე და კიკინაძე.  
ეს ადგილი სწორედ ასე აქვთ წაკით-

ბული და სამართლიანადაც. პოემის 1957 წლის გამოცემაში კი წერია: „ფატმან უხმო“-ო, ალბათ იმიტომ, რომ მისი რედაქტორები ფიქრობდნენ, სტუმარს არ შეუძლია მასპინძელი ქალი თავისთან მიიპატიჟოსო, ეს „ეთიკური თვალსაზრისით“ მიუღებლად მიიჩნიეს. ისინი შეიძლება მართალნი ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაში, თუკი ამ სტუმარ ვაჟსა და მასპინძელ ქალს ერთმანეთი არ ეყვარებოდათ! სიყვარულს თავისი ეთიკეტი აქვს და, ერთი შეხედვით, ამ ქვეყნად ბევრი რამ არ არის ისეთი ალოგიური, როგორც ეს ეთიკეტია. მართლაც, გასაოცარი რამ არის ავთანდილისა და ფატმანის სიყვარული, თითქოს მეტბრამეტე საუკუნის მწერლის წიგნს კითხულობდე...

„მოდე, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“, შეუთვლის ავთანდილი ფატმანს და ფატმანიც გავარდება, გაიქცევა დაფეთებული, თითქოს მთელი წელი არ ენახოს, თითქოს მხოლოდ ამ დღილი არ დაშორებულიყვნენ ერთმანეთს.

ავთანდილმა ფატმანი „გვერდსა და ისე, ბალიში მისცა მისისა ნოხისა, ვარდისა ბალსა უჩრდილობს ჩრდილო წიწმამთა ჭოხისა“. აქ სრულიად ნათელია, ვინ ვის ესტუმრა. ავთანდილივით სწორედ რომ მასპინძელი იქცევა და არა სტუმარი!

რასაკვირველია, ავთანდილს შეეძლო ისე დაშორებოდა ფატმანს, არც კი გაემხილა თავისი ნამდვილი ვინაობა, მითუმეტეს, ფატმანს ის ასეთი უყვარდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ფატმანს უყვარდა, სწორედ იმიტომ, რომ ფატმანმა იშვიათი ადამიანური თვისებები გამოამჟღავნა, სწორედ იმიტომ, რომ ფატმანმა ნესტანი შეიფარა და ახლა კი ავთანდილს აპოვნინა, ავთანდილმაც ვერ აკადრა ტყუილი და ფატმანს მოექცა, როგორც ღირსეული ღირსეულს, თუ, საერთოდ, ფატმანი თავისი თვისებებით ისედაც ავთანდილის ტოლი და ღირსი არ იყო!

მაგრამ ავთანდილმა გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი რამ გაუმხილა ფა-

ტმანს, ვიდრე მისი ნამდვილი ვინაობა იყო, უთხრა — თინათინე, ჩემი ვინაობა: „იგია ჩემი დამწველი და ჩემი დამწველთა ბელი“. ეს კი არა მარტო ავთანდილის აშკარა კეთილშობილებაზე მეტყველებს, არამედ ფატმანის პიროვნულ მნიშვნელობაზეც, რომელიც ღირსია, უთხრა მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე! მაგრამ ავთანდილი აქაც არ შეჩერებულა. არა და, თითქოს შეუძლებელია ამაზე შორს წასვლა ქალთან საუბრის დროს. ქალთან, რომელსაც უყვარხარ — ფატმანს სთხოვა, დამეხმარეო! ხედავთ, რა ხდება! რა ცეცხლს ანთებს ეს ჭადოქარი რუსთაველი! შეიძლება ვინმემ იკითხოს, ეს ხომ უკვე ცინიზმი იყო? არა, ეს მხოლოდ ბეწვის ხიდზე გავლაა, ეს, მართლაც, ცინიზმი იქნებოდა, თანაც ჩვენი საყვარელი გმირისათვის ყოვლად შეუფერებელი და გაუმართლებელიც, რომ ამასთანავე უცნაური, მაგრამ ნამდვილად ადამიანური რამ არ გვეგრძნო — ავთანდილს ფატმანი უყვარდა და ეს იყო, მართლაც, „მოულოდნელი სიყვარული“, რომელიც ასე ზუსტად შეამჩნია შ. ნუტუბიძემ. შეიძლება ითქვას, არსად, არც ერთ სიტუაციაში ავთანდილი ისეთი გულწრფელი არ არას, როგორც ფატმანთან ურთიერთობის დროს.

ფატმანის პასუხი მისი კეთილშობილებისა და ღირსების კიდევ ერთი დანასტურებაა:

„ფატმან თქვა: „ღმერთსა დღედა, საშენი მომხედეს, მო, რანი, დღეს რომე მესმნეს ამბანი, უკვდავებთა სწორანი!“

თუ ქალი რაინდის წარმოდგენა შეგვიძლია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ფატმანია!

სწორედ ასეთი ეპიზოდები („უკვდავებისა სწორანი“), სადაც გადმოცემულია ადამიანის სულის უნატიფესი რბევა, ანიჭებს პოემას მაღალი ბელოვნების იერს. სწორედ ასეთი დეტალები განსაკუთრებით ძვირფასი, რადგან ეს

არის კუმშარიტი პოეზია, სადაც, დიდი ინგლისელი პოეტისა არ იყოს, ბევრი რამ ზღედა ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ დასიზმრებიათ. ზემოც მოყვანილი ტანსაცმლის არჩევის სცენა მხოლოდ ერთ-ერთია იმ უამრავი გენიალური პასაჟიდან, რომლითაც სავსეა ეს პოემა. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ შევხვდებით ტალანტის ასეთ გულუხვობას. აქ გადმოფრქვეულია სინათლე გენიისა, „უთვალავი და უღლევი“ და რა არის მასთან შედარებით ფსევდოდონისე არეოპაგელის რომელიმე მისტიკური თუ სქოლასტიკური დოგმის ანარეკლი, რომელიც ოდნავადაც კი არ მოქმედებს ამ პოემის მხატვრულობის ხარისხზე, ანუ მისი კუმშარიტი მნიშვნელობის დონეზე.

აღმათ დროა, გავიხსენოთ ფატმანის სიტყვები, ქაჩეთის ციხიდან გამოხსნილ ნესტანს რომ მიმართავს:

„იტყვის: „ღმერთო, რა გმსახურო, განშინათლა რადგან პნელი! ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“.

კი მაგრამ, ეს ზომ ზუსტად იმ სიტყვების გამეორებაა, რომლებიც ცოტათი ადრე ავთანდილმა ასმათს უთხრა:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია“!

ღიბ, ეს ერთი და იგივე აზრია, ოღონდ, ოდნავ სხვანაირად გამოთქმული, კიდევ ერთი მეტყველი შტრიხია რუსთაველის დიადი ოსტატობისა — ჩვენ ვხვდებით, რომ ფატმანი და ავთანდილი იმდენად მახლობელი არიან ერთმანეთისათვის, თითქმის ერთნაირად აზროვნებენ. მართლაც, ორივესათვის ერთნაირადაა ბოროტება ნესტანის დაკარგვა და ორივესათვის ერთნაირადაა სიკეთე მისი გამოხსნის ამბავი!

არც ისაა შემთხვევითი (ამ პოემაში შემთხვევითი არაფერია. შ. ნუცუბიძის მოსწრებული თქმით: „რუსთაველმა იცის, რასაც აკეთებს!“), რომ მხოლოდ

ორი ადამიანი — ავთანდილი და ფატმანი — ახსენებს ობლებს სახლს ხანაგას, იმიტომ რომ, ბუნებრივად, ობლებით ორივე მშველელია, დამხმარეა, კეთილია...

ნურც იმას დავივიწყებთ, ავთანდილი ფატმანთან ურთიერთობას თამაშით რომ იწყებს და ცრემლით ამთავრებს:

„მაგრამ დაგდება უმძიმდა  
; ფატმანის გულ-მდღარისა,  
მისთა გამყრელთა ნაკადი  
ჩასდის სისხლისა ღვარისა“...

ასე რომ, თუკი ფატმანს ბოროტების განსახიერებად გამოვაცხადებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რუსთაველს სიკეთის გამარჯვება მხოლოდ ბოროტების დახმარებით რომ მიაჩნდა შესაძლებლად. რუსთაველი კი გარკვევით ამბობს. „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — ი. ე. ბოროტების დაძლევის, დამხობის, დამარცხების გზით მიიღწევა სიკეთეო. იმიტომ, ბოროტება ამ პოემაში სხვაგან, ფატმანისაგან ძალიან შორს უნდა ვეძებოთ.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“ — ეს დიდებული სიტყვები ქაჩებსაც რომ მოესმინათ, ისინიც კი იტყოდნენ, მართალს ბრძანებთო, რადგან ამ პოემაში ისეთი არაფერი გაუუკეთებიათ, რასაც სხვები, არაქაჩები, არ გააკეთებდნენ. წაიყვანეს ღამით მინდორში მარტო მიმავალი ქალი, პატივისცემით მიაბრძანეს ციხეში (იქნებ იმის აღნიშვნაც იყოს საჭირო, რომ ქაჩეთის ციხე საპყრობილეს არ ნიშნავს) და უფლისწულზე დაუბირეს გათხოვება. ამის გამო, რატომ უნდა იყვნენ ბოროტები ისინი და არა, ვთქვათ, გულანშარის მეფე, რომელიც თითქმის ზუსტად ასევე მოიქცა?!

ბოროტება ის პოლიტიკური და მორალური დესპოტიზმია, რომელიც, ერთი მკვლევარის თქმით, ქაჩეთის ციხემდე მიიყვანს ნესტანს და რომელსაც უპირისპირდება ნესტანის გამოხსნელ ადამიანთა თავისუფალი ნება — სიყ-

თე. აი, ეს არის ახალი, დიდი, ჰემო-რიტად რენესანსული იდეა.

თვით ფსევდო-დიონისე არეოპაგელი რომ ყოფილიყო ვეფხის ტყავით შემოსილი მთავარი პერსონაჟი და იმას ეძებნა ნესტან-დარეჯანი, მაშინაც კი დაუჭერებელი იქნებოდა პოემაში არეოპაგეტიკური მოძღვრების ისეთი სრული სახით არსებობა, როგორც ამას ჩვენი ფილოსოფოსი მკვლევარები წარმოგვიდგენენ.

მართალია, ფსევდო-დიონისე არეოპაგელს „იერარქიის დოქტორი“ უწოდეს, მართალია, „ღვთაებრივ კომედიაში“ ის ჩირალდნით შემოხვდა სამოთხეში ჩასულ დანტეს, მაგრამ ამ შემთხვევაში იმ ფაქტს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ის „საშუალო საუკუნის სქოლასტიკის მთავარი დამცველის“ (თომა აქვინელის ნუტუმბიძისეული დახასიათებაა, ლაკონური და ზუსტი!) „გვერდი-გვერდ“ არის დასახელებული. თომა აქვინელსაც ჩირალდანი უჭირავს, მაგრამ, ამასთანავე, მას „რევოლუციონერობას“ და „ერეტიკოსობას“ ვერ დაეწამებთ. ასეთად, ანუ „რევოლუციონერად“ და „ერეტიკოსად“

სურთ წარმოგვიდგინონ ჩვენმა მკვლევარებმა ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, რათა როგორმე რენესანსის იდეალად გიურ საფუძვლებს მიუსადაგონ მისი მოძღვრება.

დანტე ფიჭრობს, რომ ორივე — დიონისეც და თომაც — ეკლესიის მამაა, „სქოლასტიკის მთავარი დამცველია“, საყრდენია, ბურჯია, ოღონდ, ერთი — „იერარქიული დოქტორი“, ანუ დიონისე არეოპაგელი უფრო დიდი სქოლასტიკოსია, ვიდრე მეორე, ანუ თომა აქვინელი, „მამარობელი“. დანტე დიონისე არეოპაგელს აშკარად არ იცნობს, როგორც „ერეტიკოსს“, როგორც „რევოლუციონერს“, როგორც „მემამბოხეს“, ის მისთვის მხოლოდ ერთ-ერთი უდიდესი თეოლოგია. „სამოთხეში“ ერთმანეთის გვერდით დასახელებული პიროვნებები — თომა აქვინელი, დიონისე არეოპაგელი, ალბერტ დიდი, პეტრე ლომბარდიელი — მართლაც ეკლესიის ვარსკვლავები არიან, მათ შორის არც ერთი „ერეტიკოსი“ არ ურევია! თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სხვანაირად ისინი დანტეს „სამოთხეში“ ვერ მოხვდებოდნენ.

□დასასრული იმეზა□



პნსტბნმ ბაპაპსვილი

## მთარბმნელის ღვაწლი

ბერძნულმა მწერლობამ ძველთაგანვე მიიპყრო ქართველების ყურადღება. საქართველოში ადრევე არსებობდა არა ერთი და ორი ბერძენი ავტორის თხზულებათა თარგმანი. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა იმასაც ადასტურებს, რომ ქართველების ინტერესი ძირითადად ზეწინააღმდეგობრივ მწერლობით შემოიფარგლა. ქართულად თითქმის მთლიანად აუკონტაქტოვდა ამ პერიოდის ლიტერატურა. სამწუხაროდ, ეს არ ითქმის წინა პერიოდების ბერძნული მწერლობის შესახებ. ვინაიდან სიკვამლე, თითო-ორიგან გამოჩაქვნილი გარდა, ისიც შეიწირა, რაც იმდროინდელი მწერლობიდან უფროა თარგმნილი. მთავარი კი ისაა, რომ, ბუნებრივი და გასაგები მიზეზით, ქრისტიანული ბიზანტიისაღმდეგ ინტერესმა საგრძნობლად გაანული ძველი სამუაროსაკენ ღრუბლის სურვილი. ამ ლიტერატურასთან თარგმანის საშუალებით ინტენსიურ კავშირს არც თუ დიდი ხნის წინ ჩაუყარა საფუძველი. უკანასკნელ ხანებში კი ამ საქმის მოთავეობა უდავოდ გუგუთნის კლასიკური ფილოლოგიის ქართულ სკოლას. ბერძენი რამე გააკეთა მან ამ მიმართულებით და კიდევ მეტის გაკეთებას მაინც კარგად თაყვანისმცემი შემოქმედი. ქართველ მკითხველს მან უკვე გააცნო პლატონის დიალოგები („ნაფიში“, „ფედონი“, „იონი“, „დიდი მენაქსი“, „მენონი“, „კრიტონი“...), არისტოტელის „პოეტიკა“, ფხველი-ლინკინის „მადღებულისათვის“ და სხვ. ამ თარგმანებზე მხოლოდ აღ-

ტყებით შეიძლება საუბარი. ცალკეულ უწესტობათა არსებობა (ჩასაც ვერც ერთი მთარგმნელი თავს ვერ დააღწევს), რა თქმა უნდა, იმდროინდელი ვერ გააფერპყრობებს საერთო შთაბეჭდილებას. მაგრამ წინამდებარე წერილს მიზანი არც აღტაცების გამოხატვა და არც უწესტობათა აღრიცხვა, მთავარი ისაა, რომ ბ. ბრეგვაძემ ქართული მთარგმნელობითი ტრადიციების თავისებურ განვითარებაზე წარმოგვიგება, ხოლო მისი თარგმანები — ორიგინალთან შემოკმდეებითი დამოკიდებულების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად. სწორედ ამ მხარეებზე მინდა გავაზიარო ყურადღება.

ჩემს წინაშე ამოვიყვებ დეგრადაცია: რამ განაპირობა ბ. ბრეგვაძის თარგმანების წარმატება?

ამ კითხვაზე მოკლედ ასე შეიძლება ვაპასუხო: ამ კომპონენტთა ძალზე ბუნებრივი და მარშონიულმა შერწყმამ, რომელთაგან თითოეული თანხმად მოეხიობება სრულყოფილ თარგმანს.

ერთ მთავარზე, სახელმძღვანელო ავტორის ენისა და მთარგმნელის ენის ზედმოწვევით ცოდნაზე, სიტყვის გაგებულება არ დამოკიდება. ბ. ბრეგვაძემ საფუძვლიანად ფლობს ბერძნულ ენას. რაც შეეხება ქართულს, შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვენი მთარგმნელის სტილია. ამიტომ ბ. ბრეგვაძემ სრულიად ძალდაუტანებლად აშუარტებს ამ ორი ენის ბუნებრივ ურთიერთკავშირს და იღნავადუც არ განიცდის ბერძნულის გავლენას. მისი თარგმანების ენა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენაა, უაღრესად დახვეწილი, პოეტური, ლაღი და სადა. ამასთან დაცვირებით მინდა ერთ საკითხსაც შევეხო.

ზოგი მთარგმნელი ძველი დროის კლასიკების თარგმნისას ქუთუდად მიიღობს არქაულობისაკენ და ზედოცნობად ამოიშვებს თარგმანს. არა მგონია, დახაზუბება ბჭირდებობდეს ამჯავ-

ამ კეთილშობილურ საქმეს წარმატებით ემსახურება ბაჩანა ბრეგვაძე — ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელი და უაღრესად თავისებური შემოქმედი. ქართველ მკითხველს მან უკვე გააცნო პლატონის დიალოგები („ნაფიში“, „ფედონი“, „იონი“, „დიდი მენაქსი“, „მენონი“, „კრიტონი“...), არისტოტელის „პოეტიკა“, ფხველი-ლინკინის „მადღებულისათვის“ და სხვ. ამ თარგმანებზე მხოლოდ აღ-

არ მიდრეკილებს შეუსაბამობას. ბ. ბრეგვაძის შემოქმედებაში კი სრულიადაც არ შეინიშნება არქაულობისაგან ზედოცნური სწრაფვა. მთარგმნელმა იცის, რომ მისი მთარგმანები თანამედროვე მკითხველისათვის არის გათვალისწინებული; ზო-ლო, მეორე მხრივ, სახელდობრ ეს ენა, მისთვის ყველაზე ახლობლური და სისხლსორცვეული, საუკეთესო საშუალებაა სათარგმნი თხზულებ-ბის მშობლიურ ენაზე ასახიანებლად.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ბ. ბრეგვაძე საერთოდ უგულვებელყოფს ძველ ფორმებს. მის თარგმანებში ვხვდებით ძველი ქართული ენის ფორმადან ამოღებულ, ზოგჯერ უმართე-ბულად მიიწეებულ სიტყვებსა და გამოთქ-მებს. ამასთან, ეს სიტყვები თუ გამოთქმები უბრალო სამკაულის როლს კი არ ასრულებს, არამედ კიდევ მეტად ახდიდრებს მთარგმნელის აღქმას და საშუალებას აძლევს მას, ამა თუ იმ ბერძნული ფორმის შესატყვისთაგან წარმა-ტებით შეარჩიოს საუკეთესო.

ბ. ბრეგვაძე უდიდესი გულსხურით ეკიდებ-ს სათარგმნ მასალას. ითვალისწინებს უფლა შესაძლო ვარიანტს, ყველა ფორმას. მისი თარ-გმანები დედუღადავი ძიების ნაყოფია. მოვი-ტან „დიდ ჰიპიაზე“ დართულ ერთ-ერთ კო-მენტარს. მთარგმნელი წერს: „დედაწი მიმღე-ობა: „პარონ“, მაგრამ იხეი კონტექსტში ნაბ-მარი, რომ მისი გადმოცემა მხოლოდ შესატყ-ვისი არსებითი სახეებით (ასეთი სახელი ბერძ-ნულში „პარუსია“-ა) თუ შეიძლება. მთარგმნე-ლები ასეუ აქცევიან: „своим присутствием“ (ა. ბოლდირევი), „par sa nresence“ (ა. კრუა-ზე). მაგრამ ქართულში არა გვაქვს სიტყვა, რომელიც ადექვატურად გადმოცემდებ ბერძ-ნულ „პარუსიას“; როგორც რუსული „присут-ствие“ ან ფრანგული „presence“, ამიტომ მე ტრადიციის წინაშე აღმოვჩნდი: ან უნდა მეხ-მარა ლათინური პრესენტია (praesentia), ან უნდა შემეძინა ზედოცნური ქართული ტერ-მინი, ანდა გამომეყენებინა რომელიმე ქართუ-ლი სიტყვა მისი მნიშვნელობის გაფართოვე-ლით. რამდენიმე ვარიანტთაგან ვარჩიე „თა-ნაყოფობა...“<sup>1</sup>

აქ ძალაუფებურად ვაგვახსენებდა დიდი ეუ-რემ მკერდი. მისი დაუცხრომელი ძიება, შესა-შური გულმოდგინება, პასუხისმგებლობის უდი-დესი ვრძობა. ამ თვალსაზრისით ბ. ბრეგვაძე მტკიცედ გააყუა სახელოვანი წინამორბედის გზას.

სხვადაე და ბუნებრივობა ბ. ბრეგვაძის ენის ნიშანდობლივი თვისებებია. მის თარგმანებში ბერძნულში ძიება ამაო ცლად დარჩება. მას გათვალისწინებული აქვს როგორც ორიგინალის, ისე მშობლიური ენის თავისებურებები. ანგა-რიან უწევს ამა, რომ ზოგი რამ, რაც ზუნებ-რავად ელერს ერთ ენაზე, შეიძლება შეუფერ-ბელი და დამამოძებელი აღმოჩნდეს სხვა ენა-სათვის. ამის უშრალო, მაგრამ ნათელ მაგალი-

თად გამოდგებოდა ბერძნული მიმღეობის მიწის პირიანი ფორმით გადმოტანა, რაც ჩვეულებ-რივია ბ. ბრეგვაძის თარგმანებში. ანუ კიდე-ოდნენ ექვთიმე და გორგი ათონელები. ეგრემ მკერდი... საერთოდ, ჰენე წარსულის დიმა მოდგაწეება უადრესად მაღალ დონეზე აყუა-ნენ ბერძნულიდან თარგმნის ზედოცნება. მათი უმეტესობა უარყოფდა სათარგმნი ტექსტისადმი ზუკვალისტურ დამოკიდებულებას. თარგმანის ენა ბუნებრივი და ლალი იყო. ბერძნული წინა-დადებთაწყობის გავლენა იშვიათი გამოკლების სახით თუ იჩნდა თავს. ჰენე მთარგმნელებს მიზანი დედნისეული აზრის ზუსტად და ნათლად გადმოცემა იყო. ბ. ბრეგვაძე ამ შემთხვევაშიც დიდი წინამორბედების გამარჯვებლად წარ-მოგვიდგება.<sup>2</sup>

„გარწმუნე, კრიტონ, ისე ჩამქმნის მათი სი-ტუვენი, როგორც აღტიკნებულ კოჩიანტებს საკრავთა ზმა, და მათი ექო ისე გუგუნებს ჩემ-ში, რომ სხვას ვეღარაფერს ვარჩევ, აღარაფერი მესმის“<sup>3</sup>. — ასე ამთავრებს სოკრატე თავის ბრწყინვალე მონოლოგს სახელმწიფოსა და კა-ნიონების წინაშე მოკვლეობის შეხახებ. შემოქ-მედებითი მხატვრული თარგმანის შესანიშნავი ნიმუშია.

ბ. ბრეგვაძემ თავიდანვე უარყო სათარგმნი ტექსტისადმი ზუკვალისტური დამოკიდებულე-ბა. მისი ძირითადი მიზანია, აზრის ზუსტად და ნათლად გადმოცემასთან ერთად, ქართულ თარ-გმანში პლატონური ფრანის ხილამაზეუ გამო-ავლინოს და ძალმოსილებუ. მთარგმნელმა ორ-გზის აუარა გვერდი ბერძნულ ტექსტში მის. მობილ ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვას (doko-doku-sin), მაგრამ ამით ოდნავადაც არ დარღვეულა დედნისეული აზრი. ეს სიტყვები სრულიად ზუნებრივად იგულისხმება ქართულ თარგმანში. მ. სოლოვოვი კი ასე თარგმნის შე-სატყვის ადგალებს:

«...мне КАЖЕТСЯ, что я все это слышу, как и корибантствующим КАЖЕТСЯ...»

მაგრამ აქ მე დამავუვა ერთმა ფრანამ: „რო-გორც აღტიკნებულ კოჩიანტებს...“ თუთო კრკად არის შერჩეული „აღტიკნებული“, მაგ-რამ უფრო სწორია იქნებოდა, ვეთქვა: „რო-გორც კოჩიანტებისამებრ აღტიკნებულთ...“

„ხოლო სული უფელაზე უკეთ აზროვნებს მა-შინ, როცა არაფერი აღფრევს მას, არც სენა, არც მზერა, არც ტიკილი, არც სიხარული. რო-ცა იმარცვის და, შეძლებისამებრ, თავისუფლ-დება სხედლისაგან და თავის თავში ოდენ შეთ-ნილი მიიქცევა არსებულის კერტად“<sup>4</sup>. — ამ-ბოხს სოკრატე „უფადწი“<sup>4</sup>

სიზუსტე, დედნისეული აზრის გადმოცემის თვალსაზრისით, ზედმიწევნით არის დაკული. მიუხედავად ამისა, ცტარებულე მონაკვეთი რა-მდენადვე თავისუფალი თარგმანის ნიმუშადც გამოდგება. განსაკუთრებით საინტერესია მეო-რე ნაწილი: „როცა იმარცვის და შეძლებისა-

მეტრ თაყისუფელდება სხეულსაგან და თავის თავში ოდენ შეინიღო მიიქცევა არსებულის ჭკრტად". ბერძნულ ტექსტთან შედარებისას ნათლად ჩანს, რაოდენ ზუსტად და, ამავე დროს, როგორია აღწერა არის დატვირთული და გადმოცემული დედინათელი ფრაზის აზრი. ამასთან, ისეთი თანხვედრები აქვს, თითქოს ორიგინალურ ნაწარმოებს ვკითხულობთ და არა უცხოელი ავტორის თხზულებას თარგმანს. უფროდ ამაშიც არის ბ. ბრეგვაძის თარგმანების ძალმოხილვება. მაგრამ აქვს რაღაც სხვა მხრივ მინდობილი აქვს უფროდ დასაზრუნებელი: არქაული ფორმების დადასტურებულ და პარამონიულ შერწყმასზე ახალ ქართულთან.

